

1960



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომები

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

85

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სერია
Серия языков и литературы Западной Европы

II

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

თბილისი

1960

შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА

имени С Т А Л И Н А

85

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სერია
Серия языков и литературы Западной Европы

II

დაიბეჭდა

სტაღინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :

დ. ფანჯულიძე (რედაქტორი)	შ. რევიშვილი (პ/გ მდივანი)
რ. გაჩეჩილაძე	ნ. ქადაგიძე
მ. გოგატაძე	გ. ხავთასი
ივ. კვაჭაძე	

მე. ტომის

შინაარსი

1. დ. ფანჩულაძე, სტენდალის „პარმის სავანე“ ბალზაკის შეფასებით	1—14
2. თ. ნიჟარაძე, მოქმედების აღმნიშვნელი არსებითი სახელების სუფიქსები და მათი ფუნქციონალური შესატყვისები ქართულში	15—28
3. ნოდარ კაკაბაძე, ერიკ მარია რემარკის რომანები	29—54
4. შოთა რევიშვილი, რომანტიზმის პრობლემის მარქსისა და ენგელსისეული გადაწყვეტა	55—90
5. ლ. გამსახურდია, ჰარისის ფონოლოგიური შეხედულებანი	91—108
6. ოთარ ჯინორია, გოეთეს შემოქმედებითი ევოლუციის კანონზომიერებისათვის	109—152
7. რ. გაჩეჩილაძე, კაუზატიური ზმნების საკითხისათვის თანამედროვე ინგლისურ ენაში	153—164
8. ზურაბ ჭარხალაშვილი, ხელოვნების დანიშნულების საკითხი შილერის ესთეტიკაში	165—178
9. ვ. ფურცელაძე, პრედიკატივი გერმანულ ენაში	179—194
10. ნ. ორლოვსკაია, იტალიური მასალა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში	195—214

Содержание

85. тома

1. Давид Панчулидзе, „Пармская обитель“ Стендаля в оценке Бальзака 1—14
 2. Т. Нижарадзе, Суффиксы имен действия их функциональные эквиваленты в грузинском языке 15—28
 3. Н. М. Какабадзе, Романы Эриха Мария Ремарка 29—54
 4. Ш. И. Ревитшвили, Проблема романтизма в освещении Маркса и Энгельса 55—90
 5. Л. Гамсахурдия, Фонологические воззрения Хариса 91—108
 6. О. Г. Джинория, О закономерности творческого развития Гёте 109—152
 7. Р. Гачечиладзе, К вопросу о каузативных глаголах в современном английском языке 153—164
 8. З. Д. Чархалашвили, Вопрос назначения искусства в эстетике Фридриха Шиллера 165—178
 9. В. В. Пурцеладзе, Предикатив в немецком языке 179—194
 10. Н. Б. Орловская, Итальянский материал в словаре Сулхан-Саба Орбелиани 195—214
-

ღავეთ შანგილიძე

სტენდალის „პარმის სავანე“ ბალზაკის გეგმებით¹


ბალზაკის შემოქმედების, მისი ცალკეული ნაწარმოებებისა და აგრეთვე მწერლის მსოფლმხედველობის შესახებ ბევრი მნიშვნელოვანი შრომა დაწერილი და გამოქვეყნებული, მაგრამ ბალზაკი, როგორც ლიტერატურის მკვლევარი და ლიტერატურის კრიტიკოსი—, ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი.

შრომა „სტენდალის „პარმის სავანე“ ბალზაკის შეფასებით“ მიზნად ისახავს ორი დიდი ფრანგი რეალისტი მწერლის—სტენდალისა და ბალზაკის კრიტიკული რეალიზმის თავისებურებათა დახასიათებას (ისიც, ანჯერად, მხოლოდ ზოგად ხაზებში).

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ფრანგულ ლიტერატურაში სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის გაჩაღებული იყო ბრძოლა. ეს ბრძოლა უმთავრესად მიზნად ისახავდა, გამოერკვია; თუ როგორი სინამდვილე უნდა ყოფილიყო მხატვრული შემოქმედების საგანი. ამ ლიტერატურულ პაექრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ შატობრიანი, ალფრედ დე ვინი, სტენდალი, ბალზაკი, ჟორჟ სანდი, ვიქტორ ჰიუგო და სხვები.

სტენდალმა თავის წიგნში „რასინი და შექსპირი“ წამოაყენა საზოგადოებრივი ცხოვრების, სინამდვილის რეალისტური ასახვის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით მხატვრული შემოქმედება ცხოვრების სარკე უნდა იყოს. სტენდალი იცავს ცხოვრების თანაბარ ხელოვნებას, რაც ნატურალიზმს—ცხოვრების ფოტოგრაფიული სურათის გადაღებას კი არ გულისხმობს, არამედ პირიქით, სინამდვილის შემოქმედებით, მხატვრულ ასახვას მოითხოვს. სტენდალის მსჯელობის მიხედვით ყოველივე ეს დაფუძნებული უნდა იყოს ბუნებრიობასა და გულწრფელობაზე. მშვენიერია ის, რაც ჭეშმარიტია, ჭეშმარიტია ის, რაც ნამდვილია. სტენდალი ნამდვილ მწერალს მეტროლ-ჯარისკაცს უწოდებდა. რაც შეეხება კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლებს (შატობრიანს, ალფრედ დე ვინის, ლამარტინს და სხვ.), ისინი უარყოფდნენ სინამდვილის მხატვრულ ასახვას, საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატვას, ისინი რეალურ ცხოვრებას თვალს არიდებდნენ, ზურგს აქცევდნენ, ცდილობდნენ ამ სინამდვილისადმი ეცქირათ პირადი „მეს“ სიმაღლიდან.

¹ წაკითხული იყო მოხსენებად საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის სნდომანზე 1954 წლის დეკემბერში. ტექსტში შეტანილია ზოგი შესწორება და დამატება.



ქორე სანდი შედარებით უფრო პროგრესულ პოზიციაზე იდგას, მაგრამ მანც იდეალისტურ თვალსაზრისს ავითარებდა. ქორე სანდი ამბობდა: „მე ჩემს თავში ვგრძნობ ძალასა და ნიჭს გამოეხატო სინამდვილე არა ისე, როგორც არის, არამედ ისე, როგორც მე მსურს“.

გავიხსენოთ ბალზაკის სიტყვები მიმართული ქორე სანდისადმი: „თქვენ ეძებთ ისეთ ადამიანს როგორიც უნდა იყოს, მე კი ვიღებ მას ისე, როგორიც არის“.¹

რეალისტი ბალზაკის ეს სიტყვები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ის ნატურალიზმს ჰქადაგებდეს, ე. ი. ცხოვრების ფოტოგრაფიულ ასახვას, სინამდვილის ისე გადმოცემას როგორც ის არის. ბალზაკი მოითხოვს სინამდვილის სწორ, უტყუარ, შემოქმედებით, მხატვრულ ასახვას. ბალზაკი თითქოს უსაყვედურებს ქორე სანდს, რომ ის ისეთ ადამიანს ხატავს, როგორიც უნდა იყოს, როგორიც მას ეჩვენება, როგორიც მას წარმოუდგენია, ე. ი. ის (ქორე სანდი—დ. ფ.) სინამდვილეს კი არ ემყარება, სინამდვილიდან კი არ ამოდის, არამედ თავისი პირადი „მედან“ უყურებს საგნებსა და მოვლენებს. ყოველივე ამით ბალზაკი ხაზს უსვამს თავისი რეალისტური მეთოდის პრინციპულ განსხვავებას ქორე სანდის იდეალისტური მეთოდისაგან.

სტენდალისა და ბალზაკის მსგავსად ვიქტორ ჰიუგომ წამოაყენა სინამდვილის მართლად ასახვის პრინციპი. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს მას ცოტა სხვაგვარად ესმოდა, ვიდრე სტენდალს, ან შემდეგ—ბალზაკს. „სინამდვილე ბუნებაში და სინამდვილე ხელოვნებაში,—ამბობს ვიქტორ ჰიუგო,—ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ხელოვნება ვერ გადმოგვცემს აბსოლუტურ სიმართლეს. ხელოვნება ვერ მოგვცემს თვით საგანს“.²

ჰუმანისტი რომანტიკოსი ვიქტორ ჰიუგო აფასებს სინამდვილეს, მაგრამ არ იფარგლებს ამ სინამდვილით, ის მალღდება სინამდვილეზე თავისი პოეტური წარმოსახვით, შთაგონებით, ფანტაზიით. ვიქტორ ჰიუგოს მხატვრულ შემოქმედებაში რომანტიზმი სძლევს რეალიზმს.

ვიქტორ ჰიუგოს აზრით, მწერალმა სინამდვილეს დიადი უნდა მიუმართოს და დიადს—ნამდვილი. მან უნდა გამოხატოს გზა სიბნელიდან—სინათლისაკენ, ბოროტებიდან—სიკეთისაკენ, ცხოვრებიდან—ადამიანისაკენ.. „ჰიუგოსათვის სიმართლე ხელოვნებაში იმდენად ჭეშმარიტება არაა, რამდენადაც სამართლიანობა, რომლის შემეცნება მხატვარს შეუძლია მხოლოდ თავისი წარმოსახვის საშუალებით. ეს წარმოსახვა მიმართული უნდა იყოს არა უფერულისა და უხამსისადმი, არამედ მხოლოდ ნათელისა და სახიერისადმი.

¹ Vous cherchez l'homme tel qu'il devrait être; moi, je le prends tel qu'il est. George Sand, Histoire de ma vie, 4—ème partie chap. XV.

² La vérité de l'art ne saurait être la réalité absolue. L'art ne peut donner la chose même. ფრანგ საულისსმოა აგრეთვე ვიქტორ ჰიუგოს შემდეგი სიტყვები: Le poète ne doit donc prendre conseil que de la nature, de la vérité, et de l'inspiration qui est aussi une vérité et une nature.

Victor Hugo, Cromwell, p. 28, 27.



ჰიუგოს მიხედვით, ხელოვნების წყარო წარმოსახვაა, შთაგონება და სიყვარული მხატვრის გონება. მხატვარს არ ესაჭიროება ნატურა, რომელსაც მან ზუსტად უნდა ადევნოს თვალყურით. ის იძლევა არა ისეთ სინამდვილეს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორიც უნდა იყოს. სამართლიანობის რომანტიკული გაგება შედგება ისტორიის სიმართლისაგან, რომელიც გამრავლებულია პოეტის სუბიექტურ სიმართლეზე.¹ ამის გამოა, რომ ხშირად გვესმის სიტყვები: ვიქტორ ჰიუგოს გმირები მისი სუნთქვით ცოცხლობენ და მისი ხმით ლაპარაკობენო.

საყურადღებოა, რომ რეალისტი ბალზაკი თითქმის ისევე განსაზღვრავს ხელოვნების სიმართლეს და ბუნებრივ სიმართლეს, როგორც რომანტიკოსი ვიქტორ ჰიუგო.

ბალზაკი იმაზე მიუთითებს, რომ ხელოვნების სიმართლე და ცხოვრების სიმართლე ერთი და იგივე არაა. ბალზაკის „გამოუცნობელ შედეგში“, რომელიც ასე მოსწონდა მარქსს, მხატვარი ელაპარაკება თავის მოწაფეს: „ხელოვნების ამოცანა ბუნების ასლის გადაღება კი არაა, არამედ მისი გამოხატვა. შენ უბადრუკი ასლის ვადამღები კი არა ხარ, არამედ პოეტი ხარ“.² აქ ბალზაკი ხაზს უსვამს ხელოვნის მოღვაწეობაში შემოქმედებით პროცესს, მხატვრული ასახვის პროცესს, როგორც ვადამწყვეტ ფაქტორს. ამ მხრივ ბალზაკი იმით განსხვავდება ვიქტორ ჰიუგოსაგან, რომ სინამდვილეს თვლის შემოქმედების ძირითად წყაროდ და არა მწერლის სუბიექტურ სიმართლეს. ვიქტორ ჰიუგო ბოლომდე ვერ გაყვა თავის რეალისტურ შეხედულებას, მან უპირატესობა რომანტიკულ საწყისს მიანიჭა და მას დაუქვემდებარა რეალისტური საწყისი. ბალზაკის აზრით კი სიმართლეა ყველაფრის გასაღები. მხატვრული სიმართლე უნდა შეესაბამებოდეს ცხოვრების სიმართლეს.

ბურჟუაზიული მკვლევარები (ბრანდესი, კოტლიარევსკი, ლანსონი) ცდიბიან, როცა ბალზაკს რომანტიკულ სკოლას მიაკუთვნებენ. მაგალითად, გ. ლანსონი თავის „ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“ წერს, რომ „ბალზაკის შემოქმედების ნახევარი რომანტიკულია“.³

ბალზაკი იყო შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელი მოწინავე მწერლების მხატვრული შემოქმედებისა. როცა ბალზაკი ნაწარმოებში ხედავდა ცხოვრების სიმართლეს, ის აღფრთოვანებული იყო და გულწრფელად აქებდა ავტორს, ხოლო როცა ნაწარმოები არ გამოხატავდა ცხოვრების სიმართლეს, ბალზაკი მოურიდებლად აკრიტიკებდა მის ავტორს.

მხატვრულ ნაწარმოების ავკარგიანობის გამორკვევისას ბალზაკი ემყარებოდა თავის რეალისტურ პრინციპს, სახელდობრ იმას, თუ როგორაა გამოხატული ნაწარმოებში ცხოვრების სინამდვილე, რა სიმაღლეზეა განზოგადება, როგორია მხატვრული განსახიერება, არის თუ არა მხატვრული სახე ტიპიუ-

¹ С. Мокульский, Гюго и романтическая драма во Франции. Виктор Гюго. Избранные драмы. т. 1, стр. XI.

² Balzac, La Comédie humaine, IX Le Chef—d'oeuvre inconnu, p. 394.

³ G. Lanson, Histoire de la littérature française, Paris, 1909, p. 1002.



რი. ამ საზომით მიუდგა ბალზაკი ვიქტორ ჰიუგოს, სტენდალის, ანტონიო ჯეკობინის, ეჟენ სიუს, შატობრიანის, ჟორჟ სანდის, უალტერ სკოტისა და სხვა მწერალთა შემოქმედებას. ყველა ამათგან გამოირჩევა ბალზაკისათვის ჭეშმარიტად რეალისტი მხატვარი სტენდალი, რომლის რომანს „პარმის საგანეს“ მან სპეციალური ეტიუდი, გამოკვლევა მიუძღვნა.

ბალზაკი, როდესაც არჩევს ალფრედ დე მიუსეს ნოველებს, აღნიშნავს, რომ ამ ნოველებში არ არის ისეთი მნიშვნელოვანი და დიადი სახეები, რომლებიც გაუძლებენ ეპოქის გამოცდას და დარჩებიან ლიტერატურის ისტორიაში. ბალზაკის აზრით, ალფრედ დე მიუსემ ვერ შეძლო თხრობა აეყვანა იმ სიმაღლემდე, საიდანაც სახეები წარმოგვიდგებიან ტიპიურებად. ბალზაკის მკაფიო მსჯელობის მიხედვით, ნაწარმოები არ ჩათვლება ჭეშმარიტ რეალისტურ, მხატვრულ ნაწარმოებად, თუ მასში მოცემული არაა ტიპიური ხასიათები, ღრმა მხატვრული განზოგადებანი, ეპოქის სული, მისი მაჯისცემა.

სტენდალი მხატვრულ შემოქმედებას იხილავს, როგორც ცხოვრების სარკეს.¹ ასევე ბალზაკიც მხატვრულ ნაწარმოებს უყურებს, როგორც ცხოვრების გამოხატულებას. თავისი „აღამიანური კომედის“ წინასიტყვაობაში ბალზაკი აღნიშნავს, რომ მწერალს დიდი მოვალეობა აკისრია საზოგადოების წინაშე, ხალხის წინაშე, რომ ის ერთგული უნდა იყოს თავისი პრინციპებისა, მას უნდა ჰქონდეს მტკიცე შეხედულებანი მორალისა და პოლიტიკის საკითხებზე, მწერალი თავის თავს უნდა თვლიდეს აღამიანთა მასწავლებლად. მწერლის კალამ ქვეშ ყველაფერი ნათლად უნდა მოჩანდეს, მწერალმა უნდა შეძლოს ხელი ჩაჭიდოს იმას, რაც ცხოვრების არსს შეადგენს.

სტენდალის რომანი „პარმის საგანე“ გამოქვეყნდა 1839 წლის იანვარში. ბალზაკმა იგი რამდენჯერმე წაიკითხა გულდასმით. ამას მოყვა მისი ალფრედოვანებულის ეტიუდი ამ ნაწარმოებზე. ბალზაკმა თავისი ნარკვევი გამოაქვეყნა 1840 წლის 5 სექტემბერს, სტენდალმა უპასუხა იმავე წლის 30 ოქტომბერს.


ბალზაკმა „პარმის საგანე“ შეათვასა როგორც ლიტერატურის შედეგრი, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას. გახარებული სტენდალი ბალზაკისადმი პასუხში წერდა: „თქვენ შეიბრალეთ ოპოლი, რომელიც შუა ქუჩაში იყო მიტოვებული. მე არ ვფიქრობდი, თუ 1880 წლამდე წამიკითხავდნენო“.²

სტენდალი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ცხოვრებამ მას არ არგუნა ისეთი მწერლის ბედი, რომელიც გამოჩენისთანავე განმაურდება, რომლის ნაწარმოებები ზედიზედ იბეჭდება, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და მსჯელობის საგანი ხდება და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ყველასაგან მიტოვებული და დავიწყებული სტენდალი ბალზაკმა აღმოაჩინა და მან პირველმა მისცა მის ბრწყინვალე მხატვრულ ნიჭს პირუთვნელი, მაღალი შეფასება. ბალზაკის ნარკვევი „პარმის საგანე“

¹ სტენდალი ხშირად ხმარობდა ფრანგი ისტორიკოსისა და ლიტერატორის სენ რეალის (1630—1692) გამოთქმას „Un roman: c'est un miroir qu'on promène le long d'un chemin“.

² Vous avez eu pitié d'un orphelin abandonné au milieu de la rue. Je pensais n'être pas lu avant 1880. Stendhal, Correspondance, X, Paris, p. 267, 280.



ნეზე“ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ დროის ფრანგულ ლიტერატურაში, კერძოდ, ორი დიდი მწერლის—ბალზაკისა და სტენდალის ცხოვრებაში. ბალზაკის ეტიუდი,—ესაა საუცხოო მაგალითი მხატვრული ნაწარმოების ღრმა, სერიოზული, ყოველმხრივი ანალიზისა და შეფასებისა. ბალზაკმა სტენდალში დაინახა ცხოვრების სიმართლის ერთგული მწერალი, რომელსაც „შესწევს ძალა და უნარი მოგვეცეს სოციალური ტიპები არა უბრალოდ, სქოლასტიკურად, ფოტოგრაფიულად, არამედ მძალადიერად, მძალამხატვრულ განზოგადებებში.

ბალზაკი თავისი დროის ლიტერატურაში სამ სახეობას, თუ სკოლას ხედავს: პირველი,—ეს „იდეების ლიტერატურა“, მეორე—„სახეების ლიტერატურა“ და მესამე—„ლიტერატურული ეკლექტიზმი“.¹

ბალზაკის აზრით ყველა ხალხში და ყველა თაობაში არიან მოაზროვნე, ჭკრეტით ადამიანები, ისინი გატაცებული არიან დიადი სანახაობებით, ეფექტებით. აქედან წარმოიშვა სკოლა „სახეების ლიტერატურისა“. მასში შედის ლირიკა, ეპოპეა და ყველა ჟანრი, რომლებშიც ასეა ასახული საგნები და მოვლენები.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ, მიისწრაფიან, მათ იზიდავთ მოძრაობა, კონკრეტულობა, შეჯახებანი, დრამა. მათ არ უყვართ ოცნება. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა მეორე სკოლა, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველისაგან. ეს არის სკოლა „იდეების ლიტერატურისა“.

ბალზაკის მსჯელობის მიხედვით არსებობენ აგრეთვე მთლიანი ადამიანები, რომლებიც მოიცავენ ყველაფერს—ლირიკას, მოქმედებას, დრამას, ოდას და სხვ. ისინი ფიქრობენ, რომ სრულყოფისათვის საჭიროა ამა თუ იმ მოვლენისა და საგნის ყოველმხრივი გაშუქება, მისი ყოველმხრივი დახატვა, სრული სურათის მოცემა.

ამ მესამე სახეობას ლიტერატურაში ბალზაკი უწოდებს „ლიტერატურული ეკლექტიზმის“ სკოლას.

დაჰყო რა ბალზაკმა ლიტერატურა ასეთ სკოლებად, ამის მიხედვით დააჯგუფა მან მწერლებიც. ასე მაგალითად: ბალზაკის აზრით პირველ სკოლას მიეკუთვნება სტენდალი, მერიმე, ალფრედ დე მიუსე, ბერანჟე და სხვ., მეორეს—შატობრიანი, ლამარტინი, ვიქტორ ჰიუგო, ტეოფილ გოტიე, სენტ-ბევი და სხვ., მესამეს—თვითონ ბალზაკი, შემდეგ უალტერ სკოტი, მადამ დე სტალი, ჟორჟ სანდი და სხვ.

ბალზაკი აგრეთვე იმ აზრს ავითარებს, რომ როგორი ჟანრისაც არ უნდა იყოს ნაწარმოები, ის ხალხის ხსოვნაში მხოლოდ მაშინ რჩება, როცა მასში დატულია კანონი იდეალისა და ფორმისა.

ბალზაკი ხშირად ამბუობდა თავისი რეალისტური მეთოდის მეცნიერულობით, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ იგი ღალატობს თავის პრინციპს, რადგან ლიტერატურის ასეთ სკოლებად დაყოფა არაა გამართლ-

¹ ბალზაკის გამონათქვები მოტანილია წიგნიდან — „Бальзак об искусстве“, Изд. „Искусство“, М.—Л., 1941.



ბული და მეტისმეტად ბუნდოვანია. ძნელი წარმოსადგენია „ლიტერატურის მხოლოდ იდეებისა“ ან მხოლოდ „სახეებისა“. გაუგებარია აგრეთვე „სკოლა ე. წ. „ეკლექტიკური ლიტერატურისა“.

ბალზაკის მიერ ლიტერატურის ასეთ მიმართულებებად დაყოფაში ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანია ის, რომ ბალზაკი თავის თანამედროვე მწერალს სტენდალს (რომლისადმიც მიძღვნილია მისი ეტიუდი) აცხადებს იმ სკოლის წარმომადგენლად, რომელსაც ბალზაკი უწოდებს „იდეების ლიტერატურის“ სკოლას. ბალზაკი თითქოს უპირისპირდება სტენდალს, რადგან ის თავის თავს სხვა მიმართულების, კერძოდ, — „ეკლექტიკური მიმართულების“ წარმომადგენლად თვლის.

ცნობილია, რომ სტენდალი გატაცებული იყო მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურით და ფრანგული საგანმანათლებლო ფილოსოფიით, განსაკუთრებით ჰელვეციუსის წიგნებით — „ადამიანის შესახებ“ და „სულის შესახებ“. სტენდალი ამბობდა, ვისაც უნდა კარგი ფრანგული ენით წერა, მან უნდა იკითხოს არა თანამედროვე რომანტიკოსთა ნაწარმოებები, არამედ იმ მწერალთა ნაწარმოებები, რომლებიც ცხოვრობდნენ მე-19 საუკუნემდე. ვისაც სურს სწორად იაზროვნოს, მან დაბეჯითებით უნდა შეისწავლოს მონტესკიესა და ჰელვეციუსის თხზულებანი.

სტენდალის ასეთი მიდრეკილებანი და შეხედულებანი კარგად იცოდა ბალზაკმა, სწორედ ეს აქვს მხედველობაში ბალზაკს, როცა ის წერს: „მე არ ვთვლი საჭიროდ გამოვხატოთ თანამედროვე საზოგადოება მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მკაცრი მეთოდებით. ჩემი აზრით თანამედროვე ლიტერატურაში აუცილებელია შეტანა დრამატიული ელემენტებისა, სახისა, სურათისა, აღწერისა, დიალოგისა. გულწრფელად ვაღიარებ, რომ „ვილ ბლანი“ დამქანცველია ფორმის მხრივ: მოვლენისა და იდეის ასეთი დატვირთვა უნაყოფოა“.

ბალზაკის მსჯელობაში აქ წინააღმდეგობას ვხედავთ. ერთი მხრივ ის აკრიტიკებს და იწუნებს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების ლიტერატურას, რომელსაც ის უწოდებს „იდეების ლიტერატურას“ და რომელსაც მიაკუთვნებს სტენდალს, მეორე მხრივ სტენდალის „პარმის სავანეს“ სთვლის ლიტერატურის შედეგად.

ჩვენ ბუნებრივად მივადექით ამ ორი დიდი ფრანგი რეალისტის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის პრობლემას. ბალზაკსა და სტენდალს შორის საერთო ის არის, რომ ორივე მწერალი უკმაყოფილოა ბურჟუაზიული საზოგადოებით, მათ ორივეს ნამდვილად სძულს ეს საზოგადოება, ორივენი კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები არიან, მაგრამ სინამდვილის ასახვის ის ფორმები, ბურჟუაზიულ საზოგადოების ის მხატვრული სურათები, რომლებსაც სტენდალის და ბალზაკის შემოქმედებაში ვხედავთ, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; ამ განსხვავების საფუძველი მათი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის არსებითი, პრინციპული სხვაობა



კი არაა, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია,¹ არამედ სინამდვილისაში თითოეული მათგანის თავისებური მიდგომა, თითოეული მათგანის მიერ სინამდვილის თავისებური მხატვრული ხერხებით ასახვა.


ბალზაკი თავის ეტიუდში აქებს სტენდალს მისი „პარმის სავანის“ გამო. ის აღფრთოვანებულია ამ ნაწარმოების დინამიურობით, მისი დრამატიული ელემენტით, მწყობრი და პირდაპირი სისტემით. ბალზაკი წერს: „პერსონაჟები მოქმედებენ, აზროვნებენ, გრძნობენ და დრამაც მუდამ ვითარდება“. ბალზაკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სტენდალს ახასიათებს კომპოზიციის თანდათანობითი და პირდაპირი გაშლა.

ბალზაკი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს, რომ სტენდალი მიისწრაფვის ცხოვრების სინამდვილის, საზოგადოებრივი ურთიერთობის, არსებითის გამოხატვისკენ, სწორედ ამაშია სტენდალსა და ბალზაკს შორის მსგავსებაც და განსხვავებაც. ისინი ერთმანეთთან განუყრელ მხატვრულ კავშირში არიან, როცა გატაცებით ცდილობენ ცხოვრების არსის გამოხატვას და სძულთ მწერლის ნატურალისტური დაწვრილმანება, მაგრამ ერთმანეთს შორდებიან, როგორც უკვე ვთქვით, სინამდვილის მხატვრული ასახვის ნაირობასა და ფორმებში. ჩვენი აზრით სტენდალისათვის უფრო მნიშვნელოვანია გმირის ფსიქოლოგია, მისი მოქმედება, განცდა, ფიქრები, შინაგანი სამყარო, ვინემ ის ობიექტური გარემო, ის სიტუაცია, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. ბალზაკთან კი, პირიქით, მთავარია ტიპური გარემოებანი, რომლებიც მის გმირს ხდიან ან ასეთად, ან ისეთად. ბალზაკის შემოქმედებაში ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრება თითქოს უფრო სრულადაა წარმოდგენილი, ვიდრე სტენდალთან, ბალზაკი თითქოს უფრო მეტსა და ყოველმხრივ ცოდნას იჩენს ბურჟუაზიული საზოგადოებისას, ვიდრე სტენდალი.

ბალზაკი, როგორც დიდი მხატვარი—რეალისტი, ნათლად ხედავს, რომ სტენდალს ეხერხება თემის არჩევა და იმ ადგილის არჩევაც, სადაც ეს თემა უნდა გაიშალოს. ბალზაკის აზრით სტენდალმა აიძოია თავისი რომანის სამოქმედო ასპარეზად იტალია, კერძოდ, პატარა საგრაფო პარმა, მაგრამ სინამდვილეში სტენდალი თავისი დიდი შემოქმედებითი გაქანებით გასცილდა ამ ვიწრო ჩარჩოებს, პარმის აზნაურთა წვრილმან ინტრიგებს, გასცილდა პატარა საგრაფოს და დახატა აბსოლუტიზმის წყობილებისათვის ასე დამახასიათებელი თვისებები, წარმოგვიდგინა ღრმად ტიპური ხასიათები. ბალზაკი სავსებით სამართლიანად ამტკიცებს, რომ სტენდალმა თავის „პარმის სავანეში“ გასაოცარი სიზუსტით დახატა არსებული საზოგადოებრივი წყობილების წარმომადგენელთა სახეები.

ბალზაკი სტენდალის პიროვნებაში ხედავს თავის მოკავშირეს. თავის თანამებრძოლს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტენდალი ხატავს თავის გმირთა ტიპურ სახეებს ტიპურ გარემოებებში.

¹ მაგ. გ. ლუჯანს. იხ. მისი სტატია: Балзак—критик Стендаля. ჟურნ. „Литературный критик“ № 1, 1936 г.



„პარმის სავანეში“ ბალზაკმა დაინახა შესანიშნავი მხატვრული სახეები, ტიპიური ხასიათები. ბალზაკი და სტენდალი ბოლომდე ერთგული და დამაჯერებელი თავიანთი ესთეტიკური პრინციპისა; — გამოეხატათ ცხოვრების არსებული დამახასიათებელი მხარეები, რეალისტურად მოეცათ ეპოქის, საზოგადოების ტიპიური ხასიათები. როგორც ბალზაკთან, ასევე სტენდალთან, უარყოფითი სახეებიც ტიპიურია და დადებითი სახეებიც. მაგალითად, ბალზაკის ვოტრენი მხოლოდ წვრილი ბურჟუა კი არაა, არამედ ტიპიური, პირწავარდნილი დამნაშავეა, რომელიც განასახიერებს ყოველივე ბინძურსა და ამორალურს, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაშია. მისი ნიშრონი მხოლოდ ჩვეულებრივი კეთილი მოქალაქე კი არაა, ის ავრთვე მალალი მორალური იდეალების ადამიანია, ხალხის ინტერესების გამომხატველია, ის „რკინისავეთ მავარია და ოქროსავეთ სუფთა“. ასევეა სტენდალის შემოქმედებაშიც.


სტენდალი „პარმის სავანეში“ ტიპიურ ფიგურებად წარმოგვიდგენს ჰერცოგის ასულს ჯინა სანსევერინას და რევოლუციონერ პალა ფერანტეს. როცა ბალზაკი „პარმის სავანის“ ამ პერსონაჟებს არჩევს, ის იგონებს თავისი „დაკარგული ილუზიებიდან“ რესპუბლიკელ მიშელ კრეტენს და ადარებს სტენდალის პალა ფერანტეს. ბალზაკი დასძენს, რომ აქ სტენდალმა მას ბევრად გაუსწრო.

„პარმის სავანის“ მთავარმა გმირმა ფაბრიციო დელ დონგომ ბალზაკის მოწონება დაიმსახურა. ბალზაკის აზრით ფაბრიციო თანამედროვე ახალგაზრდა იტალიელია, რომელიც იბრძვის დესპოტიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ის ვერ დგას რომანის სხვა პერსონაჟებზე მაღლა. ამასთანავე ბალზაკი მიუთითებს იმაზე, რომ ფაბრიციოს აღკვეთა მონასტერში არაა სათანადოდ მოტივირებული. ჯინა სანსევერინას შესახებ ბალზაკი წერს, რომ ესაა ნამდვილი იტალიელი ქალი, რომლის სახე ბრწყინვალეა დახატული. ბალზაკის აზრით გრაფი მოსკას სახით სტენდალი ხატავს გენიალურ პოლიტიკოსს, რომელიც სიყვარულს შეუპყრია, ეს სიყვარული უფრანგებო სიყვარულია; მოქმედი სიყვარულია, ასეთი სიყვარული მოვალეობაზე ძლიერია, ესაა სიყვარული, რომელზეც ქალები ოცნებობენ. „კლელია, — წერს ბალზაკი, მომიბლავია, იგი ბრწყინვალე ქაინილებაა, რომელზეც კი ოცნება შეიძლება“. ბალზაკს ფაბრიციოს ციხიდან გაქცევა სასწაულად მიაჩნია, რომელიც მოამზადა კლელიამ და რომელსაც კინალამ შეეწირა მისი მამა გენერალი კონტი.

ბალზაკი ასეთ დასკვნას აკეთებს: „პარმის სავანე“ ლიტერატურის შედეგია, იგი კომპოზიციურად მთლიანია. XIX საუკუნე უკვე ბევრი რამით არის დავალებული სტენდალისაგან. ეს წიგნი ისეთი შედეგია, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დაეწყებას. „პარმის სავანის“ ყველა გმირს სისალი უდულს ძარღვებში, ისინი უაღრესად მკვირცხლნი არიან, მათ აქვთ ნათელი გონება. სტენდალი არის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი XIX საუკუნისა“.

ამასთანავე ერთად ბალზაკმა გააკრიტიკა სტენდალის „პარმის სავანე“, ზოგიერთი (მისი აზრით) ნაკლოვანების გამო.

ბალზაკმა გამოთქვა სურვილი — „პარმის სავანის“ შესავალი ნაწილი, ფაბრიციოს ბავშვობა და სხვა, — ამოღებულიყო. მან აბატი ბლანესის გამოყვანა



ზედმეტად მიიჩნია და მოითხოვა მისი ამოღებაც. ბალზაკის აზრით, მოიგებდა თუ იგი დაიწერებოდა ვატერლოოს ბრძოლების აღწერით. ¹ ასე შეეხება ნაწარმოების სტილს, იგი ბალზაკმა დაიწუნა და ჩათვალა რომანის სუსტ მხარედ (ბალზაკი ამაყად აცხადებდა ხოლმე, რომ „პარმის“ მხოლოდ სამმა კაცმა ვიცით ჩვენი ენა—ჰიუგომ, გოტიემ და მე“).¹ ბალზაკი აღნიშნავდა, რომ შეიძლებოდა ცალკე ნაწარმოების დაწერა, რომლის მთავარი გმირი იქნებოდა ფაბრიციო სათაურით: „ფაბრიციო ანუ მეცხრამეტე საუკუნის იტალიელი“ და იქვე დასძინს: რადგან ავტორმა ეს ახალგაზრდა მთავარ გმირად გამოიყვანა, იგი უნდა წარმოედგინა დიდი ქკუსა და დიდი გრძნობის ადამიანად, მიეცა მისთვის ისეთი თვისებები, რომელთა მეობებითაც თავის ირგვლივ მყოფ ნიჭიერ ადამიანებზე მაღლა დადგებოდა. ფაბრიციოს კი ასეთი თვისებები არ გააჩნია.

ასეთია მოკლედ ბალზაკის შეხედულებანი სტენდალის „პარმის სავანეზე“.

განვიხილოთ სტენდალის პასუხი.²

სტენდალმა ბალზაკს უპასუხა იმავე წლის (1840) 30 ოქტომბერს (ბალზაკის წერილი გამოქვეყნდა 1840 წლის 5 სექტემბერს).

სტენდალმა თავის პასუხში კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ლიტერატურის საქმის ისეთმა შესანიშნავმა მცოდნემ როგორც ბალზაკი იყო, გამოთქვა თავისი შეხედულებანი მისი რომანის „პარმის სავანის“ შესახებ. სტენდალი ასე იწყებს თავის პასუხს ბალზაკისადმი: „თქვენ შეიბრალეთ ობოლი, რომელიც შუა ქუჩაში იყო მიტოვებული. თქვენი ნაბიჯი უჩვეულოა, მე მინდა მოგბაძოთ თქვენ და გულწრფელად გიპასუხოთ. მიიღეთ ჩემი მადლობა უფრო მეტად რჩევისათვის, ვიდრე ქებხსათვის“.

სტენდალი პირდაპირი და პრინციპული მწერალი იყო, მან მტკიცედ დაიცვა ის, რაც ღრმად სწამდა, როგორც ჭეშმარიტ რეალისტ-მხატვარს. სტენდალს სწორედ ის უფრო მოსწონდა „პარმის სავანეში“, რის ამოღებასაც ბალზაკი მოითხოვდა, რომანის პირველი თავები სტენდალს ბრწყინვალე შესავალ ნაწილად მიაჩნდა, რადგან ყოველივე ეს მას თავისი ბავშვობის დღეებს აგონებდა. ცხადია, მწერალი ვერ შეელოდა ამ ნაწილს. სტენდალმა უარი სთქვა აგრეთვე აბატი ბლანესის მთლიანად ამოღებაზეც.

ბალზაკის აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ფაბრიციო არ დგას თავის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე მაღლა, არ უნდა იყოს მართებული. ნაწარმოებიდან აშკარად ჩანს, რომ ფაბრიციო, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჭაბუკია, ფლობს ყველა იმ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა მოწინავე და მამაცი

¹ „Il n'y a que trois hommes à Paris qui sachent leur langue: Hugo, Gautier et moi.“ ციტატი მომყავს რენე დუმიკის წიგნიდან: Histoire de la littérature française. Paris, 1908 წ., გვ. 562.

² ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე საბოლოოდ დაუდგენელია ამ პასუხის ტექსტი. არსებობს მისი სამი ვარიანტი. ჩვენ ვისარგებლეთ როგორც ამ სტენდალისეული ვარიანტებით, ისე იმ რუსული თარგმანით, რომელიც გამოქვეყნდა 1936 წლის ჟურნალში „Литературный критик“ № 1.



ადამიანისათვის, ნაწარმოების გმირისათვის. ის მთლიანად აღებულია ადგილობრივი გორც მთავარი გმირი, ცენტრალურ ადგილზეა რომანში, ის უბირისპირადაა ყველას, ვინც მოწყვეტილია თავის ხალხს, თავის სამშობლოს, ის იბრძვის დესპოტიზმის წინააღმდეგ, მისთვის სიცოცხლის აზრი დაბრკოლებათა გადალახვაშია, სამშობლოსათვის თავდადებაშია.

ბალზაკი შეცდა, როცა მან ფაბრიციოს აღკვეცა მონასტერში ნაწარმოების რელიგიურ ფინალად ჩათვალა. ჯერ ერთი, ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს თვით „პარმის სავანიდან“, მეორე, — სრულიად არ შეესაბამება საერთოდ სტენდალის შემოქმედებითი განვითარების გზას.

სტენდალი ძალიან მორიდებულია თავის პასუხში ბალზაკისადმი. ის გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ ბალზაკს სურს სტენდალს თავს მოახვიოს თავისი მეთოდისა და სტილის თავისებურებანი. სტენდალის პასუხში აშკარად სჩანს, რომ სინამდვილის მხატვრული ასახვის ის ფორმები და საშუალებანი, რომელთაც სტენდალი იყენებს, განსხვავდება სინამდვილის ბალზაკისებური ასახვისაგან.

თავის პასუხში სტენდალი წერს: „მე ვცდილობ მართლად და ცხადად გადმოვცე ის, რაც ჩემს გულში ხდება. მე მხოლოდ ერთი წესი ვიცი: ვიყო ნათელი. თუ მე ნათელი არა ვარ, მაშინ მთელი ჩემი ქვეყანაც არ არსებობს“.

ამნიარად, სტენდალი ხაზს უსვამს თავისი შემოქმედებითი მეთოდის სიცხადესა და სინათლეს, დახვეწილობას. ის აგრეთვე იმაზე მიუთითებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მწერალი თავის ნაწარმოებებში უნდა იყოს გულწრფელი და ბუნებრივი.

რომანტიკოსების, კერძოდ შატობრიანის მოძულე სტენდალი ებრძვის რომანტიზმს. ის კატეგორიულად უარყოფს რომანტიკულ სტილს, რომელიც ყველაფერს ახვიადებს და აყალბებს. როგორც უკვე ვთქვით, ბალზაკი აკრიტიკებს სტენდალის სტილს. ის წერს: „სტენდალის გრძელი ფრაზა ცუდადაა აგებული, მოკლე ფრაზა მოკლებულია სიმრგვალებს და სხვ“.

სტენდალმა მთლიანად არც ეს კრიტიკა მიიღო, მან რომანის ზოგიერთი ადგილის გამო გაიზიარა ბალზაკის შენიშვნა და დასძინა, რომ ეს სიჩქარის შედეგია და ბავშვით გეტყვით, რომ მეტს აღარ ვიზამო.

სტენდალი იყო იშვიათი ლიტერატურული გემოვნების მწერალი, ის ახლოს იდგა თავის დროსთან თავისი ნათელი სტილითაც. ბალზაკისადმი პასუხში სტენდალი აღნიშნავდა, რომ მას სძულს დამრგვალებული სტილი; როცა „პარმის სავანეს“ ვწერდი, ყოველ დილას სწორი ტონის საბოვნელად ორ-სამ გვერდს ვკითხულობდი სამოქალაქო კოდექსიდან. მე არ მალფრთოვანებს მოღურის სტილი, მას მე მოთმინებიდან გამოვყავარო.

სტენდალი საერთოდ გაუბრბოდა ნაწარმოების ე. წ. გაშალაშინებას, ის წინააღმდეგი იყო ნაწარმოების სწორებისა მისი დაწერის შემდეგ. ამ მხრივ ბევრის მეტყველია პროსპერ მერიმეს სიტყვები: როცა სტენდალს მოუხდებოდა დაწერილის შესწორება, მაშინ ის ყველაფერს ხელახლა გადააკეთებდა ხოლმეო.



ვინც გულდასმით გადაიკითხავს სტენდალის ნაწერებს, ის დარწმუნდება, რომ სტენდალი არ იყო ვულგარული სტილის მწერალი. შესაძლებელია, ბალზაკის შემდეგ ემილ ზოლას შენიშვნებიდან სტენდალის სტილზე, — მომდინარეობდეს მცდარი აზრები ლიტერატურის მკვლევარებისა, — გ. ლანსონის, ა. კირპიჩნიკოვის და სხვებისა.

ფრანგი კრიტიკოსი გუსტავ ლანსონი თავის წიგნში, „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“, წერს: „ის (სტენდალი — დ. ფ.) არის საკმარისად ვულგარული და უსიამოვნო ადამიანი, უხეში და პრეტენზიული... მისი პირადი თავგადასავალი არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს“.¹ „...ფორმას სტენდალთან არ აქვს მნიშვნელობა. ის არ არსებობს, როგორც მხატვრული ფორმა, ის არის მხოლოდ იდეის ანალიტიკური გამოხატულება“.²

აი, ასეთი, მართლაც ვულგარული შეხედულებები გვხვდება ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობაში, დიდი ხელოვანისა და მხატვრის — სტენდალის შესახებ. ასეთი აზრები დღეს ისე უსუსურად მოჩანს, რომ მათი კრიტიკა არცაა საჭირო.

პროფ. ა. კირპიჩნიკოვი, რომლის მიერ დაწერილია „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ მეოთხე ტომში მთელი თავი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიისა, სტენდალის რომანის „წითელი და შავი“ შესახებ წერს: „Роман написан очень небрежно; в нём вообще мало искусства... жизнь передана плохо... действующие лица вовсе не отличаются полнотой и живостью. Бейль вовсе не заботился о стиле своих произведений, и это важнейшая из причин невнимания к нему современников“.³

ემილ ზოლას არ მოსწონდა სტენდალის ნაწარმოებები და სტილი. ზოლათავის ნარკვევში „პარმის სავანეზე“ უცნაურ დასკვნას აკეთებს. მისი აზრით „პარმის სავანე“ ეს ნამდვილი რომანი არაა, იგი ანალიტიკური ხასიათის, სათავგადასავლო წიგნია, რომელშიც არ არსებობს მეთოდი, არ არსებობს კომპოზიციური მთლიანობა. სტენდალი იღებს ადამიანთა თავებს მხოლოდ და ახდენს მათზე ფსიქოლოგიურ ცდებს, ამიტომაც, რომ მისი გმირები მსჯელობენ, ლაპარაკობენ და არ განიცდიან. ისინი ცხოვრების სინამდვილიდან კი არ არიან აღებული, არამედ შექმნილი არიან სტენდალის გონებით. ამის გამოც, — დასძენს ზოლა, — სტენდალის გმირები მკითხველის მეხსიერებაში არ არჩებიან. რაც შეეხება სტენდალის სტილს „პარმის სავანეში“, ზოლა მას თვლის მდარე სტილად.⁴

ბალზაკის გამოკვლევა სტენდალის „პარმის სავანეზე“, შეუდარებლად მალა დგას ემილ ზოლას ამ ცალწიგნზე, სუბიექტურ ნარკვევზე.

¹ L'homme est assez vulgaire, un peu déplaisant, tour à tour grossier ou prétentieux... ses aventures personnelles ne sont guère intéressantes.

G. Lanson, Histoire de la littérature française, Paris, 1909, p. 1006.

² La forme, dans Stendhal, est indifférente; elle n'existe pas comme forme d'art, elle n'est que la notation analytique des idées. Ibid, p. 1009.

³ Всеобщая история литературы. 1892 г. С. — Переводы т. IV, стр. 797, 798, 799.

⁴ Emile Zola, Les Romanciers naturalistes, Stendhal, Paris, p. 74.



დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი ამბობდა: „მწერალს დავიწყებისაგან იხსნის მხოლოდ შინაარსი და არა ენა, არა სტილი“. ნიჭიერი კრიტიკოსის ეს მარჯვე გამონათქვამი თამამად შეიძლება მივუყენოთ სტენდალს და ვთქვათ, რომ შესანიშნავი ფრანგი რომანისტი დავიწყებისაგან იხსნა არა მისაა ენამ და სტილმა, არამედ, უმთავრესად, მისი მხატვრული შედეგების ღრმა შინაარსმა.

ბალზაკმა დიდი დაკვირვება, ცოდნა და ალღო გამოიჩინა სტენდალის მხატვრული მეთოდისა და სტილის ავკარგიანობის შეფასებისას, მან საინტერესო და საგულისხმო აზრები გამოთქვა მწერლის შემოქმედებითი პროცესის შესახებ, მან სტენდალი ჯეროვნად დააფასა და წაახალისა. ის ღრმად ჩაწვდა სტენდალის პიროვნებისა და შემოქმედების არსს, და მოხდენილად უწოდა სტენდალს „ხანძარი კაჟში“.

სტენდალიც თავის მხრივ დიდად აფასებდა ბალზაკს, თავის წერილებში ბალზაკისადმი იგი მას უწოდებდა: *Mon cher grand romancier*.¹ სტენდალი მიმართავდა ბალზაკს, როგორც *Roi des romanciers du présent siècle*.² ის ბალზაკის ეტიუდს მის „პარმის სავანეზე“ თვლიდა განსაცვიფრებელ წერილად, რომლის მსგავსი მანამდე არც ერთ მწერალს არ მიუღია მეორე მწერლისაგან.

ბალზაკის შემოქმედებითი მეთოდი და სტილი, კომპოზიციის შედგენის ხერხი განსხვავდება სტენდალის შემოქმედებითი მეთოდისა და სტილისაგან, კომპოზიციის სტენდალისებურად შედგენის ხერხისაგან. თითოეულ მათგანს ამ მხრივ თავისი სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია და ყოველივე ეს ამ დიდ მწერლებს კი არ ამცირებს, პირიქით, მათ ღრმა ორიგინალობაზე მიუთითებს.

ბალზაკისა და სტენდალის შემოქმედება მოიცავს ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ცხოვრებას საფრანგეთის მეფურამეტე საუკუნის რევოლუციიდან 1848 წლის რევოლუციამდე. ამ პერიოდის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ბალზაკისა და სტენდალის დამოკიდებულება განსხვავებულია, თითოეული მათგანი თავისებურად წარმოგვისახავს ამ მოვლენებსა და ამბებს.

სტენდალის გმირებისათვის თითქმის არ არსებობს საშუალო გზა. მათი დევიზია: ან ყველაფერი ან არაფერი. ასეთები არიან, მაგალითად, ჟიულიენ სორელი, ფაბრიციო დელ დონგო, ოქტავე მალიგერი, ლუსიენ ლეგენი.

სტენდალი გვიჩვენებს გმირის იდეურ ბრძოლებს, აზრისათვის ბრძოლის ატმოსფეროს, გვიჩვენებს ამ გმირის უპირატესობას მის მოწინააღმდეგეებთან, ამ ბრძოლას აქვს პრინციპული ხასიათი. სტენდალი ებრძოდა დოგმატურ რეგლამენტაციას. მისი აზრით მწერლის ესთეტიკური იდეები უნდა იყოს ფართო და თავისუფალი.

ზოგიერთი მკვლევარი³ ბალზაკისა და სტენდალის ამ ლიტერატურულ პაექრობაში ხედავს ორ სრულიად სხვადასხვა პოლუსზე მდგარ მწერალს,

¹ Stendhal, Correspondance, X, Paris, p. 328.

² Ibid, p. 132.

³ მაგ. გ. ლუკაჩი, იხ. მისი ხემოხსენებული შრომა.



რომელთა მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მეთოდი დიამეტრულად განსხვავდება ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ ფრანგულ რეალიზმში სტენდალი და ბალზაკი არის ორი ერთმანეთის მოპირისპირე მიმართულების გამოხატულება. ჩვენი შრომის მიზანია უკუაგდოს ასეთი მცდარი შეხედულებები და აღადგინოს ჭეშმარიტება.

სტენდალი და ბალზაკი ფრანგული კრიტიკული რეალიზმის უდიდესი წარმომადგენლები არიან, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ისინი არიან ფრანგული ლიტერატურის დიადი წყვილი.

მიუხედავად ზოგიერთი ცალმხრივობისა, ბალზაკის ეტიუდი სტენდალის „პარმის სავანეზე“ იმის ერთ-ერთი ნიმუშია, თუ როგორი ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს მწერალი მისი თანამედროვე მწერლის შემოქმედებას, სერიოზულად არჩევდეს და აფასებდეს მას.

ბალზაკი და სტენდალი არ იყვნენ ცხოვრების პასიური მჭვრეტელები, ისინი შემოქმედებითად აღიქვანდნენ სინამდვილეს, კი არ იგონებდნენ მხატვრულ სახეებს, არამედ ქმნიდნენ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ სტენდალი და ბალზაკი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, საბოლოოდ მაინც ერთ საერთო პოზიციასზე დგანან და ერთი საერთო ესთეტიკური პრინციპით ხელმძღვანელობენ, ეს საერთო პრინციპი კი არის ცხოვრების სინამდვილის ასახვა მის რეალისტურ განვითარებაში, ტიპიური სახეების მოცემა ტიპიურ გარემოებებში.

სტენდალის პიროვნებაში ბალზაკმა აღმოაჩინა ორიგინალური და მართალი მხატვარი—რეალისტი. „პარმის სავანე“ ბალზაკმა მიიჩნია ერთ-ერთ საუცხოო თანამედროვე რომანად, ლიტერატურის ისეთ შედეგად, რომელიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას. ყოველივე ამით ბალზაკმა პირველმა ფართო გზა გაუხსნა სტენდალოვას და უკვდავყო მისი დიადი სახელი.

სახლმწარმოებელი ლიტერატურის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25 IX. 1959 წ.)


Панчулидзе Давид

„Пармская обитель“ Стендаля в оценке Бальзака

Резюме

О творчестве и мировоззрении Бальзака, а также об его отдельных произведениях написано много работ, но Бальзак как исследователь литературы и литературный критик еще недостаточно изучен.

Бальзак был прекрасным знатоком и тонким ценителем художественной литературы. Твердо придерживаясь принципов реалистического искус-



ства, он резко критиковал литературные произведения оторванные от проблем современной жизни и, наоборот, восторженно приветствовали. Высоко оценивал те произведения передовых писателей, которые правдиво отражали действительность.

„Пармскую обитель“ Стендаля Бальзак оценил как литературный шедевр, который никогда не будет предан забвению. Можно сказать, что Бальзак первый дал высокую и принципиальную оценку, блестящему художественному дарованию Стендаля. Очерк Бальзака о „Пармской обители“ явился значительным событием во французской литературе того времени; он представляет в частности ценный материал для определения эстетических принципов двух величайших представителей французского реализма — Бальзака и Стендаля.


Бальзак проявил большую проникательность в оценке творческого метода и стиля Стендаля. Дав высокую оценку его искусству, он в то же время высказал некоторые критические замечания. Из ответа Стендаля Бальзаку видно, что в вопросе о формах и средствах художественного отражения действительности он зачастую расходился с Бальзаком.

Некоторые исследователи считают, что в понимании основных вопросов отношения искусства и действительности Бальзак и Стендаль стояли на разных позициях, и что их мировоззрение и творческий метод диаметрально противоположны друг другу.

Некоторые даже склонны считать, что в истории французского реализма Бальзак и Стендаль представляют два разных направления.

Цель настоящей работы опровергнуть эту ошибочную концепцию. Несмотря на ряд расхождений во взглядах на искусство, Бальзак и Стендаль в конечном счете стоят на одной позиции, руководствуются общими эстетическими принципами критического реализма.

В Стендале Бальзак обнаружил подлинного оригинального художника — реалиста. „Пармскую обитель“ он считал одним из лучших современных романов. Тем самым Бальзак открыл широкий путь научного изучения вопросов творчества Стендаля.



თინა ნიჟარაძე

მოქმედების სახელების ალმნიშვნალი არსებითი სახელების სუფიქსები და მათი უნივერსალური მისაჯვის სახეები ქართულში

მოქმედების სახელების—*nomen actionis* სახელით ფრანგულ ენაში ცნობილია თავისი სემანტიკით თავისებური ჯგუფი სიტყვებისა. ეს სახელები სხვა სახელთაგან განსხვავებით უკავშირდება როგორც სახელის, ისე ზმნის სისტემას.

ძირითადი სემანტიკური ფუნქცია ამ სახელებისა არის მოქმედების და აგრეთვე მოქმედების შედეგის, მოქმედების პროდუქტის დასახელება. ამ კატეგორიის სიტყვები შეიცავენ მოქმედების შინაარსს.

თანამედროვე ფრანგულ ენაში შემდეგი მოქმედი სუფიქსებია მოქმედების ალმნიშვნელი არსებითი სახელების *nomen actionis* საწარმოებლად: **-ation (tion, -ition), -age, -ment, -ure (-ature, -iture), -ance, -ence, -erie, aison, -ade, -isme, -ée, -ie, -at.**

ამ სუფიქსების სემანტიკას ფრანგული ენის სიტყვათწარმოების მკვლევარები (შ. ბალი, კ. ნიროპი, ა. დარმსტეტერი) მიაწერენ მოქმედებაზე, მოქმედების პროცესზე ან მდგომარეობაზე მითითებას, ზოგჯერ მოქმედების ადგილზე და მოქმედების ობიექტზე მითითებას.

მაგრამ თვით ეს სუფიქსები (როგორც საერთოდ სუფიქსები გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა) არაა ამ მნიშვნელობის მატარებელი, მაგალითად, სიტყვებში: *traitement, séparation, cessation, fléchissement, ferrage, surveillance, cueillaison, flatterie, sonnerie, glissade, reculade, tombée, traversée, automobilisme* და სხვ. სუფიქსებში კი არაა მოცემული მოქმედების მნიშვნელობა, არამედ წარმოქმნულ ფუძეში, სუფიქსი კი ამ მოქმედებას ანიჭებს საგნობრივ, განყენებულ მნიშვნელობას; სუფიქსი ააბსტრაქტირებს მოქმედებას.

ამ კატეგორიის სუფიქსებისათვის არაა დამახასიათებელი არც მოქმედების ადგილის ან მოქმედების ობიექტის აღნიშვნა; მართალია, ამ სუფიქსებით წარმოქმნილი ცალკეული სიტყვები შეიძლება მიუთითებდეს მოქმედების ადგილზე, მაგალითად: *verrière, exposition, pâturage, logement, embouquement* და სხვ., ან მოქმედების ობიექტზე, მაგ., *médication, bâtiment* და სხვ., მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი და ტიპური სუფიქსებისათვის და ხშირად ასეთი მნიშვნელობა თვით სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობას მიეწერება.



აღნიშნული სუფიქსებით წარმოქმნილ მოქმედების სახელებს დიდი ხანაა აღნიშნული უჭირავთ თანამედროვე ფრანგული ენის ლექსიკაში. ეს სახელები ძალიან გავრცელებულია როგორც ლიტერატურულ, ისე სასაუბრო ენაში და სპეციალურ ლექსიკაში. მათ უნარი აქვთ გადმოსცენ მნიშვნელობათა ძალიან დახვეწილი ელფერები. ამიტომაც ფრანგული ენის ლექსიკის გამდიდრებაში ახალი სიტყვებით, რომლებიც დაკავშირებულია კულტურის, ტექნიკის მეცნიერების განვითარებასთან, დიდი როლი აქვს ამ სუფიქსებით წარმოქმნილ სიტყვებს.

ამგვარად, ამ კატეგორიის არსებით სახელთა წარმომქმნელი სუფიქსები შეგვყავს სინონიმურ სუფიქსების ჯგუფში, მაგრამ, როგორც კვლევამ გვიჩვენა, სუფიქსთა ეს სინონიმია ზოგჯერ სრულია და აბსოლუტური, ხოლო ზოგჯერ ამ სინონიმურ ჯგუფში შემავალ სუფიქსებს აქვთ დამახასიათებელი სემანტიკური თავისებურებები. დავაკვირდეთ ამ მოვლენას:

ა) ხშირად საერთო წარმომქმნელ ფუძეს დაერთვის ამ სინონიმურ ჯგუფში შემავალი სხვადასხვა სუფიქსი. წარმოქმნილი სიტყვების სემანტიკა ერთნაირია. ეს სუფიქსები გვაძლევენ აბსოლუტურ სინონიმურ სიტყვებს. ავიღოთ, მაგალითად: *argentage* და *argenture*-მოვერცხვა, -*Action d'argenter* (*Petit Larousse illustré*), *badinage* და *bafinerie*—ხუმრობა; *battage* და *battaison*—ლეწვა; *babillage* და *babillage*-ყბელობა, ტიკტიკი; *creusage* და *creusement*—თხრა, *salage* და *salaison* დამარილება, დაწნილება, *dorage* და *dorure* მოოქვრა, მოგარაყება; *émailerie* და *émailure*—მომინანქრება, მოჭიქვის ხელოვნება; *fourbissage*, *fourbissement*, *fourbissure*—ლითონის საგნების გაწმენდა; *filtrage* და *filtration* გაწმენდა, გაფილტვრა; *clapotage* და *clapotement* ჭყაპუნი; *ferrure* და *ferrage* ჭედვა, კვერვა, *brunissage* და *brunissage* გაპრიალება (ზედაპირისა), *marmottage* და *marmotement* დულნი და სხვ.

მაგრამ ამგვარ წარმოებათა რიცხვი არაა დიდი. დროთა განმავლობაში ხდება ამ სინონიმთა დიფერენციაცია მნიშვნელობის მიხედვით ან ხმარების მიხედვით. მ. ს. გურიჩევა სამართლიანად თვლის ამ დიფერენციაციას სხვა რომანულ ენათა შორის ფრანგული ენის კანონზომიერებად: „В качестве некоторой общей закономерности в развитии способов словообразования можно отметить ограничение словообразования от одной основы с разными суффиксами и освобождение, таким образом, языка от однозначных слов, не являющихся необходимыми для коммуникации“.¹

ბ) მოცემულ *nomina actionis* ჯგუფში შემავალ სინონიმურ სუფიქსებს აღმოაჩნდათ დამახასიათებელი სემანტიკური თავისებურებები. ზოგი ამ სუფიქსთაგან ამჟღავნებს ნაკლებ სემანტიკურ სპეციალიზაციას, ხოლო ნაწილი კი უფრო სპეციალიზებული ჩანს. განვიხილოდ მოკლედ ამ სუფიქსთა სემანტი-

¹ М. С. Гуричева, О закономерностях в словообразовании романских языков, М.: „Вопросы языкознания“, Из-во АН СССР, М., 1954, № 1, стр. 82.

კური თავისებურებანი. სუფიქსი—**ation** თავისი ვარიანტებით (**-tion, -ition**) არ ამჟღავნებს სპეციალიზაციას და გამოხატავს სხვადასხვა სახის მოქმედებას: **citation, répétition, emputation, palpation, articulation, attribution** და სხვ. მრავალი.

სუფიქსმა—**(e)ment** გამომჟღავნა მეტი სპეციალიზაცია: იგი დაერთვის ისეთ ფუძეებს, რომლებიც სხვადასხვა ხმებსა და ხმაურს გამოხატავენ (იქნება ეს ცხოველთა და ფრინველთა ხმები, თუ ბუნებრივი ხმაური): **miaulement, croassement, rugissement, piaillage, gloussement, sifflement, froufroutement** და სხვ. მრავალი.

—**Age** სუფიქსის თავისებურებას შეადგენს ის, რომ მას შეუძლია წარმოქმნილი სიტყვის მნიშვნელობის შეზღუდვა წარმომქმნელ ფუძესთან შედარებით, მაგ.: **arriver**→**arrivage**, **pressurer**→**pressurage** და სხვ.

—**Ure** (**-ature, -iture**) სუფიქსისათვის დამახასიათებელია რაიმე დაზიანების, ცვლილების, მოქმედების შედეგის აღნიშვნა: **enflure** სიმსიენე, **brûlure** სიღამწვრე, **brisure** ბზარი, **échaudure** ნათუთქი, **piqûre** ნაჩხვლეტი, **nasusubi**, **meurtrissure** ნატკენი, და ნაჩეუი და ა. შ.

სუფიქსების—**anee, ence**-ის თავისებურება ისაა, რომ ისინი განყენებულ საგნობრივ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთი ზმნებიდან წარმოქმნილ სახელებს, რომლებიც გამოხატავენ მდგომარეობას: **souffrance, dépendance, contenance, déffailance, déchéance** და სხვ.

სუფიქსის—**aison**-ის სპეციალიზაციის უნარი იმაში მდგომარეობს, რომ 1) იგი განყენებულ საგნობრივ მნიშვნელობას აძლევს მოქმედებებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სახელწოდებებს წარმოადგენს **fumaison, fauchaison, olivaison** და სხვ. 2)— **aison**-ს შეუძლია აღნიშნოს მოქმედების დრო: **tondaison, feuillaison, fenaison** და სხვ.

—**Erie** ემატება ისეთ ფუძეებს, რომლებიც უარყოფითი ხასიათის მოქმედებას გამოხატავენ: **ivrognerie, finasserie, gâterie, moquerie, flatterie, raillerie, duperie, vanterie, tromperie** და სხვ.

ასეთივე უნარი აქვს სუფიქსს—**ade**: **fanfaronnade, turlupinade, bastonnade, pantalonnade** და სხვ.

საფიქრებელია, რომ ეს სემანტიკური თავისებურებები განსაზღვრავს ამ სინონიმური სუფიქსების არსებობას.

მოქმედების სახელების წარმომქმნელ სუფიქსებს უნარი აქვთ პროფესიული ლექსიკით ენის გამდიდრებისა, ე. ი. სიტყვატერმინების შექმნისა, მაგრამ ეს უნარი ყველა სუფიქსს ერთნაირად არ ახასიათებს.

ტერმინოლოგიური სიტყვებით (პროფესიულ) ლექსიკას ამდიდრებენ ძირითადად სუფიქსები—**ation** (**-tion, -ition**), **-age, -ement, -ure, -isme**. ამათგან—**ation** უმეტესად სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიურ ტერმინოლოგიას აწვდის ენას,—**age** და **-ement** ტექნიკურ და ზუსტ მეცნიერებებს,—**isme** უფრო სპორტული ლექსიკის გამდიდრებას ემსახურება. მრავალი ამ სიტყვათაგან



ფართო და საყოველთაო გავრცელებას იღებს და სასაუბრო ლექსიკონს ვნილებად იქცევა, ხოლო ზოგი მათგანი ფრანგული ენის ძირითად ლექსიკონ ფონდშიც კი შევიდა.

მოქმედების სახელთა წარმომქმნელი სუფიქსები ერთმანეთისაგან განსხვავდება გავრცელებისა და პროდუქციულობის მიხედვით. ყველაზე მეტად გავრცელებული და პროდუქციული აღმოჩნდა სუფიქსები: —ation (თავისი ვარიანტებით), —age, —ement, —ane. ხოლო ყველაზე ნაკლებ პროდუქციული და ნაკლებ გავრცელებული (როგორც მოქმედების სახელთა წარმომქმნელები) —isme, —ie, —at.

მოქმედების სახელები ფრანგულ ენაში გვხვდება იმ პრევერბებით, რომელთაც სათანადო ზმნა იკუთვნებს: croissance, décroissance, valorisation, revalorisation, feuillaison, défeuillaison და ა. შ.

სუფიქსების სახელაღმართ წარმომქმნელი მოქმედების სახელების შესატყვისიანი ქართული

ფრანგული მოქმედების სახელების აბსოლუტურ უმრავლესობას (სულერთია რომელი სუფიქსით იქნება იგი წარმომქმნელი) ქართულში შეესატყვისება ნაზმნარი არსებითი სახელი, რომელსაც მასდარს ანუ სახელზმნას უწოდებენ (კითხვა, წერა, შენება, სიცილი და სხვ.). ამ კატეგორიის სიტყვები, ისევე როგორც ფრანგულში, შეიცავენ მოქმედების შინაარსს მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსებით; მათი მთავარი სემანტიკური ფუნქცია არის მოქმედების ან მდგომარეობის დასახელება; მოქმედების პროცესის ან მოქმედების შედეგის დასახელება, მაშასადამე, მასდარი მოქმედების სახელია.

ამ კატეგორიის სახელებს (სესხება, კეთება, კერვა, წერა...) ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ხშირად მიიჩნევენ საწყისად, ე. ი. იმად, რასაც ევროპულ ენებში ინფინიტივს უწოდებენ, რა არის ინფინიტივი, აკად. გ. ახვლედიანი მას ასე განმარტავს: „განუსაზღვრელი ფორმა, ანუ ინფინიტივი, ეწოდება ზმნის ისეთ უცვლელ ფორმას, რომელშიც მოცემული ზმნა, აღნიშნავს რა საგნის მოქმედებას (ან მდგომარეობას), არ გამოხატავს არც დროს, არც რიცხვს“.

პროფ. ა. შანიძე საწყისის შესახებ წერს: „საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად (პირი ა, დროისა, კილოსი და სხვათა)“².

ასეთი სახელების მნიშვნელობა მართლაც უახლოვდება შესატყვისი ზმნის ინფინიტივის მნიშვნელობას, მაგრამ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს სახელზმნა ინფინიტივის

¹ Г. С. Ахведиани. Учебник грамматики русского языка для грузинских школ. Тбилиси, 1941, გვ. 183.

² აკაკი შანიძე, „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, I მორფოლოგია, თბილისი, 1953 წ., გვ. 576.

ექვივალენტი არაა: „თესვა-სევ, сеяние (და არა сеять. ძველ ქართულში იყენებდნენ ჩანასახი ინფინიტივისა „თესვად“: იწყო თესვად начал сеять, მაგრამ ეს კატეგორია ქართულში არ განვითარებულა“)¹.

მასდარის შესახებ პროფ. არნ. ჩიქობავას სტატიაში „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“ ვკითხულობთ: „მასდარი არსებითი სახელია. სხვა არსებითი სახელებისაგან იგი განსხვავდება როგორც წარმოებით (ზმნისაგან ნაწარმოები სახელია), ისე შინაარსითაც: მასდარი იმ მოქმედების სახელია, რასაც ზმნა აღნიშნავს, ანდა იმ ვითარება-მდგომარეობისა, რაც ზმნაშია აღნიშნული: კეთება, შენება, კერვა, ხვნა, თესვა,... მოქმედების — სახელებია; კვდომა, ტყდობა, სკდომა, არსებობა... ვითარება-მდგომარეობის სახელებია“².

იგი (მასდარი) ზმნასთან შედარებით მეორეულად არის მიჩნეული, რადგან ზმნებისაგან იწარმოება. მაგრამ არსებობენ პირველადი მასდარებიც, რომლებიც უმეტესად ხმაბაძვით ფუძეებს წარმოადგენენ (მარტივს ან გაორკეცებულს: შიშინი, გუგუნი, შრიალი და სხვ.).

ლიტერატურული მაგალითები:

„...ვიწრო და მალალი სასკმლიდან მოისმა მტკვრის ნაზი დუღუნო...“
ა. ბელიაშვილი, „ამბავი რუსთაველისა“, გვ. 6.

„რამდენიმე სენაკი ქშულით გაირბინა, შემდეგ ისევ გარეთ გამოვარდა...“

ა. ბელიაშვილი, „დაკარგული წიგნი“, გვ. 21.

„მაშინ მთელი ძალით დაებდნა, ყდა წამოუშალა და გვერდები ხრიპით გადაფურცლა“.

იქვე.

„ნაშუალამეგის პირველ საათზე ციხის კარები ხრავუნით გაიღო“.

ბ. ბელიაშვილი, „სპარტაკელი“, გვ. 50.

პირველადია ასეთი მასდარი, რადგან, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა შენიშნავს, თვითონ არის ამოსავალი ზმნის საწარმოებლად.

ბ. ტ. რუდენკოს აზრით, მასდარი უკეთ გადმოიცემა ინგლისურში გერუნდევით (writing და სხვ.), ხოლო რუსულში ისეთი ნაზნარი სახელებით, როგორიცაა: чтение, писание, хождение... და არა განუსაზღვრელი ფორმით³.

ნაზნარ არსებით სახელებს, ე. წ. მასდარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ენის ლექსიკაში, მას აქტიურად იყენებენ, როგორც ლიტერატურულ, ისე ყოველდღიურ სიტყვაზმარებაში (რადგან სემანტიკურად ძალიან გამომხატველია: უნარი აქვს გამოხატოს (მოქმედების) რამდენიმე ნიუანსი).

¹ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I. საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950, გვ. 12.

² იქვე, გვ. 075.

³ იხ. Б. Т. Руденко, „Грамматика грузинского языка“ М.—Л., 1940, გვ. 112.

მაგალითები:

„მაგრამ რაღა დროს! გვიანლა არის
ამაზე ფიქრი, მოთქმა, გოდება,
სინანულითა თვის ნეკზე კბენა
და უნაყოფო ცეცხლთა მოღება!“

აქ. წერეთელი, „ბაგრატ დიდი“, გვ. 21.

„უფლისამ მეტეხის ჯვარის ღანაზვაზე პირჯვარი გამოსახა...“

იქვე, გვ. 8.

„ერთადერთი მაყურებელი... დაძაბული ყურადღებით აღევნებდა
თვალს თამაშს“

ბ. ბელიაშვილი, „გუნდის კაპიტანი“, გვ. 145.

„ის ქალი ამბობს, ... რომ ღვთისაგან იმედი არა ჰქონდეს ელგუ-
ჯას გადარჩენისა, მაშინ თავს მოიკლამდა, ...“

ა. ყაზბეგი „მღვლეჯა“, გვ. 66.

„...თავმჯდომარე ისევ წამოდგა და საჭიროდ დაინახა რამდენიმე სიტყვის
წარმოთქმა.“

იქვე.

„მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი“.

ნ. ბარათაშვილი, „არ უკვირო“.

შევადაროთ ფრანგული ტექსტების მასალები ქართულ თარგმანს და ვნახოთ, წარმოადგენს თუ არა ფრანგული მოქმედების სახელების ბადალს ქართული მოქმედების სახელები, ან ყოველთვის აქვთ თუ არა მათ ქართულში შესატყვისები:

ა) როცა სუფიქსით (სულერთია რომელით) წარმოქმნილი სიტყვა მითითებებს მოქმედების განყენებულ საგნობრივ მნიშვნელობაზე, მას ქართულში მასდარი შესატყვისება:

distraktion	—	გართობა
appréciation	—	შეფასება
articulation	—	წარმოთქმა
interrogation	—	შეკითხვა, გამოკითხვა
utilisation	—	გამოყენება
violation	—	შელახვა
arrosement	—	მორწყვა
accaparement	—	დაპყრობა
approfondissement	—	გაღრმავება
amarage	—	გემის მიბმა
blanchissage	—	რეცხვა
nettoyage	—	წმენდა, დალაგება
timbrage	—	ბეჭდის დასმა
lecture	—	კითხვა
rupture	—	დაშორება

émaillure	— მომინანქრება
tissure	— ქსოვა
surveillance	— მეთვალყურეობა
délivrance	— გათავისუფლება
causerie	— საუბარი
ivrognerie	— ლოთობა
sonnerie	— რეკვა
embrassade	— მოხვევნა
débandade	— ფუსფუსი
promenade	— სეირნობა
bravade	— ტრაბახი
visée	— დამიზნება
risée	— დაცინვა
arrosée	— მორწყვა
dictée	— კარნახი
assassinat	— მკვლელობა
attentat	— მკვლელობა
trahison	— ლალატი
salaison	— დაწნილება
cueillaison	— კრეფა

დავაკვირდეთ ლიტერატურული მაგალითების თარგმანებს:

„Selon des chiffres incomplets, 111 cas de violation de la liberté des mers ont été enregistrés...“

„Temps nouveaux“, № 46, 1954.

„არასრული რიცხობრივი მონაცემების მიხედვით აღნუსხულია 111 შემთხვევა ზღვების თავისუფლების შელახვისა“.

„La conspiration fut paralysée par l'arrestation des chefs“.

Stendhal., „Vanina Vanini“, p. 102.

„...შეთქმულებას დამბლა დაეცა ბელადების დატუსაღების გამო“.

„ვ. ვანინი“, გვ. 17.

„La deuxième guerre mondiale éclata par suite de l'approfondissement de la crise générale du capitalisme“.

M. Thorez, „Fils du peuple“, p. 129.

„მეორე მსოფლიო ომი ატყდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების... შედეგად“.

მ. ტორეზი, „ხალხის შვილი“, გვ. 136.

Je ne veux me réserver que les babioles sans valeur qui seront susceptibles de me faire un commencement de pacotille“.

Balzac., „E. Grandet“, p. 119.



„შევენახავ მხოლოდ იმ იაფფასიან წვრილმანს, რომელიც მისი მიწყოფის ჩემი ვაჭრობის წამოწყებაში“.

ბალზაკი, „ე. გრანდე“, გვ. 136.

„Lénine, ce fut l'analyse géniale des phénomènes du développement capitaliste á notre époque...du partage du monde entre les trusts capitalistes,...“

M. Thorez, „Fils du peuple“.

„ლენინმა მოგვცა გენიალური ანალიზი კაპიტალიზმის განვითარების პროცესისა ჩვენს ეპოქაში,... მსოფლიოს გაყოფისა კაპიტალისტურ ტრესტებს შორის,...“

მ. ტორეზი, „ხალხის შვილი“, გვ. 36.

„Le chevalier se fût mésestimé, s'il, n'eût pas oublié à l'instant tous les projets de rouverte,...“

Stendhal., „S. Frach, á Ripa“, 64.

„მხედარი (სენესე) თავისივე თავის პატივისცემას დაკარგავდა, თუ მაშინვე არ დავიწყებოდა, რაც იმ წუთს დაშორების შესახებ იფიქრა,...“

სტენდალი, „წმ. ფრანჩ. ეკლესია“, გვ. 41.

„D'ailleurs Emma éprouvait une satisfaction de vengeance“.

Flaubert. M^{me} Bovary“, p. 182.

„გარდა ამისა, ემა შურისძიებით გამოწვეულ კმაყოფილებასაც განიცდიდა“.

ფლობერი, „მადამ ბოვ“, გვ. 152.

„...Et la cloche, à temps égaux, continuait sa sonnerie monotone...“

Flaubert, M^{me} Bovary“, p. 79.

„ზარი კი თანაბარის დროგამოშვებით ერთხმოდან რეკვას განაგრძობდა“.

ფლობერი, „მად. ბოვ“, გვ. 60.

„... répondit le bonhomme sans être la dupe de la promenade matinale de son ami“.

Balzac., „E. Grandet“, p. 64.

„... უბასუხა მოხუცმა, რომელიც მისი მეგობრის დილის ხეირნობამ შეცდომაში არ შეიყვანა“.

ბალზაკი, „ე. გრანდე“, გვ.

Ce, n'était plus la débandade affolée du 10 mars;“

M. Thorez, „Fils du peuple“, p. 13

„ეს უკვე აღარ იყო ათი მარტის გაოგნებული ფუსფუსი:“

მ. ტორეზი, „ხალხის შვილი“, გვ. 3

„Il a le coeur un peu serré: c'est la rentrée“.

A. France, „Le livre de mon ami.“

„მას გული ეკუმშება: ეს ხომ სკოლებში დაბრუნების დღეა“.

ა. ფრანსი, „ჩემი მეგობრის წიგნი“.

„...le chef de musique nous annonça... l'attentat de Sarajevo
M. Thorez, „Fils du peuple“, 19.

„...ჩვენმა დირიჟორმა გვაცნობა სარაევოში მომხდარი მკვლელობის ამბავი“.

მ. ტორეზი, „ხალხის შვილი“, გვ. 11.

შენიშვნა 1. ხმაბაძვითი სახელები გადმოიცემა* აგრეთვე მასდარით, უმეტესად პირველადი მასდარით:

„Par la fenêtre ouverte... les piailllements vigoureux des moineaux entraient avec des flots de lumière et les senteurs de lilas...“

A. France, „Pierre Nozière“, p. 17.

„ღია ფანჯრიდან სინათლის ნაკადთან და იასამნის სურნელებასთან ერთად შემოდინდა ბელურების ძლიერი ჭყვივილი“...

ა. ფრანსი, პ. ნოზიერი“.


მასდარით გადმოიცემა აგრეთვე:

bêlement	ქართულად	კიკინი
gloussement	„	კაკანი, კრიახი
coassement	„	ყიყინი
gazouillement	„	ჭიჭიჭი
pialement	„	წივწივი, წრიპინი
bourdonnement	„	ზუზუნი, ბზუილი
sifflement	„	სტვენა
roucoulement	„	ღუღუნა
froufroutement	„	შრიალი და სხვ.

შენიშვნა 2.—Ure სუფიქსით წარმოქმნილი არსებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ამა თუ იმ ზედაპირის, განსაკუთრებით კანის დაზიანებას, ქართულში ვერ გადმოიცემა მასდარით. მას ქართულში შეესატყვისება წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღობა:

écorchure	—	ნაკაწრი
gerçure	—	ნასკდომი (კანზე), ნაბზარი
éraflure	—	ნაკაწრი
meurtrissure	—	ნაქექი, ნატკენი
égratinure	—	ნაფხაქნი
piqûre	—	ნაჩხვლეტი, ნასუსნი
brûlure	—	დანწვარი
échaudure	—	ნათუთქი
brisure	—	ნაბზარი (ბზარი, მსკდარი).
fêlure	—	ნაპრალი და სხვ.

შენიშვნა 3. სუფიქსით—isme წარმოქმნილ სიტყვებს ქართულში მასდარი არ შეესატყვისება (გამონაკლისების გარდა charlatanisme თაღლითობა, gangstérisme განგსტერობა ან განგსტერიზმი). ასეთი მოქმედების სახელები ან თავისივე სუფიქსით გადმოიღეს ქართულში: tourisme ტურიზმი,



alpinisme—ალპინიზმი, hymalayisme ჰიმალაიზმი, და სხვ. ან სხვა უცხოური სუფიქსით: journalisme ჟურნალისტიკა; athletisme ათლეტიკა.

ბ) მასდართ გადმოიცემა აგრეთვე ის არსებითი სახელები, რომლებიც მოქმედების პროცესის განყენებულ საგნობრივ ხასიათზე ან მდგომარეობის განყენებულ მნიშვნელობაზე მიუთითებენ.

პ რ ო ც ე ს ი:

croissance	— ზრდა
muance	— ხმის გამოცვლა (ახალგაზრდობაში)
fleuraison	— აყვავება
feuillaison	— შეფოთვლა (ფოთლის გამოღება)
défeuillaison	— ფოთოლცვენა
épanouissement	— გაფურჩქვნა
vieillessement	— დაბერება
rajeunissement	— გაახალგაზრდავება
raffaichissement	— გაახლება
assainissement	— გაჯანსაღება
grossissement	— გასქელება
enlaidissement	— დაუშნობა
embelissement	— გალამაზება, გამშვენიერება
maturation	— მომწიფება
germination	— მცენარის ამოსვლა

„Tout avait été réuni pour l'embelissement de ce palais“.

Stendhal, „Vanina Vanini“, p. 81.

„ამ სასახლის გასამშვენიერებლად მოტანილი იყო ყველა-ფერი“.

სტენდალი, „ვ. ვანიანი“, გვ. 9.


მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა:

indignation	— აღშფოთება
exaspération	— გამძაფრება, ძლიერი გაღიზიანება
animation	— აღვზნება
souffrance	— ტანჯვა
substistance	— არსებობა
déchéance	— დაცემა
défaillance	— დასუსტება
pâmaison	— გულის წასვლა
crevaision	— მოკვდომა (ჩაძაღლება)
attendrissement	— გულის აჩუყება და სხვ.

ლიტერატურული მაგალითები:

„Non, non, ce serait me livrer à eux et nous mettre sous leur dépendance“.

Balzac., „E. Grandet“, p. 45.



„-არა. არა. ეს იქნება ჩემი მათ ხელში ჩაგდება და ჩვენი მათს დამოკიდებულებაში მოქცევა“.

ბალზაკი, „ე. გრანდე“, გვ. 165

„... il ajoutait au paysage le décalé.. de sa consternation“.

L. Aragon, „Les Communistes“, p. 100,

„იგი ბუნებას თავის... განცვიფრებას მატებდა“.

ლ. არაგონი, „კომუნისტები“.

გ) იმ ნაზმნარი სახელების გადმოსაცემად, რომლებიც მოქმედების შესრულების ადგილზე მიუთითებენ, ქართულში იმარება უმთავრესად დანიშნულების სახელები, რომლებიც იწარმოებიან: პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით: სა-ი, სა-ო, ან უფრო იშვიათად აღწერილობითად გამოიხატება:

logement	—	საცხოვრებელი
paturage	—	საძოვარი
gagnage	—	საძოვარი
tissage	—	საქსოვი (ქარხანა)
filature	—	სართავი (ქარხანა)
cuistance	—	სამზარეულო
fonderie	—	საჩამომსხმელო (ქარხანა)
filerie	—	საქსოვი (ქარხანა)
résidence	—	(მუდმივი) საცხოვრებელი
brasserie	—	ლუდსახდელი (ქარხანა)
sécherie	—	სამშრობელო
pêcherie	—	ადგილი, სადაც თევზს იჭერენ
habitat	—	საცხოვრელი და ა. შ.

დ) იმ არსებითი სახელებისათვის, რომლებშიც სუფიქსი მოქმედების შედეგზე, პროდუქტზე, ობიექტზე მიუთითებს, ქართულს არ გააჩნია შესატყვისები. ეს სახელები ქართულად სხვადასხვანაირად ითარგმნება:

bâtiment	—	შენობა
détachement	—	რაზმი
doublure	—	სარჩული
blesure	—	ჭრილობა
balayure	—	ნაგავი
épluchure	—	ნაფცქვენი
redevance	—	ვალი
cargaison	—	ტვირთი
tromperie	—	სიცრუე
percée	—	ნახვრეტი
marinade	—	წნილი
résultat	—	შედეგი და ა. შ.



ე) მოქმედების სახელების წარმოქმნელი სუფიქსების საშუალებით აღებული სახელები, რომელთაც უკვე აღარ აქვთ მდგომარეობის, მოქმედების მისი პროცესის მნიშვნელობა, ე. ი. რომლებმაც დაკარგეს შინაარსობლივი კავშირი ზმნასთან, ქართულად გადმოიციმა მეტწილად თვისების აღმნიშვნელი აბსტრაქტული სახელებით, რომლებიც—ება სუფიქსით წარმოიქმნება: perfection—სრულყოფილება: attention—ყურადღება; proposition—წინადადება და სხვ.

ვ) ზოგჯერ ფრანგული მოქმედების ესა თუ ის სახელი, ცალკე აღებული, ითარგმნება მასდარით, მაგრამ წინადადებაში, შესაძლებელია არ მოხერხდეს მისი თარგმნა მასდარით და მიემართოს ზმნას ამა თუ იმ ფორმაში:

„La pouture des souliers était pour lui le témoignage qu'il avait grandi“.

P. V. Couturier „Enfance,“ p. 15.

„ფეხსაცმელების ზომა მოწმობდა რომ იგი გაზრდილიყო“.

—პ. ვ. კუტურიე, „ბავშვობა“.

„Témoignage“ ცალკე აღებული, ნიშნავს „დამოწმებას“.

„Elle fit une inclinaison rapide et referma la fenêtre“.

Flaub, „M^{me} Bovary“ p. 102.

„ემამ თავი სწრაფად დაუქნია და ფანჯარა მიხურა“.

ფლობერი, „მად. ბოვარი“, გვ. 80.

ცალკე—inclinaison—დახრა, დაქნევა.

ფრანგული ენის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 28. IX. 1959).

Т. Нижарадзе


Суффиксы имен действия и их функциональные эквиваленты в грузинском языке

Резюме

Под именами *nomen actionis* во французском языке известна особая по своей семантике группа слов.

В современном французском языке живые суффиксы, которые образуют имена этой категории следующие:—ation (-tion, -ition), -ement, -age, -ure (ature -iture), -erie, -ance, -ence, -ée, -ade, -aison, -ie, -isme, -at.

Основная семантическая функция имен этой синонимичной группы—название действия, процесса действия, места действия, продукта действия.



Неправильно приписывать этим суффиксам выражение ~~этих значе-~~ний, так как суффикс сам по себе не может заключать в себе значения действия, места действия, процесса действия и т. д. (кроме некоторых исключений). Эти значения заключены в производящей глагольной основе, а суффикс сообщает предметный характер и абстрагирует действие, выраженное производящей основой.

Nomen actionis занимают большое место в лексике французского языка. Они широко распространены как в литературном и в разговорном языке, так и в специальной лексике, т. к. они способны передавать тонкие оттенки значений.

Хотя эти суффиксы и объединяются в общую синонимичную группу, но исследование показало, что они не всегда являются абсолютными синонимами: иногда общая производящая основа путем присоединения разных суффиксов этой группы, образует синонимные, тождественные по значению слова: brunissage, brunissement, ferrage, ferrure и т. д. Но в общем отмечается развитие известной специализации в суффиксах: суффиксы этой категории имеют характерные семантические особенности, например, суффикс—age проявляет способность сообщать значение результата действия и повреждения (особенно кожи): brûlure, pincure, égratignure и т. д.—ance, ence сообщают, большей частью, значение состояния: souffrance, existence и т. д.

Различные суффиксы по разному обладают способностью создавать слова профессиональной лексики, т. е. слова терминологического характера. В основном терминологическими словами снабжают профессиональную лексику французского языка суффиксы: -ation (-tion, -ition), -age, -ement, -ure, -isme.

Из этих суффиксов—ation служит в основном образованию социально-политической лексики, -age и -ement—технической лексики, и лексики точных наук, а -isme служит обогащению спортивной лексики и т. д. Очень многие из этих слов широко распространяются в общенациональном языке и даже входят в основной словарный фонд французского языка.

Суффиксы образующие nomen actionis отличаются по степени продуктивности и распространенности. Наиболее распространенными и продуктивными оказались—ation (-tion) (-ition), -ement, -age, -ance, а суффиксы—isme, -ie, -at оказались менее продуктивными и менее распространенными.

В грузинском языке абсолютному большинству nomen actionis соответствует отглагольное имя существительное (масдари): ჯობვა, შებედა, სოცოლო, и т. д. которые также как и французские nomen actionis выражают различные оттенки значения действия.

ნოქა კეკელიძე

ერიკ მარია რემარკის რომანები


დასავლეთ გერმანელმა მწერალმა ერჰარტ კესტნერმა 1958 წელს ქალაქ კოლნის ლიტერატურული პრემიის მიღებისას განაცხადა: მე-20 საუკუნის მწერლები ამჩნევენ და მათ შორის საუკეთესონი არც ფარავენ ჩვენი თანადროული მსოფლიოს სულიერ კრიზისს და გაველურებას, ისინი სწორ დიაგნოზს სვამენ, მაგრამ დიაგნოზს ჩვეულებრივ თერაპია უნდა მოყვეს, თორემ მხოლოდ დიაგნოზი არაა საკმარისი მკურნალობისათვის. ჩვენი მწერლები კი მხოლოდ დიაგნოსტიკები არიანო.

კესტნერის სიტყვებით რომ ვთქვა, ერიკ მარია რემარკიც ჩინებული დიაგნოსტიკოსია; ის კარგად ხედავს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების სნეულებათა სიმპტომებს, მაგრამ მან, ისევე როგორც სხვა ბიუჯურულმა მწერლებმა, არ იცის ამ დაავადებათა თერაპია, არ იცის კონკრეტული გამოსავალი თანამედროვე დასავლეთ ევროპის კულტურული და სულიერი კრიზისიდან. ის სწორად ამჩნევს იმ ფაქტს, რომ „დასავლურს სამყაროში“ დღეს-დღეობით კულტურა და ცივილიზაცია, მორალი და ტექნიკა ურთიერთსაწინააღმდეგო ძალებად იქცნენ, მაგრამ მან—ისევე როგორც ჩვენი ეპოქის ბევრმა სხვა გამოჩენილმა კრიტიკულმა რეალისტმა, მაგალითად, ჰემინგუეიმ, — არ იცის მათი მორიგების, შეთანხმება—ჰარმონიის საშუალებანი და ამ სამყაროსათვის ნიშანდობლივი ურთიერთმტრობისა და სიძულვილისაგან, მარტოობისა და გულგრილობისაგან, შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან, პესიმიზმისა და ცინიზმისაგან აღდამიანის თავდახსნის ნამდვილი, უტყუარი გზა.

* * *

1929 წელს ულშტაინის გამომცემლობამ გამოაქვეყნა რემარკის პირველი რომანი — „დასავლეთის ფრონტზე სიწყნარა“, რომელმაც სულ ცოტა ხანში მთელი მსოფლიო შემოიარა და ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში მილიონობით აღდამიანები ალაპარაკა. ეს რომანი თარგმნილია 32 ენაზე. თარგმნილია იგი ქართულადაც კ. გამსახურდიას მიერ.

„დასავლეთმა“ მსოფლიოში ისეთივე ფურორი გამოიწვია (მე 20 საუკუნის მიმოსვლის განვითარებული საშუალებებისა და ერთა შორის გაცხოველებული კონტაქტის წყალობით, ალბათ, უფრო ნეტიც) როგორც თავის დროზე რუსოს „ახალმა ელიოზამ“ ანდა გოეთეს „ვერთერმა“. მაგრამ თუ გოეთეს „ვერთერმა“ გერმანიისა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში დაძრა თვითმკვლე-



ლობათა მთელი ტალღა, რემარკის ამ წიგნმა, პირიქით, გამანთავისუფლებელი და შვებისმომგვრელი ზეგავლენა მოახდინა, რაც რემარკისადმი განუზღვრელი უამრავ წერილში დადასტურდა.

რემარკის ამ წიგნის ასეთი საარაკო წარმატება იმით აიხსნება, რომ მსოფლიოში უამრავ ადამიანს ჰქონდა ომიდან შემორჩენილი კომმარები, საზარელი მოვონებები და დეპრესიები. ისევე როგორც გოეთეს „ვერთერის“ განწყობილებანი, აზრები და განცდები ნათესაური აღმოჩნდა მსოფლიოს უამრავი ადამიანისათვის, ასევე სხვადასხვა ეროვნების მილიონობით ყოფილი ჯარისკაცებისათვის ახლობელი, გასაგები და ორგანული გამოდგა პაულ ბოიმერის ვენბანი და შეჭირვებანი.

ამ რომანით რემარკმა წიგნის თავისებური რეკორდი დაამყარა: გამოცემულ იქნა ამ ნაწარმოების 8 მილიონი ეგზემპლარი სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ქვეყანაში. „დასავლეთი“ აღიარებულ იქნა საუკუნის ყველაზე პოპულარულ წიგნად. ეს რომანი მხოლოდ გერმანიაში თავისი გამოსვლის პირველსავე წელს (1929) გაიყიდა 1 200 000 წიგნის რაოდენობით. რომანი იანვარში დაიბეჭდა, ოქტომბრისათვის საჭირო გახდა 850 000 ეგზემპლარის ხელმეორედ დაბეჭდვა. 4 თვეში ფრანგულმა გამოცემამ აღწია 300 000, ინგლისში 5 თვეში—3 00 000, ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 თვეში 305 000 ეგზემპლარს.

1929 წელსავე ჰოლივუდის ერთერთმა სტუდიამ („იუნივერსალმა“) გადაიღო ფილმი „დასავლეთის“ მიხედვით, რომელმაც აგრეთვე მთელი მსოფლიო შემოიარა და მილიონობით ადამიანებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ფილმი ვაიმარის რესპუბლიკის მთავრობამ ნაცისტების დაწინებული მოთხოვნით გერმანიაში აკრძალა. გობელსმა 60 000 კაციანი დემონსტრაცია დარაზმა და ფილმს ობსტრუქცია მოუწყო. კინო-დარბაზებში ნაცისტები შეუძლებელს ხდიდნენ ფილმის ჩვენებას: ისროდნენ ყროლად ბომბებს, აპნევდნენ ცხვირის დამაცემინებელ ფხვნილს, ხმაურობდნენ, ტეხდნენ დებოშს, ხელოვნურად იწვევდნენ ალიაქოთსა და ჩხუბს...

ჟურნალ „Literarische Welt“-ის თანამშრომელთან, აქსელ ეგებრეჰტთან საუბარში რემარკმა განაცხადა, რომ მისთვის სავსებით უცხო იყო რაიმე ტენდენცია. მან შეგნებულად აუთარა გვერდი ყველა მილიტარისტულ, სტრატეგიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ თვალსაზრისს. მას არ სურდა წიგნის დაწერა საერთოდ ომზე, რადგან მის წიგნში აღწერილი ეპიზოდები შეპოიფარგლებოდა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ფრონტის გარკვეულ მონაკვეთზე მყოფ რამდენიმე ჯარისკაცის განცდებით. რემარკი აქ ნებისით თუ უნებლიედ აშკარად დალატობს სიმართლეს. მისი წიგნი არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე კაცის სულსკვეთების გამომხატველს და არც ისაა მართალი, თითქოს მისი წიგნი არ იყოს საერთოდ მთელს ომზე დაწერილი. რემარკის ამ განცხადების მცდარობა დადასტურა იმ პოპულარობამ და სენსაციამ, რაც მისმა წიგნმა მოიპოვა და გამოიწვია. რამდენიმე ადამიანის განწყობილება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მილიონობით ადამიანებისათვის ეგზომ ნათესაური და ახლობელი.


იმავე აქსელ ეგებრეჰტისათვის რემარკს უთქვამს, რომ „დასავლეთის“ დაწერისათვის ბიძგსა და იმპულსს ჩემი მძიმე შინაგანი დებრესია წარმოადგენდაო. მე ვიტანჯებოდი სასოწარკვეთილების მწვავე შემოტევით, ვცდილობდი დაძვლია იგი და თანდათანობით მივაგენი კიდევ ჩემი დებრესიის მიზეზს. ანალიზმა მიმიყვანა ომის ვანცდამდე. ასეთივე მდგომარეობა შემინიშნავა ბევრ ნაცნობსა და მეგობარში. ომის აჩრდილი დაგვტრიალებდა თავს, თუნდაც ძასზე არ გვეუქრა. იმავე დღეს, როცა ჩემთვის ეს ნათელი შეიქნა, დავწყე წერა ხანგრძლივი დაფიქრების გარეშე, და ეს გაგრძელდა 5 თვეს. ყოველ საღამოს, როდესაც ბიუროდან დაებრუნდებოდი შინ, განვაგრძობდი წერას. და მალე წიგნიც მზად იყო“. წიგნის დამთავრების შემდეგ, როგორც თვითონ რემარკი აღნიშნავს, მან იგრძნო შებვა, შინაგანი განთავისუფლება.

აქ დაახლოებით ისეთივე მოვლენის მოწმენი უნდა ვიყოთ, როგორსაც აღნიშნავენ გოეთეს „ვერთერის“ შემთხვევაში. გოეთემ „ვერთერით“ თავისში დასძლია ვერთერიზმი. ასევე რემარკმა „დასავლეთით“ დათრგუნა ომის მკმუნვარე მოგონებები და ასოციაციები, მოიშუშა ომის მიერ მიყენებული სულიერი იარები და დებრესიები.

ომში დაბრმავებული ერთი კაცი (რომელსაც, ალბათ, სხვამ წაუკითხა „დასავლეთი“) წერდა რემარკს: „ვინმე ამ წიგნის წაუკითხავად რომ მოკვდეს, მას უეჭველად არ ღირსებია სულის მხსნელი გამოცხადება“.

კარლ ფოგლერი დავოსში შეხვედრია რემარკს და უსაუბრია მასთან. რემარკს უთქვამს: „მე განა არ ვიცი, რომ ჩემი წარმატება ერთჯერადი იქნება. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ხმა მრავალთა ხმად იქცეოდა. მე შემაჩქვიფა წარმატებამ, თითქოს გულგრილიც კი აღმოვჩნდი მისადმი. დიახ, წარმატებამ დამამწუხრა, უმწეო და სევდიანი გამადა. უცებ მე საინტერესო პიროვნებად ვიქტვი. იძულებული ვიყავი ბერლინიდან გავქციულიყავი, რათა თავიდან ამერიდებინა საზარელი დებრესიები, და დავოსში ჩამოვსულიყავი... ესლა მთელი ჩემი საქმიანობა მდგომარეობს წერილებზე პასუხების ვაცემაში, რომელთაც მე მრავლად ვიღებ. ამას ვაკეთებ კიდევ. ამხანაგობის გრძნობაც მიკარნახებს ამას. ამნაირი წარმატების მერე ძალიან ძნელი იქნება რაიმეს დაწერა. ალბათ, აღარასოდეს არაფერს არ დაწერ. რატომ ვაფხარლო მწერალთა ისედაც დიდი არმია, რომელთაგან ზოგნი პატრემოყვარეობის, ზოგნი—გაპირვების და ზოგნიც მოწოდების გამო წერენ. არ იქნებოდა ძნელი ომის შესახებ კიდევ რამდენიმე წიგნის გამოცხობა. მასალის ნაკლებობას არ განვიცდიოთ. მაგრამ სათქმელი უკვე ეთქვი ჩემს წიგნში. ყოველ კაცს თავისი ამოცანა აკისრია. ჩემი მისია ალბათ ამ ვანცდილის გამოთქმა იყო. მე მრავალი წინადადება მივიღე-გამოვსულიყავი საჯაროდ სიტყვით და სხვა ამდაგვარი.

ეს საჭიროდ არ ვცანი. საზღვარგარეთ კიდევ შეიძლებოდა ამის ვაკეთება უკეთესი ურთიერთვაგებისათვის. გამომიგზავნეს ვინმე ჩერიფის ინგლისური პიესა, სცენისათვის გადაამუშავეო. მაგრამ მე არ მინდა კონიუნქტურის გამოყენება. ეს იქნებოდა საკუთარი თავის ღალატი“. შემდეგ ფოგლერი შეეკითხა, იცნობს თუ არა რემარკი ბარბიუსს ან უნრუს, რომელთაც ომზე დაწერეს წიგნები?



„მე არც ბარბიუსი და არც უნრუ არ წამიკითხავს“, უბასუხა რემარკმა
(„Stuttg. N. Tageblatt“, 1929, №198).

რემარკის გარშემო ატყდა ფიცხელი ბრძოლა. მწერალმა უცებ გაიჩინა პირზე დორბლმორეული მტრები და ატატებული თაყვანისმცემლები. უტყვედნენ რემარკს მარჯვნიდან და მარცხნიდან. „მემარჯვენეებს“ შიაჩნდათ, რომ რემარკმა სახელი გაუტუნა გერმანიას, გერმანულ არმიას, განზრახ დამახინჯებულად წარმოადგინა ომი, განა ყველა ლეიტენანტი და ფელდგებელი ასეთი უფულო და მტარვალი, ყველა ექიმი და სანიტარი ასეთი მექრთამე და საღისტი იყოო?! ამ წიგნს ზიანი მოაქვს ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მათში სილაჩრესა და ბედასლობას აღზრდისო. ეპიზოდები ყალბია და გამოგონილი, სიტუაციები არარეალური და დაუჯერებელი; წიგნი ამორალური, გამრყენელი და სახიფათოა. როგორც ჩანს, რემარკი არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი ჯარისკაცი, ის ალბათ, ჯარისკაცის ფარაჯაში შემთხვევით გახვეული სამოქალაქო პირი იყო, რომელმაც ომი განიცადა როგორც თავისი პირადი ცხოვრების დამრღვევიო. „მემარცხენეები“ ამტკიცებდნენ, რომ რემარკი არაა ჭეშმარიტი ჰუმანისტი და ანტიმილიტარისტი, მისი ანტისაომარი პათოსი პაციფისტურია და ამდენად უნაყოფო და უმოქმედო, რემარკი კი არ უარყოფს მხოლოდ იმპერიალისტურ ომს, არამედ საერთოდ ომსა და სისხლისღვრას. იგი ერთგვარად ახდენს ომის რომანტიზირებასა და ესთეტიზირებას, პიკანტურად აღწერს საშინელ სცენებს, ომის ცალკეული სურათები თეატრალიზებული და „ეგზოტირებული“, ეს წიგნი ფარულად აღვივებს ომის ჟინს, ახალგაზრდა კაცს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი—„ნეტავ მეც განმაცდევინა ეს ყველაფერიო!“, რემარკი არაა ჩვენი მხსნელი, მისი რომანი ზიანის მომტანია და სახიფათო.

გენერალმა ჰამილტონმა წერილი მისწერა რემარკს, რომელშიაც ესეც ეწერა: „დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა“ არაა სრულქმნილი წიგნი ომზე, რადგან ომი, ისევე როგორც ცხოვრება, მეტს მოიცავს, ვიდრე რეალიზმი“.

ნორვეგიელმა მწერალმა ბიორნ ბიორნსონმა რემარკისათვის ნობელის პრემიის მინიჭება მოითხოვა.

ინგლისელმა მწერალმა უელსმა რაიპსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში რემარკის ამ რომანს უწოდა „შესანიშნავი ნათელი წიგნი, რომლის გაუგებრობა შეუძლებელია“.

„დასავლეთზე“ დისკუსია წამოიწყო „კოლნიშე ფოლქსცაიტუნგმა“. კათოლიკურ ბანაკშიც გაჩნდნენ რემარკის მომხრეები და მოწინააღმდეგენი მე შესაძლებლობა მქონდა გადამოვალეობებინა 1929 და 1930 წლების გერმანული ჟურნალ-გაზეთები. ვერ ნაბავთ თითქმის ვერცერთ ნომერს, რომელშიაც რემარკის ამ რომანზე რაიმე არ იყოს დაბეჭდილი.

ზოგიერთმა ჟურნალმა მთელი ლაშქრობა მოაწყო რემარკის წინააღმდეგ, ზოგიერთმა კი მის დასაცავად აიმაღლა ხმა.

„დასავლეთზე“ დაიწერა ტრავესტიაც—„ტროას წინ სიწყნარეა“. ავტორი ფსევდონიმს ეფარებოდა: ემილ მარიუს რეკარკი (სახელი და გვარი ერიპ მარია რემარკის ანალოგიითაა გაკეთებული). ეს რეკარკი ცდილობს გააბითუ-

როს რემარკი. დოქტორმა ჰერმან ჰაისლერმა სპეციალური წიგნი მიუძღვნა რემარკს: „ომი თუ მიშვიდობა?“ მან ასეთი „ლოზუნგი“ წამოაყენა:

—დაფუპირისპიროთ რემარკით ბეც, წინდაუხედავ აღფრთოვანებას მოთხოვნა:—დავეხსნათ რემარკს!— რემარკით აღფრთოვანება, ღრმად თუ ჩავუკვირდებით, სხვა არაფერია, თუ არა გერმანელი ხალხის აღსასრულის აღიარება“, წერს ჰაისლერი.

უარყოფითად შეაფასა რემარკის რომანი აგრეთვე ვ. კ. პფაილერმა („War and the German mind“, 1941). წიგნში არაა აღწერილი მთელი თაობის ბედი, ავტორის ეს პრეტენზია უსაფუძვლოაო. მასში გადმოცემულია ეგოცენტრიკული, უმწიფარი ყმაწვილის ისტორია, რომელიც ომის გარეშე ვერ განვითარდებოდაო.

განსაკუთრებული ხმაური გამოიწვია ზალომო ფრიდლენდერის წიგნმა: „ნამდვილად ცხოვრობდა ერიკ მარია რემარკი?“, რომელიც მან მინონას ფსევდონიმით გამოაქვეყნა (მინონა—ფრიდლენდერი საკმაოდ ცნობილი ფილოსოფიის ისტორიკოსი და პამფლეტისტ-სატირიკოსია. მის თხზულებათაგან შეიძლება დასახელებულ იქნეს: „შოპენზაუერი“, „ფსიქოლოგია“, „ლოგიკა“, „კანტი ბავშვებისათვის“ და სხვა. აქვს სატირიკული პამფლეტები: „ტარზანიადა“, „რკინიგზის კატასტროფა ანუ ანტიფროიდი“ და სხვა). ეს არის სატირა, უკეთ, პასკვილი რემარკზე. მინონამ მიზნად დაისახა „დასავლეთის“ გაბითურება, მაგრამ უმთავრესად ის ავტორის პირად ცხოვრებაში იქექება. მინონას მთავარი ბრალდებები ასეთია: რემარკის გვარი იწერება არა Remarque, არამედ Remark. რემარკი ფრონტზე არც კი ყოფილა, დაჭრილი ცხენები არ ყვირიან ხოლმე (რემარკი თავის რომანში აღწერს მყვირალ ცხენებს).¹ რემარკი ამ რომანის დაბეჭდვამდე წერდა სარეკლამო სტატიებს მანქანის საბურავების ერთი კომპანიისათვის, აქვს შეთხზული სპორტული და ეროტიული რომანები; თურმე რემარკს არ უმსახურია ინფანტერიის პოლკში №91-ში, ომის შემდეგ მას დაუმსახურებლად უტარებია ლეიტენანტის ფორმა და ორდენი, რაც მისთვის არასოდეს არ მიუციათ. ჟურნალ „დი ველტბიუნენში“ (1929, №1) კურტ ტუხოლსკიმ—იგნაცი ვრობელის ფსევდონიმით ფრიდლენდერს დაუწერა საპასუხო პამფლეტი— „ნამდვილად ცხოვრობდა

¹ ამავე ბრალდებას უყენებდა რემარკს რუდოლფ ბინდინგიც. ამ თემაზე ჟურნალებსა და გაზეთებში გაიშალა კამათი. ჰერმან უნგარმა დასწერა სტატია: „მართლა ყვირიან ცხენები?“ საპასუხოდ დაიწერა ახალი წერილი: „ცხენები ყვირიან პასუხს“. საინტერესო სტატია დაწერა „ფოსტზე ცაიტუნგში“ მიონტი იაკობსმა: „კიდევ ერთხელ რემარკი“, ჟურნალ „დი ტატში“ დაიბეჭდა მარტინ შტოსის წერილი „რემარკის ტრაგედია“, რომელშიც თავმოყრილია ჭორები რემარკზე: რემარკი კოკტეილებისა და მაგარი სასმელების დამზადების სპეციალისტია, შემოვლილი აქვს თითქოს მსოფლიო, მიზნად აქვს დასახული ფულის მოხვეჭა და ა. შ. „დოიჩე ცაიტუნგში“ კარლ კრანერმა გამოაქვეყნა სტატია „ექიმის შენიშვნები რომანზე—დასავლეთის ფრონტზე სიწყნარა“. გერმანიის სამხედრო წრეები ავრცელებდნენ ჭორებს რემარკზე: რემარკი ებრაელია, ის 65 წლის გამოაქვეყილი კაცია, მისი ნამდვილი სახელი და გვარი პაულ კრამერია, აქვს წიგნი დაწერილი კოკტეილების დამზადებაზე, ბორდელის ხშირი სტუმარია და თავისი ეს გამოცდილება მკითხველებს გაუზიარა ერთერთ თხზულებაში, საოცრად განებივრებული და ჭირვეულია, დაბადებულია მდიდარ ოჯახში და ა. შ.



მინონა?“, რომელშიაც ნაჩვენებია ფრიდლენდერის ბრალდებათა შესახებ მისი ბა და ულოგიკობა.

რემარკმა თავისი რომანით — „დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა“ გაცამტვერა ომის მითოსის ჰეროიკული მიმზიდველობა, მან ომს ჩამოაძრო რომანტიკული ორეოლი და გააბითურა ომში გმირული სიკვდილის ლეგენდა. რემარკმა დაამსხვრია საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ფეტიშები: საომარი სიქველე, პირზე ღიმილით სიკვდილი, „სამშობლოსა“ და ხელმწიფისათვის თავის განწირვა და ა. შ. მან აჩვენა, რომ ბრძოლის ველზე ჯარისკაცები თავის დაცვის მიზნით კლავენ მოწინააღმდეგე ქვეყნის ჯარისკაცებს, რომელთა მიმართ არავითარ სიძულვილსა და მტრობას არ გრძნობენ. ბრძოლის ველზე საგმირო და ჰეროიკული განწყობილება კი არ სუფევს, არამედ საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი და დახვრეტის შიში ღეზერტირობისა, ანდა პასიურობის შემთხვევაში, ჯარისკაცები გმირულად, ვაჟკაცურად თავისი მიზნისა და დანიშნულების ნათელი შეგნებით კი არ ხვდებიან სიკვდილს, არამედ მათთვის გაუგებარია, უცხობა ომის მიზანი; გაძვალტყაფებული, დატილიანებული, არაქათგამოლეული მეომრები სრულებითაც არ ფიქრობენ გამარჯვებაზე, მტრის დათრგუნვასა და დამორჩილებაზე, არამედ მათი ოცნება არ შორდება თბილი სამყოფი საკმლის, სუფთა ლოგინის, და სუფთა, სქელი ქალის ფარგლებს.

პირველად იყო, რომ ომის საშინელებაზე ასე შეულამაზებლად, ასე შიშვლად, ასე უშუალოდ წერდნენ, წვრდნენ არა განზე მდგარი ქრონისტის დისტანცირებული, ისტორიულ-ობიექტური მანერით, არამედ ომის ჯოჯოხეთში ჩაფარდნილი, სისხლში ამოსვრილი, ომის ამაზრზენობით შეძრწუნებული ჯარისკაცის პოზიციიდან. რემარკი, რომლისთვისაც იმთავითვე გაუგებარი იყო შოგინიზმი, ერთგულად განკერძოებულობდა და ნაციონალური გათიშულობა, პირველ რომანშივე გვიჩვენებს სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცთა შორის ადამიანური სიახლოვის, თანაგრძნობისა და საერთო ბედის განცდას. რომანის მთავარი გმირი პაულ ბოიშერი სითბოსა და სიბრალულს გრძნობს მოწინააღმდეგე ჯარისკაცებისადმი — ფრანგებისა და რუსებისადმი, რადგან ესენიც მათსავით უმწეონი, სხვაზე დამოკიდებულნი და სხვისი ნების აღმასრულებელნი არიან, რომელთაც მათსავით ჰყავთ დედ-მამა, აქვთ საკუთარი სახლი და ოჯახური სითბო; არც ამათ არ ამოძრავებთ რაიმე აბსტრაქტული იდეა, არც სამშობლოს დაცვა, არც მტრებზე შურისძიება, ისინიც ბრძანებით, დახვრეტისა და დასჯის შიშით მორეკეს ფრონტზე და ასევე დახვრეტის შიშით აიძულეს — ეზოკათ სხვები. ასეთი „მტრებისადმი“ გაბოროტება მეტისმეტად ძნელია. ამ ხზრივ მეტად საინტერესოა პაულ ბოიშერის განცდების აღწერა, როცა მას თავისდაუნებურად შემოაკვდება ხელში ფრანგი ჯარისკაცი. ისინი ერთად წვანან პატარა ორმოში და გერმანელი ჯარისკაცი გულდამწვარი მიმართავს მის მიერ მოკლულ ჟერარ დიუვალს, ერთ უბრალო ფრონგ მბეჭდავს. „ამხანაგო, მე შენი მოკვლა არ მინდოდა...“ უაღრესად ექსპრესიული და მრავალისმთქმელია რომანის ლაკონიური ფინალი: „ის დაეცა 1918 წლის ოქტომბერში. ეს დღე ისე წყნარი და მშვიდი იყო ფრონტის მთელს ხაზზე,

რომ არმიის ცნობა მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა, დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა“. რემარკი აქ ობიექტურად, არაპათეტიკურად, ყოველგვარი ისტერიული შეცხადების გარეშე გვაუწყებს შინაგანად შემადრწუნებელ ამბავს: მოკვდა, გაჰქრა, აღარ არის კაცი, რომელიც შევიჩვიეთ, შევიყვარეთ, ახლობელად ვაქციეთ და მისი სიკვდილი თურმე არაფერი ყოფილა ამ ქვეყნად—მოკვდა ჩვენთვის საყვარელი ადამიანი და ამას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია სხვა ადამიანების ცხოვრებაში, ამას დასავლეთის ფრონტის სიწყნარე ოდნავადაც არ დაურღვევია. რა მწარე სიმართლეა! რაოდენი ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა იგრძნობა ეროზ მარია რემარკის ამ თავშეკავებულ, გულჩათხრობილ მწუხარებაში!

1931 წელს რემარკი აქვეყნებს თავის მეორე რომანს—„გზა შინისაკენ“. თხრობა აქაც, ისევე როგორც „დასავლეთში“, პირველ პირში წარმოებს, მთხრობელი აქაც პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცია, ვინმე ერნსტ ბირკჰოლცი, როგორც ჩანს პაულ ბოიმერის ამხანაგი, რადგან ფრონტიდან შინ დაბრუნებული ჯარისკაცები არაერთხელ ახსენებენ სხვებთან ერთად ბრძოლის ველზე დაცემულ ბოიმერს.

ეს რომანი თხრობის ტონითა და სტილით ძალიან ჰგავს „დასავლეთს“, გარკვეულად მის გაგრძელებასაც წარმოადგენს.

ნაწარმოებს წინ უძღვის შესავალი, რომელშიც ომის უკანასკნელი დღეები აღწერილი: იგივე ჯარისკაცული ცხოვრება, იგივე ჭუჭყი და ტალახი, იგივე ოცნება თბილ საჭმელსა და თბილ ლოგინზე. ჯარისკაცებს კიდევ უფრო მობეზრებით ომი, კიდევ უფრო მეტად შეუვნიათ მისი უაზრობა და უმიზნობა. ჯარისკაცი ადოლფ ბათვე გარეულ ბატს ესვრის, ვერ მოარტყამს და სინანულით იტყვის: „აფსუს, ამბობს ადოლფ ბათვე, ეს იქნებოდა ამ ქეციან ომში პირველი აზრიანი გასროლა“.

რომანის საკუთრივ შინაარსს ჯარისკაცების ომისშემდგომი ცხოვრება წარმოადგენს. აქ ნაჩვენებია ომიდან მობრუნებული „დაკარგული თაობის“ ფართხალი ყოველდღიური ცხოვრების კალაპოტში ჩადგომისათვის. შინ მობრუნებისას ჯარისკაცებს ძველი სამყარო, ძველი ჩვევები, ტრადიციები, წარმოდგენები, ღირებულებანი ფასდაკარგული დახვდათ: ახლის შექმნა ვერც. ჯარისკაცად ყოფილებს სურთ იპოვონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, მიაგნონ თავიანთ მოვალეობასა და დანიშნულებას, სასოწარკვეთილნი აწყდებიან აქეთ-იქით პატარა ბიურგერული ქალაქის შეზღუდული ყოფის ჩარჩოებს, მაგრამ ხსნა არსით არის.

ყოფილი ჯარისკაცები ფეხს ვერ იკიდებენ ცხოვრებაში: ზოგი უმუშევარია, ზოგს ძველი ვირილობები ტანჯავს, ზოგს ნერვები ვერ დაუწყნარებია, მათ შორის ნელნელა ამხანავობაც კი ირღვევა. ერთერთი პერსონაჟი ლუდვიგ ბრაიერი, რომელიც ბოლოს თავს იკლავს, ამბობს: „მე ვფიქრობ, ჩვენ ავადა ვართ... ომი ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი“.

ამ რომანს, ისე როგორც რემარკის ყველა ნაწარმოებს, მსჭვალავს მკვეთრად გამოხატული ანტისაომარი ტენდენცია. ერნსტი თავის ფიქრებში ასე მიმართავს მოწაფეებს: „ყოველგვარი განათლება, ყოველგვარი კულტურა და



ყოველგვარი მეცნიერება არაფერია, გარდა საზარელი დაცივნისა, მანამდე აღნიშნული ერთმანეთს ღვთისა და ადამიანობის სახელით გაზით, რკინით, საფანტითა და ცეცხლით ხოცავენ“.

ომის მოგონება რემარკის პერსონაჟს არასოდეს არ შორდება.

ერნსტ ბირკჰოლცი, რომანის მთავარი გმირი, ომიდან შინ დაბრუნდა. სახლში მას ახალი ამბები დაახვედრეს, მათ შორის ასეთიც:

—ღეილა გრეტემ მეორე ქალიშვილიც გაათხოვა, იცი, ვის გაყვა, რიტმაისტერს. გარეთ წვიმს. მე მხრებს ვიჩეჩავ. საოცარია, ისევ ოთახში ვხვდარ; უცნაურია, ისევ შინა ვარ.

—ერნსტ, შენ ყურს არ გვივდებ.

—როგორ არა, როგორ არა, გათხოვდა რიტმაისტერზე, რიტმაისტერზე.

—ჰო, წარმოიდგინე, რა ბედნიერება ეწვია, თვითონ კი სულ ჰორფლებითა აქვს დაფარული სახე! ჰა, რას იტყვი?

რა უნდა ვთქვა. თუ ამ რიტმაისტერს შრაპნელის ტყვია მოხვდა თავში, ისიც მოკვდება—ფიქრობ მე; ჩემიანები საუბარს განაგრძობენ. მე ჩემი ფიქრები ამკვიატებია და სხვაგან გადავყავართ.

რომანის ბოლოში სიმბოლურად შეჯამებულია მისი იდეური შინაარსი. ნაწარმოების პერსონაჟები—ვილი, კოზოლე, ვალენტინი და ერნსტი ქალაქ-გარეთ, ტყეში გაისეირნებენ. წამოწოლილნი რომ არიან ბალახზე, თვალს მოკრავენ პატარა ბიჭებს, რომელთაც რაღაც ფორმა ჩატყვამთ და სამხედრო ვარჯიშს ასრულებენ. მათ ხელმძღვანელობს ვილაც ღიახანი კაცი, რომელიც სამხედრო ბრძანებებს იძლევა. ომი დიდი ხანი არაა, რაც დამთავრდა, გერმანია განადგურებულია ამ ომის გამო და გერმანელები კვლავ ახალ ომზე ფიქრობენ... ყოფილი ჯარისკაცები, რომლებმაც თვითონ იწვინეს ომის მთელი საშინელება, აღშფოთდებიან. მაგრამ ამ ბიჭების მეთაური განრისხდება: ხმა ჩაიკმინდეთ, თქვე დეზერტირებო! სამშობლოს მოღალატეებო! დედლებო! მას პატარა ბიჭებიც წამოეშველებიან...

ამხანაგებს გუნება უფუჭდებათ: ვერაფერმა ვერ ასწავლა ჰკუა გერმანელებს, ვერაფერმა ვერ ჩაახშო მათი მილიტარისტული განწყობილება...


1938 წელს რემარკი ბეჭდავს თავის მესამე რომანს, ჩვენში მეტად პოპულარულ „სამ ამხანაგს“. ამ რომანშიც თხრობა პირველ პირში წარმოებს, მთხრობელი ვინმე რობერტ ლოკამპია, რომელსაც მეგობრების წრეში რობის ეძახიან. რობიც ყოფილი ჯარისკაცია, პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ის დაამხანაგებია ლტო კოსტერსა და გოტფრიდ ლენცს. და ახლაც, შინ მობრუნების შემდეგაც ისინი მუდამ ერთად არიან, ერთად მუშაობენ ავტომექანიკოსებად საკუთარ ავტოშემკეთებელ სახელოსნოში.

ძალაუნებურად ასეთი კითხვა დაგებადება გაცს რომანის კითხვისას: უფრო სათუთი, უფრო ნაზი და ამავე დროს უფრო ვაჟკაცური და მამაკაცური მეგობრობა, ვიდრე რობის, გოტფრიდსა და ოტოს შორისაა, ძნელი წარმოსადგენია. მაშ რატომ ჰქვია რომანს „სამი ამხანაგი“, რომელშიც სწორედ მათი მეგობრობაა აღწერილი? მეგობარი ხომ უფრო ახლობელია ამხანაგზე. მეგობარი შეიძლება ერთი, ორი, უკიდურეს შემთხვე-

ვაში, სამიც გყავდეს, ხოლო ამხანაგი ოცამდეც კი. მაშ რაშია საქმე? ^{ერეკლიანი} საქმე ისაა, რომ გერმანულ ენაში Kamerad (გადმოსულია იტალიურიდან საფრანგეთზე გზადგავლით), რაც ნიშნავს ქართულად ამხანაგს, უპირატესად ამხანაგ — ჯარისკაცების აღსანიშნავად გამოიყენება, და რადგან ოტო, რობი და გოტფრიდი ფრონტზე დაძმობილდნენ და მათ ჯარისკაცული ამხანაგობა აერთიანებს (რაც ესოდენ დამახასიათებელია რემარკის ფიქტის ყველა გმირისათვის), ამიტომ ისინი ამხანაგებად (Kameraden) იწოდებიან.

მაგრამ სულიერად და ფიზიკურად ტრავმირებულ სამ ამხანაგს ფეხი ვერ მოუჭიდებია ცხოვრებაში. თავი რომ ირჩინონ, ისინი იძულებულნი არიან უარი თქვან ადრინდელ ვეგემბესა და განზრახვებზე, დათმონ მეტნაკლებად პატივმოყვარული ილუზიები და ოცნებები. სამი ამხანაგი მუშაობას იწყებს საკუთარ ავტომემკეთებელ სახელოსნოში, თანაც ისინი მანქანებით ვაჭრობენ. ეს საქმარისია იმისათვის, რომ ისინი შიმშილით არ მოკვდნენ. თავიანთი ყოფნისა და ცხოვრების უაზრობასა და სიცარიელეს სამი ამხანაგი ავსებს ალკოჰოლითა და ხანგამომწვებით ნაყიდი სიყვარულით. რასაკვირველია, რობი, ოტო და გოტფრიდი თავიანთი ინტელექტუალური დონითა და სულიერი მოთხოვნილებებით აღემატებიან ჩვეულებრივ, პროფესიულ მოფრებს (ლენცი თავის თავს „უკანასკნელ რომანტიკოსს“ ეძახის, რობი ნასტუდენტარია), მათი საუბარიცა და ჰუმორიც გარკვეულ განათლებასა და დახვეწილობას გულისხმობს, მაგრამ მაინც ისინი ე. წ. „პატარა ადამიანებს“, ჩვეულებრივი, საშუალო, არაძლიერი ინდივიდების კატეგორიას ეკუთვნიან. ესენი არც გერპარტ ჰაუბტმანის პერსონაჟებია, რომლებიც უპირისპირდებიან გარემომცველ წრეს. ამათ მეტისმეტად პატარა პრეტენზიები და მოთხოვნები აქვთ ცხოვრების მიმართ. მათი სურვილები არ ცილდება წმინდა ფიზიოლოგიურ — სამომხმარებლო ინტერესების ფარგლებს. მათ რიგიანი ჭამა-სმა, დასვენება, ერთად ყოფნა და საყვარელი მანქანების შენარჩუნება აკმაყოფილებთ, მეტი არა უნდათ რა. მაგრამ ვერც ამას ვერ ახერხებენ: იძულებული არიან გაყიდონ სახელოსნო, საბოლოოდ გამოემშვიდობონ სულზე უტკებეს ავტოს, რომელსაც ცოცხალი ადამიანივით კარლი ჰქვია და ჰკარგავენ განუყრელ მეგობარს — გოტფრიდ ლენცს, რომელსაც ერთი ნაცისტი ჰკლავს, საფიქრებელია, შეცდომით. ერთგან რობი შენიშნავს: „ლენცი მკვდარი იყო, კარლი ჩვენს შორის აღარ იყო. და პატი...“ ბოლოს ამხანაგების წრეში სიყვარულიც შეიჭრა: რობის შეუყვარდა სანდომიანი პეტრის ჰოლმანი, მაგრამ არც ეს ბედნიერება აღმოჩნდა ხანგრძლივი. პეტრისი ჭლექითაა დაავადებული და მალე კვდება. და ბოლოს ობლად რჩება ორი ამხანაგი: რობი ლოკამში და ოტო კოსტერი — ილუზიებშემოფანტულნი, ყოველგვარი მატერიალურ-ეკონომიური პერსპექტივის გარეშე, ულენცოდ, უკარლოდ და უპატოდ.

ნაწარმოების ბოლოში აღწერილია ჭლექიანთა სანატორიუმი მთებში. მიუხედავად თომას მანისა და რემარკის არსებითი განსხვავებისა, მაინც რაღაცით „სამი ამხანაგის“ ტუბერკულოზიანთა სანატორიუმი მოგვეგონებს თომას მანის ჯადოქრულ მთას, დავოსის ჭლექიანთა სავანეს. აქაც დაახლოებით



იგივე განწყობილება სუფევს, სწეულთა ფსიქიკა და მსოფლმეგრძნობა ქოსდა ნათესაური და მსგავსია.


რომანში ძალიან ბევრს სვამენ, სვამენ მამაკაცები და ქალები, როსკი-პები და მიქსერები, ბარმენები და სახელოსნოს დამლაგებელი ქალებიც კი. ალკოჰოლი აქ სასოწარკვეთილთა და გულგატეხილთა თავშესაფარია. ერთადერთი ღირებულება, რომელიც არ გაუფასურებულა რომანის პერსონაჟთა თვალში, არის მეგობრობა, ერთადერთი რეალობა ამქვეყნად, რაც არ აღმოჩნდება ყალბი და ილუზორული, ამხანაგობაა, განმტკიცებული ფრონტის სისხლიან პერიპეტივებში. რობის, ოტოსა და გოტფრიდის მეგობრობა, მიუხედავად მათი გარეგნული სიტლანქისა და ზოგჯერ ვულგარულ-ბილწი მეტყველებისა, შინაგანად საოცრად ღირიკულია და თბილი. ამ ამხანაგების ერთმანეთისადმი სიყვარული, მათი ზნეობრივი სიწმინდე არასოდეს არაა დეკლარატიული, სიტყვიერი და პოზიორული. ისინი არ არიან სანტიმენტალურნი და გულაჩუყებულნი, მაგრამ გულის სიდრმეში ძალზე ადამიანურნი და კაცთმოყვარენი არიან.

უკვე ამ რომანშივე, რომელიც დაახლოებით 1930–32 წლების ამბებს ეხება, ზედმიწევნითაა დახასიათებული ნაცისტების დემაგოგიური ბუნება. მართალია, ნაცისტები ნახსენები არ არიან, მაგრამ აშკარაა, რომ აღწერილია მათი კრება.

ნაცისტი ორატორი პირზე ქაფმორეული გაჰყვიროდა: „ასე არ შეიძლება გაგრძელდეს! ეს უნდა შეიცვალოს!“ და რობი (ამ შემთხვევაში იგივე რემარკი) დასძინს: ხალხმა ტაში დაცხო და ღრიალი მოართო, თითქოს უკვე შეცვლილიყო ყველაფერი. ამის მერე ორატორმა დაიწყო დაპირებები. დაპირება დაპირებას მოყვებოდა. დაპირებები დანავადა, სამოთხის დაპირებას იძლეოდა ორატორი... ეს ორატორი არაუერს არ ამტკიცებდა და ასაბუთებდა, ის მხოლოდ ყვიროდა და ყვირილი ვადამდებია — ის ემოციებზე უფრო მოქმედებს, ვიდრე ლოგიკური მსჯელობა. ბრბოზე ზეგავლენას პათეტიური, რიხიანი ყვირილი უფრო ახდენს, ვიდრე დინჯი, დასაბუთებული განსჯა... ამ ორატორმა ყველაფერი იცოდა. მას ყოველ კითხვაზე პასუხი მზად ჰქონდა. ყოველ გაჭირებისათვის საშველი ეგულებოდა. კარგი იყო — გყოლოდა ვინმე, რომელიც შენ მაგივრად ფიქრობდა, კარგი იყო, რაღაცის რწმენა გქონოდა... რომანში დახასიათებულია ბრბოს ფსიქოლოგია, მასიური ფსიქოზი, ბრბოზე დემაგოგიის შემოქმედება.

1941 წელს რემარკი აქვეყნებს რომანს „გიყვარდეს მოყვასი შენი“. ამ რომანში გერმანელი ემიგრანტების ძალღუშადური ცხოვრებაა აღწერილი, რომელთაც არცერთი სახელმწიფო არ იფარებს. ეს უსახლკარონი და უთვისტომონი ერთ სახელმწიფოდან ვადადიან მეორეში და ასე აპასფერივით შეუჩერებლად და მოუსვენრად დაბორიალობენ სასოწარკვეთილნი და გაწამებულნი.

რომანში პარალელურად ვითარდება ორი გერმანელი ემიგრანტის თავგადასავალი. ერთია ახალგაზრდა ლუდვიგ კერნი, მამით ებრაელი. მამამისს ნაცისტების მოსვლამდე პარტიუმიერიის ფაბრიკა ჰქონია. ლუდვიგი ნასტუ-



დენტარია. მისი ღჯახი დაფანტულა: მამა პრაპაში გაქცეულა, დედას კი მელიც უნგრული წარმოშობისაა, უნგრეთისათვის შეუფარებია თავი, თონ ლუდვიგი ვენაში ჩამოსულა.

მეორე გერმანელი ემიგრანტი, იოზეფ შტაინერი საკონცენტრაციო ბანაკიდანაა გამოქცეული, მას გერმანიაში დარჩენოდა. საყვარელი ცოლი, მარია, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა: „შტაინერი მაგარი კაცი იყო, მაგრამ როდესაც მან საზღვარი გადმოიარა, შეტრიალდა გერმანიის მიმართულებით და ვიფივით ამოიგმინა თავისი ცოლის სახელი“, წერს რემარკი.


ლუდვიგი და იოზეფი ერთმანეთს გაიცნობენ ვენაში და დაპეგობრდებიან, იოზეფი უფროსია და მფარველობს თავის ახალგაზრდა მეგობარს.

მათ უამრავი ჭირსახადელი შეხვდებათ, უწყალო ბედი მათ რამდენიმეჯერ აშორებს და ისევ აავედრებს, იცვლიან მრავალ პაროფესიას, ხვდებიან უამრავ ადამიანს, საკუთარ თავზე ცდიან საწუთროს სიმუხთლეს და ბოლოს სამუდამოდ იყრებიან: იოზეფ შტაინერი შეიტყობს, რომ მისი ცოლი უკანასკნელ დღეშია, მას სახიფათო სნეულება შეყრია, შტაინერი არ იჯერებს მეგობარ-ნაცნობების გონივრულ რჩევას და მაინც მიდის ნაცისტურ გერმანიაში, რადგან უკანასკნელად სურს იხილოს მომაკვდავი ცოლი. აქ ის ცოლს ნახულობს საავადმყოფოში, რომელიც მალე კვდება. იოზეფ შტაინერს აპატიმრებს ნაცისტი შტაინბრენერი, რომელიც იცნობს მას. როცა ორ სხვა ნაცისტთან ერთად შტაინბრენერს მიჰყავს საავადმყოფოდან შტაინერი, იოზეფი ხელს ჰკრავს შტაინბრენერს, გადაავდებს ღია ფანჯრიდან, თვითონაც გადახტება და იკლავს თავს.

ლუდვიგი ამ დროს თავის შეყვარებულთან, რუთ ჰოლანდთან ერთად პარიზშია. მეგობრები მათ ვიხას გაუკვაჰავენ მექსიკაში წასასვლელად. მაგრამ საიდან იშოვონ სამგზავრო ფული?

შტაინერს პარიზში მეგობრებთან ჰქონდა დატოვებული ცოტაოდენი თანხა. ეხლა შტაინერი ცოცხალი აღარაა. მეგობრები ამ თანხას ლუდვიგსა და რუთს აძლევენ. ლუდვიგი შეძრწუნებულია, მართალია, ის გადარჩა, ეხლა მექსიკაში წასვლასაც ახერხებს შეყვარებულთან ერთად, მაგრამ რატომ უნდა ხდებოდეს ისე, რომ ერთის უბედურება (შტაინერის დაღუპვა) ედებოდეს საფუძვლად მეორის ბედნიერებას (ლუდვიგი და რუთი ხომ მხოლოდ შტაინერის ფულით შესძლებენ გაექცნენ ნაცისტურ ხელთს). და შტაინერი რომ არ მომკვდარიყო, მაშინ ლუდვიგი და რუთი კვლავ ხელფათის წინაშე იქნებოდნენ. აქაც ტიპური რემარკისეული პრობლემა დგას: მოყვასის უბედურება შენი უბედურებაც უნდა იყოს, მაგრამ ცხოვრება ისე უკუღმართადაა მოწყობილი, რომ პირიქით ხდება: მოყვასის უბედურება ქმნის შენს ბედნიერებას.

1946 წელს რემარკი აქვეყნებს თავის ახალ რომანს — „ტრიუმფალურ თაღს“. ამ რომანშიც გერმანელი ემიგრანტების ვივაგლახია მოთხრობილი, რომლებიც გამოექცნენ ფაშისტურ ტერორს და რომელთაც ეკრძალებათ სხვა ქვეყნებში ცხოვრება. ამ ნაწარმოებში კონკრეტულად ნამბობია გერმანელი ემიგრანტის, ცნობილი ქირურგის, ლუდვიგ ფრეზენბურგის (რავიკალ წოდებული) არალეგალური ცხოვრება პარიზში.



რავიკი აქ ვებერის კლინიკაში მუშაობს შავ ქირურგად. ის რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული და საფრანგეთიდან გასახლებული. მას რამდენჯერმე გამოეცვალა გვარი, რავიკიც მისი ერთერთი ფსევდონიმი იყო. კლინიკაში რავიკი სხვის მაგივრად აკეთებდა ოპერაციებს და ღებულობდა ძალიან მცირე ჰონორარს. ის ჩნდებოდა, როცა პაციენტი უკვე ნარკოზი ჰქონდა გაკეთებული, და როცა პაციენტი იღვიძებდა, მას თავზე ადგა ფრანგი ქირურგი, ვითომ მას გაეკეთებინოს ოპერაცია. რავიკი აგრეთვე ცოტაოდენ ფულს აკეთებდა ბორდელ „ოზირისში“ როსკიპების გაშინჯვით, ისევე როგორც რომი („სამი ამხანაგი“) ერთხანს შეთავსებით პიანისტად მუშაობდა როსკიპებით გამოტენილ კაფეში, ანდა ლუდვიგ ბოდმერი („შავი ობელისკი“) ასევე შეთავსებით მსახურობდა ორგანისტად საგიჟეთის კაპელაში.

პარიზში ვაიცნობს და დაუახლოვდება რავიკი რუს ემიგრანტს, ბორის მოროზოვს, რომელიც მეკარედ მუშაობს რუსულ ლამის კლუბში—„შეჰერაზადაში“. რავიკისა და მოროზოვის მეგობრობა, გარეგნულად ტლანქი და პამაკატურად მოუხეშავი, შინაგანად ლირიკული და სათუთი, ძალიან გვაგონებს სამი ამხანაგის მეგობრობას. ბორის მოროზოვი თავისი რიხით, ქკუამახვილობით, იხტიბარგაუტეხელობით, ჰუმორის გრძნობით აშკარად ჩამოჰვავს ოტოსა და გოტფრიდს. რავიკიცა და მოროზოვიც „სამი ამხანაგის“ პერსონაჟებივით ძალიან ბევრს სვამენ; აქაც ალკოჰოლი და სიყვარული (ზოგჯერ შემთხვევითი და ეფემერული, ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივი) გმირებისათვის თავშესაფარია, დროებითი შვებისა და თავდავიწყების მომგვრელი. აქაც ყოფნის სიცარიელეს ავსებენ რომით, კონიაკით, არყით და ზოგჯერ ლამაზი ქალებით...

მაგრამ უნდა ითქვას, რავიკი რემარკის სხვა პერსონაჟებს შორის მალალი ინტელექტითა და განათლებით გამოირჩევა. ის გერმანიაში სახელგანთქპული დასტაქარი იყო, გერმანიის ერთერთი დიდი საავადმყოფოს მთავარი ქირურგი. პარიზში მუდმივი დევნისა და დაპატიმრების მიზის პირობებში მის მაგიდაზე ეწყო სენეკას, შოპენჰაუერის, პლატონის, რილკეს და სხვათა წიგნები. რავიკს სულიერი ინტერესები და ინტელექტუალური მოთხოვნილებანი არა აქვს ჩაკლული. რემარკის სხვა პერსონაჟები ძალიან იშვიათად კითხულობენ წიგნებს, მათ ჩვეულებრივ წიგნების თავი არა აქვთ, ისინი იმდენად არიან განაწამები საარსებო სახსრების ძიებით, რომ წიგნებისა და ხელოვნების ხალისი ეკარგებათ. რავიკი კარგად იცნობს ფერწერას. ის ალტაცებული დგას ვან გოგის, გოგენისა და სეზანის ორიგინალების წინაშე.

...რავიკი 1933 წლის აგვისტოში დაპატიმრეს ესესელებმა. მის ბინაში იმალებოდა ორი კაცი, რომელთაც გესტაპო ეძებდა. რავიკმა დევნილები გააპარა. ერთერთმა მათგანმა რავიკი პირველ მსოფლიო ომში სიკვდილს გადაარჩინა, მეორე ებრაელი მწერალი იყო. რავიკი აწამეს, ცდილობდნენ გამოეძალათ მისგან, თუ სად იმალებოდნენ ან საით წავიდნენ დევნილები. მის საქმეს აწარმოებდა გესტაპოელი პააკე, რომელიც პირადად აწამებდა მას. რავიკის ცოლმა, რომელმაც ვერ აიტანა წამება, თავი ჩამოიხრჩო საკონცენტრაციო ბანაკში. რავიკი ხანგრძლივი წამების შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში

გადაიყვანეს, ავადმყოფობის გამო ჰოსპიტალში დააწვინეს, იქედან კი ის გად-
ქცა. რავიკი პარიზში შემთხვევით შეხვდება ჰააკეს, იმ ჯესტაპოელს, რომელ-
ლიც მას აწამებდა. გესტაპოელი მას ველარ იცნობს, რადგან მას უამრავი კაცი
ჰყავდა „დაკითხული“ და, როგორც ჩანს, მისმა მეხსიერებამ ყველა ველარ
დაიტია. რავიკი მოახერხებს გესტაპოს აგენტის ნდობის მოპოვებას, მანქანით
გაიტყუებს მას ქალაქგარეთ და მოკლავს.

...რავიკიც რემარკის სხვა გმირებივით ჰუმანურია, სხვათა ტანჯვისა
და უბედობის გამზიარებელი. ერთხელ ქუჩაში მიმავალი დაშავებულ ქალს
წააწყდება, გული არ მოუთმენს და დახმარებას აღმოუჩენს, თუმცა იცის,
რომ ეს მისთვის სახიფათოა, რადგან მას მაშინვე გაასახლებენ, როგორც კი მის
ვინაობას დაადგენენ. და ეს მართლაც ასე ხდება: რავიკს საფრანგეთიდან
ასახლებენ.

...რემარკის გმირებს იმდენი ტანჯვა, განსაცდელი და ვაივაგლახი აქვთ
გადატანილი, რომ ზოგჯერ ისინი ფრიად პესიმისტურ და მჭმუნვარე თვალ-
საზრისზე დგებიან, რაც მხოლოდ მომენტური განწყობილების შედეგია და
არა საბოლოო მსოფლმხედველობა. საუბრობენ რავიკი და მოროზოვი:

—მე რალაც მინდა გკითხო. ლომები ანტილოპებს კლავენ, ობობები
ბუზებს, მელიები ქათმებს; რომელია ამქვეყნად ერთადერთი ბიოლოგიური
რასა, რომელიც თავის თავს ებრძვის, ეომება და კლავს?

—ასეთი შეკითხვა ბავშვებს უნდა დაუსვა. რასაკვირველია, ეს არის ქვე-
ყნის ვგირვინი — ადამიანი, რომელმაც გამოიგონა სიტყვები: სიყვარული,
სიკეთე და სიბრალული.

—კეთილი. რომელია ერთადერთი არსება ბუნებაში, რომელსაც თავის
მოკვლა შეუძლია და იკლავს კიდევ?

—ადამიანი—ისევ და ისევ ადამიანი, რომელმაც მოიგონა მარადიულო-
ბა, ღმერთი და მკვდრეთით აღდგომა.


ცოტა ქვემოთ:—იცი, რა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს? სი-
ცილი და ტირილი— ამბობს რავიკი.

—და დათრობა, არყით, ღვინით, ფილოსოფიით, ქალებით, იმედით და
სასოწარკვეთილებით. იცი, რა იცის მან ერთად-ერთმა... რომ ის უნდა მო-
კვდეს.—

...ამ რომანშიც ზედმიწევნითაა დახასიათებული პოლიტიკური ავან-
ტურისტებისა და ბანდიტების დემაგოგიური ბუნება: „ისინი იარაღის მკეთე-
ბელ ქარხნებს აშენებენ, რადგან მათ მშვიდობა სურთ; ისინი საკონცენტრა-
ციო ბანაკებს აწყობენ, რადგან მათ ჭეშმარიტება უყვართ. სამართლიანობა
არის ნიღაბი ყოველგვარი პარტიული გაცოფებისა. პოლიტიკური განზ-
სტერები მხსნელების პოზაში დგებიან და თავისუფლება წარმოადგენს ფართო
სიტყვას, რომელიც ფარავს ძალაუფლების დაპყრობის სიხარბეს“.

ორიგინალური და გონებამახვილია, ისევე როგორც თითქმის რემარკის
ყველა რომანში, „ტრიუმფალური თაღის“ ფინალი.

ნაცისტურმა გერმანიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს. საფრანგეთის
პოლიცია აპატიმრებს გერმანელ ემიგრანტებს და საკონცენტრაციო ბანაკში



ათავსებს. მათ შორისაა რაფიკი (ეხლა როცა შენიღბვას აზრი აღწერს, ის ამბობს თავის ნამდვილ სახელსა და გვარს), ლუდვიგ ფრეზენბურგის წაიყვანდეს, პოლიციელი ლუდვიგს ბარგის აღების უფლებას აძლევს. ფრეზენბურგი იღებს ერთ ჩემოდანს, რომელიც მას უკვე გამზადებული ედგა ოთახში. პოლიციელი მაგიდაზე შეამჩნევს ღვთისმშობლის ხის პატარა გამოსახულებას.

—ამას ტოვებთ?—ეკითხება პოლიციელი.

—გტოვებ.

მამაზეციერმა, ღვთისმშობელმა, ქრისტე-ღმერთმა ისინი ბედის ანაბარა მიაგდეს, მიატოვეს და მან, ტანჯულმა ემიგრანტმა რატომ წაიღოს თან, რატომ არ მიატოვოს ასეთი გულცივი და უკარება მადონა?

1952 წელს გამოქვეყნდა რემარკის ახალი რომანი „სიცოცხლის ნაპერწკალი“.

რომანში ასახულია გერმანიის ერთერთი საკონცენტრაციო ბანაკის ცხოვრება. ბანაკი მდებარეობს პატარა ქალაქ მელერნის მახლობლად. ნაწარმოებში აღწერილია 1945 წლის მარტისა და აპრილის ამბები, „მესამე იმპერიის“ უკანასკნელი თვეები.

რემარკის თითქმის ყოველ რომანში ვხვდებით ადამიანთა დაღუპვისა და განადგურების შემადრწუნებელ სურათებს, მაგრამ ამ ნაწარმოებში აღწერილი საშინელებანი აღმატება ყოველივეს, რაც რომელიმე მწერალს ანდა თვით რემარკს დაუწერია ნაცისტების შეუბრალებლობასა და მხეცობაზე, რომანში სიკვდილზე, გაზით დახრჩობაზე, ჩამოხრჩობაზე, გვამებზე ისეთი ტონით საუბრობენ, როგორც ჩვეულებრივ პირობებში ლაპარაკობენ ხოლმე სურდოზე, ხველებაზე, ქათმის დაკვლასა ანდა ხელის გაკაწვრაზე. პატარა ჩეხი ბიჭი კარელი, რომელიც სულ 11 წლისაა, მაგრამ ბანაკში პოლიტიკური პატიმრის „რუბრიკითაა“ მოთავსებული, ასეთი სიმშვიდით ეკითხება ერთერთ პატიმარს: „ვითომ გაზით დაგახრჩობენ?.. პირსახოცები რომ დაგირიგონ და გითხრან, უნდა იბანაოთო, ეს იმას ნიშნავს, რომ გაზს გამოუშვებენ“. რემარკი შენიშნავს კარელზე: „მან ისე იკითხა, თითქოს მოგზაურობის შესახებ ეკითხებოდა, და ამაში ღვარძლი სრულდებოდაც არ ჩაუტანებია. ის ხომ საკონცენტრაციო ბანაკში აღიზარდა და სხვა არაფერი უსწავლია“.

პატიმრები გადაჩვეულან ტირილს, ცრემლებს, გულისაჩუყებას, სიხარულს, მწუხარებას, საერთოდ, ადამიანურ გრძნობებს. მათ მხოლოდ შიმშილის გრძნობა და სითბოს მოთხოვნილება შემორჩენიათ. ბანაკში, სადაც ფრჩხილების დაძრობა, თმების აგლეჯა, სასქესო ორგანოების დასახიჩრება და სხვ. ყოველდღიური და ჩვეულებრივი ამბავი იყო, სანტიმენტალობად ითვლებოდა ამის გამო წუხილი. რომანში მოთხრობილია ამაზრუნეი ამბები. შეგვხვოთ ზოგიერთ მათგანს. ახალგაზრდა პატიმარი ბუხერი რადიკალიზირად ხორცის ნაჭერს ჩაიგდებს ხელში, ნაწილს თვითონ შეჭამს და დანარჩენი უნდა გადაუგდოს იქვე მეზობლად მდებარე ქალთა ბანაკში მყოფ მეგობარ ქალს, რუთ ჰოლანდს. ბუხერი მიადგება მავთულხლართებს და ოდნავ გასაგონად დაიძახებს: „რუთ“. ბნელა და ბუხერი ძლივსძლივობით გააჩჩევს, რომ ლობეს იქეთა მხრიდან მოადგა ჩრდილი. ბუხერი ხორცს გადაუგდებს ჩრდილს. ჩრდი-



ლი კიდევ მოითხოვს. ბუხერი ცოტა შეეჭვდება, ნუთუ რუთია? რუთია ასევე არაა. ჩრდილი დაჟინებით განაგრძობს ხორცის მოთხოვნას. ბუხერს მეტი არა აქვს.

— შენ რუთი არა ხარ, აბა, მითხარი, რა მქვია?

ჩრდილი ხმას არ იღებს.

— ხორცი შენი არაა, რუთისაა, მიეცი მას, მიეცი. —

— აუცილებლად მივცემ, კიდევ გადმომიგდე. —

— მიეცი, თორემ... ბუხერი ჩერდება. რა შეუძლია მას, ბანაკის პატიმარს?! ბუხერს ბოღმა აღრჩობს: ამდენი ხნის შიმშილის მერე ხორცის ასეთი სულელური დაკარგვა... ბუხერი ქვითინებს უცრემლოდ, ყმუის... მიწაზე ემხო-ბა და ძაგდაგებს.

ცოტა ხნის შემდეგ ქალი კვლავ აჩურჩულდა:

— კიდევ მომეცი... მომეცი... მე გიჩვენებ, გამოიხედე! და ჩრდილმა კაბა წამოიხადა, სურდა მამაკაცი მოეღბო ქალის მაცდუნებელი ფორმების ჩვენებით...

ნაცისტებმა ადამიანები ცხოველებად აქციეს ხანგრძლივი წამებითა და ტანჯვით, რომლებიც ცოტაოდენი საჭმელისათვის მზად არიან დათმონ ადამიანური ღირსება, თავმოყვარეობა, სხეული და ყველაფერი, რაც კი აბადიათ.

ნაცისტების სადისტური ბუნების დასახასიათებლად საინტერესოა ერთი ეპიზოდი. პატიმრები სამუშაოდან უკან მიჰყავთ ბანაკში. მათ შორის არიან უძლურებიც, რომლებიც ძლივს მოლასლასებენ. უცებ რომელიღაც ესესელმა გასცა ბრძანება: „სირბილით!“ ნაწილი გარბის ბანაკის შესასვლელისკენ, ნაწილი სირბილი არ შეუძლია, მაგრამ იძაბება და ცდილობს აჩქარდეს, ნაწილი მიწაზეა გართხმული და მოლოდავს. პირობა ასეთია: ვინც ბანაკის ალაყაფის კარების დაკეტვამდე ვერ შეასწრებს ბანაკის ეზოში, მას იქვე მიხვრეტენ. პატიმრები კვენსიან, ბორგავენ, წრიბინებენ, ჭყლობინებენ და არაადამიანურად იჭიმებიან, რათა სიცოცხლე გადაირჩინონ. ფეხზე მდგომებმა, როგორც იქნა, მოასწრეს ბანაკში შესვლა. ახლა ერთერთი ესესელი აცხადებს კუთა შეჯიბრებას სისწრაფეში, რადგან მხოლოდ მიწაზე მფოფხავები-ლა დარჩნენ. და მილოდავენ ქანცვამოლეული, დაფრდომილი პატიმრები, როგორც ვეება ფრთადაწყვეტილი მწერები. უცებ სროლის ხმა გაისმა. მცოცავები შეკრთნენ, ზოგმა თავი ანება ხოხვას და შედგა, სულერთია მაინც ვერ შევასწრებო. თურმე ერთერთმა ესესელმა „მწერების“ დასაშინებლად ხუმრობით ჰაერში გაისროლა. ერთი ესესელი აცხადებს, — ისე როგორც დიქტორი აცხადებს ხოლმე, დასძენს რემარკი: „60 წამში სამოთხის კარი დაიკეტება“. ესესელი პატიმრების შესაშინებლად ბანაკის ალაყაფის კარებს ხელს ჰკიდებს და ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს უკვე კეტავს... რემარკი წერს: „გაისმა ადამიანისებური მწერების გმინვა“. და ესესელები სიცილ-ხარხარით იწყებენ იმ პატიმრების ხვრეტას, რომლებმაც შეწყვიტეს ფოფხვა.

ერთმა ესესელმა, სახელად რობერტმა, მოასწრო 40 პატიმრის მოკვლა. მეორე მას შურით შესცქერის და რემარკი შენიშნავს: — მას ისე უყურებდნენ, თითქოს სპოტის რომელიმე სახეში რეკორდი დამყარებინოს.



ერთი ახალგაზრდა ნაციისტი, რომელიც ბანაკში მუშაობს, ასეთი იყო: „შულტე 23 წლის ახალგაზრდა კაცი იყო; ის ქერა იყო, ჰქონდა მუქი თვალები და ნათელი, სწორნაკეთებიანი სახე. ის ჯერ კიდევ ნაციისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე შესულიყო ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირში. მას ესწავლა, რომ არსებობენ ზეადამიანები და ქვეადამიანები, და ეს მას მტკიცედ სწამდა. შულტე იცნობდა რასიულ თეორიას და პარტიის დოგმებს, და ეს მისი ბიბლია იყო. შულტე ცუდი შვილი როდი იყო, მაგრამ ის საკუთარ მამასაც დააბეზდებდა, თუკი ეს უკანასკნელი პარტიის წინააღმდეგი იქნებოდა. მისთვის პარტია შეუმცდარი იყო. კარგად ეძინა და ერთადერთი სადარდებელი ის ჰქონდა, რომ ფრონტზე არ იყო...“

ცოტა ქვემოთ გრძელდება ამ შულტეს დახასიათება: „შულტე სანდო მეგობარი იყო, უყვარდა მუსიკა და პოეზია, წამებას პატიმრისაგან ინფორმაციების მიღების აუცილებელ საშუალებად მიიჩნევდა, რადგან პარტიის ყველა მტერი საერთოდ, როგორც წესი, ცრუობდა. თავის სიცოცხლეში მას ნ მოეკლა უფროსების ბრძანებით, და არასოდეს ამაზე შემდეგ არ უფიქრია. ორი მათგანი ნელი სიკვდილით გაესტუმრებინა საიქიოს, რათა მათგან თანამზრახველების სახელები შეეტყო. შულტეს უყვარდა მოსამართლის ქალიშვილი და მას მშვენიერ, ოდნავ რომანტიკულ წერილებს სწერდა. თავისუფალ დროს შულტე ხალისით მღეროდა. მას მშვენიერი ტენორი ჰქონდა“.


რემარკი აქ შესანიშნავად გადმოსცემს ნაციისტების ცინიკურ ბუნებას მათი „ცინიკურივე“ დახასიათებით.

ბანაკში ექიმი ვიიზე პატიმრებზე აკეთებს სამედიცინო ექსპერიმენტებს, რაც ჩვეულებრივ პატიმართა დაღუპვით მთავრდება. ვიიზე ცინიკურად ამართლებს ამ ცდებს: მართალია, ესენი დაიღუპნენ, მაგრამ „ჩვენი ცდები გადარჩენს ათი ათასი სხვა ადამიანის სიცოცხლეს“—ო.

ბანაკის ოფიცრების ერთ-ერთი გართობა ასეთი იყო: ისინი შეეკითხებოდნენ რომელიმე პატიმარს ყასიდი გაოცებით:—ეს ჭრილობა ან შრამი საიდან გაქვსო და პატიმარს უნდა ეპასუხა:—დავეცი, ბატონო უფროსო (მას არ ჰქონდა უფლება ეთქვა, რომ ეს წამების კვალი იყო).

რომანში გამოყვანილია ტანმომცრო შარფიურერი ზომერი, რომელიც განსაკუთრებულ სიამოვნებას პოულობდა დიდტანიანი, ახოვანი პატიმრების წამებაში.

რომანი ასე იწყება: „ჩონჩხმა ხუთასცხრამ ნელა ასწია თავი და გაახილა თვალები“. რემარკი ამ მისაკლავებულ, ცოცხალმკვდარ პატიმრებზე ისე წერს, თითქოს მწერებზე ანდა მცენარეებზე საუბრობდეს, რადგან ისინი მართლაც მხოლოდ ვეგეტატიურად არსებობდნენ და ვეგეტაციაც გაძნელებული ჰქონდათ. ხუთასცხრა ჰქვია ამ რომანის გმირს, რომელსაც ალბათ ოდესღაც გვარიც ჰქონდა და სახელიც, პროფესიაც და სახლ-კარიც, თავმოყვარეობაც და ოჯახიც, მაგრამ ეხლა მას არა გააჩნდა რა, ნომრის გარდა და მისი ნომერი იყო 509. 509 ფიქრობდა საკუთარ თავზე: „მას ყველა მოგონება გაეძეგებინა საკუთარ თავიდან, მოგონებები ბანაკში მოხვედრამდეც. საკუთარი სახელის გაგონებაც კი არ სურდა. ადამიანი აღარ იყო და აღარც უნდოდა



ყოფილიყო. ის ნომრად იქცა და თავს ნომერს უწოდებდა და სხვებსაც ნომრად რის დაძახებას თხოვდა“. მკითხველი მის ნამდვილ გვარსა და სახელს გვიან გეზულობს, მაშინ, როცა პატიმრებში და კერძოდ 509-შიც განთავისუფლების იმედი აკიაფდება. თურმე მას ფრიდრიჰ კოლერი რქმევია. და როცა მოკავშირეები შეიქრნენ გერმანიის ტერიტორიაზე, პატიმრებს და მათ შორის ხუთასცხრასაც ადამიანობის გრძნობა გაუჩნდებათ და 509 კვლავ თავისი ნამდვილი სახელისა და გვარის დაბრუნებას მოისურვებს. და როცა მას ჩვეულებისამებრ ხუთასცხრა დაუძახეს, მან ფიქრებში ჩაძირულმა თქვა:—მე კოლერი მქვია, ფრიდრიჰ კოლერი—.

ფრიდრიჰ კოლერი ოდესღაც ჟურნალისტი ყოფილა, ერთერთი გაზეთის რედაქტორი (ჩვენებურად — განყოფილების გამგე, საზღვარგარეთ განყოფილების გამგეებსაც რედაქტორები ჰქვია, ხოლო რედაქტორს ჩვენი ვაგებით— შეფრედაქტორი). მას 1933 წლამდე თანმიმდევრული ანტიფაშისტური ბრძოლა უწარმოებია გაზეთის ფურცლებზე.


...მაგრამ ბანაკის განთავისუფლების დროს, როცა ამერიკელები შემოიჭრებიან ქალაქში, ფრიდრიჰ კოლერი კვდება...

პატიმრები, რომელთაც ყველაფერი წაართვეს, ასე ოცნებობენ შორეულ მომავალზე. „ჩვენ ბანაკიდან გავალთ. მავთულხლართებს ჩამოგვლეჯთ. ჩვენ, აი, იმ გზას ვაფუყვებით. არავინ აღარ გვესვრის. არავინ აღარ დავგვარუნებს უკან. მინდვრებზე გადავივლით და შევალთ რომელიმე სახლში. და სკამებზე ჩამოვსხდებით“.

„სკამებზე?“

„ჰო, ნამდვილ სკამებზე. იქვე იქნება მაგიდა და ფაიფურის თეფშები და ცეცხლი“. და ცოტა ქვემოთ: „საწოლიც იქნება ქათქათა ზეწრითა და საბნითურთ. პურიც... რძეც... ხორციც...“ მე-20 საუკუნეში ნაცისტებმა ადამიანებს მონატრეს ისეთი ელემენტარული საარსებო საშუალებანი, რომელნიც ჰაერით გაუჭირვებლად უნდა ეძლეოდეს მათ.

რომანის ფინალი ორიგინალური და სიმბოლურია: საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლების შემდეგ ბანაკიდან მოდიან შეყვარებულები: იოზეფ ბუხერი და რუთ ჰოლანდი. მათ ერთმანეთი ბანაკში ყოფნისას გაიცენეს და შეიყვარეს. ახალგაზრდებს აღარავინ ეგულებოდათ ამქვეყნად. მათიანები ნაცისტებს გაეწყვიტათ დედა-ბუდიანად და ეხლა არ იცოდნენ საით წასულიყვნენ, სად დაბინდრებულყვნენ. ამ ქალაქში, სადაც ბანაკი იყო მოთავსებული, პატარა გორაკზე ერთი თეთრი ლამაზი სახლი იდგა. ბანაკიდან ეს სახლი კარვად მოჩანდა. როცა ქალაქის სისტემატური დაბომბვა დაიწყო მოკავშირეებმა, ბუხერმა ჩაიფიქრა, თუ ეს თეთრი სახლი გადაურჩა დანგრევას, მაშინ მე და რუთიც გადავრჩებითო... თეთრი სახლი კვლავ იდგა გორაკზე. ბუხერი და რუთი ქალაქიდან გასვლის წინ გადაწყვეტენ ახლოს მივიდნენ სახლთან და თავიანთ „ბედნიერების სიმბოლოს“ უკანასკნელად შეავლონ თვალი. მაგრამ აღმოჩნდება: სახლის მხოლოდ ფასადი იყო უვნებელი, მთელი სახლი, უკეთ, სახლის უკანა ნაწილი ყუმბარას ჩამოენგრია. მაშ, ბუხერსა და რუთს მხოლოდ ილუზიის, ქიმერისა სჯეროდათ. რემარკი უენიშნავს: „ამაში იყო



ირონია და ამავე დროს უცნაური ნუგეშიც“. და ამ ჩამონგრეულ „საქმეში“ რომელსაც მხოლოდ ფასადიღა შერჩენოდა, დაბინადრდებიან ბუბუჩაძე-რუთი. რუთი საღდაც სარკის ნატებს აღმოაჩენს და ჩაინგდავს, როცა იოზეფი მცირე ხნით გარეთ იყო გასული... და დაინახავს: თეთრი თმა, ჩავარდნილი თვალები, უკბილო პირის ღრუ. რუთმა სარკე ცეცხლში ჩააგდო...

1954 წელს დაიბეჭდა რემარკის რომანი მეორე მსოფლიო ომზე— „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“.

...რომანი იწყება „ცინიკურად“, არაპათეტიკურად, „საქმიანად“, ამავე დროს ისე, თითქოს ლაპარაკი ყვაივლებს ეხებოდეს:

„სიკვდილს რუსეთში სხვა სუნი უდიოდა; ვიდრე აფრიკაში“.

ნაციისტები იბრძოდნენ რუსეთშიც და აფრიკაშიც და სხვადასხვაგვარად ცხოვრობდნენ, გვამები სხვადასხვანაირად იხრწნებოდა, რადგან რუსეთისა და აფრიკის ტემპერატურა განსხვავებული იყო. ეს ცინიკური, „საქმიანი“ ტონი, ეს „ეპიკურობა“, ეს აღუშფოთებელი დისტანცირებული მანერა წერისა გამობატავს ნაციისტების „ბოზიციას“, მათ თვალსაზრისს, ნაციისტებმა კაცის კვლა პროფესიად გაიხადეს და სიკვდილი მათ გარშემო არც შეშფოთებას იწვევდა და აღარც სინანულს—პროფესიული მკვლევების წრეში სიკვდილზე „საქმიანად“, ემოციებისაგან უკუქცეულმა, „პროფესიულად“ უნდა ილაპარაკო.

კომპოზიციურად რომანის ბირთვს შეადგენს შვებულებაში მყოფი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, ნაწარმოების მთავარი გმირის, ერნსტ გრებერის მიერ გატარებული 3 კვირა მშობლიურ ქალაქში (ე. ი. ჟამი სიცოცხლისა), ხოლო ფრონტის ამბები, ომის საშინელებანი, ადამიანთა მასიური განადგურების სურათები (ე. ი. ჟამი სიკვდილისა) ამ ბირთვის ერთგვარ ჩარჩოს წარმოადგენს.

ერნსტ გრებერი მშობლიურ ქალაქში ხვდება თავის ძველ ნაცნობს ელი-ზაბეტ კრუხეს და მათ ერთმანეთი შეუყვარდებიან. მაგრამ „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“ არაა ტრაგიკული სიყვარულის ისტორია 14 დღე-ღამის განმავლობაში. აქ აქცენტი სრულიადაც არაა დასმული ტრფობაზე. მთავარი რომანიში სულ სხვაა: რემარკი გვიჩვენებს, თუ რა უბედურება, რა ფიზიკური და სულიერი განადგურება მოაქვს ომს, როგორ აუბედურებს იგი მილიონობით ოჯახს, ცოლ-შვილს, დედ-მამას, თვითონ ჯარისკაცს... და შეუძლებელს ხდის, სხვა ადამიანურ ამბებს შორის, ტრფობასაც. მაშასადამე, სიყვარულის ამბავი, რომელიც ორ კვირაში უნდა დასრულდეს, ამ საერთო გრანდიოზული უბედურების მხოლოდ ერთი პატარა მონაკვეთია, ერთი პატარა ნაწილი.

გრებერი ცდილობს ომისა და ნაციზმის საშინელებას ალკოჰოლსა და სიყვარულში, ვიწრო პირად ბედნიერებაში გაექცეს (ალკოჰოლი რემარკის ყველა გმირის თავშესაფარია). მაგრამ იმ დროს, როცა გარშემო სიკვდილი მძვინვარებს, როცა ყოველ წუთსა და საათში, ყოველდღე და ყოველღამე მის თვალწინ უამრავი ნაცნობი და უცნობი იხოცება, როცა ირველივ მიცვალებულთა და დასახიჩრებულთა გვამების მთებია აღმართული, გრებერი ვერ ახერხებს სულის სიმშვიდის მოპოვებას...

რომანში ნაჩვენებია გმირის ეგოლუცია. დასაწყისში გრებერმა იმტვრევდა ნაცისტების მიერ წამოწყებული ომის სამართლიანობისა თუ მიზანშეწონილების განსჯაზე. მაგრამ თანდათანობით მას თვალი ეხილება და ის რწმუნდება, რომ ნაცისტები აქამდე არნახული და გაუგონარი ბოროტმოქმედნი არიან, რომ მათი საქმე უსამართლოა და არაადამიანური, რომ ისინი დასაღუპად არიან გაწირულნი და რომ ომს გერმანელები აუცილებლად წააგებენ.

გრებერი დაუპირისპირდება ნაცისტებს, ნაცისტურ რეჟიმს, მაგრამ აშკარა პროტესტის გამოხატვას ანდა ბრძოლას ჰიტლერის წინააღმდეგ ვერ ახერხებს — ინდივიდუალური პროტესტი ანდა ბრძოლა უაზრობა იქნებოდა, ხოლო ანტიფაშისტურ მოძრაობასთან მას კავშირი არა აქვს. ბოლოს მისი ერთადერთი ანტიფაშისტური აქტი მდგომარეობს ფანატიკოსი, განხევებული ნაცისტის შტაინბრენერის მოკვლაში, რომელსაც დატყვევებული რუსი პარტიზანების დახვრეტა უნდა უკანდახვევის დროს.

...რემარკი გვიჩვენებს, რომ სისხლისღვრისა და მასიური ყლექის, ნგრევისა და განადგურების პირობებში უჭირთ არა მარტო ადამიანებს, არამედ პირუტყვებსაც. ერთხელ გრებერი და მისი უახლოესი მეგობარი ფრეზენბურგი შეამჩნევენ, რომ ფრონტზე ჯიშისანი მალალი ძაღლი მოსულიყო ადამიანების მახლობლობაში: საჭმელი მას არ აკლდა, რადგან ველებზე უზომოდ ეყარა დაუმარხავი გვამები, მაგრამ ძაღლს ნარტოობა მოსწყენოდა და ადამიანებთან ყოფნა მონატრებოდა.

„— ეშინია, — თქვა გრებერმა.

— ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ კარგი ძაღლია.

— და კაციჭამიაც ამასთანავე.

— ფრეზენბურგი გრებერს მიუბრუნდა.

— ყველანი კაციჭამიები ვართ.


— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს ასეა. და ჩვენ, როგორც ვე, ვფიქრობთ, რომ კარგები ვართ და ჩვენც, როგორც ვე, ვეძებთ მცირეოდენ სითბოს, სინათლეს და მეგობრობას“.

საყოველთაო ქაოსისა და წარღვნის პირობებში სრული, აუმღვრეველი ბედნიერება შეუძლებელია, გაქრა გულისა სიცილი, ნამდვილი სიხარული, დარჩა მხოლოდ ბედნიერების ნატყებები, დროებითი, მომენტური, წუთიერი გამოკრთობა სიამისა. სიმბოლური აზრითაა დატვირთული ფრეზენბურგის დასახიზრებული სახის აღწერა: „ფრეზენბურგმა ცალი ყბით გაიღიმა. მეორე თითქმის უძრავად ჰქონდა გაშეშებული ვეება ნაჭრილობევის გამო. ეს მხარე თითქოს მკვდარი იყო და ამის გამო გრებერს ყოველთვის უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, როდესაც ამ ღიმილს ხედავდა, რომელიც სახის გარკვეულ ზღუდემდე ცოცხლობდა მხოლოდ.

ეს თითქოს შემთხვევითი არ იყო“.

კატასტროფებით, კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში მოკვდა ღმერთი (რაც ჯერ კიდევ ნიცშეს ზარატუსტრამ გვაუწყა და რაც ნიცშეს არ სწყინდა).



ჩაკვდა რწმენა, ჩაკვდა პატივისცემა და მოწიწება სულიერ, იდეალურ ღირებულებათაღმძი. სიმბოლიურად ეს მდგომარეობა შესანიშნავადაა ნაჩვენები მარკის მიერ ასეთი სურათით: ფრონტზე, რუსეთში ერთ ძველ ეკლესიაში კუთხეში მიყრილი იყო ქრისტესა და ღვთისმშობლის გამოსახულებანი. მარიამს მკლავები გაეშალა, მაგრამ ხელის მტევნები წაგლეჯილი ჰქონდა. ქრისტეს ფეხები აკლდა, თითქოს ამპუტირებული ქრისტე ეცვათ ჯვარს...

...ღმერთი მოკვდა (გვაუწყა ზარატუსტრამ და ნიცემ განხარა): გრებერმა ღამით ჩაუარა ეკლესიას. კართან მან შეამჩნია: წმინდანთა გამოსახულებანი გარეთ გამოედგათ თოვლში, რადგან ეკლესიაში ჰოსპიტალი მოეწყობოთ და მცირედი ადგილიც კი ძალიან საჭირო იყო... წმინდანთა გამოსახულებანი კი... არავეთარ პრაქტიკულ დანიშნულებას არ ასრულებდნენ.

...ხას გრებერი თავისი სახლის ნანგრევებზე ფრონტიდან შევებულებაში მცირე ხნით თავის ქალაქში დაბრუნებული, დედ-მამა ვერ უბოვია. გარშემო ცეცხლით გადასრუკული და ჩამოქცეული ქალაქია, რომელსაც ყოველ წამში ახალი დაბომბვა ელის და იქვე გვერდით ქარს შემთხვევით გადაშულია დაფლეთილი კატეხიზმოს წიგნი იმ ადგილას, საცა წერია, რომ ღმერთი მოწყალეა, ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე და უსახღვროდ კეთილი და ა. შ. და როცა ერნსტი გადმობობლდა ნანგრევებიდან, რემარკი ხაზგასმით აღნიშნავს, მას კატეხიზმო თან არ წამოუღლიაო...

...რემარკს არ უყვარს საშინელების შერბილება—მიფუჩეჩება, ის „შეუბრალებელი“ მწერალია, რადგან დროის სულს გამოხატავს. რემარკი არ „ინდობს“ თავის გმირებს, არ აკლებს მათ ბედის მწარე დაციუნვასა და „პარადოქსალურ“ უყისმათობას. რომანში მოთხრობილია, რომ ვინმე რუმელი, რომელიც ფრონტიდან შევებულებაში 3 დღის წინ ჩამოსულიყო, ჩამოსვლის დღესვე შესწრებია საკუთარი ცოლისა და ქალიშვილის დაღუპვას. მას ცოლი, რომელსაც თავი წაგლეჯილი ჰქონდა, თეძოზე ხალით ეცნო. და ეხლა გამუდმებით თამაშობდა რუმელი სკატს, რათა თავი დაევიწყნა, ისე, როგორც ჯავრზე ლოთობენ ხოლმე.

...ნაციისტებმა გერმანელებს წაართვეს ნორმალური, ჩვეულებრივი ცხოვრების პირობები. და ის, რაც ადრე, სხვა ვითარებაში უმნიშვნელო, ჩვეულებრივი, ყოველდღიური გამოჩნდებოდა, ეხლა მას რომანტიკულის, სათავგადასავალოს იერი მისცემოდა. სხედან პატარა რესტორნის ბაღში გრებერი და ელიზაბეტი, ვახშობენ, ხვრევენ წვნიანს და თავი ბედნიერად მიაჩნიათ, რადგან გარშემო შიმშილია, უსახლკარობა და ქაოსი. „ახლა ჩვენ აღარაფერი არ გვაქლია,—თქვა ელიზაბეტმა.—თვარე ამოვიდა. ბაღში ვსხედვართ, კარგად დავნაყრდით და წინ კიდევ მთელი საღამო გვაქვს. ეს ისე დიდებულია, რომ ღამის ვერ გაუძლოს ადამიანმა.

— ასე ცხოვრობდნენ ადამიანები წინათ და ამაში განსაკუთრებულს არაფერს ხედავდნენ“—ამბობს გრებერი.

ამ დროს ადამიანთა ოცნება არ ცილდებოდა ყოველდღიური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფარგლებს. გრებერი ასე ოცნებობს: „ომის შემდეგ გავემგზავროთ იქ (ომისაგან დაუნგრეველ ქვეყნებში,—

ნ. კ.), ჩვენ ვნახავთ სრულიად დაუნგრეველ ქალაქებს. საღამოობით ისინი განათებული იქნებიან და არავის არ ექნება ყუმბარების შიში. ჩვენ ვხედავთ ნებთ გაჩირაღდნებულ ვიტრინების წინ და იმდენი შუქი იქნება ირგვლივ, რომ ბოლოს ველირსებით საღამოთიც ისევე კარგად დავინახოთ ხოლმე ერთ-მანეთი ქუჩებში, როგორც დღისით“.

ელიზაბეტის ოცნება კიდევ უფრო „მიწიერია“:

„რაც სხვებისათვის სრულიად ჩვეულებრივი რამ არის, ჩვენთვის დიდი ამბავი იქნება. მარტოდენ ჰაერიც კი, რომელშიაც ნახანძრალთა სუნი არ ტრიალებს, ანდა ვახშამი უბარათებოდ. მალაზიები, რომლებშიაც ყველაფერი შეგიძლია იყიდო, რაც გასურს“.

ერთგან თვითონვე ეძახიან ისინი ასეთ ბედნიერებას „ძროხის ბედნიერებას“ (Kuhglück).

...მაგრამ გრებერი კარგავს არა მარტო საკუთარი პიროვნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მას ართმევენ არა მარტო ყოველგვარ ადამიანურ უფლებას, არამედ „ძროხის ბედნიერებაზეც“ ეუბნებიან უარს და ბოლოს სიცოცხლესაც აკარგვინებენ. ერნსტ გრებერი მსხვერპლად ეწირება ნაციისტების მიერ წამოწყებულ ავანტურას. მას კლავენ პაულ ბოიმერივით ომის მიწურულში.

1956 წელს დაიბეჭდა რემარკის ახალი რომანი „შავი ობელისკი“.

რემარკმა ასეთი წინასიტყვაობა წაუძღვარა ამ რომანს: „ნუ გამკიცხავთ იმისათვის, რომ მე კვლავ ძველ დროზე ვლაპარაკობ. ქვეყანას ისევე აპოკალიპსის მკრთალი შუქი გადაფენია; ჯერ კიდევ არ გაფანტულა უკანასკნელი განადგურების სისხლის სუნი და მტერი, და უკვე ამუშავდნენ ლაბორატორიები და ფაბრიკები, რათა მშვიდობა ახლად გამოგონილი იარაღის მეშვეობით იქნას შენარჩუნებული, რომლითაც მთელი დედამიწის აფეთქება შეიძლება.“

— მშვიდობა—არასოდეს მასზე უფრო მეტი არ ულაპარაკიათ და არასოდეს ასე ცოტა არ გაუკეთებიათ მისთვის, ვიდრე ჩვენს დროში. არასოდეს უფრო მეტი წინასწარმეტყველი არ ყოფილა, არასოდეს ამდენი სიცრუე, ამდენი სიკვდილი, ამდენი განადგურება და ამდენი ცრემლი, რამდენიც ჩვენს საუკუნეში, მეოცე საუკუნეში, პროგრესის, ტექნიკის, ცივილიზაციის, მასიური კულტურისა და მასიური მკვლელობის საუკუნეში. ამიტომ ნუ გამკიცხავთ, რომ კვლავ ვუბრუნდები მითიურ წლებს, როცა იმედი ჯერ კიდევ დროშასა-ჭით დავგფრიალებდა თავზე და ისეთი საეჭვო ამბებისა გვწამდა, როგორიცაა ადამიანობა, სამართლიანობა, ტოლერანტობა, და გვჯეროდა აგრეთვე იმისაც, რომ მსოფლიო ომი მთელი თაობისათვის საკმაო ჭკუისმასწავლებელი იქნებოდა“.

რომანს ქვესათაურად აქვს: „დაგვიანებული ახალგაზრდობის ისტორია“. მოქმედების დროა 1923—24 წლები, ინფლაციის პერიოდი, მოქმედების არეგერმანული პროვინციული ქალაქი—ვერდენბრიუკი.

„შავი ობელისკი“ რემარკის რომანთა შორის ყველაზე ღრმა, ყველაზე მრავალწახნაგოვანი და ნაირბუნაგოვანი ნაწარმოებია. ის გაცილებით მდიდარია სხვა რომანებზე თემატიკისა და პრობლემატიკის მხრივ. აქ იმდროინდ-



ლი გერმანიის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეა ნაჩვენები და განხილულია. თუ აქამდე თავის ადრინდელ რომანებში რემარკი საკუთარ თავსაზრისს, საკუთარ სიმპათია-ანტიპათიას ერთობ შენიღბულად ამჟღავნებდა, თუ იგი ობიექტურ და სუბიექტურ ვითარებათა თავისებურად ობიექტური მთხრობელი იყო, ამ რომანში მწერალი, მართალია, ინარჩუნებს თხრობის ჩვეულ მანერას, მაგრამ ოდნავადაც აღარ ნიღბავს თავის სიძულვილსა და სიყვარულს. და თუ აქამდე მის ნაწარმოებებში უმთავრესად მომარჯვებული იყო ირონია და ჰუმორი, „შავ ობელისკში“ თითქმის სატირა და გროტესკი დომინირებს.

ლუდვიგ ბოდმერიც, რომანის მთავარი გმირი, გაცილებით ღრმა და ფილოსოფიურად ჩაფიქრებული ჭაბუკია, ვიდრე რემარკის ადრინდელი გმირები. მას ფართო სულიერი ინტერესები და ინტელექტუალური მოთხოვნილებანი აქვს. ბოდმერი ლექსებს წერს და წიგნებთანაც არაა მწყურალად. მას აწვალებს ცხოვრების აზრისა და მიზნის საკითხი, მორალური პათოსი გააჩნია და გულგრილად ვერ უვლის გვერდს უსამართლობასა და ბოროტებას. ადრინდელი რომანების პერსონაჟი შედარებით პრიმიტიულია: თუ ის ფრონტზეა, მაშინ მისი ფიქრები არ ცილდება საჭმელს, სითბოს და, საუკეთესო შემთხვევაში, სისუფთავეს, მეტისმეტად განსაკუთრებულ შემთხვევაში, ქალებს. თუ იგი ომს გადაურჩა, მაშინ გზაარეული ჯახირობს მცირეოდენი ეკონომიური პირობების შესაქმნელად. ამაზე შორს მისი ოცნებები ვერ ბედავენ გაჭრას.

ბოდმერის ნახევრად ხუმრობით წარმოებული დისკუსიები შეშლილთა ექიმთან—ვერნიკესთან და ამავე საფიქრის კაპელის მღვდელთან—ბოდენდიკთან ღრმა აზრის შემცველია. ბოდმერისათვის მიუღებელია ცხოვრების აზრისა და მიზნის, ადამიანური არსებობის როგორც შიშვლად ემპირისტული-ბიოლოგიური ახსნა, ასევე მისი ქრისტიანულ-დოგმატიკური ინტერპრეტაცია. მაგრამ პასუხს, რომელიც დააკმაყოფილებდა, თვითონაც ვერ პოულობს. შესაძლოა, ერთი შეხედვით უმართებულოდაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ რაღაცნაირი შორეული კავშირი მაინც არის „შავ ობელისკსა“, ერთი მხრით, და მე-20 საუკუნის ამ გერმანულ რომანს შორის, მეორე მხრით, რომელშიაც ახალგაზრდა გერმანელი ინტელიგენტის მსოფლმხედველობისა და ხასიათის ფორმირება, მის მიერ ცხოვრების აზრისა და მიზნის ძიებაა ნაჩვენები. მე მხედველობაში მაქვს თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“ და აღფრედ დობლინის „ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე თავის დასასრულს უახლოვდება“. მათი შედარება და შეპირისპირება ცალკე გამოკვლევის თემაა. აქ მხოლოდ გაკვრით შევნიშნავ, ლუდვიგ ბოდმერის თავისმეტყვევა ცხოვრების აზრისა და უაზრობის, მისი მიზნისა და უმიზნობის გამო რაღაცნაირად ეხმაურება ადრიან ლევერკიუნის ბედთან ჭიდილს („დოქტორი ფაუსტუსი“) და ედუარდ ელისონის („ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე თავის დასასრულს უახლოვდება“) მიერ ცხოვრების ტრაგიკულ განცდას.

...ლუდვიგ ბოდმერი იძულებულია იმუშაოს საფლავის ძეგლთა ფირმაში, აქ ის მხაზველის, ფირმის სარეკლამო განცხადებების მხატვრის, ბუნჰალ-


ტრის და კლიენტების მიმზიდველის მოვალეობას ასრულებს. ნაწარმოებში თხრობა პირველ პირში წარმოებს, ისე როგორც რემარკის პირველ სამ რომანში. მთხრობელი ლუდვიგ ბოდმერია, რომანი იწყება მისი საქმიანი, „მეცნიერული“ მსჯელობით იმის თაობაზე, რომ მათი ფირმისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ვაზაფხული და შემოდგომაა, რადგან სწორედ ამ დროს იზრდება სიკვდილიანობის რისკები. აქ არც ირონიაა და არც ცინიზმი. კაცი გულწრფელად და სერიოზულად ლაპარაკობს თავის ხელობაზე, ისე როგორც ფართოთი ანდა სხვა რაიმეთი მოვაჭრე ილაპარაკებდა საქონლის გასაღებას ან ჩაწოლაზე. ამით ხაზგასმულია ის გარემოება, რომ კულტურის კრიზისის პერიოდში, სულიერ ღირებულებათა გაუფასურების ეპოქაში გაქრა ის მოწიწება, იდუმალება და რიდი, რითაც წინა საუკუნეებში ადამიანის გარდაცვალება და თვით მიცვალებული იყო მოსილი.

„შავ ობელისკში“ შიშვლად, დაუფარავადაა ნაჩვენები მე-20 საუკუნის ევროპული კულტურის კრიზისი, სულიერ ღირებულებათა გაუფასურება და ფიზიოლოგიურ — გრძობად მოთხოვნილება — სიამოვნებათა ფეტიშად ქცევა. მასში თვალნათლივაა დანახული ცივილიზაციის მომძლავრება კულტურის ხარჯზე, ადამიანის პირუტყვამდე დაქვეითება, ტექნიკის, კომფორტის, ადამიანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიზიკურ-ბიოლოგიური კეთილდღეობის საშუალებათა ზრდა ადამიანობის, ადამიანური მორალის, უხილავი, ხელშეუხებელი სულიერი ღირებულების პატივისცემის არნახული ქრობის წილ. თანადროული ადამიანი ქვედა გრძობებითა და პრიმიტიული მოთხოვნილებებით ემსგავსება ველურს, მაგრამ ველურს, რომელიც ბანჯგვლებს მოხერხებული ელექტროსაპარსით იპარსავს, უოტერ-კლოზეტში დაიარება, საჭმელს დანაჩანგლით შეექცევა და ერთ დროს ადამიანისათვის წმინდადაღიარებულ გრძობებსა და მოვალეობებზე ცინიკურად ქილიკობს.

ამ საზოგადოებაში ხელოვნების, თეატრის ადგილი პრიმიტიულ, კეშმარიტად ველურის შესაფერის გასართობებსა და სანახაობებს დაუკავებია. ამ საზოგადოების ბინადართ წარმოუდგენლად დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს კედელში ჩაჭედებული ლურსმნის ქალის დუნდულებით ამოძრობა ანდა ასევე ქალის ხმის საოცარი ცვალებადობა სამხედრო ბრძანების ღრიალიდან უნაზესი ქალის ჟღერტულამდე.

...ლუდვიგ ბოდმერი და საფლავის ძეგლთა ფირმის ერთერთი მფლობელი, გეორგ კროლი, მეგობრები არიან. ისინიც, როგორც რემარკის გმირთა უმეტესობა, ფრონტზე დაქმნობილებულან. მაგრამ თუ „სამ ამხანაგში“ მეგობრობა, ალკოჰოლთან ერთად, ერთადერთი ნუგეში და თავშესაფარია ამქვეყნიურ ტანჯვათაგან, „შავ ობელისკში“ ეს უკვე ასე აღარ არის. აქცენტი აქ უკვე მეგობრობა-ამხანაგობაზე აღარაა დასმული. ლუდვიგ ბოდმერი ისვენებს, შვებით ამოისუნთქავს ხოლმე შეშლილ ქალთან, შენევიევა ტერჰოფენთან ყოფნისას. შენევიევა შიზოფრენითაა დაავადებული, მას თავი იზაბელე ჰგონია.

ბოდმერს ზარავს საგიჟეთს გარეთ გამეფებული მორალური მატერიალიზმი და უტილიტარიზმი, ანგარება და ცივი ანგარიში. ეგოიზმის, მატე-



რიალური ხეირისა და სარფის საერთო ატმოსფეროში იზაბელეს უანგარობა და გულუბრყვილობა და უშუალობა ბოდმერზე სასიკეთოდ და დამამშვიდებლად მოქმედებს. ეკონომიური გამორჩენის ამ საზარელ ბაქხანალიაში იზაბელე ჭეშმარიტ ადამიანად, ადამიანურ ადამიანად, ნორმალურ ადამიანად გვესახება. ავტორის მიერ სიმბოლურად ისაა ნათქვამი, რომ მატერიალური მოხვეჭის პირობებში უანგარობა და სარფისადმი გულგრილობა სიგიჟედ, ფსიქიკურ შეშლილობად მოჩანს.

ხოლო როდესაც იზაბელე განიკურნება, ე. ი. კვლავ იქცევა ჟენევიევა ტერპოფენად, ის ველარ იცნობს ლუდვიგ ბოდმერს, რომელიც სიგიჟის ჟამს უყვარდა. განკურნებასთან ერთად ჟენევიევა კარგავს უშუალობას, უანგარობასა და სიწრფელეს, ე. ი. ადამიანობას და ისიც ებმება უტილიტარულ-ეკონომიური ინტერესების ფერხულში.

...ასე გვევლინება ერიზ მარია რემარკის რომანები დიდ სარკედ, რომელშიც, მართალია, არც თუ მთელი სისრულითა და სისწორით, მაგრამ არაჩვეულებრივი სიცხადითა და სიმძაფრით აისახა ე. წ. დასავლური კულტურის აღსასრული.

გერმანული ენის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 3. I. 1960).

Н. М. Какабадзе

Романы Эриха Мариа Ремарка

Резюме

Эрих Мариа Ремарк является писателем т. н. „потерянного поколения“ („Verlorene Generation“). Он описывает страдания, муки и злоключения сбившегося с пути поколения, часть которого погибла в первой и во второй мировой войне, а другая, хотя и уцелела от бомб и гранат, но травмированная ужасами войны, никак не может найти себе места в жизни.

Тематика произведений Ремарка не отличается многообразием и многогранностью. Можно сказать, что в этом отношении в его романах отмечается ярко выраженная тенденция тематического и сюжетного повторения. Ремарк настойчиво разрабатывает одни и те же темы и ставит аналогичные проблемы. В его творчестве не возникают новые темы, но со временем меняется и углубляется трактовка и интерпретация этих старых тем.

В творчестве Ремарка в основном разрабатываются три темы:

1. Война, фронтовая жизнь солдат и ужасы войны („На западном фронте без перемен“, частично „Возвращение“, „Время жить и время умирать“) 2. Безуспешное усилие „потерянного поколения“, морально и психически опустошенного, стать на ноги и найти себе место в жизни („Три товарища“, „Возвращение“, „Черный обелиск“) 3. Хождение по мукам на чужбине немецких эмигрантов—антифашистов, их бесприютное, голодное и „беспаспортное“ существование в эмиграции („Люби ближнего своего“, „Триумфальная арка“). К этой же группе можно отнести роман „Искра жизни“ и пока что единственную пьесу Ремарка— „Последняя остановка“. В этом романе изображается жизнь одного нацистского концентрационного лагеря, в пьесе же описывается бегство из концлагеря двух узников и их злоключения в последние дни „Третьей Империи“.

...У Ремарка с самого же начала его творческого пути появилось много приверженцев и противников. Первые его считали большим писателем, вторые же утверждали, что Ремарк писатель средних способностей, которого случайность и конъюнктура сделали столь знаменитым; они утверждали, что его первый роман заслужил внимание всего мира не художественным достоинством, а актуальностью темы, что его эмоциональное содержание совпало с настроением масс. Противники Ремарка язвительно замечали, что Ремарк должен доказать, соответствует ли его талант той популярности, которую он незаслуженно завоевал своим первым произведением. И когда писатель в 1931 году опубликовал свой второй роман— „Возвращение“ (среди его произведений самое слабое), „антиремаркисты“ стали ликовать, что Ремарк не выдержал экзамена, следовательно, его первый успех был случайным и незакономерным. Но предположение спештиков Ремарк со временем опровергнул: он написал романы („Время жить и время умирать“, в особенности же „Черный обелиск“, не говоря о других), которые отличаются несравненно более глубоким идейным содержанием и совершенством формы, нежели его ранние произведения, в том числе и первый роман.

В данном труде опровергается довольно распространенное мнение, будто Эрих Мариа Ремарк после первого романа ничего качественно нового создать не смог и на конкретном анализе отдельных его произведений иллюстрируется положение о постепенном и неуклонном развитии писателя.

Эрих Мариа Ремарк отличный „диагностик“: он хорошо видит симптомы болезни западного мира, но как и другие современные критические реалисты, не знает „терапии“ этого недуга, не видит конкретного выхода из современного западно-европейского культурного и духовного кризиса. Ремарк правильно замечает тот факт, что в настоящее время культура и цивилизация, мораль и техника являются противоположными силами, но он не знает средств для преодоления этого антагонизма.

შოთა ჩავიშვილი

რომანტიზმის პრობლემის მარქსისა და ენგელსისა გადაწყვეტა

იმ დროს, როდესაც მარქსი და ენგელსი გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, რომანტიზმისადმი დამოკიდებულების გარკვევას, მის კრიტიკას პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც რომანტიკულ იდეებს ფართოდ ჰქონდათ მოკიდებული ფეხი საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა სფეროში, პოლიტიკასა და სამართალში, ფილოსოფიასა და ხელოვნებაში.

ივლისის რევოლუციამ ძირითადად დაასამარა რომანტიკული სულისკვეთება, მაგრამ გერმანიისთანა ჩამორჩენილ ქვეყანაში იგი კვლავ განაგრძობდა ბოგინს და ტონს აძლევდა ქვეყნის მთელ იდეოლოგიურ ცხოვრებას. დასავლეთ-ევროპული რომანტიზმი წარმოიშვა იმ დიდი სოციალურ-ისტორიული და პოლიტიკური ძვრების შედეგად, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფეოდალური სისტემის ნგრევისა და ბურჟუაზიული საზოგადოების შექმნის პროცესში; შედეგად მოჰყვა 1789—1794 წლების საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა სხვა ქვეყნებისათვისაც, კერძოდ გერმანიისათვის. ფეოდალიზმის დამხობის შედეგად საფრანგეთში დამყარდა ბურჟუაზიის წმინდა ბატონობა, განხორციელდა დიდ განმანათლებელთა მიერ წამოყენებული თანასწორობის, ძმობისა და სამართლიანობის რაციონალური გაგება. განმანათლებლებმა არაგონიერად გამოაცხადეს ყველა ტრადიციული წარმოდგენა, ყველა წინანდელი საზოგადოებრივი ფორმა, უარყვეს ყოველივე წარსული და მოითხოვეს, რომ ცრუმორწმუნეობასა და უსამართლობას, პრივილეგიებსა და ჩაგვრას ადგილი დაეთმო სამარადისო ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისათვის, ბუნებაზე დაფუძნებული თანასწორობისა და განუხსვისებელი ადამიანური უფლებებისათვის. ბურჟუაზიისთან ერთად განმანათლებლებს სურდათ გაენთავისუფლებინათ მთელი ტანჯული კაცობრიობა, დაემყარებინათ საყოველთაო კეთილდღეობა, რაკი ვერ ამჩნევდნენ ბურჟუაზიის შიგნით უკვე მაშინ წარმოშობილ წინააღმდეგობას.

დროთა მსვლელობასთან ერთად ნათელი მოეფინა განმანათლებელთა რწმენის ილუზორულ ხასიათს; აშკარა გახდა, რომ მათი იდეალი — გონიერი სახელმწიფო — იყო მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა; რომ სამარადისო გონება სინამდვილეში იყო ჭკუა იმ საშუალო წოდების მოქალაქისა, რომელიც მაშინ ემზადებოდა გადაქცეულიყო ბურჟუად. აღმოჩნდა, რომ ახალი დაწესებულებანი არ იყვნენ აბსოლუტურად გონიერნი, თუმცა იყვნენ



რაციონალური წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით. გონების განიცადა სრული მარცხი. ძალდატანებითი ჩაგვრის ადგილი დაიჭირა მოსყიდვამ, მახვილის ადგილას საზოგადოებრივი ძალის პირველ ბერკეტად იქცა ფული. რევოლუციური დევიზი „ძმობა“, — აღნიშნავს ენგელსი, — განხორციელდა კონკურენციის გაიძვერობასა და შურიანობაში¹.

საფრანგეთის რევოლუცია თავისი არსებით იყო ბურჟუაზიული; მაგრამ რევოლუციის მთელი სიმძიმის გადატანა ბურჟუაზიაზე უფრო მეტად მოუხდა ფრანგი ხალხის ფართო მასებს, რომელთაც საკუთარ მოთხოვნილებათა ბეჭედი დასვეს რევოლუციის მთელ მსვლელობას; გაიღეს ყველაზე დიდი მსხვერპლი, მაგრამ რომელთაც — ამის მიუხედავად — ვერ მოიპოვეს თავისუფლება და პრივილეგიები. რევოლუციის მონაპოვრებით ისარგებლა მსხვილმა ბურჟუაზიამ, ხოლო ჩაგვრითა და ექსპლოატაციით გასრესილ შრომელებს წილად ხვდათ მონობის ახალი უღელი და ექსპლოატაციის ახალი ფორმა და მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ხალხისათვის უშედეგოდ ჩაიარა, მან მაინც ითამაშა დიდი როლი რევოლუციური დემოკრატიის კლასობრივი თვითშეგნების საბოლოოდ ჩამოყალიბებაში; დაბადა კომუნისტური იდეა, რომელიც 1830 წლის შემდეგ საფრანგეთში შემოიღეს ხელახლა და რომელშიც თანმიმდევრულადაა დამუშავებული ახალი მსოფლიო წყობის იდეა. საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ისეთი იდეები, რომლებიც ვერ ეტყვიან ძველი წყობილების იდეათა ფარგლებში².

ბურჟუაზიის ბატონობა მიუღებელი აღმოჩნდა არისტოკრატისათვის და აგრეთვე იმათთვის, ვინც რევოლუციის შედეგებს აღიქვამდა ხალხის კეთილდღეობის პრიზმიდან. უკმაყოფილო აღმოჩნდა არისტოკრატია, წვრილი ბურჟუაზიის პროგრესული ნაწილი და ხალხის ფართო ფენები. გაბოროტებული არისტოკრატია სევდიანობდა გაუქმებული ქონებრივი და იურიდიული პრივილეგიების გამო; წვრილი ბურჟუაზია კვლავ შეეცადა მოქცეულიყო დემოკრატიული მოძრაობის სათავეში და პრესის სანგრებიდან ეკრიტიკებინა სინამდვილის ცალკეული მხარეები, იერიშები მიეტანა როგორც მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობაზე, ასევე უფლებებში არისტოკრატის აღდგენის ცდებზე.

რევოლუციის შედეგებით უკმაყოფილების სულისკვეთება საბოლოოდ ჩამოყალიბდა რომანტიზმში — საფრანგეთის რევოლუციური მოვლენებისა და განმანათლებელთა იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართულ რეაქციაში. ამ რევოლუციამ საერთოდ გამოიწვია ორი რეაქცია, რომელთაგან პირველი, როგორც აღინიშნა, იყო რომანტიზმი. ენგელსისადმი გაგზავნილ ბარათში (1868 წლის 25 მარტს) მარქსი აღნიშნავდა, „პირველი რეაქცია საფრანგეთის რევოლუციისა და მასთან დაკავშირებული განმანათლებლობის წინააღმდეგ... ის იყო, რომ ყველაფერს შუა საუკუნეების თვალსაზრისით, რომანტიკულად უყურებდნენ“³. პირველი რეაქცია, ამგვარად, გამოხატავდა დამხობილი ფეოდალური კლასის

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩული ნაწერები, ტ. II, გვ. 134, 1950.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, гв. 147.

³ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩული წერილები, გვ. 212.

უკმაყოფილებას და შიშს მომავლის წინაშე; გადაჩეხავს შორეულ წარსულში და გატაცებას ავადმყოფური, მისტიკური სულისკვეთებით. ფეოდალური ტოკრატის ინტერესებთან ერთად რეაქციული რომანტიზმი გამოხატავდა სულისკვეთებას წვრილი ბურჟუაზიის იმ კონსერვატიული წრეებისაც, რომლებიც დაზარალდნენ ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებით.

მეორე რეაქცია დაკავშირებული იყო გადატრიალების შედეგებით უკმაყოფილო ხალხის მასების ლიბერალური წვრილი ბურჟუაზიის მოძრაობასთან. საზოგადოების ამ ნაწილის რომანტიკული სულისკვეთება ატარებდა პროგრესულ ხასიათს, რაკი იგი იყო განმანათლებელთა, აგრეთვე რევოლუციონერთა იდეალებისა და ტრადიციების ერთგვარი მემკვიდრე. რევოლუციური და დემოკრატიული ელემენტები ასახვდნენ ხალხის ფართო ფენების ინტერესებს, ატარებდნენ ღრმა დემოკრატიულ პათოსს და არა იშვიათად დგებოდნენ აშკარა რევოლუციურ პოზიციებზე. იმავე ბარათში მარქსი წერს: „მეორე რეაქცია.. იმაში მდგომარეობს, რომ შუა საუკუნეებს იქით ყოველი ხალხის პირველყოფილ ეპოქაში ჩაიხედონ. და აი სწორედ იქ ისინი განცვიფრებულნი ნახულობენ უძველესში უახლოესს და თავისუფლების იმგვარ დამცველთ, რომ პრუდონიც კი შეძრწუნდებოდა“. ეს მეორე რეაქცია, მარქსის მითითებით, — შეესატყვისება სოციალისტურ მიმართულებას¹. რომანტიკოსთა ერთი ნაწილის იდეები დაუკავშირდნენ ადრინდელი სოციალისტ-უტოპისტების მოძღვრებას. რომანტიზმის შიგნით ორ მიმდინარეობას — რეაქციულსა და პროგრესულს — საერთო ჰქონდათ აწმყოსადმი უკმაყოფილების გრძნობა და საზოგადოების ხელახლა მოწყობის სურვილი. იდეური განსხვავება კი მათ შორის იმაში მდგომარეობდა, რომ რეაქციული რომანტიზმი გეზს იღებდა წარსულზე, რეაქციულ ძალებზე, ხოლო პროგრესული რომანტიზმი — მომავალსა და პროგრესულ ძალებზე.

რომანტიკულმა სულისკვეთებამ ფართედ მოიკიდა ფეხი გერმანიაში. ამ ქვეყნის საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა მიიღო რეაქციულ-რომანტიკული სულისკვეთება, გაიზიარა რესტავრაცია ისე, რომ არ გაუზიარებია სხვა ხალხების რევოლუციები. 40-იან წლებში რომანტიზმმა რამდენადმე შეიცვალა შინაარსი და დაივალა საღვთო კავშირის იდეების დაცვაც. ფეოდალური მიწათმფლობელების ინტერესების დაცვასთან ერთად, რეაქციული რომანტიზმი იმასაც ამტკიცებდა, თითქოს ბურჟუაზიული მესაკუთრეობის სულისკვეთებას უფრო შუასაუკუნოებრივი ქალაქების ცეხური წყობა შეეფერება, ვიდრე საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეალები. სწორედ აქ პოულობს დასაბამს რომანტიკოსთა გატაცება შუასაუკუნოებრივი ქალაქების ვითომც აბოლიტიკური ცხოვრებით. იაკობინიზმით დაშინებულმა ბურჟუაზიამ ხელთ იგდო ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები და სცადა მოქცეულიყო დემოკრატიული მოძრაობის სათავეში. რომანტიკულმა სულისკვეთებამ გერმანიაში განსაკუთრებით რეაქციული ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1840 წელს სახელმწიფო ტახტზე ავიდა ფრიდრიხ ვილჰელმ მეოთხე — რომანტიკოსი მეფე. იმის გამო, რომ გერ-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 212—213.



მანიაში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი მეტად ხანგრძლივად დაზმულად მიმდინარეობდა, არ იყო პროგრესული რომანტიზმის მასშტაბები. ბელი ფართო სახალხო-რევოლუციური მოძრაობა, ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხე ოცნებობდა ქრისტიანულ-ფეოდალური მონარქიის აღდგენაზე და ყველაფერს აკეთებდა შუასაუკუნეობრივი გადმონაშთების დასაცავად. ამ მეფეს სძულდა პრუსიის მონარქიის ბიუროკრატული ელემენტი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მთელი სიმპათიები განეკუთვნებოდნენ ფეოდალურ ელემენტს. იგი ცდილობდა შეძლებისდაგვარად აღედგინა აზნაურობის გაბატონებული მდგომარეობა, ისეთი შუასაუკუნეობრივი ყოფა, რომელშიც მეფე არის სამეფოს პირველი აზნაური და ერთგულ ქვეშევრდომთა ყოფის გამგებელი საკუთარი სურვილების მიხედვით. ამ მეფემ ზოგი რამ მართლაც გააკეთა თავისებურად გავებული ლიბერალური სულისკვეთების დასანერგად. მოჩვენებითი ადამიანობით და ყალბი კეთილშობილებით, მან მაგიური ელვარების შარავანდედით შენიღბა გერმანიის ბეჩავი სინამდვილე და პროზაული ყოფა, ვაშიშვლებული სიმდაბლე და უსულგულო ტირანია. მოვლენათა ისტორიული მსვლელობით და შემდეგ რომანტიკოსი მეფის ხელის შეწყობით გერმანულმა რომანტიზმმა ძირითადად რეაქციული ხასიათი მიიღო, გამოავლინა ორმხრივი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, ორმაგი ბუნება: შეეცადა რეალურ მოვლენებში აღმოეჩინა მშვენიერი სული იმ დროს, როდესაც იქ ბატონობდა ანგარება და უსულგულო პროზა.

პოლიტიკის მტკივნეული საკითხებით დაინტერესებულმა მარქსმა და ენგელსმა, როგორც ითქვა, გვერდი არ აუხვიეს რომანტიზმის გამოვლენას საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა სფეროში. ანტირომანტიკული იდეებით გამოდიოდნენ აგრეთვე მემარცხენე ჰეგელიანელები, კერძოდ რობერტ პრუცი. ლიტერატურის, ღვთისმეტყველებისა და პოეზიის სფეროდან რომანტიზმის აღმოფხვრას მოითხოვდა არნოლდ რუგე. მაგრამ ყველაზე ძლიერი, დასაბუთებული და ენერგიული იერიში რომანტიზმზე პირველად სწორედ მარქსმა და ენგელსმა მიიტანეს. ამ პერიოდში (1844 წლამდე) ეს ადამიანები ძირითადად ჰეგელიანელი იდეალისტები იყვნენ, მაგრამ თავიანთი მასწავლებლის დოქტრინიდან ათეისტურსა და მატერიალისტურ დასკვნებს აკეთებდნენ და უკვე, განსაკუთრებით 1842 წლის შემდეგ, იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ, ხოლო რევოლუციური დემოკრატიზმიდან — კომუნისმისაკენ გადადიან, რის გამოც მათ მიერ წარმოებული კრიტიკა რომანტიზმისა ატარებს მეცნიერულად დასაბუთებულს და პოლიტიკურად მგზნებარე ხასიათს.

პირველი სფერო, რომელშიაც მათ წამოიწყეს ბრძოლა რეაქციული რომანტიზმის წინააღმდეგ — იყო პოლიტიკის სფერო და ამ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტივობდა მარქსი. იგი, კერძოდ თავს დაესხა რაინის ლანდტაგის დეპუტატთა ერთი ნაწილის სიტყვებში და პრუსიის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ დოკუმენტებში გატარებულ რეაქციულ-რომანტიკულ სულისკვეთებას; ხოლო ენგელსმა იერიშები მიიტანა რომანტიზმზე ფილოსოფიისა და კანზმულსიტყვაობის სფეროში.


თავადაზნაურობის ინტერესების გამტარებელი რაინის ლანდტაგში, როგორც ვერსიონის კონტროლს საზოგადოებრივი აზრის მხრივ. ლანდტაგში გამოსული დეპუტატები ყოველნაირად აიდეალბდნენ გერმანიის ბეჩავ სინამდვილეს, ფეოდალურ-აბსოლუტურ მონარქიას; თავს ესხმოდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას და თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლენას. ლანდტაგში ირჩეოდა სხვადასხვა საკითხი, მათ შორის პრესის თავისუფლებისა და ხე-ტყის ქურდობის საკითხი. პრუსიის მთავრობის მიერ იმ ხანებში გამოქვეყნებული საცენზურო ინსტრუქცია ავტორებს მოუწოდებდა „თავმდაბალი“ ჭეშმარიტებით შემოფარგვისა და თამამ აზრებზე ხელისაღებისაკენ, ხოლო ცენზორებს აძლევდა უფლებას ანგარიში გაესწორებინათ მთავრობისათვის სახიფათო იდეებთან, ჩაეხშოთ გამომცემელთა ინიციატივა და ნებისყოფა. და მაშინ, როდესაც ლანდტაგის დეპუტატები იწონებდნენ საცენზურო ინსტრუქციას, „ანგედოტას“ გვერდებზე გამოქვეყნებულ შრომაში — „შენიშვნები უახლესი პრუსიული საცენზურო ინსტრუქციის შესახებ“ — და „რაინის გაზეთში“ დასტამბულ სტატიას — „დებატები პრესის თავისუფლებისა და საერობო წოდებათა კრებების ოქმთა გამოქვეყნების შესახებ“ — მარქსმა ამხილა ინსტრუქციის რეაქციული ხასიათი; მიუთითა მის მიერ ადმინისტრაციის უხეში თავნებობის დაკანონების, და ამდენად, პოლიტიკური რომანტიზმის გატარების ცდაზე. ინსტრუქციაში ცენზურასთან დაკავშირებით, მიუთითებს მარქსი, თავი იჩინა „სულის რომანტიკამ“ (I, 126); მისთვის ნიშანდობლივი აღმოჩნდა რომანტიზმის განუყრელი თვისებები: „გაუარკვევლობა“, „ნაზი გულწრფელობა“ და „სუბიექტური თავშეუკავებლობა“ (I, 126). ინსტრუქცია წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან იმით, რომ იჩენს ორთოდოქსულობას თავისუფლებასა და ლიბერალიზმზე ლაპარაკის დროს, უგულვებელყოფს რედაქტორის შრომითს უნარიანობას და წინ აყენებს მის პიროვნებას. ინსტრუქცია ხასიათდება რომანტიკულობით; რომანტიზმი კი „ყოველთვის რჩება... ტენდენციურ პოეზიად“ (I, 128). ბოროტება, სთვლის მარქსი, მდგომარეობს პრესის ნაკლებ თავისუფლებაში და იმაში, რომ იგი დამოკიდებული უნდა იყოს სულიერსა და მატერიალურ ცენზურაზე. პრესის ალაღბედი ხელთ არ უნდა ჩაუვარდეს ცენზორს; მისი თვითნებობა და სუბიექტური მოსაზრებანი არ უნდა აღიმართოს დაბრკოლებად მკითხველთა ინტერესებსა და პრესის მოწოდებას შორის. უფროსის სურვილი კანონია ცენზორისათვის მაშინ, როდესაც იგი ყრუა ხალხის ინტერესების მიმართ (I, 172). შეუძლებელია პრესის შეზღუდვა, რადგანაც იგი, მარქსის რწმენით, არის სახალხო სულის ღია თვალი, საკუთარი თავისადმი ხალხის განხორციელებული ნდობა, სახელმწიფოსა და სამყაროსთან პიროვნების დამაკავშირებელი რგოლი. პრესა არის ხალხის სულიერი სარკე, „იდეალური სამყარო“, აღმოცენებული რეალური სინამდვილიდან — გამამდიდრებელი და აღმაფრთოვანებელი თვით ამ სინამდვილისა (I, 171). ყოველივე ამის, ე. ი. პრესის დანიშნულების აშკარა უგულვებელყოფას მარქსი ხედავს, როგორც მთავრობის წესდებაში, ასევე ლანდტაგის დეპუტატთა სიტყვებში. წესდებაში პრესის შესახებ მოჩანს პოლიტიკური რომანტიზმის ბუნება, წესდება მეტად ლამაზია და



პოეტური გარეგანი შესახედაობით, მაგრამ იგი ატარებს რეაქციულ რწმენას და პროზაულ შინაარსს. წესდებაში ლაპარაკია ადამიანობასა და პოეტურ ბუნებაზე მაშინ, როდესაც მისი ნამდვილი მიზანი არის ადამიანის ფაქტიური დამორჩილება და რეაქციული იდეების გატარება. პრუსიის მეფის რომანტიკული პოლიტიკა ლაპარაკობს თავისუფალი აზრის განვითარებაზე, ნამდვილად კი აწესებს ისეთ დრაკონულ პირობებს, რომელშიც მწერალი და რედაქტორი მსხვერპლად ეწირებიან ცენზორის ინდივიდუალურ თვითნებობას.

პოლიტიკური რომანტიზმი მარქსმა ამხილა აგრეთვე ხე-ტყის ქურდობის საკითხზე მსჯელობის დროსაც. გერმანელმა გლეხებმა იწყეს „ქურდობა“ მაშინ, როდესაც მემამულეებმა მათ წაართვეს ტყით სარგებლობის უფლება და როდესაც ლანდტაგი ყველაფერს აკეთებდა მომხივანი მემამულეების სასარგებლოდ და „თავნება“ გლეხების ასალავმავად. ლანდტაგის ორატორები გულმოდგინედ ილუზიებით ლაპარაკობდნენ „მძარცველი“ ადამიანების სურვილებზე, იჩენდნენ ხალხისადმი რომანტიკულ-ლმობიერ დამოკიდებულებას, მაგრამ ამასთანავე პირადი შემოსავლის გასაზრდელად, ტყეში ფიჩხის შეგროვებას უკეთებდნენ ქურდობის კვალიფიკაციას და მოთხოვნიდნენ მძიმე სასჯელის დაწესებას მსგავსი საქციელის გამო. ლანდტაგის დეპუტატთა პოლიტიკური რომანტიზმი მარქსმა ამხილა სტატიის „დებატები ხე-ტყის ქურდობის საწინააღმდეგო კანონის გამო“. საზოგადოებაში, აღნიშნავს მარქსი, მეუფებს ანგარება. ამ უკანასკნელს გააჩნია „ორმაგი საზომი“, „ორმაგი მსოფლმხედველობა“ და „ორმაგი სათვალეები“. როდესაც საჭიროა „საეჭვო საშუალებათა შელამაზება“, მაშინ ანგარება იკეთებს ვარდისფერ სათვალეებს, რომელშიც ყველაფერი—იარაღი და საშუალებანი—მოჩანს ფანტასტიკური შარავანდედით. საკუთარ თავსაცა და სხვებსაც ანგარება ნანას უმღერის ნაზი სულის არაპრაქტიკული სასიამოვნო ოცნებით. ასე ხდება ყოველთვის, როდესაც ლაპარაკია ამაღლებულ იდეალებზე, მაგრამ საქმე იღებს სრულიად სხვაგვარ სახეს, როდესაც საჭირო ხდება ფაქტი საკუთარ სარგებლობაზე. ამ დროს ანგარება უნდობლად იკეთებს თავის პრაქტიკის სათვალეებს და დიდხანს ათვალეირებს ადამიანებს, რომლებიც მას ეჩვენება ისეთივე ბინძური და საბრალო, როგორიც თვითონაა (I, 239). პოეტური იდეალების ნაცვლად ამ სათვალეებში მოჩანს ყოველდღიური უხამსი სინამდვილე. დებატების მიმდინარეობის პროცესში ზოგი მწერალი ცდილობდა კერძო ინტერესების წარმომადგენლობაში დაენახა „იდეალური რომანტიკა“ და „გრძნობათა განუზომელი სიღრმე“; დაენახა „ზნეობრიობის ინდივიდუალურ და თავისებურ ფორმათა ყველაზე მდიდარი წყარო“. ამ ადამიანებს მარქსმა „მწერალი-ფანტაზიორები“ უწოდა და მიუთითა იმ ფაქტორზე, რომ „კერძო ინტერესმა“ არ იცის „არც საერთო და არც პროვინციული სული“, და რომ იგი, რომანტიკოსთა რწმენის საწინააღმდეგოდ, „სობს ყოველგვარ სულიერსა და ბუნებრივ განსხვავებას“ და მათ ნაცვლად კვარცხლბეკზე აყენებს „განსაზღვრული მატერიის“ და მისდამი მონურად მორჩილი, ცნობიერების უზნეო, უგუნურ და უგრძნობელ აბტრაქციას“ (I, 259).

მეორე სფერო, რომელშიც მარქსი და ენგელსი აღმბოხდნენ რეაქციულ რომანტიზმს, იყო სამართლის, კერძოდ სამართლის ისტორიის სფერო და მასშიც,



როგორც პირველ სფეროში, განსაკუთრებით აქტივობდა მარქსი. იგი წინაშეაშენებული აბათილებდა რომანტიკოსი ისტორიკოსებისა და იურისტების გერმანელი ხალხის წარსულის შეგნებული დამძინჩებით ტენდენციურად გაეიდეალებინათ შუასაუკუნეობრიობა; ხალხისათვის ჩაენერგათ პატივისცემა ფეოდალური სისტემისადმი; თავიდან აეცილებინათ ფეოდალური კლასის ისტორიული დაღუპვის აუცილებლობა. რომანტიკოს ისტორიკოსთა ცნების საწინააღმდეგოდ მარქსმა, ენგელსის სიტყვით, შეასწორა სამყაროს საძაგელი ისტორია და შეიტანა მასში სამარადისო ციური ნათელი (II, 210). მარქსი ხედავდა, რომ სამართლის ისტორიული სკოლის იდეებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რეაქციულ რომანტიზმთან. სამართლის ისტორიული სკოლის მესვეურების—გუსტავ გუგოს, ფრიდრიხ კარლ სავინის და გეორგ ფრიდრიხ პუხტას—აზრით სამართლის თეორიის ვითარება დაფუძნებულია ხალხის „სულის“ ორგანულსა და ხანდაზმულ განვითარებაზე. გუგო, კერძოდ, უგულვებელყოფდა კანონმდებლობითი ხასიათის ბურჟუაზიულ სამართალს და ამით მიზნად ისახავდა უწერი ფეოდალური ადამ-ჩვეულების დადასტურებას, ფაქტიურად არსებული მდგომარეობის გამართლებას. მისტიკური ხალხური „სულის“ ორგანული პროდუქცია სამართალში დაინახეს აგრეთვე სავინიმ და პუხტამ, რომელთაც სცადეს სამართლისათვის წაერთმიათ ზედნაშენური ხასიათი. — ხალხის თავისებურება ვლინდება მის სამართალში, ისევე როგორც მის ენასა და ზნეობაში, — ამბობდა პუხტა. ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა სამართალს მიანიჭეს უმალესი გონიერების სახე, მასში დაინახეს ხალხური სულის გამოხატულება, რომლის მოშველიებითაც აკურთხებდნენ არსებულ წყობილებას, აკანონებდნენ გარემომცველ ჩაგვრასა და უთანასწორობას, ასაბუთებდნენ გარემო სინამდვილის გონიერებას და მოჩვენებითად აცხადებდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახელმწიფო წყობასა და სამართლის ნაირობას შორის არსებულ წინააღმდეგობას.

მარქსი და ენგელსი, ცხადია, ვერ გაიზიარებდნენ სამართლის ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებებს ხალხური „სულისა“ და არსებული საზოგადოებრივი წყობის გონიერების შესახებ. 1842 წელს „რაინის გაზეთში“ მარქსმა აღმართა კრიტიკული მახვილი სამართლის ისტორიული სკოლისა და კერძოდ გუსტავ გუგოს წინააღმდეგ. შრომაში „სამართლის ისტორიული სკოლის ფილოსოფიური მანიფესტი“ მარქსმა მიუთითა გუგოს იდეალების ნაირობაზე. მართალია გუგოსათვის უცხოა ისტორიული სკოლის უკიდურესი მისტიციზმი და ხალხური „სულის“ ქადაგების იდეა, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია ბრძოლა XVIII საუკუნის განმანათლებელთა იდეების წინააღმდეგ. მტრობა რაციონალისტთა იდეებისადმი იყო ის, რაც საერთო ჰქონდა გუგოს სავინისა და პუხტასთან. ისტორიული სკოლის კრიტიკას სამართლის სფეროში მარქსი გუგოს შრომათა განხილვით იწყებს. ბუნების სამართლის გუგოსეული სახელმძღვანელო, — თვლის მარქსი, — არის ისტორიული სკოლის ძველი აღთქმა, ხოლო პირადად გუგო ამავე სკოლის წინამორბედი და შემომკმედი. გუგოს სახით მარქსი ხედავს არსებულის აშკარად დამცველს, მონობის გამამართლებელს, ადამიანს, რომელიც ავტორიტეტად აცხადებს ყოველივე არ-



სებულს, ხოლო ყოველივე ავტორიტეტს მიიჩნევს საფუძვლად (I, 210-211).
საკუთარ თავს გუგო აცხადებს კანტის მოწაფედ, ხოლო თავის ბუნებრივ სა-
მართალს — კანტის ფილოსოფიის ნაშიერად. მაგრამ იგი კანტს განმარტავს მე-
ტად მცდარად, რაკი თვლის, რომ რადგან არ შეგვიძლია ჰეგელის მარტივების შე-
მეცნება, ამიტომ ყოველგვარი ტყუილი ლოგიკურად, ხელაღებით უნდა მივიჩ-
ნოთ უტყუარობად, რაკი იგი არსებობს. უნდა ვცადოთ მივსცეთ სამართალს
გონიერი ხასიათი და უნდა შევიზღუდოთ დღესდღეობით რეალურად არსებული
სამართლის გონიერების აღიარებით. გუგოს რომანტიკოსობას მარქსი ხედავს
სწორედ ამ სკეპტიკურ დამოკიდებულებაში გონების მიმართ. სკეპტიციზმი ის
თვისება იყო, რომელიც აღმოაჩენდა საერთო განმანათლებლებსა და გუგოს,
მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რაციონალისტები იჩენდნენ სკეპტიციზმს არსე-
ბულის გონიერების მიმართ, ხოლო გუგო იჩენდა სკეპტიციზმს გონების არ-
სებობის მიმართ. „გუგო, — წერს მარქსი, — ემხრობა განმანათლებლობის
ეპოქას, მაგრამ პოზიტიურობაში არა ხედავს რაიმე გონიერს და მხოლოდ იმი-
ტომ, რომ გონიერში არ დაინახოს რაიმე პოზიტიური“ (I, 211). ყოველგვარი
ამორალურის გამართლება გუგოს დოქტრინაში ემსახურებოდა დესპოტიზმისა
და ძალადობის აპოლოგიას. რეაქციულ-პრუსიულ სახელმწიფოს, რომელსაც
აიდეალებდა სამართლის ისტორიული სკოლა, მარქსმა დაუპირისპირა გონიერი
სახელმწიფო, რომელიც ნასესხები იყო ჰეგელის და არა განმანათლებელთა
იდეური საგანძურისა. ბუნებრივი სამართლის თეორიას XVIII საუკუნის ენ-
ციკლოპედისტები იყენებდნენ დესპოტიზმის წინაშე პიროვნების დაცვის მიზ-
ნით, მაშინ როდესაც ჰეგელი მასში ხედავდა გონიერების განსახიერებას. იმ
დროს მარქსი ჯერ კიდევ იდეალისტურ პოზიციებზე იდგა¹.

წარსული დროით სამართლის ისტორიული სკოლის რომანტიკულ გატა-
ცებას მარქსი აკრიტიკებდა აგრეთვე შრომებში: „ჰეგელის სამართლის ფილო-
სოფიის კრიტიკისათვის“ და — ენგელსთან ერთად „გერმანულ იდეოლოგიაში“.
ამათგან პირველში ლაპარაკია შუასაუკუნეების გაიდელეებაზე. ეს სკოლა, —
აღნიშნავს მარქსი, — დღევანდელ სისაძაგლეს აკანონებს გუშინდელი სისაძაგ-
ლით და ყმის ყოველგვარ ყვირილს მათრახის წინააღმდეგ აცხადებს ამბო-
ხებად, თუკი ეს მათრახი არის ძველთა-ძველი, მემკვიდრეობითი, ისტორიული
მათრახი². საწინააღმდეგოდ პუხტას მოსაზრებისა, თითქოს სამართალს, რელი-
გიის მსგავსად, გააჩნდეს თავისი დამოუკიდებელი ისტორია, მარქსი და ენგელ-
სი „გერმანულ იდეოლოგიაში“ შენიშნავენ, რომ არც ერთი მათგანი არაა არსე-
ბული იმანენტურად, საზოგადოებისაგან მოწყვეტი. „თავისი ისტორია სამარ-
თალს აქვს ისევე ნაკლებად, როგორც რელიგიას“ (IV, 54). სამართლის
ისტორიული სკოლა იკვებება რეაქციული იდეებით; ბონალდის, დე-მესტრის
და ფრანგი ლევიტიმისტების პირველი თაობის სხვა მწერალთა იდეებით
(IV, 27).

¹ A. Cornu, Karl Marx und Friedrich Engels, т. I, 1954, S. 281—282.

² კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, გვ. 7, 1946.

გაოცებას არ იწვევს ის გარემოება, რომ კრიტიკის მთავარ ობიექტად მარქსმა ისტორიული სკოლის წარმომადგენელთაგან სწორედ გუგო მარათალია, იგი მთლიანად არ განთავისუფლებულა განმანათლებელთათვის ნიშანდობლივი სკეპტიციზმისაგან, არ გამსჭვალულა რომანტიკოსთა სულისკვეთებით, მაგრამ მისი ნააზრვეი მეტად დამახასიათებელია სამართლის ისტორიული სკოლისათვის, საერთოდ — გერმანული რომანტიზმისათვის. მარქსი აკრიტიკებს გუგოს თეორიულ დებულებებს, აკრიტიკებს იმგვარად, რომ იგი იღებს საერთოდ სამართლის ისტორიული სკოლის კრიტიკის სახეს, ყალბი ისტორიზმით რომანტიკოსთა გატაცების მგზნებარე მხილების სახეს.

მესამე იყო ფილოსოფიის სფერო, რომელშიც განსაკუთრებით აქტივობდა ენგელსი. მან კრიტიკის საგნად აქცია რეაქციული რომანტიზმის ესთეტიკის საფუძველი — შელინგის ფილოსოფია. ჰეგელის საწინააღმდეგოდ შელინგი თვლიდა, რომ აზროვნების ლოგიკური პროცესის შედეგი არის არა რეალური სამყარო, არამედ აზრი სამყაროზე. გონება განიხილავს შესაძლებელ და არა რეალურად არსებულ საგნებს, რაკი მას — გონებას — სინამდვილეში არ შეუძლია დაასაბუთოს რაიმეს არსებობა, მით უმეტეს — ღმერთის ნამდვილობა. ღმერთი კი არსებობს როგორც რეალური, და არა როგორც შესაძლებელი რამ; ამიტომაც ღმერთი უნდა იქცეს გამოცხადების სფეროს და არა გონების შესწავლის საგნად. აღრმავებდა რა ჰეგელის ფილოსოფიის იდეალისტურ მხარეს, მისგან განსხვავებით შელინგი გონებას განიხილავდა, როგორც რაიმე აბსტრაქტულს; აბსოლუტურის მცნებას აქცევდა ცარიელ და შიშველ აბსტრაქციად, რაკი იგი აღარ წარმოადგენდა იდეაში ბუნებისა და სულის ერთიანობას. შელინგს სურდა დაესაბუთებინა ღმერთის არსებობა, კერძოდ კი, ქრისტიანული დოგმის რეალობა.

ტრანსცენდენტური იდეალიზმის საკუთარი სისტემა შელინგმა დაამთავრა ხელოვნების თეორიით და ამით ესთეტიკას მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა. რეალისტური ხელოვნების მტრად და გერმანული რეაქციული რომანტიზმის იდეოლოგიურ ბელადად შელინგი იმით იქცა, რომ ხელოვნებაში აღმოაჩინა საზოგადოებრივი ცნობიერების ყველაზე მაღლა მდგომი ფორმა. შელინგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ხელი აეღო სინამდვილის ცდისეულ შესწავლაზე და მეცნიერების ადგილი „ახალი მითოლოგიისათვის“ დაეთმო.

ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში შელინგმა აშკარად იწყო მისტიკური „გამოცხადების ფილოსოფიის“ და რეაქციული იდეების ქადაგება. ბერლინის უნივერსიტეტის კათედრიდან 1841 წელს მან წაიკითხა ლექციები ჰეგელზე, რომელშიც სცადა როგორმე გაენაღგურებინა იმჟამად მთავრობისათვის სახიფათო ჰეგელის ფილოსოფია. მემარცხენე ჰეგელიანელთა მიერ ინტერპირებული ჰეგელი მთავრობას მიაჩნდა რევოლუციურ მოაზროვნედ, ხოლო მისი ფილოსოფია — რევოლუციურ-ფილოსოფიურ სისტემად. წავიდა ის დრო, როცა თავისი კონსერვატიულ-პოლიტიკური დასკვნების გამო ჰეგელის ფილოსოფია აღიარებული იყო სახელმწიფო-პრუსიულ სამეფო ფილოსოფიად. ახლებურად გაგებული ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა პრუსიის მთავრობამ დაავალა სწორედ შელინგს, რომელსაც თავისი ლექციებით




მსმენელთათვის უნდა შეეშხაუნებინა ჰეგელის ფილოსოფიური მსაზრისწინააღმდეგო საშუალება. რაკი საიმედო დასაყრდენს მთავრობა რელიგიისადმი ეკლესიაში ხედავდა, ამიტომ იგი ვერ მოითმენდა ანტირელიგიურ და ანტისარწმუნოებრივ პროპაგანდას თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდების მხრივ, მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა ჰეგელიანლების მიერ რელიგიის კრიტიკაში შენიღბული იყო თვით არსებული ხელისუფლების კრიტიკაც. „პოლიტიკა მაშინ, — იგონებდა შემდეგ ენგელსი „ლუდვიგ ფოიერბახში“, — მეტად ეკლიანი სარბიელი იყო და ამიტომ ბრძოლა უმთავრესად სარწმუნოების წინააღმდეგ მიიმართა; თუმცა იმ დროს, განსაკუთრებით 1840 წლის შემდეგ, რელიგიური ბრძოლა, არაპირდაპირ, პოლიტიკური ბრძოლაც იყო“¹. სწორედ ამიტომ რეაქციულმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტიდან გააძევა როგორც ბრუნო ბაუერი, ჰეგელის ფილოსოფიის მიმდევარი, ასევე ლუდვიგ ფოიერბახი, ამ ფილოსოფიის მოწინააღმდეგე.

შელინგის მისტიკური ლექციების კურსმა გამოიწვია მკვეთრი რეაქცია პროგრესულად განწყობილ მსმენელთა შორის. ენგელსი ერთი ამათავანი იყო. შელინგის დებულების წინააღმდეგ მან გაილაშქრა „გერმანულ ტელეგრაფში“ დაბეჭდილ სტატიაში: „შელინგი ჰეგელის შესახებ“ (1841) და მომდევნო წელს გამოქვეყნებულ ორ ბროშურაში: „შელინგი და გამოცხადება“, აგრეთვე „შელინგი — ფილოსოფოსი ქრისტეს სახით, ანდა მიწიერი სიბრძნის გადაქცევა ღვთაებრივ სიბრძნედ“. ამ შრომებში ენგელსი თავს ესხმის შელინგის ფილოსოფიას, მაგრამ იგი არც მთლიანად ჰეგელის ბანაკში გადადის. მემარცხენე ჰეგელიანელთა პოზიციებიდან იგი უტევს როგორც შელინგის, ასევე თვით ჰეგელის დოქტრინას. როგორც ახალგაზრდა ჰეგელიანელი, ენგელსი მსოფლიო სულს მიიჩნევს ისტორიული განვითარების მამოძრავებელ ძალად, ხოლო ჰეგელიანების ზეიმს — ყოვლისშემძლე იდეის განვითარების ფინალად. ჰეგელის მოძღვრების საპირისპიროდ შელინგის მიერ საკუთარი მისტიკური ნაბოღვარის წამოყენება ენგელსმა გამოაცხადა უსაფუძვლო ცდად და აზრთა სიბეჩავედ, მეცნიერულ პრინციპულობაზე ხელის აღებად და მონარქისადმი მონური სამსახურის ქადაგებად, მისტიკური გამოცხადებისა და რელიგიის აპოლოგიად. ამხილა რა ორთოდოქსული პიეტიზმი და ქრისტიანული სახელმწიფო, ენგელსმა აჩვენა, თუ როგორ გადაბარგდა შელინგი ფილოსოფიიდან რელიგიაზე და როგორ აქცია დამცირებული გონება რელიგიის მსახურად ღვთაებრივ სიბრძნედ ფილოსოფიის გამოცხადების მიზნით. „ეჩახები რა ასეთ დოქტრინას, — წერდა ენგელსი შელინგის მოძღვრების შესახებ, — მხოლოდ ზედმეტჯერ რწმუნდები იმაში, თუ როგორ სუსტ საფუძველზეა დაყრდნობილი თანამედროვე ქრისტიანობა“ (II, 162). შელინგმა ვერ დასძლია ჰეგელიანობის მისტიკური, აბსოლუტური სული, ვერ მოხსნა რწმენისა და გონების ურთიერთდამაპირისპირებელი დუალიზმი, ვერ მოახერხა გამხდარიყო ქრისტიანული სახელმწიფოსა და რელიგიის დამცველი. მისმა უსუსურობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მწვავე წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ქრისტიანულ სახელმწიფოსა და თავისუფალ ფილოსოფიას შორის.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 441.

ენგელსის კრიტიკული სამსჯავროს წინაშე შელინგის შემდეგ თანს უკვე არც ჰეგელი გრძნობს. ენგელსმა მიუთითა ჰეგელის ფილოსოფიის არათანმიმდევრულ ხასიათზე, კერძოდ ჰეგელის პრინციპებსა და დასკვნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. მიუთითებდა იმაზე, რომ ჰეგელის დასკვნები არაიშვიათად ზომიერია და თვით კონსერვატიულიც კი, მაშინ როდესაც პრინციპები ყოველთვის ატარებენ დამოუკიდებლობისა და თავისუფალი აზროვნების ნიშნებს (II, 117). ახალგაზრდა თაობამ ჰეგელის ფილოსოფიიდან უნდა იმემაკვიდროს ვარგისი და კეთილხარისხოვანი და უკუაგდოს ყოველივე, რაც ამის საწინააღმდეგო თვისებებს ატარებს. თვით ენგელსი შორდება და ემიჯნება ჰეგელს იმ საკითხში, თითქოს იდეა თავისთავად ისტორიის დემიურგი იყოს. იდეა უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში, განხორციელდეს თავისთავად, გარკვეული პოლიტიკური აქტივობით. აი, სწორედ ეს არ ესმოდათ ახალგაზრდა ჰეგელიანელებს. არ ესმოდათ ის, რომ შეუძლებელია თეორიიდან ჩამოცილებული იქნეს პრაქტიკა, იდეოლოგიური ბრძოლიდან — პოლიტიკური ბრძოლა. მაგრამ ენგელსს არც ის ავიწყდება, რომ ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა მაინც ამაგი დასდეს საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, რაკი თანმიმდევრულად განავითარეს ჰეგელის ფილოსოფიის ძირითადი, რაციონალური იდეა და ამდენად უკუაგდეს ჰეგელისავე ფილოსოფიის კონსერვატიული დასკვნები. ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა მოგვეცეს რელიგიის საფუძვლიანი კრიტიკა. „ქრისტიანობის ყველა ძირითადი პრინციპი, მეტიც — ყველაფერი, რაც საერთოდ აქამდე იწოდებოდა რელიგიად, იყო გაცამტვერებული გონების დაუნდობელი კრიტიკით; აბსოლუტური იდეა პრეტენზიებს აცხადებს ახალი ერის ფუძემდებლის როლზე“ (II, 118).

ენგელსმა კარგად აუღო ალღო, რომ შელინგის მიერ ჰეგელს კრიტიკაში არა სწარმოებდა მხოლოდ ფილოსოფიური პაექრობა. არა სწარმოებდა კამათი ორი სხვადასხვა განყენებული სისტემის წარმომადგენელს შორის. შელინგის ლაშქრობაში ენგელსმა მართებულად აღმოაჩინა ბნელეთისმოციქულთა პოლიტიკური გამოხდომა დემოკრატიულ ძალთა მოძრაობის წინააღმდეგ არსებული პრუსიული სახელმწიფო წყობის დასაცავად. განსაკუთრებით რეაქციული ხასიათი ჰეგელის ფილოსოფიამ მიიღო რესტავრაციის ზემოქმედებით. მისი კრიტიკაც საჭირო იყო სწორედ ამ მიმართულებით და არა იმიტომ, რომ ჰეგელმა რწმენის ახსნა გონებითა სცადა, როგორც ეს ეგონა შელინგს. ენგელსი ცდილობდა დაეძლია მოაზროვნე ჰეგელის ნაკლოვანებანი და მის გვერდით დაეყენებინა პოლიტიკური მეზობლი ბოერნე, რაკი ეს ორი ადამიანი, მისი ვარაუდით, „ერთნაირად მუშაობდნენ გერმანული-სულის განვითარებაზე“ (II, 71) — ერთი თეორიით, მეორე — პრაქტიკით. შელინგის წინააღმდეგ პაექრობის დროს ენგელსი ჯერ კიდევ არ იყო კომუნისტი. იგი იდგა მემარცხენე ჰეგელიანელთა პირველ რიგებში; ღმერთის რწმენიდან გადადიოდა ადამიანის რწმენაზე, და ოცნებობდა პიროვნების ბედის გადამწყვეტ ბრძოლაზე; სულის განვითარების საქმეში ენგელსი რელიგიას მიიჩნევდა დიდ დაბრკოლებად, და სთვლიდა, რომ რელიგიის მეურვეობიდან განთავისუფლებული სული დასაბამს მისცემს კაცობრიობის ახალ ერას.



რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომი ენგელსი გამოთქვამდა გერმანიაში რევოლუციის მოხდენის იმედს. მისი რწმენით, ეს რევოლუცია ააღორძინებს და ეროვნულად გააერთიანებს გერმანიას. „ახლოდება დიადი გადაწყვეტილების დღე, ხალხთა ბრძოლის დღე და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“ (II, 162). საჭიროა გაგრძელდეს ბრძოლა, რათა ბნელეთისმოციქულობაზე გონების გამარჯვებით შეიქმნას „ნამდვილად დადებითი ფილოსოფია, მსოფლიოს ისტორიის ფილოსოფია“ (II, 166), რომელიც, — ენგელსის რწმენით, — იქნებოდა საუკეთესო საშუალება ისტორიის გონიერი გზების აღმოსაჩენად.

ასოლუტიზმისა და არისტოკრატიის წინააღმდეგ საკუთარი სიძულვილი ენგელსმა ჩააქსოვა შელინგის გამო დაწერილ შრომებში, რაკი შელინგის დოქტრინა იყო რეაქციული რომანტიზმის ფილოსოფიური საფუძველი. რელიგიისა და რეაქციული რომანტიზმის კრიტიკით ენგელსი ანადგურებდა იმდროინდელ გერმანიაში გაბატონებულ იდეოლოგიას.

დაბოლოს, უკანასკნელი — მეოთხე — სფერო იყო კაზმულსიტყვაობის სფერო, რომელშიაც ძირითადად აქტივობდა ენგელსი; მსჯელობდა რომანტიზმის ლიტერატურაზე, მის წარმომადგენელთა ნააზრევზე და ნამოღვაწარზე. ენგელსი თავს დაესხა გერმანული ფოლკლორული მასალის წიაღში ხალხური „სულის“ რომანტიკულ ძიებას და ზეპირსიტყვაობითი მასალისადმი სუბიექტურ-ესთეტიკურ მიდგომას. თანამედროვე სინამდვილის უგულვებელყოფის მიზნით რეაქციონერი რომანტიკოსები ავროვებდნენ და აქვეყნებდნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. მაგრამ პუბლიკაციის ამ პროცესში ისინი ახდენდნენ ხალხური შემოქმედების ფალსიფიკაციას; ასუსტებდნენ ან სპობდნენ ზღაპრების რეალისტურ და სატირიკულ ხასიათს; რეალურ სინამდვილეს სცვლიდნენ ფეერიული მხარეებით; კონკრეტულ ადამიანებს — ფანტასტიკური სახეებით. რომანტიკოს პუბლიკატორებს არ აინტერესებდათ ფოლკლორული მასალის გამოქვეყნება იმ სახით, როგორაც არსებობდა იგი ხალხის წიაღში. ჰაიდელბერგელი რომანტიკოსების მიერ — არნიმი, ბრენტანო, ტიკი, გოერესი და სხვები — გამოქვეყნებული ხალხური წიგნები იყო ფოლკლორის ნამდვილად ხალხური შინაარსის დამახინჯება; ზღაპრებიდან პოეტური შინაარსის წინ წამოწევა და ამ ზღაპრების ჰუმპარიტი მნიშვნელობის გაუგებლობა. სტატიაში „გერმანული ხალხური წიგნები“ ენგელსი ლაპარაკობს გერმანული ხალხური ზღაპრების უშუალობაზე და დიდ პოეტურ ღირსებაზე. ეს წიგნები, ენგელსის აზრით, აღვივებენ ზნეობრივ გრძნობას, სამშობლოსადმი სიყვარულს და თავისუფლებისადმი ტრფობას. მათ ადამიანი გადაჰყავთ ბუნებრივ ყოფასთან მეტად ახლოს მდგომ სამყაროში. „ეს ძველი ხალხური წიგნები, მათი ძველებური ენით, მათი ბეჭდვითი შეცდომებით და ცუდი გრაფიკურებით, ჩემთვის ფლობენ განსაკუთრებულ პოეტურ მშვენიერებას. ჩვენი ნერვებდაძაბული დროიდან... მათ მე გადაყვევარ სხვა სამყაროში, რომელიც ბევრად ახლოსაა ბუნებასთან“ (II, 33—34).

რომანტიკოსთა მიერ გამოცემული სახალხო წიგნები კი მოკლებულნი არიან ნამდვილად ხალხურ იერს, ატარებენ ხელოვნურობისა და სტილიზაციის

დას. მართალია ტიკისა და გოერესის მიერ გამოცემული წიგნები რამდენიმე ატარებენ „პოეტურ სიმშვენიერეს“, მაგრამ მაინც, — ფიქრობს ენგელსი, — ზღაპრებს უნდა შერჩენოდათ ბუნებრივი სურნელება. „რას ნიშნავს ტიკის, გოერესის და სხვა რომანტიკოსების ავტორიტეტი, როცა გონება ლაპარაკობს იმის საწინააღმდეგოდ და როცა საქმე შეეხება გერმანელ ხალხს“ (II, 34).

ფოლკლორულ მასალას აგროვებდნენ აგრეთვე ძმები გრიმები. მაგრამ სხვა პუბლიკატორებისაგან განსხვავებით მათ არ უცდიათ ზღაპრების სტილიზაცია; არ უსურვებიათ დაეკანონებინათ შუასაუკუნეობრივი სიბეჩავე და გვერცელებინათ კათოლიკური რელიგიის დოგმები, მაგრამ გრიმები 30-იან წლებში ფოლკლორულ მასალაში ეძიებდნენ ხალხის „სულის“ გამოვლენას, და რაკი თვით ხალხი მიაჩნდათ სოციალურად არადიფერენცირებულ მასად, ამიტომ მისი „სულიც“ გაიგეს აბსტრაქტულად. ხალხის „სულის“ გამოვლენის კონკრეტული ფაქტების ძიებამ გრიმები ზეპირსიტყვიერების შესწავლამდე მიიყვანა. სხვა რომანტიკოსთა პუბლიკაციებისგან განსხვავებით, გრიმების მიერ გამოცემული „საბავშვო და საოჯახო ზღაპრების“ ორი ტომი ატარებდა შეუფერავ და ფოლკლორულ ხასიათს. ფეოდალური რეაქციის მტრებად გრიმები არასოდეს არ გამოსულან, მაგრამ მათ ერთგვარი კავშირი ჰქონდათ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, რომლის იდეური ზეგავლენითაც გრიმების ზღაპრებში თავი იჩინა თავისუფალი აზროვნების სულისკვეთებამ. გრიმების ლიბერალიზმი ვერ ჩაახშო აკვიტებულმა აზრმა იმის შესახებ, თითქმის სოციალურ შინაარსზე მეტად ფოლკლორში საინტერესო იყოს ფორმალური მონაცემები, კერძოდ იდიომები და ფრაზეოლოგიური ქცევები. ძველი ენისა და აზროვნების პრიმიტიული ფორმების აღორძინებით გრიმებს სურდათ გამოევლინათ ხალხის „სული“. გრიმების ზღაპრებმა შეინარჩუნეს კავშირი გერმანულ სინამდვილესთან და ამდენად ისინი აკმაყოფილებდნენ ფოლკლორული წიგნებისადმი ენგელსის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ენგელსი საოცარ მსგავსებას პოულობდა გრიმების ზღაპრებში აღწერილ პეიზაჟებსა და ჩრდილოეთ გერმანიის ტრამალების სურათებს შორის. ყოველ ზღაპარში ხედავდა იმის ნიშანს, რომ ისინი სწორედ ამ მხარეში არიან წარმოშობილი. გრიმების ზღაპრები ასახვენ საუკუნეთა განმავლობაში გერმანელი ხალხის ყოფისა და შრომის დუხჭირ პირობებს; საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა მომენტებს, მის მანკს; საზოგადოების ერთი ნაწილის ბრძოლას არისტოკრატიისა და კლერიკალობის წინააღმდეგ. გრიმების ზღაპრებში ჩაქსოვილია ბოროტებისა და ბნელეთის ძალებზე კეთილი ძალის — ხალხის ნებასურვილის — გარდუვალი გამარჯვების იდეა. მათში დაყენებულია ქორწინების, ოჯახის მოწყობის, ბავშვთა აღზრდისა და შრომის საკითხები; კიცხვის საგნადაა ქცეული ორპირობა და უქნარობა, სიხარბე და პირფერობა; გაკიცხულია მრავალ სამთავროდ დაქსაქსული გერმანიის ყოფა და წამოყენებულია სოციალური უფლებებისათვის ხალხის ბრძოლის იდეა. გრიმების ზღაპრებში მეტნაკლებად იჩენს თავს რეალიზმი, როგორც ბესტიარულსა და ჯადოსნურში, ასევე საკუთრივ საყოფიერო-რეალისტურ ზღაპრებში. მაგრამ გრიმები ვერ ამაღლდნენ საჭირბოროტო საკითხების აქტიურად გადაწყვეტის დონემდე; მათ ვერ მოითხოვეს ვერც სოციალური უსა-



მართლობის აღმოფხვრა და ვერც გერმანიის გაერთიანება დემოკრატიული წესებზე. ძმათა გრიმების ზღაპრები საერთოდ არაა დაწვრილი მთელი რიგი ნაკლოვანებებისაგან. სოციალური თემატიკის მკვეთრად გამოკვეთის ნაცვლად, გრიმები ხშირად კლასობრივი წინააღმდეგობის მიჩქმალვას ცდილობენ; ადასტურებენ მდიდართა და ღარიბთა ძმობის იდეას; აიდეალებენ ბედისადმი უსიტყვოდ მორჩილებას, თვითკმაყოფილებას და ქადაგებენ მეშინურ ფილანთროპიას, გულუბრყვილო მორალს.

გრიმები შეგნებით იკავებდნენ თავს ზღაპართა რომანტიკული შელამაზებისაგან და ცდილობდნენ მათი თავდაპირველი სახის, სიუჟეტისა და დეტალების შემონახვას; არ ერიდებოდნენ გერმანული ენის არქაული და დიალექტური ფორმების დაცვას; ცდილობდნენ ტექსტისათვის დაკარგული ხალხური ხასიათის დაბრუნებას და ენისა და აზროვნების პრიმიტიული ფორმების აღორძინებას. ყოველივე ძველის შეუფერავად გადმოცემამ გრიმები იმდენად გაიტაცა, რომ მათ ზოგიერთ ზღაპარში უნებლიედ გადმოსცეს თანამედროვეობისათვის შეუფერებელი, მაგრამ ძველი დროისათვის ნამდვილად დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი. ჯანსაღ აზრს, მაგალითად, ნამდვილად მოკლებული იყო გრიმების მხრივ რელიგიური რწმენისა და შუასაუკუნეობრივი ბარბაროსული სიმაკაცის გაიდეალება. და მაინც, ენგელსი მაღალი აზრის იყო ძმათა გრიმების ზღაპართა შესახებ; მას არ ავიწყებოდა არც ის, რომ ხალხურ წიგნთაგან ზოგიერთს ნამდვილად ესაჭიროება გონიერი გადამუშავება და რომ ამ საპატიო საქმეს რომანტიკოსთაგან თავს ართმევენ მხოლოდ გრიმები. სხვა რომანტიკოსებიდან გრიმები გამოიყო აგრეთვე მარქსმა. ლაპარაკობდა რა იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ საზოგადოების ერთი ნაწილი „ყველაფერს შუა საუკუნეების თვალსაზრისით, რომანტიკულად“ უყურებდა, მარქსი დასძენდა, რომ ამგვარი სულისკვეთებისაგან ვერ განთავისუფლდნენ „თვით ისეთი ადამიანებიც კი, როგორიც გრიმია“¹.

ენგელსი არ იყო შედარებით არქაულ ფორმებში ზღაპართა კანონიზაციის მომხრე, მაგრამ იგი ვერც იმას ურიგდებოდა, რომ ხალხური თქმულებები დამუშავებულიყო სუბიექტური მიკერძოებით, რომანტიკოსთა პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებების შესაბამისად, რასაც ჩვეულებრივად მოსდევდა გაყალბება. ენგელსი არ კმაყოფილდებოდა ხალხური ზღაპრების ფალსიფიკატორთა კიცხვით და გრიმების შექებით. იგი საკითხს განიხილავს ფართოდ და გვაწვდის მოსაზრებას ხალხური ზღაპრების დანიშნულებასა და ნაირობასთან დაკავშირებით; სტატიაში „გერმანული ხალხური წიგნები“ იგი გარკვევით აყალიბებს ასეთი წიგნების მიზანდასახულობას, მიუთითებს მის ამოცანებზე.

სახალხო წიგნების პირველი ამოცანაა მკითხველის გართობა. ასეთმა წიგნმა, მიუთითებს ენგელსი, უნდა გაართოს გლეხი. როცა იგი საღამოთი შინ ბრუნდება მძიმე დღიური სამუშაოდან, წიგნებმა უნდა გაართონ, გამოაცოცხლონ და აიძულონ იგი დაივიწყოს თავისი მძიმე შრომა; მისი ქვიანი მინდორი უნდა აქციონ კეთილსურნელოვან ბაღად. მეორე ამოცანაა—სინამდვილის შე-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, გვ. 212.

ლამაზება. ამ წიგნებმა ოსტატის სახელოსნო და ქარგლის საბრალო სხეუნი უნდა წარმოადგინონ პოეზიის სამყაროდ, ოქროს სასახლედ, ხოლო მისი ჩატყვნილი ტურფა — საოცრად მშვენიერი სეფექალის სახით. მესამე ამოცანაა — შეგნებულობის დანერგვა. ამ წიგნებმა ნათელი უნდა მოჰფინონ მის ზნეობრივ გრძობას, შეაცნობინონ მკითხველს საკუთარი ძალა, სამართალი და თავისუფლება; აგრეთვე აღუძრან მამაცობა და სიყვარული სამშობლოსადმი (II, 26). სახალხო წიგნების სამივე ამოცანა ერთნაირად მნიშვნელოვანია და მათ მისაღწევად წიგნები დაზღვეულნი უნდა იყვნენ გარდასულ დროთა ყოველგვარი ცრურწმენებისაგან. ისინი უნდა ეხმაურებოდნენ დროის სულისკვეთებას, აკმაყოფილებდნენ თანამედროვეთა სულიერ მოთხოვნილებებს. სახალხო წიგნებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი ღირსებანი: ჰქონდეთ მდიდარი პოეტური შინაარსი, ძარღვიანი სიტყვა, ზნეობრივი სისპეტაკე და გარდა ამისა — სალი და პატიოსანი სული; საერთოდ, ყველა დროში უცვლელი თვისებები. ნამდვილად ხალხური წიგნი უნდა ატარებდეს თანამედროვეობის სულისკვეთებას. ჩვენ, — აღნიშნავს ენგელსი, — გვაქვს უფლება მოვითხოვოთ, რომ სახალხო წიგნი, პასუხობდეს თავის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღარ იქნება სახალხო წიგნი. თუ ყურადღებას მივაქცევთ ჩვენს დროს, თავისუფლებისათვის მის დამახასიათებელ ბრძოლას, კონსტიტუციონიზმს, რომელიც სულ უფრო ვითარდება; ყურადღებას მივაქცევთ არისტოკრატიის ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას, აზრის ბრძოლას პიეტიზმთან, სულის სიცხადეს ჰირქუში ასკეტიზმის ნარჩენებთან, მაშინ ჩვენ აუცილებლად უფლება გვექნება მოვითხოვოთ სახალხო წიგნისაგან, რომ დაეხმაროს ნაკლებად განათლებულ წრეებს, უჩვენოს მათ საკუთარ მისწრაფებათა ჰუმანიტი და გონიერი ხასიათი. სახალხო წიგნებმა, მეორე მხრივ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუწიონ მფარველობა პიეტიზმს, პირფერობასა და მლიქვნელობას დიდებულთა წინაშე. სახალხო წიგნისათვის უცხო უნდა იყოს ადათწესები ძველი დროისა, რომლებიც ახალ ეპოქაში მხოლოდ უაზრობასა და უსამართლობას წარმოადგენენ (II, 26—27).

ენგელსი ლაპარაკობს გერმანულ ხალხურ ზღაპრებსა და ეპოსში ფეხმოკიდებულ ჰუმანურ იდეალებზე. პროგრესულმა სოციალურმა ძალებმა თავისებურად დააკონკრეტეს ერის მხატვრული წარმოდგენები, რაც უფრო ფართოა და ღრმაა ხალხურ თქმულებათა ჰუმანიზმი, მით უფრო დიდხანს და ქმედითად აღზრდის იგი ხალხს. ეს კარგად ჩანს ენგელსის სტატიაში „ზიგფრიდის სამშობლო“ (1840), რომელშიც დაყენებულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოგეწონს ესოდენ დიდად თქმულებებში ზიგფრიდზე. „არა ისტორია თავისთავად, აღნიშნავს ენგელსი, არა საზიზღარი გამცემლობა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა ახალგაზრდა გმირი, არამედ მასში ჩადებული ღრმა გავლენიანობა“. ზიგფრიდის სახეში ყოველთვის მომხიბვლელი დარჩება ახალის ძიებისა და ძველისადმი შემართების უნარი. „ზიგფრიდი გერმანელი ახალგაზრდობის წარმომადგენელია. ჩვენ ყველამ, რომელთაც მკერდში გვიფეთქავს ცხოვრების პირობითობით ჯერ კიდევ მოუთვინიერებელი გული, ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს. ჩვენ ყველანი ვგრძნობთ გმირული თავგადასავლის იმ წყურვილს, იმავე ბუნტს ტრადიციების წინააღმდეგ, რომელმაც ზიგფრიდს მამისეუ-



ლი ციხე-სიმაგრე დაატოვებინა. ჩვენთვის მეტად საძულველია მულტის მტკიცე ყეობა, ფილისტერული შიში ახალი საქმის წინაშე, ჩვენ გვსურს გავიდეთ თავისუფალი სამყაროს ფართო სარბიელზე, გვსურს დავივიწყოთ კეთილგონიერება და ვიბრძოლოთ სიცოცხლის გვირგვინის — გამარჯვებისათვის“ (II, 65). სტატიის დასასრულს გამოთქმულია აქტიური მოქმედების სურვილი: „იქნებ მორგანის კეთილმა ფერიამ ხელახლა აღმართოს ჩემს წინაშე ზიგფრიდის ციხე-კოშკი და როგორც სარკეში დამანახვოს, თუ როგორი საგმირო საქმეების ჩადენა უწერიათ მის შვილებს XIX საუკუნეში“ (II, 6).

მაგრამ ქმედით ხასიათს ფოლკლორი ატარებს თავის წარმომშობ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში და მომდევნო პერიოდებში შეუძლებელი ხდება მისი ხელაღებითი გამოყენება მასშივე შემორჩენილი ცრურწმენების გამო. შლიუტერისადმი ბარათში (1885 წლის 15 მაისს) ენგელსი მაგალითისათვის ასახელებს გლენთა ომების დროინდელ ხალხურ პოეზიას. აჯანყებული გლენების „მარსელიეზა“ იყო ჰიმნი: „Eine feste Burg ist unser Gott“ („ღმერთია ჩვენი მტკიცე სიმაგრე“), რომლის ტექსტი და მელოდია გამსჭვალულია გამარჯვების რწმენით. ამისდა მიუხედავად, ახალ დროში, — ენგელსის აზრით, — შეუძლებელია და არცაა საჭირო იგი ავითვისოთ ამ აზრით (XXVII, 467). ფოლკლორში უნდა ამოვიკითხოთ ნამდვილი შინაარსი, დავინახოთ მისი ღირსება და ნაკლი. ხალხური შემოქმედება ძირითადად ატარებს დემოკრატიულ ხასიათს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მასში ყოველთვის გვხვდება ხალხისათვის მიუღებელი ელემენტი. გლენთა ომების დროს, მაგალითად, გერმანულ ხალხურ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ლანდსკენსტმა (XXVII, 467), ხოლო ჩარტისტული პოეზია თავისუფალი არ იყო რელიგიური სისულელეებისაგან. „უნდა ითქვას საერთოდ, წარსულ რევოლუციათა პოეზია, „მარსელიეზას“ გამოკლებით, მოგვიანო დროებში იშვიათად ახდენს რევოლუციურ შთაბეჭდილებას, რადგანაც, მასებზე შემოქმედებისათვის, პოეზია უნდა ასახავდეს აგრეთვე იმ დროის მასების ცრურწმენებს“ (XXVII, 468). მარქსსა და ენგელსს მოსწონდათ სახალხო წიგნების კომიზმი და ჯანსაღი იუმორი: ღრმა ხალხურობა და სინამდვილის შეუფერავი ჩვენება; პოეტური მეტყველება და მახვილგონიერება. მათ არც ის ავიწყდებოდათ, რომ ნაწარმოების ხალხურობაზე ყოველთვის არ მიუთითებს მოედნის კომიზმი და უხეში იუმორი.

მარქსი და ენგელსი ებრძოდნენ შუასაუკუნეობრიობისა და აზნაურობის გაიდვალების რომანტიკულ ცდებს. ენგელსი დასცინოდა რომანტიკოსების უნიათო და უნიდაგო წარმოდგენებს პოეტზე; სინამდვილესთან მის კავშირს. თანამედროვე ლირიკოსებისათვის პოეტი, — ენგელსის თქმით, — არის საოცრად შეზღუდული და ქარაფშუტულად გაბღენძილი ფიგურა. იგი არაა რეალური საზოგადოების შუაგულში მოქცეული აქტიური არსება. ეს „პოეტი“ ნავარდობს ღრუბლებში, მაგრამ თავისთავად ღრუბლები სხვა არაფერია, თუ არა გერმანელი ბურჟუას ბუნდოვანი ფანტაზიები. მარქსი და ენგელსი ამასთან ერთად აღფრთოვანებით ლაპარაკობენ მწერლებზე, როცა ეს უკანასკნელნი თავს აღწევენ თვით პროგრესულ რომანტიზმს და გადადიან რეალისტ-დემოკრატი მწერლების ბანაკში. მაგალითად, სტატიაში „რეკვიემი გერმანიის „აზნაურული

გაზეთისათვის“ ენგელსმა სასაცილოდ აიგდო ფუკე ფრიდრიხ დე ლეჟენტი იმის გამო, რომ თავის რაინდულ რომანებში მან სცადა გაეიდეალებინა საუკუნეები და გაეღაშქრა 40-იანი წლების პროგრესული იდეების წინააღმდეგ. „ბატონმა ფონ ფუკემ, — წერს ფ. ენგელსი, — ბრძანა გასწმინდონ ჯავშანი და გამოიყვანონ ბებერი ბრმა ცხენი; მარტოხელი გმირის მორჭმულობით იგი დაიძრა ჯვაროსნულ ლაშქრობაში თანამედროვე იდეათა წინააღმდეგ“ (II, 49). ენგელსმა მიუთითა აგრეთვე სინამდვილის რომანტიკულ გაყალბებაზე ფუკეს მიერ. ფუკეს, აღნიშნავს ენგელსი, აქვს საოცარი ყნოსვა, რათა ჰუნებსა და ავარიელებს, ბაშკირებსა და მოპიკანებს და თვით წარღვნამდე მცხოვრებ ხალხებს გამოუძებნოს არა მხოლოდ საპატიო საზოგადოება, არამედ თვით დიდგვაროვანი აზნაურობა. მან მოახდინა უახლესი აღმოჩენა თითქოს შუა საუკუნეებში, როცა გლახობა იყო ბატონყმურ მდგომარეობაში, იგი სიკეთესა და ალერსს იღებდა ორივე სხვა ფენისაგან და თავისი მხრივ მათ ასევე უხდიდა (II, 50).

კონსერვატიული რომანტიზმის სულსკვეთებას ატარებს შამისოს ზოგიერთი ლექსი, რაკი მათში ნაქადაგებია საკუთარი ბედისა და ჩაგვრისადმი მორჩილების, აგრეთვე ბრძოლაზე ხელის აღების იდეა. მაგრამ ასეთი ლექსები საერთოდ არაა ნიშანდობლივი შამისოსათვის. პოეტისათვის მიუღებელი დარჩა მელანქოლია და პესიმიზმი, გატაცება შუასაუკუნეობრიობით, აქტუალური თემატიკის იგნორირება და გაქცევა ოცნებათა სამყაროში, მიუღებელი აღმოჩნდა ყოველივე ის, რაც არსებითი იყო კონსერვატიული რომანტიზმისათვის. აღზრდილი დიდ განმანათლებელთა რევოლუციურ იდეებზე, შამისო — არისტოკრატიული წარმოშობის მიუხედავად — ეხმაურებოდა ყოველივე მოწინავესა და პროგრესულს; ცდილობდა უკეთესი მყობადის საკითხი გადაეწყვიტა რეალური და არა ზღაპრული სინამდვილის ჩარჩოებში. შამისოს პოეზია გამსჭვალულია დემოკრატიული იდეალებით, სიმბათიებით მოჯანყე გლეხებისადმი და ზიზლით ტირანებისადმი. შამისოს მსოფლმხედველობის პროგრესულობამ თავი იჩინა მისივე ნაწერების სინატიფესა და მაღალმხატვრულ ფორმაში. კონსერვატიული რომანტიკოსებისაგან შამისოს განსხვავებამ თავი იჩინა აგრეთვე „პეტრე შლე-მილის საოცარ ისტორიაში“, რომელშიც მხილებულია ადამიანზე ფულის გამხრწნელი ზეგავლენა და რომელშიც ბურჟუაზიულ სამყაროს უპირისპირდება არა შუა საუკუნეების პატრიარქალური ყოფა, არამედ შრომისა და თავისუფლების მომავალი სამყარო. ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანს, დაბეჩავებულსა და დამონებულს ოქროს ზეგავლენით, შამისომ დაუპირისპირა პიროვნება, რომელიც უდიდეს ბედნიერებას პოულობს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეების კეთებაში. შამისოს შემოქმედების პროგრესულ-ლიბერალური ხასიათი დააპირობეს გასული საუკუნის 20—30-იანი წლების რევოლუციურმა მოვლენებმა. მაგრამ რომანტიკული აღმოჩნდა შამისოს შემოქმედების მხოლოდ პირველი პერიოდი. რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლების პერიოდში შამისო აშკარად გაემიჯნა სხვა რომანტიკოსებს და გადავიდა დემოკრატიულ პოზიციებზე. 30—40-იანი წლებისათვის შამისო, — იმერმანსა და პლატენთან ერთად, — იქცა გერმანული სინამდვილის მოძულე,



რეალისტ და დემოკრატ მწერლად. სწორედ ეს გარემოება აქვს მნიშვნელობაში ენგელსს, როდესაც წერს: „რესტავრაციის პერიოდის პოეტურ ვაჟკაცში შორის..., რომელთა დიდება მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურულ ეპოქაში განმტკიცდა, აშკარა მსგავსებით გამოირჩევიან სამნი: იმერმანი, შამისო და პლატენი. ყველა სამივეს გააჩნია უჩვეულო ინდივიდუალობა, მნიშვნელოვანი ხასიათი და გონების ძალა, რომელიც სულ ცოტათი ათანასწორებს მათ პოეტურ ტალანტს“. და ოდნავ ქვევით: „შამისოსთან ჭარბობს ხან ფანტაზია და გრძნობა, ხან ცივი გონება; ტურცინებში, განსაკუთრებით, გარეგნობა სრულიად ცივია და გონებისმიერი, მაგრამ მის შიგნიდან მოისმის კეთილშობილი გულის ცემა“ (II, 45).

სინამდვილისადმი გაორებულ დამოკიდებულებას — რომანტიზმის ამ მთავარ თვისებას — ენგელსი პოულობს იმერმანის შემოქმედებაშიც; პოულობს მის მერყეობაში რომანტიზმსა და რეალიზმს შორის. კარლ ლებრეხტ იმერმანი რეალისტ მწერლად აღიარებული, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ თავდაპირველად მკითხველთა საზოგადოებას რომანტიკოს მწერლად მოეგონა და თანამედროვეობის აქტუალური საკითხების გადაწყვეტა სწორედ რომანტიზმის პოზიციებიდან სცადა. გამსჭვალული მოგვიანო გერმანული რომანტიზმის იდეებით და პრუსიულ-პატრიოტული სულისკვეთებით, იმერმანი ხარკს უხდის რომანტიზმს თავის აღრინდელ დრამატიულ ცდებში („ანდრე ჰოფერი“, 1827). რომანტიზმის დაძლევა და რეალიზმზე გადასვლა აშკარა გახდა სატირიკულ პოემაში „ტულიფენტხენ“ (1830), თუმცა რომანტიზმის ტენდენციები იმერმანს ერთხანს მაინც გასდევს („ალექსი“, 1832; „მერლინი“, 1832). მხოლოდ ამის შემდეგ იწყება რეალისტური პერიოდი, როდესაც აქტუალური საკითხების დამუშავებას მწერალი შეუდგა დიდი მოცულობის რომანებში: „ეპიგონებში“ (1836) და „მიუნხჰაუზენში“ (1839).

იმერმანის შემოქმედებასთან დაკავშირებით ენგელსი ლაპარაკობს სტატიებში „პლატენი“ (1840) და „იმერმანის მოგონებანი“ (1841)¹. იმერმანი შამისოსა და პლატენთან ერთად, ის პოეტია, აღნიშნავს ენგელსი, რომლის ძალაც არ იყო პარალიზებული ივლისის რევოლუციის ელექტრონული დარტყმით და რომლის დიდება განმტკიცდა მხოლოდ 40-იანი წლების ლიტერატურულ ეპოქაში. იმერმანის ბუნებაში, როგორც ვნახეთ, ენგელსი პოულობს გონების ძალას, მნიშვნელოვან ხასიათსა და უჩვეულო ინდივიდუალობას. იმერმანის შემოქმედებაში „ცივი გონებას“ ებრძვიან „ფანტაზია და გრძნობა“, სხვადასხვა თვისებანი, რომელთა ჭიდილში წარმოიშვება უკიდურესობანი და დუალიზმი, რომელთაც აღიარებს თავად მწერალი. და რომელსაც შეუძლია ამ უკიდურესობათა მხოლოდ შეკავება, მაგრამ არა შეერთება (II, 45). 40-იანი წლებისათვის იმერმანი აშკარად შეურიგდა თანამედროვე ლიტერატურულ მიმართულებას, მის ნაწარმოებებში უკვე საგრძნობი გახდა ახალი და ჯანსაღი სულის ქროლვა, რის გამოც იმერმანი თავის მხარეში იქცა ახალგაზრდა მწერლების

¹ ენგელსსავე ეკუთვნის ლექსი „იმერმანის გარდაცვალებაზე“, დაბეჭდილი ორგანოში

იდეურ ბელადად; პროვინციულსა და ზოგადგერმანულ ლიტერატურას შემაერთებელ რგოლად (II, 81—82). ზოგიერთის ვარაუდით, იმერმანის მოეპოვებინა ისეთივე მდგომარეობა, როგორც გააჩნდა მოხუც გოეთეს. იმერმანის რომანტიკულ ნაწერებთან შედარებით, ენგელსი, ცხადია, უპირატესობას ანიჭებს რეალისტურ წიგნებს, სოციალურ რომანებს. „ეპიგონებში“ ავტორი მისწრაფის გოეთეს პლასტიკისა და სიმშვიდის უმაღლესი შტანდუქტისაკენ, აღნიშნავს ენგელსი, ხოლო „მიუნხჰაუზენი“ მთლიანადაა აგებული 40-იანი წლების შემოქმედებით მანერაზე. „მოგონებები“ კი, რომლებიც იმერმანის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა, მიუთითებენ სწორედ მწერლის შემოქმედების ადრეულ პერიოდზე. „მოგონებებში“ იმერმანმა შეაჯამა თავისი ცხოვრების ადრინდელი, რომანტიკული პერიოდი, ამიტომაც ამ წიგნიდან უბერავდა 40-იანი წლებისათვის შეუფერებელი და „განმათავისუფლებელი“ ომების, აგრეთვე მოგვიანო გერმანული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი სულისკვეთება. ყოველივე ამაში ენგელსი ხედავს თანამედროვეობიდან იმერმანის გაქცევას და „საკუთარი განწყობის“ შენიღბვას. ენგელსი მიუთითებს, რომ იმერმანი უჯანყდება „თანამედროვეობის ზოგიერთ მომენტს“, მას არ მოსწონდა გერმანიაში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება, განსაკუთრებით კაპიტალიზმის შეჭრა სოფლად და ძველი პატრიარქალური წყობის დაშლა. იმერმანი ყოველმხრივ აიდეალებს სოფლის ძველ ყოფას, მამაპაპურ ურთიერთობას, შეძლებულ გლეხურ ცხოვრებას, როგორც საყრდენს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმერმანის გულისათვის მიუღებელი რჩება „თანამედროვეობის გაგება“. იგი უჯანყდება კიდევაც მის გარკვეულ მომენტებს და აქ იჩენს თავს იმერმანის რომანტიზმი; მისი განსაკუთრებული მიდრეკილება პრუსიელობისადმი. აქ იჩენს თავს მწერლის მიერ ძველი ყოფის გაიდეალების ყოველგვარი ცდა. მეორე მხრივ, მიუთითებს ენგელსი, იმერმანს „არ შეუძლია ხელი აიღოს სინამდვილეზე“ (II, 83); არ დაამუშაოს თანამედროვე თემატიკა და არ მოგვეცეს მისი აქტუალური გადაწყვეტა.

ეს თანამედროვე თემატიკა არ აბრკოლებდა იმერმანს, რომ თვით რეალისტურ რომანებში შემოენახა რომანტიკული ელემენტი. ეს გამოიხატა თუნდაც იმით, რომ „ეპიგონები“ მოკლებულია კომპოზიციურ მთლიანობას და ხასიათდება რომანტიკული დაფანტულობით. ასევე რომანტიკულობით ხასიათდება „მიუნხჰაუზენის“ კომპოზიცია. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ენგელსს, როცა წერს, რომ იმერმანისათვის „რომანტიკა იყო... მხოლოდ ფორმა“ და რომ „რომანტიკული სკოლის მეოცნებეობისაგან იგი იხსნა პრუსიელობის სიფხიზლემ“.

გაორებამ თავი იჩინა იმერმანის პოლიტიკურსა და რელიგიურ შეხედულებებშიც. რელიგიის სფეროში, აღნიშნავს ენგელსი, იმერმანი იყო „მეტად თავისუფალმოაზროვნე ადამიანი“ და ეს მაშინ, როცა პოლიტიკური თვალსაზრისით იგი „იყო ხელისუფლებისათვის მეტად ერთგული“ (II, 87). იმერმანი გულგრილობას იჩენდა საზოგადოებრივი ბრძოლის პოლიტიკური ფორმების მიმართ.




იმ დროს, როცა რეაქციონერი რომანტიკოსები ლამობდნენ ყოველფერად სებულის გამართლებას და დაკანონებას, შუააუკუნეობრიობის გამოცხადებას იდეალურ ყოფად, პროგრესული რომანტიკოსების შემოქმედება იყო მიმართული ადამიანის პიროვნების კაპიტალისტური ჩაგვრისა და საერთოდ კაპიტალისტური პროგრესის წინააღმდეგ. პროგრესული რომანტიკოსები ხსნას ეძებდნენ მომავალში და არა წარსულში, თავს ესხმოდნენ ბურჟუაზიული ყოფის მახინჯ მხარეებს, ოცნებობდნენ ისეთ დროზე, როცა ადგილი აღარ ექნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, ესპლოატაციასა და შეზღუდვას, პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლებმა უკუაგდეს შუააუკუნეობრიობისა და პატრიარქალური ყოფის გაიდეალების მავნე პრაქტიკა, იმეპკვიდრეს განმანათლებელთა ესთეტიკის პროგრესული ტენდენციები, შექმნეს ფილოსოფიურად გააზრებული, სოციალურად დატვირთული და პოლიტიკურად მებრძოლი ხელოვნება; ამასთანავე მათ გააიდეალეს საფრანგეთის რევოლუცია. „ბურჟუაზიაში, — აღნიშნავს ენგელსი, — იყო პროგრესული უმცირესობა, ხალხი, რომლის ინტერესებსაც ბევრი არაფერი მოუგია კომპრომისით“. ეს უმცირესობა შედგებოდა წვრილი ბურჟუაზიისაგან და იგი სიმპათიით უყურებდა რევოლუციას, თუმცა პარლამენტში აღმოჩნდა უძლური¹. რევოლუციისადმი სიმპათიურად განწყობილ ადამიანთა შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებენ ბაირონი და შელი. ეს ინგლისელი რომანტიკოსები დიდ მოწონებას იმსახურებენ „მანიფესტის“ ავტორთა მხრივ და, რა თქმა უნდა, ამისი მიზეზი საძიებელია მათივე შემოქმედების ნაირობაში. შელისა და ბაირონისათვის ნიშანდობლივია ჯანსაღი, ოპტიმისტურ-რევოლუციური ოცნება, რომელიც მომავლის პერსპექტივის გაშუქებით ადამიანებს ეხმარება ცხოვრების გარდაქმნასა და წინ წაწევაში. პროგრესული რომანტიკოსების ნააზრევში მარქსი და ენგელსი პოულობდნენ იმ გენიოსური იდეების ჩანასახებს, რომელნიც გაფანტულნი იყვნენ დიდი უტოპისტების თეორიებში (XIV, 216). შელი და ბაირონი ებრძოდნენ ყოველგვარ ჩაგვრას, როგორც თავიანთ სამშობლოში, ასევე უცხოეთშიაც. ამ ორივე პოეტმა შეიძულა საკუთარი ქვეყნის არისტოკრატია, სახელმწიფოებრივი წყობა და, ინგლისისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, დასტოვა თავისი სამშობლო; მათ, განსაკუთრებით ბაირონმა, ამაგი დასდეს სხვა ხალხების ბედნიერებისა და თავისუფლების საქმეს; ხელი შეუწყეს ზიზღის გავრცელებას დესპოტიზმისა და მორჩილებისადმი; მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში: შელიმ ირლანდიაში, ბაირონმა — იტალიასა და საბერძნეთში. შელის შემოქმედება გაქლენთილია თანამედროვე წყობისადმი პროტესტის სულსიკვეთებით, მოწოდებით ბრძოლისა და აჯანყებისაკენ. შელიცა და ბაირონიც ებრძოდნენ რელიგიას, რაკი მასში ხედავდნენ არსებული უთანასწორობის დამკანონებელს. ბაირონი ამხელდა კოლონიური ომების რეაქციულ პოლიტიკას და წინასწარმეტყველურად ლაპარაკობდა მყობადში რევოლუციურ გადატრიალებათა შესახებ. მომავლისაკენ იყო მიმართული შელის ოცნებაც. მას სწამდა, რომ მომავალ ბრძოლაში რევოლუციურად გადაწყდება შრო-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, 119.

მასა და კაპიტალს, ექსპლოატატორთა და ექსპლოტირებულთა შორის არსებული სოციალური წინააღმდეგობანი („სიმღერა ინგლისელი ხალხისადმი“). შელი ოცნებობდა საყოველთაო თავისუფლებასა და სამართლიანობაზე, თუმცა მას ბუნდოვნად ჰქონდა წარმოდგენილი მყობადის კონტურები, რის გამოც პროგრესული საზოგადოებრივი იდეალების შესახებ მისი მსჯელობა აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს. ყოველივე ეს, ისევე როგორც სკეპტიციზმისა და პესიმიზმის ყრუ გამოძახილი ბაირონის რევოლუციურ სულისკვეთებაში აიხსნება თავისი მიზეზებით — ინგლისის მუშათა მოძრაობის უწიფრობით. მაგრამ ამ ჩრდილოვან მხარეებზე უფრო მეტად შელისა და ბაირონის შემოქმედებიდან მკითხველებზე მოქმედებდა ტრფიალი თავისუფლებისადმი და მტრობა ინგლისის მაღალი საზოგადოების ფარისევლური მორალისადმი, მოქმედებდა პოლიტიკური და რელიგიური თავისუფალი აზროვნება; — ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ შელისა და ბაირონის თხზულებები იქცნენ ფართო მასებისათვის საყვარელ ნაწარმოებებად, მაშინ, როდესაც საზოგადოების ზედა ფენები კითხულობს მლიქვნელური მორალის მატარებელ წიგნებს. შრომაში — „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ — მითითებულია ინგლისელი ერის შიგნით არსებულ ორ ერზე და ინგლისური კულტურის შიგნით არსებულ ორ კულტურაზე. „შელი, გენიალურ წინასწარმეტყველ შელის, — აღნიშნავს ენგელსი, — და ბაირონს მისი გრძნობიერი ცეცხლით და თანამედროვე საზოგადოების მწარე სატირით მეტწილად მუშები კითხულობენ; ბურჟუა კითხულობს მხოლოდ დასაჭურისებულ გამოცემებს — „family—editions-ს“ („საოჯახო გამოცემებს“), რომელიც თანამედროვე პირმოთენე მორალთან არის შეგუებული“¹. ანალოგიურია ენგელსისავე აზრი „წერილებში ინგლისიდან“ (1843). აქ ნათქვამია: „ბაირონსა და შელის თითქმის მხოლოდ დბალი წოდებები კითხულობენ: „უკანასკნელის თხზულებები არც ერთ „პატივცემულ“ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს თავის მაგიდაზე ყველაზე საზიზღარი რეპუტაციის შიშით“ (II, 282). ხოლო ცოტა ქვევით: ინგლისელ „მუშებს ხელთა აქვთ თომას პენისა და შელის თხზულებათა იაფი გამოცემები“ (II, 288).

რეაქციული რომანტიზმის კრიტიკამ მარქსისა და ენგელსის შრომებში კიდევ უფრო მეცნიერული და მძაფრი ხასიათი მიიღო 1845 წლიდან, მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერული კომუნიზმის თეორიას — მარქსიზმს. რეაქციულ რომანტიკული სულისკვეთების კრიტიკას „მანიფესტის“ ავტორები აგრძელებენ აგრეთვე 1850-იანი წლების შრომებშიც. ცნობილია, რომ რომანტიკულმა სულისკვეთებამ თავი იჩინა გერმანული ნაციონალისტური წვრილი ბურჟუაზიის პოეზიაში, რომელშიც ერთიანდებოდა „გამათავისუფლებელი ომების“, „ბურჟენშაფტების“ და „დემაგოგების“ პოეზია. რომანტიკული სულისკვეთებით დატვირთული პოეტები რისხვასა ჰგვრიდნენ ფეოდალურ-ბიუროკრატიულ ხელისუფლებას, გამარეოლუციურებად მოქმედებდნენ საზოგადოებაზე, მაგრამ ამასთანავე, აიდეალებდნენ ყოველივე ძველსა და დრომოკმულს, ქება-დიდებათ იხსენიებდნენ შუასაუკუნეობრიობას. გერმანიის ნაციონალისტური წვრილი ბურჟუაზიის პოეზიას გააჩნდა თავისი ხასიათი და

¹ ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, 1935, გვ. 220.




წარმომშობი მიზეზები, რომლებიც ენგელსმა მიმოიხილა 1845 წელს „ჩრდილოეთის ვარსკვლავში“ დაბეჭდილ სტატიებში. ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ გერმანიაში, აღნიშნავს ენგელსი, შემართება გამოიჩინეს როგორც მოსახლეობის ფართო ფენებმა — გლეხებმა, ხელოსნებმა და მეღუქნეებმა, — ასევე ქრისტიანულ-გერმანული ნაციონალიზმით გამსჭვალულმა ფანატიკოსებმა. ამ ძალებმა მიაღწიეს იმას, რომ 1813 წელს საკუთარი ლოზუნგები საბრძოლო შეძახილებად აქციეს, მაგრამ ის კი ვეღარ მოახერხეს, რომ პრაქტიკულად შეესხათ ხორცი ამ ლოზუნგებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საფრანგეთის რევოლუციასზე წმინდა კავშირის გამარჯვების შემდეგ გერმანია, როგორც ყველა სხვა ქვეყანა, წარმოადგენდა რეაქციის სამარცხვინო სურათს (V, 15). ნაპოლეონისა და საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ გერმანული დესპოტიზმის სასარგებლოდ თავგამოდებით იბრძოდნენ ანდრეას ჰოფერი და მისი თანამოაზრე გლეხები. ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ გერმანიაში არისტოკრატია და საშუალო კლასებმა აიძულეს მთავრობა წასულიყო რიგ დამოძღვრებზე, მაგრამ მათ არ აღმოაჩნდათ ენერჯია აეღოთ მმართველობის ინიციატივა. მხოლოდ ზოგიერთ სამთავროში არისტოკრატებმა და საშუალო კლასებმა კონსტიტუციის საფუძველზე მოიპოვეს მოჩვენებითი გარანტია. სხვა სამთავროებში კი არსებობდა ბიუროკრატული მთავრობა, ე. ი. მონარქია, რომელიც იყენებდა მართვის ბარბაროსულ ფორმებს. და რაკი სახელმწიფო მმართველობის ამ მეთოდებით უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ „არისტოკრატები“ და „ქრისტიანობისადმი ერთგული გერმანელები“, „რომანტიკოსები“, „რეაქციონერები“ და „ლიბერალები“, ამიტომ ისინი გაერთიანდნენ მთავრობის წინააღმდეგ და შექმნეს ფარული სტუდენტთა საზოგადოებანი, შექმნეს უკანონო ლიბერალური სექტა, რომელიც ოცნებობდა გვირგვინსა და ძოწეულში გამოწყობილ იმპერატორზე. ეს უკანასკნელი, მათი წარმოდგენით, იქნებოდა გარემოცული წოდებათა კრებით, რომლის შემადგენლობასაც დაამშვენებდა სამღვდლოება და არისტოკრატია, მეშინაობა და გლეხობა. „ეს იყო, — აღნიშნავს ენგელსი, — ფეოდალური სიუხეშისა და საშუალო კლასის თანამედროვე დაბნეულობის ყველაზე უფრო სულელური ნაზავი, რომლის წარმოდგენაც კი არის შესაძლებელი (V, 21—22).

ენგელსი მეტად უარყოფითი აზრისა იყო „გამათავისუფლებელი ომების“ პერიოდის გერმანული პატრიოტიზმისა და „ბურჟენშაფტის“ სულისკვეთების შესახებ. ეს პატრიოტიზმი და „ბურჟენშაფტული“ შემართება საბოლოო ანგარიშში ფეოდალურ-არისტოკრატული სინამდვილის გაიდევლება იყო, და ამდენად მას არაფერი ჰქონდა საერთო თანამედროვე რევოლუციურ სულისკვეთებასთან. როცა 1849 წელს იტალიელმა რევოლუციონერებმა თავიანთი ბრძოლა ავსტრიის წინააღმდეგ შეადარეს „გამათავისუფლებელი ომების“ დროის მოძრაობას, ენგელსმა ეს ანალოგია უმართებულოდ და უსაფუძვლოდ მიიჩნია და მის გასაბათილებლად დასტამბა სტატია — „რამდენიმე სიტყვა გაზეთ „Riforma“-ს, რომელშიც საუკეთესოა და დახასიათებული გერმანული პატრიოტიზმი და „ბურჟენშაფტული“ მოძრაობა. გერმანიას, — ნათქვამია სტატიაში, — მშვენივრად გაეგება გამათავისუფლებელი ომების ხასი-

ათი, როგორც ამავე ომების შედეგებით, ასევე იმ სამარცხვინო დასასრულს, რომლებიც თავს დაატყდა ამ დიდებულ ეპოქის გმირებს. მხოლოდ სინდისგარეცხილ მთავრობის გაზეთებს შეუძლიათ კიდევ მაღალფარდოვნად შეაქონ ეს უაზრო დრო... და შემდეგ: სახელდობრ ეს გაზეთები, სახელდობრ 1813 წლის ეს ამკარა ფრანგიჭამიები, იწყებენ დღევანდელ იტალიელთა წინააღმდეგ ისეთსავე ღმუილს, როგორც მაშინ ფრანგების წინააღმდეგ: სადიდებელ ჰიმნებს უმღერიან ქრისტიანულ-გერმანულ ავსტრიას და ქადაგებენ ჯვაროსნულ ლაშქრობას რომანული ვერაგობისა და რომანული სიცარიელის წინააღმდეგ, — რადგანაც იტალიელები არიან, ისეთივე რომანელები, როგორც ფრანგები (V, 258). „ბურჟენშაფტული“ პოეზიის იდეურ არარაობას და მხატვრულ სიბეჩავეს ენგელსი აქვე ამხელს ამ ლიტერატურული ჯგუფის მთავარ პოეტზე, ტევტომან ფოლენზე მითითებით. თუ იტალიელები, — აღნიშნულია სტატიაში, მოისურვებენ იმის მაგალითს, როგორი მონაწილეობის იმედი უნდა ჰქონდეთ გამათავისუფლებელი ეპოქის უხეში მოლაყბეების მხრივ, როგორი წარმოდგენა აქვთ ამ ქერა ფანატიკოსებს იტალიურ ერზე, მაშინ ჩვენ, — წერს ენგელსი — მათ მოვუტანთ ა. აღ. ფოლენის ცნობილ ლექსს: „დეე ადიდონ მხარე, სადაც მანდოლინები გიტარებთან ერთად წკრიალებენ და აპელსინების ელვარება გამოკრთის ფოთლების ხშირ ბადეში. ჩემთვის კი უფრო ძვირფასია გერმანული ქლიავისა და ბორსდორფული ვამლის წითელი ფერი“... და ასე შემდეგ რაღაც ამგვარი — მარად ფხიზელი ადამიანის პოეტური ტრანსი“. ფოლენის პოეზიისა და „პატრიოტიზმის“ ამ დახასიათებასთან ერთად ენგელსი უმალ ლაპარაკობს საერთოდ „გამათავისუფლებელი ომების“ პოეზიის ზოგად თვისებებზე: ამ პოეზიაში, თურმე, მოცემულია სასაცილო წარმოდგენები ბანდიტებზე და ხანჯლებზე; ცეცხლისმფრქვეველ მთებზე და რომანულ ცბიერებაზე; იტალიელი ქალების ორგულობაზე და ბაღლინჯაობაზე; მორიელებზე, საწამლავებზე, მუხანათურ მკვლელებზე და ა. შ. და ა. შ. და ყოველივე ამას, სიტყვის სათნო მოყვარული ხედავს იტალიის გზების ყველა ნაბიჯზე. დასასრულ მეოცნებე ფილისტერი, — აღნიშნულია სტატიაში, — მადლობასა სწირავს თავის ღმერთს იმის გამო, რომ იგი იმყოფება სიყვარულისა და მეგობრობის მხარეში, სადაც ბრძოლები სწარმოებს სკამებით, სადაც არიან პასტორების ლურჯთვალეობა, ერთგული ქალიშვილები; არის პატიოსნება და გულკეთილობა, ერთი სიტყვით — არის გერმანული ერთგულების მხარეში. ასეთია, — დასძენს ფ. ენგელსი, — მათი სულელური ფანტასტიკური წარმოდგენა იტალიაზე, რომელიც „გამათავისუფლებელი ეპოქის“ პოეტებს, უდავოა, არც უნახავთ (V, 258).

ფოლენისა და მისი თანამოაზრე პოეტების კრიტიკისას ენგელსი ამხელს რომანტიზმის რეაქციულ მიმდინარეობას, სულსიკვეთებას, რომელიც მსჭვალავს გერმანიის ეროვნული წვრილი ბურჟუაზიის პოეზიას; ამ რომანტიკულ პოეზიაში პატრიოტიზმის, თავისუფალმოყვარეობის, ეროვნული დამოუკიდებლობის და სხვა მოწინავე იდეები სამწუხაროდ დაყვანილია ვიწრო გერმანულ შოვინიზმამდე, ყოველივე გერმანულთა გატაცებამდე, სხვა ერებისა და სხვა ქვეყნების იგნორირებამდე. „ბურჟენშაფტულ“ შემართებასა და რომანტიკულ



იდეალებში ენგელსი მართებულად ხედავდა ფეოდალური არისტოკრატიული სინამდვილის გაიდევლებას და აქტუალური რევოლუციური იდეების უგულვებელყოფას; ხედავდა ოცნებას პატრიარქალური წყობის აღდგენაზე, სახელმწიფო სათავეში იმპერატორის ყოლაზე და წოდებათა პარმონიულ თანაცხოვრებაზე.

40-იან წლებში მარქსი და ენგელსი იძლეოდნენ რომანტიზმის ზოგად დახასიათებას. შემდეგ კი, კერძოდ „მანიფესტში“, ისინი გადავიდნენ რომანტიზმის, როგორც იდეოლოგიური მოვლენის, უფრო დეტალურ შესწავლაზე. ამჯერად მათ განავითარეს დებულებები, რომელთა მეშვეობითაც ნათელი ხდება, რომ რომანტიზმი — პროგრესული და რეაქციული — თავისთავად არაა მონოლითური რამ, გამომხატველი რომელიმე ცალკეული კლასის ინტერესებისა და რომ იგი, თავის მხრივ, იყოფა ცალკეულ ლიტერატურულ ჯგუფებად. კერძოდ რეაქციული რომანტიზმი იყოფა: ა) არისტოკრატიულ-რეაქციულ და ბ) წვრილბურჟუაზიულ რეაქციულ რომანტიზმად, ხოლო პროგრესული რომანტიზმი: ა) ლიბერალურ და ბ) რევოლუციურ რომანტიზმად.

რეაქციული რომანტიზმის ბუნებაზე ლაპარაკია „მანიფესტის“ იმ ქვეთავებში, რომელშიც გაანალიზებულია ფეოდალური და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის არსი; კერძოდ „ფეოდალურ სოციალიზმში“ დახასიათებულია არისტოკრატიულ-რეაქციული რომანტიზმი. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ბურჟუაზიის მიერ დამარცხებულ არისტოკრატთა საფრანგეთსა და ინგლისში აღარ შესწევდა რაიმე უნარი სერიოზული ბრძოლების საწარმოებლად; თუნდაც თანამედროვე ისტორიის მსვლელობის გასაგებად. მას ხელთ რჩებოდა მხოლოდ ის, რომ აქტიური პოლიტიკური ბრძოლების ნაცვლად პამფლეტები ეწერა გარემომცველი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ; მან იწყო დემაგოგიური ლაპარაკი მუშათა კლასის ცუდ მდგომარეობაზე. მისი თანაგრძნობის მოსაპოვებლად არისტოკრატთა ისე ეჭირა თავი, თითქოს იგი ზრუნავდეს ექსპლოატირებული მუშათა კლასის და არა საკუთარ ინტერესებზე, თითქოს მხოლოდ ჩაგრულთა ინტერესების შესაბამისად ადგენდეს იგი საბრალდებულო აქტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. არისტოკრატია, — ნათქვამია „მანიფესტში“, — „კმაყოფილებას ღებულობდა იმით, რომ სალანძღავ ლექსებს თხზავდა თავისი ახალი ბატონის შესახებ და ყურში ჩასჩურჩულებდა მას მეტნაკლები ავბედობის წინასწარმეტყველებას“. და იქვე: „პროლეტარიატის სამათხოვრო ჩანთა არისტოკრატთა ხელში აიღო და დროშად ააფრიალა, რათა თავის გარშემო ხალხი შემოეკრიბა“¹. კაპიტალიზმის კრიტიკა და თანამობით ლაპარაკი მუშათა კლასის ცუდ მდგომარეობაზე, უდავოა, ვერ აბრკოლებდა რეაქციული რომანტიზმის წარმომადგენლებს საჭირო შემთხვევაში დახმარების ხელი გაეწოდებინათ ბურჟუაზიისათვის პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. არისტოკრატი რეაქციონერი რომანტიკოსები „პოლიტიკურ პრაქტიკაში... მონაწილეობენ მუშათა კლასის საწინააღმდეგო ყველა ძალმომრეობით ღონისძიებაში“².

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 36—37.

² იქვე, გვ. 38.

რეაქციული რომანტიზმის მეორე ფრთა წვრილბურჟუაზიულ-რეაქციული რომანტიზმი იყო. დამხობილ ფეოდალურ არისტოკრატისთან ერთად საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა წვრილი ბურჟუაზია — ყოველთვის მერყევი პროლეტარიატისა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის. წვრილი ბურჟუაზიის ცხოვრების პირობები სულ უფრო უარესდებოდა და იზრტიებოდა; მიუხედავად მისი ცდისა — ამაღლებულიყო ბურჟუაზიის მატერიალურსა და იდეოლოგიურ დონემდე, — კონკურენცია ამ კლასის წევრებს განუწყვეტლივ ისვროდა პროლეტარიატის რიგებში. წვრილბურჟუაზიულ-რეაქციულ რომანტიზმს ბევრი რამ ჰქონდა საერთო რეაქციულ-აზნაურულ რომანტიზმთან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას არც დამოუკიდებლად მოარსებე სახე დაუკარგავს. საფრანგეთში გლახობა მოსახლეობის ნახევარზე გაცილებით მეტს შეადგენს და ამიტომაც ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი და პროლეტარიატის ძამხრე მწერლები მუშებს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ და ბურჟუაზიულ წყობილების კრიტიკას წვრილბურჟუაზიული და წვრილგლეხური საზომით აწარმოებდნენ. სწორედ ამგვარი გზით წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, რომელმაც „უღრესად მკვეთრი ანალიზი გაუკეთა თანამედროვე წარმოებით ურთიერთობაში არსებულ წინააღმდეგობებს“... თავისი დადებითი შინაარსით ამ სოციალიზმს სურდა ან აღედგინა ძველი საწარმოო და სააღმშენებლო საშუალებანი, ამდენად აეღორძინებინა ძველი საკუთრების ურთიერთობანი და ძველი საზოგადოება; ანდა განზრახული ჰქონდა თანამედროვე საწარმოო და სააღმშენებლო საშუალებანი ძალით ჩაეტენა ძველი საკუთრების ურთიერთობათა ჩარჩოებში. ორსავე შემთხვევაში წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, — ნათქვამია „მანიფესტში“ — ერთდროულად რეაქციულიც არის და უტოპიურიც¹. რეაქციონერი რომანტიკოსებისათვის, როგორი ჭურისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, დამახასიათებელი იყო მკვდარი წარსულის გაიდევლება და იმისი ცდა, რომ ეს წარსული გადაეტანათ აწმყო სინამდვილეში. ამ რომანტიკოსებს ახასიათებდათ მისწრაფება, რათა ახალი საუკუნის ადამიანები და საშუალებანი დაეყენებინათ წინამორბედი საუკუნეების ადამიანთა და საშუალებათა ადგილას.

„მანიფესტის“ დებულებათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება პროგრესული რომანტიზმის — ლიბერალურისა და რევოლუციურის — უკეთ გაგება. ქვეთავში, რომელშიც ლაპარაკია კონსერვატიული, ანუ ბურჟუაზიული სოციალიზმის შესახებ, ნათქვამია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობის განსამტკიცებლად ბურჟუაზიის ერთ ნაწილს სურდა განეკურნა სოციალური სატკივრები. ასეთი სულისკვეთების მატარებელნი ლიტერატურაში იყვნენ ლიბერალური რომანტიზმის წარმომადგენელნი, რომლებიც ბურჟუაზიული სინამდვილის განმტკიცებას ცდილობდნენ ამ სინამდვილის ცალკეული მანკიერი მხარეების კრიტიკის გზით. ეს რომანტიზმი იყო პროგრესული ბუნებისა, რამდენადაც აწარმოებდა არსებულის კრიტიკას. ამასთანავე იგი თავს ვერ აღწევდა ნახევრულობას; კაპიტალიზმის კრიტიკაში ვერასოდეს ვერ

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 39.



მიდიოდა არსებული წყობის რადიკალურად გარდაქმნის იდეამდე, რუსეთში ცოცხელთვის მზად იყო წასულიყო კომპრომისზე რეაქციულ რომანტიზმისა და ლიბერალური რომანტიკოსები აკრიტიკებდნენ მონარქიასა და რეაქციას, აზნაურობასა და კონსერვატივზმს, მაგრამ როგორც კი დაინახავდნენ დიდი რევოლუციური ძვრებისა და სახალხო მოძრაობის საფრთხეს, უმალ მიდიოდნენ კომპრომისზე მონარქიისა და აზნაურობის, მსხვილი ბურჟუაზიის წინაშე. კომპრომისებისადმი ლიბერალურ რომანტიკოსთა მიდრეკილებების მიზეზებზე „მანიფესტში“ ნათქვამია: „ბურჟუა სოციალისტებს სურთ შეინარჩუნონ თანამედროვე საზოგადოების საარსებო პირობები, მაგრამ უბრძოლებოდ და საფრთხის გარეშე, რომელნიც აუცილებლობით გამომდინარეობენ ამ პირობებიდან. მათ სურთ შეინარჩუნონ თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ მისი გამარევოლუციურებელი და დამრღვევი ელემენტების გამოკლებით. მათ სურთ ბურჟუაზია უპროლეტარიატოდ. ბურჟუაზიას, რასაკვირველია, საუკეთესო ქვეყნად წარმოუდგენია ის ქვეყანა, სადაც თვითონ ბატონობს“¹.

კომპრომისებისადმი მიდრეკილი ლიბერალური რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლები ცოცხელთვის მეტნაკლებად იყვნენ დაკავშირებული რევოლუციურ მოძრაობასთან, მუშათა კლასის ბრძოლასთან. რევოლუციურ რომანტიკოსთა — ბაირონი და შელი, ჰაინე და ჟოზე ზანდი, — საქმიანობა ევროპაში ქრონოლოგიურად იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ეს მოძრაობა ჯერ კიდევ განუვითარებელია და იმყოფება აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან ერთად მუშათა კლასის ბრძოლის სტადიაში. აბსოლუტური მონარქიის ნაშთებს პროლეტარიატი ებრძვის თავის მტერთან — კაპიტალისტებთან ერთად. ამ დროს, ნათქვამია „მანიფესტში“, „პროლეტარები ებრძვიან არა თავიანთ მტრებს, არამედ თავიანთი მტრების მტრებს, აბსოლუტური მონარქიის ნაშთებს, მიწათმფლობელებს არამრწველ ბურჟუებს, წვრილ ბურჟუებს...“ ასეთ პერიოდში „მთელი ისტორიული მოძრაობა ბურჟუაზიის ხელშია თავმოყრილი; ყოველი გამარჯვება, ასეთ პირობებში მიღწეული, ბურჟუაზიის გამარჯვებას წარმოადგენს“².

„მანიფესტში“ საუკეთესოა და ნატურული რომანტიზმის სოციალურ-ეკონომიური წინამძღვრები და კლასობრივი არსი, ცხადყოფილია, რომ რეაქციულ-აზნაურული რომანტიზმი ემსახურებოდა ფეოდალიზმის აღდგენის საქმეს, რომ პროგრესული რომანტიზმის ლიბერალური ფრთა არ იყო თავისუფალი შეზღუდულობისა და მანკისაგან. მარქსი და ენგელსი თავს ესხმოდნენ რეაქციულ რომანტიზმს და პროგრესული რომანტიზმის ლიბერალურ ფრთას, რაკი მათ წარმომადგენელთა ნაწერებში მუშათა მოძრაობისადმი მტრულად განწყობილი იდეოლოგიის ქადაგებას ხედავდნენ.

რეაქციული რომანტიზმის კრიტიკას ეპოელობთ ლამარტინის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მოღვაწეობის ნაირობასთან, აგრეთვე გელმინა ფონ შეზის შემოქმედებასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებებში.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 44.

² იქვე, გვ. 21.

ალფონს ლამარტინი, რეაქციულ-რომანტიკული ლირიკის წარმომადგენელი ერთხანს იყო ლეგიტიმისტების პარტიის აქტიური მოღვაწე, ხოლო შემდეგ, 1840—50-იან წლებში რეაქციული დროებითი მთავრობის წევრი. რესტავრაციის პირველი ათი წლის განმავლობაში ლამარტინი ყოველნაირად უწყობდა ხელს თავისი ლიტერატურული და დიპლომატიური მოღვაწეობით ბურბონების დინასტიის გაძლიერებას. კონტრრევოლუციური აზნაურობის იდეოლოგიური პოზიციებიდან იგი ხოტბას ასხამს რესტავრაციას და თავს ესხმის ფეოდალური სინამდვილის მგრეველ ბურჟუაზიას, აუგად იხსენიებს რევოლუციის შედეგად შექმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ლაპარაკობს ყოველივე არსებულის ეფემერულობაზე, აწმყო სინამდვილის სიცუდესა და გარდასულ დროთა უკეთესობაზე. გარდაცვალებას იგი მიიჩნევს ხიდად მიწიერი სამყაროდან ციურ სასუფეველამდე მიმავალ გზაზე. აიდეალებს რა ყოველივე შორეულს, ავადმყოფური გრძნობიერებით ლამარტინი უმხედრდება რაციონალიზმსა და კლასიციზმს, მოითხოვს რელიგიისა და გრძნობიერების ზემს, ქადაგებს მორჩილებასა და დაცხრომას. ლამარტინს მიაჩნია, რომ დასაღუპად განწირულ სამყაროში პარმონიის აღდგენა შეუძლია მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას, განდევილურ ყოფას ბუნების წიაღში, ცივილიზაციის უარყოფას. ლამარტინის პოეზია ივლისის რევოლუციამდე ემსახურებოდა ბურბონთა მონარქიის ინტერესებს. კათოლიკური ეკლესიის გაიდევალებით და ბურჟუაზიული საზოგადოების კრულვით ლამარტინს სურდა ახალ სიტუაციაში საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარება დემორჩილებინა მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებისათვის აზნაურობისა და კლერიკალობის ავტორიტეტის განსამტკიცებლად.

ორთოდოქსალურ-კათოლიკურ მსოფლმხედველობას ლამარტინი ჩამოცილდა 30—40-იან წლებში, როცა იწყო გადასვლა ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პოზიციებზე. იგი უახლოვდება გაბატონებულ კლასებს, იზიარებს ბურჟუაზიის იდეებს და ამასთანავე სთვლის, რომ პოეზიამ ხელი უნდა შეუწყოს მასების აღზრდას და საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას; ამასთანავე ლამარტინი არა სთმობს ზოგიერთ ძველ იდეას და აგრძელებს ბრძოლას რევოლუციისა და მატერიალიზმის წინააღმდეგ, ახდენს პატრიარქალური ყოფის რეაქციულ იდეალიზაციას. ბურჟუაზიული საზოგადოების აპოლოგეტად ლამარტინი საბოლოოდ ჩამოყალიბდა 40-იან წლებში, როცა მან იაკობინელთა პარტიის კრიტიკისა და მსხვილი ბურჟუაზიის გასაიდევალებლად დაწერა „ჟირონდისტების ისტორიის“ (1847) რვა ტომი.

მაგრამ 40-იან წლებში ლამარტინი როდი იფარგლება მხოლოდ ბურჟუაზიული წყობის დაცვითა და გაიდევალებით. იგი ამჟამად უყურადღებოდ არც ხალხის მასებსა ტოვებს და ვითომც მშრომელთა ინტერესების დაცვის მიზნით მუშათა პრესაში აქვეყნებს ფილანთროპიული ხასიათის წერილებს. სტატიაში „რევოლუციური მოძრაობანი“ (1849) მარქსი და ენგელსი წერენ, რომ ამ დროს „ლამარტინის ეოლოსის ქნარე აქდერებდა მსუბუქ ფილანთროპიულ მოტივებს, რომელთა ტექსტიც აღნიშნავდა საზოგადოების ცალკეული წევრების და მთელი ხალხების ძმობასა და შერიგებას“ (VII, 102).



ლამარტინი ეხება კომუნიზმის საკითხებსაც, რაკი 40-იან წლებში მისი მდგომარეობაზე ლაპარაკს ბუნებრივად მოსდევდა სიტყვა კომუნიზმის შესახებ. „ბრიუსელის გერმანულ გაზეთში“ (1847) მარქსმა და ენგელსმა დასტაბეს სტატია „ლამარტინი და კომუნიზმი“, რომელშიც ამხილეს ლამარტინის ლაშქრობა კომუნიზმის წინააღმდეგ. ლამარტინი სთვლიდა, თითქოს „საკუთრების ინსტიტუტი“ არის „ბუნების კანონი და ცხოვრების პირობა“ და რომ კომუნიზმი, საკუთრების გაუქმება, იქნებოდა სიკვდილი „შრომისა და მთელი კაცობრიობისათვის“. კერძო საკუთრების დამცველი ლამარტინი იმ აზრს გამოთქვამს, თითქოს „1) საკუთრება ანათლებს ადამიანებს; 2) რომ იგი არის მსოფლიოში სიცოცხლის პრინციპის განხორციელება და 3) რომ მისი (საკუთრების) უარყოფა, კომუნიზმი — ზედმეტად შვენიერი ოცნებაა ამ წამხდარი ქვეყნისათვის“ (V, 237). მისაკუთრება ლამარტინმა გამოაცხადა „არსებობის პირობად“ და დაირწმუნა თავი, თითქოს მსგავსი მსჯელობით დაასაბუთა ბურჟუაზიული საკუთრების მარადიულობა. ნამდვილად კი ლამარტინმა გამოამყდენა ისტორიული აზროვნების სრული უუნარობა, როცა მან ვერ მონახა განსხვავება ახალ ეპოქასა და იმ დროს შორის, როდესაც ადამიანი ველური მდგომარეობიდან ცივილიზაციაში გადავიდა. „ცხოვრების პრინციპის“ ლამარტინისებურ აღიარებაში მარქსმა და ენგელსმა დაინახეს ბურჟუაზიული საზოგადოების განმტკიცების ცდა, ძველი ყოფის გაიღება. მართალია, მონარქისტ-კათოლიკეთა მსგავსად, ლამარტინი არ მისულა ღმერთის განსენებით პროლეტარების დამშვიდების იდეამდე, მაგრამ მან მაინც სცადა შრომელთა დაიმედება „ცხოვრების პრინციპისა“ და კერძო საკუთრების დაცვის აუცილებლობის განსენებით. სხვა მხრივ არ იყო რაიმე სხვაობა. ლამარტინი, როგორც მონარქისტ-კათოლიკეები, უმხედრდებოდა კერძო საკუთრების გაუქმების და კომუნისტური საზოგადოების შექმნის იდეას, მიუხედავად იმისა, რომ გარემომცველ სინამდვილეს მიიჩნევდა წამხდარ და გაფუჭებულ ქვეყნად.

ლამარტინი როდი კმაყოფილდებოდა კრიტიკული თავდასხმებით სოციალიზმის იდეაზე. მუშათა კლასის გააქტიურებასთან ერთად მისი ლიბერალიზმი იღებდა სულ უფრო მეტად კონსერვატიულ ხასიათს, ხოლო პირადად ლამარტინი ებმებოდა აქტიურ ბრძოლაში კომუნისტურ-რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. 1848 წლის რევოლუციის დასაწყისში იგი გახდა დროებითი მთავრობის მეთაური და, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი. შრომაში — „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე“ კ. მარქსი წერს: „ლამარტინი დროებით მთავრობაში არ იყო, ნამდვილად რომ ვთქვათ, რაიმე რეალური ინტერესის, ან რომელიმე განსაზღვრული კლასის გამომხატველი; ის იყო თვით თებერვლის რევოლუციის განსახიერება, საყოველთაო აჯანყება მისი, ლოზუნგებით, მისი პოეზიით, მისი მოჩვენებითი შინაარსით და მისი, ფრაზებითურთ. ისე კი თებერვლის რევოლუციის ეს წარმომადგენელი თავისი მდგომარეობით და თავისი შეხედულებებით ბურჟუაზიას ეკუთვნოდა“¹.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩული ნაწერები, ტ. I, გვ. 144.

მარქსმა და ენგელსმა მიუთითეს ემიგრანტი გერმანელების მიმართ მარტინის მიერ გათამაშებულ ორმხრივ როლზე. მჭვრემტყველი საგარეო საქმეთა მინისტრი, ლამარტინი მფარველობასა და დახმარებას უწყევდა გერმანელ ემიგრანტთა რევოლუციურ ლეგიონებს, რომლებიც შეიქმნენ პარიზში 1848 წლის მარტის რევოლუციის კვირახალს, მაგრამ ამასთანავე ყოველთვის პოულობდა მოხერხებულ შემთხვევებს, რათა მოღალატური საქციელით ეს ლეგიონები ხელში ჩაეგდო სათანადო მთავრობისათვის¹.

„დროებითი მთავრობის ლამარტინები საფრანგეთში უცხოეთის ყოველ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ ლეგიონს წინასწარ აძლევდნენ ხელში თვით იმ მთავრობას, რომელიც უნდა დამხობილიყო“². ასე მოხდა, მაგალითად, ბელგიასა და ბადენში.

ლამარტინის პოლიტიკური მოღვაწეობის რეაქციული ხასიათის უფრო ნათლად წარმოსადგენად გასათვალისწინებელია შემდეგი ადგილები მარქსისა და ენგელსის წერილებიდან. მარქსისადმი ბარათში ენგელსი წერდა (1848-წლის 18 მარტს): „ლამარტინი ყოველდღიურად სულ უფრო მეტად და მეტად საზიზღარი ხდება. თავის სიტყვებში იგი მიმართავს მხოლოდ ბურჟუებს, რათა დაამშვიდოს ისინი. დროებითი მთავრობის საარჩევნო პროკლამაციაც მთლიანად მიმართულია ბურჟუებისადმი მათი დამშვიდების მიზნით“ (XXI, 99). როცა 1848 წელს ლამარტინი გაანთავისუფლეს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ: „აღტაცებული ლამარტინი, რომელმაც თავისი მანიფესტებით თვით გერმანელ შინაბერებსა და ქვრივ ქალებს აღვრევინა ცრემლი, სცენიდან უნდა ჩამოსულიყო შერცხვენილი, დამტვერული და გაჩეხილი ფრთებით“ (VII, 81). ლამარტინი აწარმოებდა ბრძოლას მუშათა აქტივობის ჩასაქრობად. სწორედ მან უზრუნველყო პარიზელი მუშების ივლისის აჯანყების ჩახშობა. მარქსი და ენგელსი წერენ: „მაღალფარდოვანი არამზადა ლამარტინი იყო ხალხის გამცემლობის ამ ეპოქის კლასიკური გმირი, შენიღბული პოეტური ფერებითა და რიტორიული ზიზილ-პიბილებით“ (VII, 203).

ენგელსისათვის, როგორც ითქვა, მიუღებელი აღმოჩნდა აგრეთვე გელმინა ფონ შეზის შემოქმედებაც. ეს გერმანელი რომანტიკოსი მწერალი ქალი ვერ დაიმსახურებდა ენგელსის ქებას, რაკი მის ნაწერებში დახატულ სურათს არაფერი ჰქონდა საერთო რეალურ სინამდვილესთან (VI, 525).

რეაქციული რომანტიზმის კრიტიკას მარქსი და ენგელსი აგრძელებენ 1850-იანი წლების შრომებშიც, კერძოდ „ახალი რაინის გაზეთის“ მიმომხილველში დაუმერის წიგნის „ახალი საუკუნის რელიგიისა“ და თ. კარლაილის შრომების: — „თანამედროვე პამფლეტები: № 1. ჩვენი დღეები, № 2. სანიმუშო საპყრობილებების“ — გამო დასტამბულ რეცენზიებში. გეორგ ფრიდრიხ დაუმერი, გერმანელი მწერალი და ფილოსოფოსი, პროტესტით ილაშქრებდა სამრეწველო კაპიტალის წინააღმდეგ და ავითარებდა მეტად ორიგინალურ ფი-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 421.

² იქვე, გვ. 180.




ლოსოფიას. „ბუნება და დედაკაცი, — სთვლიდა იგი, — არიან ნაქვედვლად ღვთაებრივი არსებანი“, რითაც განსხვავდებიან „ადამიანის“ და მამაკაცის (სხვათა) ერთადერთი ხსნა კაცობრიობისა, სიკეთე და კეთილმსახურება შეიძლება მამინ განხორციელდეს, თუ ადამიანური მსხვერპლად შეეწირება ბუნებრივს, ხოლო მამაკაცური — დედაკაცურს. ისტორიული ტრაგედიისაგან, რომელიც მას საფრთხით ემუქრება, დაუმერი თავს იმით ირჩენს, რომ იგი მიაშურებს ცრუ ბუნებას, მარქსისა და ენგელსის თქმით, „გონებაჩლუნგ გლეხურ იდილიას“; ამასთანავე იგი ქადაგებს დედაკაცის კულტს, რათა ამით დაფაროს საკუთარი დიაკური თავგანწირულობა (VIII, 268—269). მთელს იმედებს დაუმერი ამყარებდა ბუნებასა და ქალზე. მაგრამ როგორ ხასიათს ატარებენ დაუმერის საიმედო ღვთაებანი?

ბუნების კულტი დაუმერთან მეტად თავისებურია. დაუმერმა მოახერხა აღმოჩენილიყო რეაქციული ქრისტიანობასთან შედარებითაც კი. მან სცადა გაეთანამედროვეებინა ბუნების ძველი ქრისტიანული რელიგია და საქმე დაიყვანა ბუნების შესახებ რაღაცა ქრისტიანულ-გერმანულ-პატრიარქალურ მსჯელობამდე. ბუნების კულტი დაუმერთან ამოიწურება კვირაობით ვინმე პროვინციელის ქალაქგარეთ გასეირნებით და განცვიფრებით ბუნების უბრალო მოვლენების გამო. დაუმერი ბავშვურად გოცეებული რჩება, როცა იგებს, რომ გუგული კვერცხებს დებს სხვა ფრინველის ბუდეში, რომ ცრემლის დანიშნულება არის თვალის ზედაპირის დასველება. ბავშვების მოსასმენად იგი ადფროთვანებით წარმოსთქვამს კლოპოტოკის ოდას გაზაფხულისადმი. დაუმერის წიგნში მოისმის სხვადასხვა იდუმალი ნართაულები და გოცეებული ფილისტერული მიხვედრები ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებათა გამო, შოტლანდიელთა ორბირი ხედვის და ცხოველური მაგნეტიზმის გამო და სხვ. მთელ ამ მსჯელობაში სიტყვაც კი არაა ნათქვამი თანამედროვე ბუნებისმეტყველებაზე, რომელმაც — იმდროინდელ მრეწველობასთან ერთად — გაარეგოლუციურა მთელი ბუნება და რომელმაც სხვა ბავშვობებთან ერთად დასასრული დაუდო ბუნებისადმი ადამიანთა ბავშვურ დამოკიდებულებას. მარქსი და ენგელსი გამოსთქვამენ სურვილს, რომ ბავარიის დამყაყებული გლეხური მეურნეობა, ის ნიადაგი, რომელზედაც ერთნაირი წარმატებით იფურჩქნებიან მღვდლები და სხვადასხვა დაუმერები, ბოლოსდაბოლოს გაფხვიერდეს თანამედროვე სოფლის მეურნეობით და თანამედროვე მანქანებით (VIII, 269).

რაც დაუმერის ბუნების კულტზე ითქვა, იგივე შეიძლება განმეორდეს ქალის კულტთან დაკავშირებით. დაუმერი არაფერს ამბობს ქალის იმდროინდელ სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. იგი ლაპარაკობს საერთოდ ქალზე როგორც ასეთზე. ქალს იგი ამზვიდებს იმ ფაქტის გახსენებით, რომ მას წილად ხვდა მზრუნველობა ბავშვებისადმი, თუმცა გათხოვებასთან ერთად მას ეკარგება ყოველგვარი ნიჭი. მაგრამ რაკი დაუმერს, თავისი მოძღვრების შესაბამისად, მაინც სჭირდება ქალთა იდეალური პიროვნებები, იგი იძულებულია მიმართოს წარსული საუკუნის სხვადასხვა არისტოკრატ ქალს. დასასრულ, აღნიშნავენ მარქსი და ენგელსი: „თუ აღრინდელი კლასების, მაგალითად, რაინდობის დაღუპვას, შეეძლო მოეცა შინაარსი ხელოვნების უდიდესი ტრაგიკულ-

ლი ნაწარმოებებისათვის, სამაგიეროდ მეშჩანობა, ბუნებრივია, რომ ცვლილებებს მოგვცეს სხვა რაიმე, გარდა ფანატიკური ღვარძლის უძლური გამოვლენისა და სანჩო პანსოსებური... წარმონათქვამებისა. ბატონი დაუმერი, ესაა ჰანს საქსის მშრალი და ყოველგვარ იუმორს მოკლებული გაგრძელება. გერმანული ფილოსოფია, რომელიც ხელებს იმტვრევს და მოსთქვამს თავისი მამობილის — გერმანული მეშჩანობის — სასიკვდილო სარეცელთან, — ასეთია ტრაგიკული სურათი, რომელსაც გვიხატავს ახალი საუკუნის რელიგია“ (VIII, 270).

კიდევ ახალი საფუძველი რეაქციული რომანტიზმის კრიტიკისათვის მარქსმა და ენგელსმა თომას კარლაილის ლატერატურულ მემკვიდრეობაში დაინახეს. ბურჟუაზიული ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და პუბლიცისტის — კარლაილის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა გერმანული იდეალისტური ფილოსოფიისა და რეაქციული რომანტიზმის ზეგავლენით. კარლაილზე დიდი ზეგავლენა იქონია გერმანულმა ლიტერატურამ. კარლაილი უჩიოდა საუკუნის სიცარიელესა და ამოებას, უჩიოდა ყველა სოციალურ დაწესებულებათა შინაგან სიღამპლეს. ეს ჩივილი, — შენიშნავს ენგელსი, — რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ მხოლოდ ჩივილით ვერაფერს გახდები; რათა უშველო ბოროტებას, საჭიროა დაიძებნოს მისი მიზეზები (II, 341). კარლაილმა კი არ იცოდა რაიმე გამოსავალი მისთვის მიუღებელი სინამდვილიდან. ამ უკანასკნელის კრიტიკა კარლაილის მხრივ არ ატარებს პროგრესულ, მით უმეტეს, არ ატარებს რევოლუციურ ხასიათს. ბურჟუაზიისა და არისტოკრატის კრიტიკა კარლაილთან წარმოებს „ქვემარატი არისტოკრატის“ პოზიციებიდან. მოიმარჯვარა ფიხტესეული მოძღვრება აქტიურ სუბიექტზე, როგორც მსოფლიოს შემოქმედებით საწყისზე, კარლაილმა შექმნა „პიროვნების კულტის“ ფილოსოფია და შრომაში — „გმირები და გმირული ისტორიაში“ (1841), — განავითარა საზოგადოებაში „ბრბოსა“ და „ბელადების“ ურთიერთდაპირისპირების რეაქციული თეორია. კარლაილის მთელი მსოფლმხედველობა აგებულია „ტორის რომანტიკისა“ და გოეთეს „ჰუმანისტური ფილოსოფიის“ ნარჩენებზე, აგრეთვე „სკეპტიკურ-ემპირიული ინგლისის ფაქტიურ მდგომარეობაზე“ (II, 340). კარლაილი გამოდის კაპიტალიზმის მხილებით, მაგრამ ეს უკანასკნელი წარმოებს რეაქციული რომანტიზმის პოზიციებიდან. ენგელსი მართებულად მოიქცა, როცა უკუაგდო კარლაილის რეაქციული რომანტიკა და ამასთანავე სცადა რევოლუციური მოძრაობისათვის გამოეყენებინა კაპიტალისტური საზოგადოების ღვარძლიანი კრიტიკა — მოცემული ისევ კარლაილის შრომებში. გამოკვლევაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ ვკითხულობთ: „ფაქტების მხრივ კარლაილი სრულიად მართალია, მაგრამ არაა მართალი როდესაც ის გმობს მუშების ველურ სიძულვილს მაღალი კლასებისადმი. ეს სიძულვილი, ეს გულისწყრომა, პირიქით, იმას ამტკიცებს, რომ მუშებმა გრძნობენ თავიანთი მდგომარეობის არაადამიანურ პირობებს, რომ მათ არ სურთ ვისმეს ნება მისცენ პირუტყველ



მდგომარეობამდე დაიყვანონ ისინი და რომ ერთხელაც იქნება ისინი ითავისუფლებენ ბურჟუაზიის ბატონობისაგან¹.

კარლაილის რეაქციული რომანტიზმის ენგელსისეული კრიტიკა, მოცემული შრომებში „ინგლისის მდგომარეობა“ და „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, გაგრძელებასა და გაღრმავებას პოულობს რამდენიმე წლის შემდეგ „ახალი რაინის გაზეთის“ მიმომხილველისათვის“ დაწერილ ერთ-ერთ რეცენზიაში. აქაც გაკრიტიკებულია კარლაილის მსოფლმხედველობა, მისი რეაქციულ-რომანტიკული გატაცება. მაგრამ კარლაილი ზოგჯერ იმე მკვეთრად ილაშქრებდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ მისი თავდასხმები იღებდა რევოლუციურ ხასიათს და მარქსსა და ენგელსს, უდავოა, არ შეეძლოთ დაეხუჭათ თვალი მის დამსახურებაზე. „თომას კარლაილს განეკუთვნება ის დამსახურება, რომ მან ლიტერატურაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაილაშქრა იმ ეპოქაში, როცა მთელ ოფიციალურ ინგლისურ ლიტერატურას ავსებდნენ ბურჟუაზიის შეხედულებები, გემოვნებიანი და იდეები. ამასთან მისი გამოსვლები ზოგჯერ ატარებდნენ თვით რევოლუციურ ხასიათს“ (VIII, 281). მაგრამ თანამედროვეობის კრიტიკა მაინც საბოლოოდ არ ატარებს არსებულის უკეთესი მერმისით შექმნის იდეას. თანამედროვეობის კარლაილისებური კრიტიკა მჭიდროდა დაკავშირებული შუასაუკუნეების გასაოცრად არაისტორიულ აპოთეოზთან და გმირების კულტთან. კარლაილი აკრიტიკებდა ინგლისის ბურჟუაზიულ საზოგადოებას, თუმცა, მეორე მხრივ, ვერა ხედავდა გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. წარსული, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული ფაზების კლასიკური ეპოქები, კარლაილში იწვევენ აღფრთოვანებას, მაშინ როდესაც აწმყო მას უნერგავს გულგატეხილობას, ხოლო მომავალი — შიშს. და ყოველთვის, როცა კარლაილი აღიარებს რევოლუციას, უქმნის მას თვით აპოთეოზსაც კი, იქ რევოლუცია მისთვის კონცენტრირდება ერთ რომელიმე პიროვნებაში, კრომველში ან დანტონში (VIII, 281). კარლაილის „რევოლუციური ხასიათი“ თავს იჩენდა მხოლოდ „ზოგჯერ“ და არ მოხერხდა, რომ იგი ქცეულიყო სისტემად. 40-იანი წლების შემდეგ კარლაილი სულ უფრო მეტად დაუახლოვდა რეაქციულ რომანტიზმს, თუმცა ყოველთვის ახერხებდა სინამდვილის ორმხრივ კრიტიკას: რევოლუციურსა და რეაქციულს. კარლაილის კრიტიკის რევოლუციური მხარე თავს იჩენს ყოველთვის, როცა იგი იცავს კრომველს, წერს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას, წერს პამფლეტს ჩარტიზმზე, ხოლო რეაქციული მხარე ვლინდება თანამედროვე სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში, ისტორიული პროცესის იდეალისტურ გაგებაში. ფეოდალური შუასაუკუნეობრიობის და პატრიარქალური ურთიერთობის გაიდვალებაში. კარლაილის კრიტიკის რეაქციული მხარე ვლინდება ურბანისტული ყოფის გამოებაში, ბელადების ანტიდემოკრატიული კულტის გაიდვალებასა და ხალხისადმი სიძულვილში. კარლაილი აკრიტიკებს ბურჟუაზიული ეგოიზმის წარმომადგენლებს, მაგრამ მის კრიტიკაში იმალება „ბურჟუის, როგორც პიროვნების, აპოთეოზი“ და, გარდა ამისა, მისი კეთილშობილება „უმაღლესი გადამიქ-

¹ ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 117.


ცევა აშკარა სიმდაბლედ, როგორც კი დაეშვება იგი თავისი სენტენციალური ფრაზების ცნებიდან რეალურ ურთიერთობათა სამყაროში“ (VIII, 289)...

კარლაილის იდეურ პოზიციებს შეეფერება მისი შემოქმედებითი მანერა; ბურჟუაზიის კრიტიკამ წარსულის დიდების პოზიციებიდან განაპირობა მისი სამწერლო თავისებურებანი. „კარლაილის სტილი, — აღნიშნავდნენ მარქსი და ენგელსი, — ისეთივეა, როგორც მისი იდეები. ეს არის პირდაპირი, ძალდატანებითი რეაქცია თანამედროვე ბურჟუაზიული, ინგლისური ფარისევლური სტილის წინააღმდეგ, რომლის გაბერილი ბანალობა, ფრთხილი მრავალსიტყვაობა და მორალურ-სანტიმენტალური, გამოუვალი სევდა გადავიდა მთელს ინგლისის ლიტერატურაში ამ სტილის პირველდაწყებით შემოქმედთა, განათლებულ ლონდონელთაგან. ამ ლიტერატურის საწინააღმდეგოდ კარლაილი ისე მოეპყრა ინგლისურ ენას, როგორც სრულიად ნედლ მასალას, რომლის ხელახლა გადადნობა მოუხდა მას. მან გამოძებნა დაძველებული კილოკავები და სიტყვები და შეთხზა ახალი გამოთქმები გერმანული გამოთქმების მსგავსად, კერძოდ ჟან-პოლ რიხტერის ნიმუშის მსგავსად. ახალი სტილი იყო ხშირად ტრაბახა და უგემური, მაგრამ ხშირად ბრწყინვალე და ყოველთვის ორიგინალური“ (VIII, 281—282).

გამართლდა მარქსისა და ენგელსის პროგნოზი რეაქციის ბანაკისაკენ კარლაილის სულ უფრო მეტად გადახრასთან დაკავშირებით. ინგლისის ჩარტისტულმა მოძრაობამ და ევროპის 1848—1849 წლების რევოლუციებმა საბოლოოდ დააფრთხეს კარლაილი, რომელმაც ხელი აიღო ინგლისის კაპიტალიზმის კრიტიკაზე. ცხოვრების მეორე პერიოდში იგი გახდა კაპიტალიზმის იდეოლოგთაგანი და ქადაგება იწყო მსხვილი ბურჟუაზიის დიქტატურის შესაქმნელად, მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ტერორის მოსამარჯვებლად.

1848 წლის რევოლუციის შემდეგ რომანტიკული სულისკვეთება იყო საკმაოდ შესუსტებული და იგი არ წარმოადგენდა რაიმე ძალას, მით უმეტეს სახიფათო ძალას, მაგრამ იგი მაინც ექცეოდა „მანიფესტის“ ავტორთა ყურადღების ცენტრში. მარქსისა და ენგელსის ნაწერებში ვხვდებით ისეთ დებულებებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია რომანტიზმის არსის, წარმოშობის მიზეზებისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინება.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს შატობრიანის შემოქმედების მარქსისტული დანახიათება, მითითება იმაზე, რომ შატობრიანი, როგორც ტიპიური რეაქციული რომანტიკოსი, ერთი მხრივ, ეკეკლუცება თავისუფლებას, ხოლო მეორე მხრივ, იცავს რესტავრაციისა და კათოლიკობის რეაქციულ იდეებს, ამტკიცებს, თითქოს კაცობრიობის კეთილდღეობისათვის სრულიად უსარგებლო იყოს რევოლუციურ გადატრიალებათა ობიექტური შედეგები. შატობრიანის შემოქმედების, კერძოდ სტილის, კლასიკური ანალიზის საფუძველზე მოგვცა მარქსმა ფრანგული კონსერვატიული რომანტიზმის ამომწურავი დახა-



სიათება (ბარათებში ენგელსისადმი 1854 წლის 24 ოქტომბრის და 1837 წლის 30 ნოემბრის თარიღით).

ჰიუგოს შემოქმედებითი სტილის ნაირობასთან დაკავშირებით ყურადსაღებო დებულებებია მოცემული მარქსის შრომაში „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“.

საზღვარგარეთული ლიტერატურის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 4. XI. 1959).

Ш. И. Ревшвили

ПРОБЛЕМА РОМАНТИЗМА В ОСВЕЩЕНИИ МАРКСА И ЭНГЕЛЬСА

Резюме


Романтизм — наименее изученный период в истории зарубежной литературы. Существуют различные точки зрения относительно социальных условий возникновения романтизма, его философских основ и политического характера.

Последний период существования романтизма в Германии совпадает с первым периодом деятельности Маркса и Энгельса; поэтому в их работах большое место отводится исследованию идейных и художественных особенностей этого течения.

Изучение взглядов авторов «Манифеста» по этому вопросу вносит ясность в проблему о природе романтизма, его политических, философских и эстетических основах.

Маркс и Энгельс изучали проблему романтизма как до 1845 года, до создания теории научного коммунизма — марксизма, так и в последующие годы. В романтизме они видели недовольство различных слоев общества господством буржуазии. Романтизм подразделяется на прогрессивный и реакционный. Общим для них является разочарование в современности и стремление к переустройству общества. Но идейное различие между этими направлениями состоит в том, что реакционный романтизм ориентируется на прошлое, на уходящие, отживающие силы, в то время как прогрессивный романтизм ориентируется на будущее и на силы революционно-демократические.

Прогрессивный романтизм унаследовал идеалы и тенденции эпохи Просвещения и революции, отразил в себе интересы недовольной массы населения и либеральной мелкой буржуазии. Для прогрессивного романтизма не свойственно преклонение перед строем средневековой жизни и проповедь идеалов и догм христианской религии. Не углубляясь в настроения меланхолии и пессимизма, отказавшись от вредной практики отхода от активной тематики и преклонения перед миром грез и фантазий, представители прогрессивного романтизма распространяли идеи свободомыслия, иногда даже симпатии к революции. В произведениях прогрессивных романтиков находили Маркс и Энгельс отзвуки гениальных идей великих утопистов, обличение аристократии и религии, преклонение перед свободой, идеализацию труда и



мечту о будущем свободном обществе. Маркс и Энгельс ценили произведения прогрессивных романтиков за отсутствие в них пиетизма, неприкрашенный показ жизни и народный юмор.

Реакционный романтизм отразил недовольство феодального класса и консервативной мелкой буржуазии настоящим и будущим. Возникнув первоначально как реакция против французской буржуазной революции и связанного с нею просветительства, реакционный романтизм в 40-х годах перешел на позиции защиты Священного Союза и интересов феодальных землевладельцев; реакционные романтики пришли к утверждению традиционной политической раздробленности Германии, ее экономической отсталости и феодального произвола, к игнорированию интересов народа и его свободной мысли. В отношении к действительности у реакционных романтиков наблюдалась двойственность, противоречивость: ратуя на словах за свободу и либерализм, красоту и поэтичность, свободу мысли и высокие идеалы, они, в то же время, противоречили собственным идеалам, так как выступали с требованием введения драконовских цензурных условий, системы строгих наказаний и стояли за торжество ортодоксальных и реакционных идей. Для реакционных романтиков характерно преклонение перед системой феодального гнета и неписанного феодального права, стремление уйти от современности и идеализация патриархального быта деревни.

Критикуя утвердившиеся в различных сферах сознания романтические настроения, Маркс и Энгельс защищали интересы эксплуатируемой и бесправной части общества, подготовляли основу для научной теории народного движения и сплачивали трудящихся для будущей борьбы.

ღ. გამსახურია

ჰარისის ფონოლოგიური შეხედულებანი¹

ზელიგ ჰარისის „სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდები“² წარმოადგენს ფუნდამენტალურ ნაშრომს, რომელშიაც თანმიმდევრულადაა განხილული ენობრივი მასალის კვლევის სტრუქტურული მეთოდები და ხერხები. წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან: ფონოლოგიისა და მორფოლოგიისაგან. ამჟამად ჩვენ შევხებით ჰარისის მხოლოდ ფონოლოგიურ შეხედულებებსა და აგრეთვე იმ ზოგადი ხასიათის მოსაზრებებს, რაც წარმოადგენს გვაძლევს ამერიკის დესკრიფციული ენათმეცნიერების შესახებ.

შესავალში ჰარისი ებება წმინდა მეთოდოლოგიურ საკითხებს, დესკრიფციული კვლევის ობიექტისა და ხერხების ზოგად დახასიათებას.



ავტორის აზრით, ენების სტრუქტურული აღწერა დაგვეხმარება ენობრივი სტრუქტურების დახასიათებასა და სტრუქტურული ტიპების შედარებისას. სტრუქტურული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ისტორიული ლინგვისტიკისა და ენათმეცნიერების სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის (მაგ. დიალექტური გეოგრაფიის, სემანტიკის, ფონეტიკისა და სხვ.). საინტერესოა ის გარემოება, რომ ჰარისს, სტრუქტურული კვლევის ერთი რომელიმე მეთოდი არ მიაჩნია უნივერსალურად. ყოველი კონკრეტული ენის სტრუქტურულმა თავისებურებამ შეიძლება გვიკარნახოს კვლევის ახალი, კონკრეტული ხერხები. რაც შეეხება თვითონ კვლევის მეთოდის რაობას, ის ყოველთვის სტრუქტურული უნდა იყოს, ე. ი. უნდა ეყრდნობოდეს ენობრივი ერთეულების განაწილებას, მათი გარკვეული ურთიერთმიმართების აღნუსხვას. დესკრიფციული ლინგვისტიკა სწავლობს სამეტყველო ნიშანთა დისტრიბუციულ მიმართებას, ე. ი. სწავლობს სამეტყველო ნიშანთა ისეთ თანარსებობას გამონათქვამებში, როცა ისინი გარკვეულ ურთიერთმიმართებას ამყარებენ ერთმანეთთან. ლინგვისტი სწავლობს დისტრიბუციულ მიმართებებს არა მარტო ფონოლოგიური, არამედ მორფოლოგიური ანალიზის დროსაც. ფონოლოგიაში ენათმეცნიერი განსაზღვრავს ფონოლოგიურ ელემენტებს და იკვლევს მათ თანაფარდობას, მორფოლოგიაში—მორფოლოგიურ ელემენტებს.

¹ წაკითხულია მოხსენების სახით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის სხდომაზე.

² იხ. Zellig S. Harris *Methods in Structural Linguistics*, 1955, Chicago.

ტებსა და მათ თანათარღობას. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ლინგვისტის მიზანია გამოავლინოს რელევანტური (ნიშნადობის მქონე) ელემენტები, ელემენტთა რელევანტობას—ნიშნადობას კი, მათი განაწილება (დისტრიბუცია) განსაზღვრავს. ასე მაგალითად, x და y შეიძლება მივიჩნიოთ ერთი და იგივე რელევანტურ ელემენტად—ფონემა A -დ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი x -ის მიმართება B , C ... ელემენტებთან იგივეა, რაც y -ის მიმართება მათთანვე.

ქართულში მაგალითად, პალატალიზებული [ლ] (ლია) და არაპალატალიზებული [ლ] (ლუქი) შეიძლება მივიჩნიოთ ერთსა და იმავე ფონემად, თუკი პალატალიზებული [ლ] ისეთსავე მიმართებაში იქნება $ბ$, $ფ$, $ღ$, $თ$, $ს$,... როგორც არაპალატალიზებული [ლ] მათთანვე.



და ა. შ.

ე. ი. პალატალიზებული [ლ] და არაპალატალიზებული [ლ] ნაწილდებიან სხვადასხვა პოზიციებში: პალატალიზებული [ლ] (ი)ს წინ, ხოლო არაპალატალიზებული [ლ] (უ) წინ და ამის საფუძველზე ერთ ფონემად ერთიანდებიან. სხვა ფონემებთან მიმართებაში მათ შესაბამისად მსგავსი პოზიციები აქვთ.

ჰარისთან, ისევე როგორც სხვა ამერიკელ ლინგვისტებთან, დისტრიბუციული კრიტერიუმში ცვლის სემანტიკურ კრიტერიუმს. თუმცა ფონოლოგიური ელემენტების ანალიზის დროს, ჰარისი ყოველთვის ვერ ახერხებს სემანტიკური კრიტერიუმის უგულვებელყოფას.

ისევე როგორც ბლუმფილდს, ჰარისსაც მიაჩნია, რომ ენობრივ კოლექტივში ზოგი გამონათქვამი მსგავსია როგორც ფორმით, ისე შინაარსით. მაგ., განმეორებული გამონათქვამების იდენტურობა (მაგ., კაცი მიდის—კაცი მიდის) დაფუძნებულია მათი გარეგანი—აკუსტიკური და შინაარსობრივი მხარეების მსგავსებაზე. აქ როგორც ვხედავთ, ჰარისი იშველიებს აკუსტიკური მსგავსებისა და მნიშვნელობის კრიტერიუმს. ჰარისის აზრით, დესკრიფციული კვლევის ობიექტს წარმოადგენს ერთი პიროვნების ან დიალექტალურად იდენტურ პიროვნებათა ენობრივი მასალა. მაგრამ ჩვეულებრივი კვლევის დროს დიალექტალური ან სტილისტური თავისებურებანი უგულვებელყოფილია, რადგანაც საბოლოო ჯამში ეს არ ცვლის მოცემული ენის სტრუქტურას.

საკვლევ ერთეულად მიჩნეულია გამონათქვამი და არა გამონათქვამთა წყება, რადგანაც პერიოდის შიგნით შეიძლება იმდენი მასალა დაგროვდეს, რომ შეაფერხოს ელემენტთა ურთიერთმიმართების დადგენა.

თუკი ერთი გამონათქვამი წარმოადგენს კვლევისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ სიგრძის ერთეულს, საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ გამოვეყოთ გამონათქვამი სამეტყველო პერიოდიდან. ჰარისს გამონათქვამის საზღვრებად სიჩუმე ანუ პაუზა მიაჩნია. მაშასადამე, გამონათქვამი იმისდა მიხედვით, თუ სად იქნება პაუზა, შეიძლება უდრიდეს სიტყვას, შესიტყვებას ან წინადადებას. ამიტომ ჰარისისეული „გამონათქვამი“ გარეგნულად სინტაგმას წააგავს.

ცნობილია რომ სინტაგმა სემანტიკური ერთეულია; მისი წმინდალი ფუნქციონირება ნეტიკური მახასიათებლები: თავისებური ინტონაციური კონტური და მეტნაკლები ხანგრძლიობის პაუზა, სემანტიკურად მოტივირებულია. თავისთავად ცხადია, რომ პაუზა გამონათქვამის შემდეგ ასევე სემანტიკურად უნდა იყოს მოტივირებული. მაგრამ ჰარისი მეტყველებიდან გამონათქვამის გამოყოფისას ეყრდნობა არა იმას, რაც განაპირობებს პაუზას (ე. ი. გამონათქვამის სემანტიკურ გამიზნულებას), არამედ თვით გარეგნულ ფონეტიკურ მახასიათებელს—სიჩქემს.

ამგვარად, დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში კვლევის ობიექტად მიჩნეულია ენობრივი მასალა, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს მეტყველების პერიოდის სახით: საკვლევ ერთეულს წარმოადგენს გამონათქვამი, ხოლო საკვლევ მეთოდს—დისტრიბუციული კრიტერიუმი.

იბადება კითხვა: რა არის ასეთი კვლევის მიზანი? ასეთი კვლევის მიზანი ენობრივი ელემენტების დადგენაა.

როგორც ჰარისის მსჯელობიდან ირკვევა, ელემენტები საბოლოო ჯამში წარმოადგენენ ისეთ ოდენობებს, რომლებიც რელევანტური არიან, ე. ი. მათ გარკვეული ნიშნადობა ახასიათებთ, რომლებიც გარკვეულ ურთიერთმომართებას ამყარებენ ურთიერთთან. ჩვენი ტრადიციული ტერმინოლოგიით, ელემენტები შეიძლება ზოგადად დავიყვანოთ (და არა გავავიციოთ) ენობრივ ერთეულებამდე: წინადადება—სიტყვა—მორფემა—ფონემა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ენობრივ ერთეულებს ტრადიციული თვალსაზრისით პირველ რიგში მნიშვნელობა და შემდეგ კი ნიშნადობა ახასიათებს¹.


ჰარისი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელობის კრიტერიუმს სდევნის ენობრივი ანალიზიდან, ამიტომ, ცხადია, ის გვერდს აუვლის ენობრივი ერთეულების ტრადიციულ კლასიფიკაციასაც. გარდა ამისა, ენაში დისტრიბუციული კრიტერიუმის შემოტანა ელემენტებად აქცევს ისეთ ოდენობებს, რომელსაც ტრადიციული კლასიფიკაცია ენობრივ ერთეულებად არ მიიჩნევს. ასე, მაგალითად, ფონემების გარდა ელემენტებად ჩაითვლება ინტონაცია, პაუზა და სხვ., ე. ი. ყველაფერი ის, რასაც გარკვეული მიმართების დამყარება შეუძლია. ამიტომ ჰარისთან (და საერთოდ ამერიკელ დესკრიპტივისტებთან) „ელემენტის“ ცნება ვაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე „ენობრივი ერთეულის“ ცნება (ტრადიციული გაგებით).

ჰარისთან ლინგვისტური ელემენტების დადგენა ხდება ან მათი სამეტყველო ნიშნებთან ასოციაციის საფუძველზე, ან თვით სამეტყველო ნიშნებს შორის არსებულ სხვაობებთან ასოციაციის საფუძველზე. ამიტომ ელემენტები გარკვეული ლოგიკური სიმბოლოებია, რომლებიც თანადროულ ან დროში ერთიმეორის მომდევნო სამეტყველო ნიშნებს წარმოგვიდგენენ. ელემენტები

¹ ამის გამო ზოგიერთი ლინგვისტი ფონემებს, რომლებიც მოკლებულნი არიან დამოუკიდებელ მნიშვნელობას, არ თვლის ენობრივ ერთეულად. იხ. А. И. Смирницкий, Лексикология английского языка, Москва, 1956. გვ. 13.



უფრო მიუთითებენ, ვიდრე აგვიწერენ ჩვენთვის საინტერესო სამეტყველო ნიშნებს. ყველა ლინგვისტური ელემენტის დისტრიბუცია უდრის მის გარემოთა ჯამს, ე. ი. ყველა იმ პოზიციის ჯამს, რომელშიაც ელემენტი გვხვდება სხვა ელემენტებთან მიმართებაში. ჰარისის აზრით, ელემენტების წარმოდგენა წმინდა ლოგიკურ ელემენტებად უფრო მოსახერხებელია კლავის პროცესში, რადგან ჩვენ შეგვიძლია მათემატიკური ლოგიკის სხვადასხვა ოპერაციები გამოვიყენოთ. ანალიზის დასაწყისში მეტყველების ნაკადი დაიყვანება ელემენტთა კომბინაციებამდე, ხოლო ანალიზის დასასრულისათვის ძირითადი ელემენტები ისევ გადაიყვანება მეტყველების ნაკადად. ამ პროცედურის ჩატარებისათვის საჭიროა, რომ სამეტყველო ნიშნებსა და ჩვენს საწყის ელემენტებს შორის მიმართება იყოს ერთი ერთზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საძიებელი სამეტყველო ნიშნები უნდა დავუკავშიროთ ელემენტ x -ს, ხოლო ელემენტი x ამ საძიებელ ნიშნებს. ჰარისის ეს მსჯელობა ასე უნდა გავიგოთ: თუ ამჯერად ლინგვისტური ელემენტი (ვგულისხმობთ ფონოლოგიის სფეროს) ფონემას წარმოადგენს, უნდა ვიგულისხმობთ, რომ რომელიმე ფონემა, მაგალითად, [ბ] შეიძლება დაუკავშირდეს შემდეგ სამეტყველო ნიშნებს: მეღერობას, წყვილბაგისმიერობას, ხშულობას, ან იმ სხვაობებს, რომელიც კლინდება [ბ] და [ტ] შორის სხვადასხვა მიმართებებში. ფონემა [ბ]-ს დისტრიბუცია (განაწილება) უდრის ყველა იმ პოზიციასა ჯამს, სადაც (ბ) გვხვდება სხვა ელემენტებთან, მაგ., ტ, ქ, ს, ზ, ... მიმართებაში.




მიმართება ფონემა [ბ]-სა და სამეტყველო ნიშანთა ერთობლიობას შორის არის ერთი-ერთზე, რადგანაც ყველა გამონათქვამში ნიშნები: წყვილბაგისმიერობა, მეღერობა, ხშულობა დაკავშირებულია [ბ]-სთან. ამგვარად, ელემენტი არის დისტრიბუციულად დამოკიდებული ერთეული.

ვიდრე ფონემიკურ ერთეულთა ურთიერთმიმართებათა შესწავლაზე გადავიდოდეს, ჰარისი გვაძლევს სამეტყველო ნაკადის სეგმენტალურ დახასიათებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით—ამბობს ჰარისი—ყოველი სამეტყველო ფენომენი, დაწყებული მოკლე გამონათქვამით და გათავებული გრძელი მსჯელობით, შედგება ფონემიკური სიგრძის ბგერა-ელემენტების ანუ სეგმენტების ინტეგრალური რიცხვისაგან. თუკი ყოველი გამონათქვამი სეგმენტებისაგან შედგება, მათი განლაგება ისე შეიძლება, რომ მათი სიგრძე დაემთხვეს ფონემების სიგრძეს.

თვითონ გამონათქვამთა სეგმენტებად დაყოფა ისე, რომ თითოეული სეგმენტი უდრიდეს ერთ ფონემას, ხდება შენაცვლების ხერხის საშუალებით. ეს სეგმენტები, რომლებიც ვერ შენაცვლებიან ერთმანეთს ფონემიკური თვალსაზრისით, განუყოფელ სეგმენტებს წარმოადგენენ. ასე, მაგალითად,



ქართული. (ჯ) არ შეიძლება დაიშალოს შემადგენელ სეგმენტებად და ნაპრალოვან სეგმენტებად (დ+ჟ); რადგანაც მისი პირველი წევრი [ღ] განსხვავდება შესაბამისი ხშულიდან, რომელიც თავისუფალი სახით გვხვდება გამონათქვამში: დიდი დათვი; ასევე მეორე წევრი [ჟ] განსხვავდება და ვერ შეენაცვლება შესაბამისს ნაპრალოვანს (ჟამი, ჟინი და სხვ.).

მაშასადამე, სეგმენტთა სიგრძის დადგენა დესკრიფციული თვალსაზრისით მისი შენაცვლების უნარიანობით განისაზღვრება.

სეგმენტთა ექვივალენტობას (ე. ი. ბგერათა იგივეობას ფონემიკური თვალსაზრისით) ჰარისი ჯერ განმეორებულ გამონათქვამებში ეძებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჰარისი მთლად თავს ვერ არიდებს სემანტიკურ კრიტერიუმს. თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც ავტორი ფიქრობს,—არის დამხმარე და არა აუცილებელი. მთავარია სიტუაციის ბგერების მსგავსება და შენაცვლების უნარიანობა. ასე, მაგალითად, თუ განმეორებულ გამონათქვამებში ყანა-ყანა, ყარიბი-ყარიბი—ფარინგალური და ველარული [ყ] თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს (როგორც ვხედავთ, იდენტურ გარემოში), მაშინ ისინი თავისუფალი ვარიანტები არიან, ანუ ანალოგიური სეგმენტები¹.

ექვივალენტური სეგმენტების დადგენა საჭიროა ასევე განსხვავებულ გამონათქვამებში. აქაც შეიძლება შენაცვლების მეთოდი ვიხმაროთ, მაგრამ თავდაპირველად უნდა გამოვყოთ თავისუფალი ვარიანტების რიგი ერთი გამონათქვამის რომელიმე სეგმენტისათვის (მისი განმეორების საშუალებით), იგივე ოპერაციას ჩავატარებთ მეორე გამონათქვამზე და შემდეგ შენაცვლების გზით გამოვყოფთ ექვივალენტურ სეგმენტებს. ამ მსჯელობის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი: გამონათქვამის—„გაფრინდი“—განმეორებამ შეიძლება მოგვცეს თავისუფალ ვარიანტთა² რიგი სეგმენტ [ა]-სათვის, რომელიც ზოგჯერ შეიძლება წარმოვთქვათ როგორც მეტნაკლები ღიაობის წინა რიგისა ან შუა რიგის ხმოვანი. სხვა გამონათქვამებში, მაგ., იყო არაბეთის როსტეფან... სეგმენტმა [ა]-მ შეიძლება ასევე მოგვცეს თავისუფალი ვარიანტთა რიგი. ახლა თუკი პირველი გამონათქვამის თავისუფალი ვარიანტები (მეტნაკლები ღიაობის [ა]) ან წინა, ან შუა რიგისა შეენაცვლებიან მეორე გამონათქვამის თავისუფალ ვარიანტებს, ისე რომ ცდის პირი (ამ ენაზე მოლაპარაკე) ამას მიიღებს, მაშინ ყველა ეს ვარიანტი გათანაბრდება, ისინი ექვივალენტურად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ვხედავთ, სხვადასხვა გამონათქვამებში სეგმენტთა გათანაბრება ხდება აკუსტიკური მსგავსების, სეგმენტთა ურთიერთ შენაცვლებისა და ცდისპირის რეაქციის საფუძველზე. ისმის კითხვა, რითი ხელმძღვანელობს ცდისპირი, როცა ის ახდენს ორი სეგმენტის გაიგივებას ფონეტიკური თვალსაზრისით? ცხადია, რომ (თუმცა

¹ ცხადია, რომ ჰარისი ასეთ შემთხვევებშიც სემანტიკურ კრიტერიუმს ეყრდნობა: ფარინგალური [ყ] და ველარული [ყ] ენაცვლებიან ერთმანეთს მსგავს გარემოში, მაგრამ მათი შენაცვლება სიტყვა მაგ. „ყანის“ მნიშვნელობას არ ცვლის.

² ტრადიციული თვალსაზრისით ეს იგივე სუბიექტური ვარიანტებია ერთი ფონემისა.



ჰარისი ამას პირდაპირ არ ამბობს) იგი ხელმძღვანელობს ფონემათა განსხვავებელი ფუნქციით.

ჰარისი მოლაპარაკის რეაქციას ყოველთვის არ მიმართავს. ზოგჯერ იგი გამონათქვამების გარეგნული შედარებით კმაყოფილდება. ასე, მაგალითად, თუ წყელი გამონათქვამის. (შენი ფიცი—შენ იცი, ან ის მიდის—ის მოდის) რამოდენიმეჯერ მკაფიოდ წარმოთქმისას მსმენელი ყოველთვის არჩევს რომელი ითქვა, მაშინ მათ შორის დესკრიფციული განსხვავებაა. მიღებულ სეგმენტების კლასის მიმართ, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თავისუფალ ვარიანტებს წარმოადგენენ, ჰარისი იყენებს ერთ სიმბოლოს, რომელიც ამ კლასის ყველა წევრს აღნიშნავს (წინა რიგისა და შუა რიგის [ა]-თვის იწერება ერთი სიმბოლო).


ჰარისის მიხედვით, განსხვავებული ელემენტების (ფონემების, ლ. გ.) სისტემის მისაღებად საჭიროა აღვნიშნოთ ერთზე მეტი სხვაობა გამონათქვამებს შორის (ე. ი. საჭიროა ვნახოთ, თუ როგორ უპირისპირდება ერთი ფონემა სხვა ფონემებს და როგორ ავლენს სხვადასხვა მიმართებებში თავის განმასხვავებელ თვისებებს). განმასხვავებელი თვისებების გამოკვლევა ხდება შეპირისპირებულ გამონათქვამებში: ეს სხვაობები ზოგ გამონათქვამებში ერთ ძირითად სხვაობას არ აღემატება, მაგ., (ბანი-ბარი), სხვა გამონათქვამები ხასიათდება უფრო მეტი დიფერენციალური ნიშნებით. თუ ჩვენ გვინდა დავადგინოთ განსხვავებულ ელემენტთა (ე. ი. ფონემათა, ლ. გ.) სისტემა მრავალი გამონათქვამის მიმართ (მაგ. ბარის, განის და ბაკის მიმართ), ჩვენ მათ შორის ერთზე მეტი სხვაობა უნდა ვცნოთ. ასე, მაგალითად, ბარი—ბაკი-საგან განსხვავდება მესამე სეგმენტით, მაგრამ განი-საგან პირველითა და მეორეთი.

ორი სეგმენტის ერთ ფონემად გაერთიანებისათვის ჰარისი, გარდა ზემომოტანილი ხერხებისა, იყენებს გარკვეულ გარემოში ორი სეგმენტის მულტიგ თანხედრილობას. ასე, მაგალითად: თარი—ფიფქი—სქელი თავდაპირველად შეგვეძლო დაგვეყო სეგმენტებად:

ტპარი—პპპპკპი-სკპელი (სადაც ტ-პ-კ ყრუ არათშვინვიერი ხშულია), მაგრამ საკმაოდ ბევრი გამონათქვამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყრუ ხშულს ქართულში (თუ ის აბრუპტივი არ არის) ყოველთვის თან ფშვინვა ახლავს, ამიტომ ეს ორი სეგმენტი ერთ სეგმენტად უნდა მივიჩნიოთ და ერთი სიმბოლოთი აღვნიშნოთ (თარი-ფიფქი-სქელი), ე. ი. თუკი სეგმენტი A არასოდეს არ გვხვდება სეგმენტ B-ს გარეშე, მაშინ $A + B = C$ (ერთ სეგმენტს).

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ სხვაობა ორ საპირისპირო გამონათქვამს შორის მინიმუმამდე დაიყვანება, მაგრამ, რადგანაც გამონათქვამები ხასიათდებიან ტონისა და აქცენტის გარკვეული თანმიმდევრობით, ძნელდება მათ შორის სხვაობის მინიმუმამდე (ერთ სეგმენტამდე) დაყვანა, რადგანაც ტონის ლოკალიზება ერთ რომელიმე სეგმენტზე შეუძლებელია.

- | | | | |
|----------------------------|---|--------|---------------------------|
| | 1 | 2 | 3 |
| მაგ., გამონათქვამები 1) ის | | მოდის? | |
| | 0 | 2 0 | |
| 2) ის | | მოდის. | არ წარმოადგენს ერთიმეორის |



განმეორებას. იმისათვის, რომ ეს გამონათქვამები გათანაბრდეს, — ჰარისის ფონოლოგიის აღმნიშვნელი ციფრები ცალკე გამოაქვს:

ის მოდის + 123

ის მოდის + 020

გარკვეულ ტონალურ ქარგათა ნიველირება და ტონისა და აქცენტის გამოცალკეება გამონათქვამებიდან საერთოდ დამახასიათებელია დესკრიფციული ფონოლოგიისათვის. ტრადიციული ფონოლოგია ასეთ საკითხს არც კი სვამს, იმდენად, რამდენადაც ფონემებს იგი ეძებს არა გამონათქვამის ფარგლებში, არამედ სიტყვის, მორფემის შიგნით. ამიტომ მისთვის საკვლევეო ობიექტად გამოდის მორფემა და სიტყვა, რომელიც იმთავითვე მოშორებულია ყოველგვარ ინტონაციას. საკუთრივ ტონის სიმაღლე და მახვილი ტრადიციულ ენათმეცნიერებას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი სიტყვის შიგნით ხმოვანის თვისებას ცვლის და ამდენად ხმოვანთა ფონემატურობის გარკვევისას მხედველობაშია მისაღები. ჰარისს კი ტონის გამოცალკეება უხდება იმიტომ, რომ კვლევის ობიექტად ის გამონათქვამს იღებს, რომელსაც მელოდიური ჰარგაც აქვს.

მაშასადამე, ჰარისის მიხედვით, გარკვეულ გამონათქვამს შესაძლებელია ჰქონდეს ორი თანხედრილი პროფილი: პირველი იქნება შესეგმენტური კომპონენტი — ე. წ. გრძელი კომპონენტი, რომელიც მთელ გამონათქვამზე ვრცელდება და წარმოადგენს საძიებელი ნიშნის გრადაციულ თანამიმდევრობას (ტონი 123 და ა. შ.) და მეორე: სეგმენტური ნარჩენების თანამიმდევრობა — ე. წ. ტონგარეშე ნარჩენები (ის მოდის — ტონის გარეშე).

ტონური ექვივალენტობის, ისევე როგორც ბეგრათა ექვივალენტობის დადგენისას ჰარისი გაურბის სემანტიკურ პრინციპს და მის სანაცვლოდ სუბსტიტუციის, შენაცვლების კრიტერიუმს იყენებს. ტონები ექვივალენტურია, თუ მათი შენაცვლება შესაძლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ სუბსტიტუციის — შენაცვლების „სანქციას“ აქაც, ისევე როგორც ექვივალენტურ სეგმენტთა შენაცვლების დროს (განმეორებულ გამონათქვამებში), ამ ენაზე მოლაპარაკე იძლევა. ისმის კითხვა, რას ეყრდნობა ცდისპირი, როცა მას ესა თუ ის სუბსტიტუცია შესაძლებლად მიაჩნია? ამაზე ჰარისი არაფერს ამბობს, მაგრამ ცხადია, რომ აქაც, ისევე როგორც სეგმენტთა ექვივალენტობის დადგენისას ის ვერ ახერხებს მნიშვნელობის სრულ უგულვებელყოფას. ტონისაგან დაცლილი მორფემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფორმითა და გარემოთი, არამედ მნიშვნელობითაც. ზემოთ მოტანილი ოპერაციების შემდეგ ჰარისი თანამიმდევრულად აყალიბებს იმ ხერხებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ტონგარეშე და უმახვილო სეგმენტური რიგი დაჯგუფდეს ფონემებად. იმისათვის, რომ სეგმენტთა მრავალფეროვნება უფრო მცირერიცხოვან ელემენტებად — ფონემებად დავიყვანოთ, ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ სეგმენტთა პოზიციები. პოზიციათა მთელი ერთობლიობა იწოდება დისტრიბუციად ანუ განაწილებად.



პირველი სერხი სეგმენტური ექვივალენტობის დადგენისა მდგომარეობის შემდეგში: ჩვენ ვიღებთ ნებისმიერ სეგმენტს და მის ყველა შესაძლებელ ზიციას აღვნიშნავთ. მაგ., [ფ] სრული ასპირაციით გვგვდება პოზიციაში

ფონემათა დისტრიბუციული განაწილება¹

	#-V	#S-C
ფ	v	
ფ ^o		v
ბ	v	
თ	v	
თ ^o		v
დ	v	
ქ	v	
ქ ^o		v
გ	v	

(ფარი); ჩვენ შემდეგ ვეძებთ სეგმენტს, რომელიც არასოდეს არ შეგვგვდება ასეთ პოზიციაში, მაგ., შედარებით სუსტი ასპირაციის მქონე [ფ], რომელიც გვგვდება # S-V პოზიციაში (სფერო). ეს ორი სეგმენტი ურთიერთის მიმართ დამატებით განაწილებაშია² და მაშასადამე, შეიძლება გაერთიანდნენ ერთ ფონემად.

მაშასადამე, ჰარისი ახდენს პოზიციური ანუ ობიექტური ვარიანტების გაერთიანებას იმის საფუძველზე, რომ ისინი მსგავს გარემოში არ გვგვდებათ. მაგრამ არა მსგავს გარემოში შეიძლება შეგვგვდნენ სხვადასხვა ფონემებიც. მაგ., ბურთი ←→ სახელი და ამის საფუძველზე შეუძლებელია [ბ]-ს გაერთიანება [ს]-თან ერთ ფონემად. მაშასადამე, დამატებით განაწილების კრიტერიუმში არ არის საკმარისი. ამიტომ ჰარისი გვაძლევს ფონეტიკური სიმეტრიის კრიტერიუმს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დამატებით განაწილებაში მყოფი ორი სეგმენტი ერთიანდება მათი საერთო ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური ნიშნების საფუძველზე. ასე, მაგალითად, [ფ]-ს #-V პოზიციაში და #S-V პოზიციაში აქვთ საერთო ნიშანი—ლაბიალური ხშვა და სიყრუე (ანუ სიძლიერე), რაც არა აქვს მაგ. [ზ]-სა და [დ]-ს.

ფონეტიკური სიმეტრია მიუთითებს საერთო ნიშნის ძალიან ზოგად ხასიათზე. მაშასადამე, ფონემა სეგმენტთა კლასი კი არ არის,

არამედ ისეთ სეგმენტთა ერთობლიობაა, რომელსაც ზოგადი არტიკულატორულ-აკუსტიკური ნიშნები აქვთ. ამიტომ მიმართება ფონემათა შორის, ჰარი-

¹ ნიშანი # ნიშნავს პაუზას; V—ხმოვანს, S—ნაპარალვანს, C—ნებისმიერ თანხმოვანს, ე. ი. [ფ] #-V პოზიციაშია მაშინ, თუ ის გვგვდება ხმოვნის წინ სიტყვის თავში, [თ] # S-C პოზიციაშია მაშინ, თუკი ის გვგვდება ნაპარალვანსა და სხვა რომელიმე თანხმოვანს შორის. ნიშანი ^o ყრუ ფშვინევიერის მარჯვნივ აღნიშნავს მის სუსტ ასპირაციას ნაპარალვანების შემდეგ.

² ტერმინი „დამატებითი განაწილება“ გულისხმობს ბგერების განაწილებას სხვადასხვა გარემოში, ე. ი. „დამატებითი განაწილებაში“ მყოფ ბგერებს არასოდეს არ ექნებათ ისეთი მსგავსი პოზიციები, როგორცა აქვთ, მაგალითად, ფონემებს [ფ]-სა და [დ]-ს: ფარი=დარი. ეს ტერმინი საკმაოდ გავრცელებულია ამერიკულ დესკრიპტივისტების ნაშრომებში. იხ. მაგ., Bernard Bloch, A set of postulates for phonemic analysis, Language v. 24 № 1,

სის აზრით, იქნება მიმართება მათ ბგერით ნიშნებს შორის, მაშინვე მართო ფონეტიკურ სიმეტრიაზე ან დამატებით განაწილებაზე დაყრდნობამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. ასე, მაგალითად, ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ფონემები ფ, თ, ქ, წარმოადგენს ორი ფონემის თანამიმდევრობას— $პპ-ტპ-კპ$, რომ მათი მეორე ელემენტია სეგმენტი [ქ], რომელიც ფონემა [ქ]-ს ნაპრალოვნებითა და სიყრუით ემსგავსება. გარდა ამისა მათ სხვადასხვა გარემოც გააჩნიათ.

[პპ—ტპ—კპ] გვხვდება # C—V (ე. ი. თანხმოვანსა და ხმოვანს შორის).
 [ქ] კი გვხვდება # —V (ხმოვნის წინ).
 —C (თანხმოვნის წინ).


მაშასადამე, ზემოთ მოტანილი კრიტერიუმების საფუძველზე სეგმენტი [ქ] [პპ—ტპ—კპ] შეიძლება მივაკუთვნოთ ფონემა [ქ]-ს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ [ქ]-ს ეს პოზიცია იქნებოდა იზოლირებული და არა ტიპიური, რადგან [ქ] სხვაგან არსად არ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ. ჰარისის აზრით, საერთოდ რაც უფრო ნაკლები პოზიციები აქვს სეგმენტს, მით უფრო ეჭვისქვეშ უნდა დავაყენოთ მისი ცალკე ფონემად მიჩნევა. ასევე შეუძლებელია, რომ სეგმენტი [ქ] ერთდროულად მივაკუთვნოთ ხშულებსა და ნაპრალოვან [ქ]-ს, რადგანაც ფონოლოგიურ ელემენტთა გამოყოფა ეყრდნობა შეფარდებას ერთი-ერთზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ გარემოს შეესაბამება ერთი ფონემა.

გარდა ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმებისა, სეგმენტების ფონემებად დაჯგუფება უნდა ხდებოდეს სეგმენტური ელემენტების მთელ ფონდთან მიმართების საფუძველზე, რაც ნიშნავს შემდეგს: სეგმენტების ზოგადი (მსგავსი) ნიშნების გამორჩევა უნდა ხდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად საერთოა ეს ნიშნები მთელი სეგმენტური ელემენტებისათვის. თუკი, მაგალითად, განსხვავება მჟღერსა და ყრუს შორის ვრცელდება სეგმენტთა ვარიაციებით უფრო დიდ რიცხვზე, ვიდრე სხვაობა ასპირირებულ და არასპირირებულ სეგმენტებს შორის, უმჯობესია ფონემიკური მწკრივი პირველ ნიშანზე დაყრდნობით დავადგინოთ.

შემდგომ კრიტერიუმად ჰარისს წარმოადგენილი აქვს გარემოთა სიმეტრია. რადგანაც ფონემები განისაზღვრებიან, როგორც განსაზღვრულ პოზიციაში მყოფი სეგმენტები, ამიტომ უმჯობესია სეგმენტები დავაჯგუფოთ ფონემებად ისე, რომ თითოეულ მათგანს ჰქონდეს მიახლოებით იდენტური პოზიციები.

დაახლოებით იდენტური პოზიციები ექნებათ, მაგალითად, ფონემებს [თ]-სა და [ფ]-ს, ე. ი. მათ იდენტური დისტრიბუცია ექნებათ.

1948. Morris Swadesh, The phonemic principle, Language v. 10 № 1—4, 1934 და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „დამატებით განაწილებაში“ მყოფი სეგმენტები ყოველთვის ერთი ფონემის პოზიციური ვარიანტებია, რომლებიც როგორც ცნობილია (სუბიექტური ვარიანტებისაგან განსხვავებით), მსგავს გარემოში არასოდეს არ გვხვდებიან.



ჰარისის მიხედვით, სხვადასხვა გარემოს მქონე სეგმენტები ერთმანეთთან ერთ ფონემად, ხოლო იდენტური გარემოს მქონე სეგმენტები სხვადასხვა ფონემებს მიეკუთვნებიან (მაგ., თ-ფ), ე. ი. მათ პოზიციებს ერთგვარი სიმეტრიულობა ახასიათებთ.

	აფიცებს ათი	ფირი თითი	ვფრინავ ფრთხილი	აფრა ათრია	სფერო მთა	ფრთა თრია
	# V—V	# —V	# C—C	# V—C	# C—V	# —C
თ	v	v	v	v	v	v
ფ	v	v	v	v	v	v

სეგმენტთა რიგის ერთ ფონემად გაერთიანება (პოზიციური სიმეტრიის საფუძველზე) ისევ ფონემურ ფონდთან მიმართების საფუძველზე ხდება: როცა ერთ რომელიმე პოზიციაში მყოფ სეგმენტს (მაგ., სუსტად ასპირირებულ [თ]-ს # S—C პოზიციაში (სთხოვს) გაერთიანებთ ფონემა [თ]-სთან, ეს არა მარტო ამ ფონემის პოზიციური მწკრივის დამახასიათებელ ნიშნად იქცევა, არამედ მიუთითებს იმაზედაც, რომ ეს სეგმენტი (სუსტად ასპირირებული [თ]) არ შეიძლება ჰქონდეთ სხვა ფონემებს [ბ, დ, გ...]. გარდა ამისა, ეს გარემოება მიუთითებს იმაზედაც, რომ ფონემა [თ]-ს მწკრივი ამ მხრივ მსგავსი იქნება ასეთივე სხვა ყრუ ფშვინვიერ ფონემათა [ფ, ქ] პოზიციური მწკრივისა, რომლებთაც ასევე ექნებათ შესაბამისი სუსტად ასპირირებული სეგმენტები # S—V პოზიციაში.

ამგვარად, ჰარისი ფონემების დადგენისათვის მიმართავს სეგმენტების კლასიფიკაციას მათი 1) განაწილების პრინციპის, 2) ფონეტიკური სიმეტრიის, 3) პოზიციური სიმეტრიის, 4) მთელ ფონემიკურ ფონდთან მიმართების, 5) გარკვეულ შეფარდების (ერთი-ერთზე) საფუძველზე.

რაც შეეხება წყვილი გამონათქვამების დაპირისპირების ხერხს, ბარი—სარი—ქარი—ნარი და ა. შ., ჰარისი მიმართავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და არ თვლის მას ისეთ კრიტერიუმად, რომელსაც სტრუქტურული მეთოდი შეიძლება მთლიანად დაეყრდნოს. სხვაობები ფონემებს შორის უნდა ატარებდნენ რეგულარულ ხასიათს, რასაც წყვილი გამონათქვამების შეპირისპირება ვერ მოგვცემს.

ახლა გადავიდეთ დესკრიფციულ ენათმეცნიერების ზოგად დახასიათებაზე და კერძოდ, ჰარისის ლინგვისტურ შეხედულებათა შეფასებაზე.

ამერიკის დესკრიფციულ ენათმეცნიერებას ევროპულ სტრუქტურალიზმთან აახლოვებს არა მხოლოდ ენობრივი ერთეულების მსგავსი კლასიფიკაცია, ენობრივი სისტემის სოსიურისებური ვაგება და ლინგვისტური მოვლენების მხოლოდ სინქრონული კვლევა, არამედ მათ აახლოვებთ აგრეთვე სემანტიკური კრიტერიუმის განდევნა კვლევის პროცესიდან.

ასე, მაგალითად, ცნობილი ევროპელი სტრუქტურალისტი მსლვეი ერთ-ერთ სტატიაში წერს: „თუ ენას ვაგვივებთ როგორც სტრუქტურას, მაშინ ვერ დავკმაყოფილებით იმით, რომ იგი დავახასიათოთ ბგერისა და მნიშვნელობის ცნებებით“¹. იგივე ითქმის ანერიაკელ დესკრიპტივისტებზე, რომლებმაც სემანტიკური კრიტერიუმით საერთოდ ფუნქციონალური კრიტერიუმით შეცვალეს. ამით თანამედროვე სტრუქტურალიზმის ორივე მიმართულება რამდენადმე შორდება სოსიურის ლინგვისტურ კონცეფციას, რომელსაც ასე გადაჭრით არ უარუყვია ნიშნის სემანტიკური მხარე, თუმცა იგი ენობრივ ნიშანთა რელევანტურ ურთიერთმიმართებას დაუქვემდებარა.

ამერიკული დესკრიპტივიზმი, ევროპული სტრუქტურალიზმისაგან განსხვავებით, ნაკლებად არის დაინტერესებული ენის მხოლოდ თეორიული შესწავლით. მისი ენათმეცნიერული კვლევა ეყრდნობა კონკრეტულ მასალას—ამერიკელ ინდიელთა ენებს, ამიტომ მათი კვლევის მეთოდი ინდუქციურია, მასალის განლაგება კი—მწყობრი, პარაგრაფული. დესკრიპტივისტების და, კერძოდ, პარისის ნაშრომი სტრუქტურალისტური თეორიის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, სადაც თეორიული თეზისები კვლევის ცალკეულ მეთოდურ ხერხებსა და საშუალებებზეა დაყვანილი. ფ. დე-სოსიურის თეორიული დებულებები ენის სისტემურობისა და ენობრივ ნიშანთა ურთიერთმიმართებათა თაობაზე პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს დესკრიპტივისტებთან, კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევისას.

ამერიკელ დესკრიპტივისტთა ნაშრომებში გამოყენებული ტერმინოლოგია განსხვავდება ტრადიციული ტერმინოლოგიისაგან, რაც მთელი რიგი მოვლენებისადმი სხვაგვარი მიდგომით არის გამოწვეული. ჯერ ერთი, მეტყველების დახასიათება ხდება არა იმდენად ფიზიოლოგიური, რამდენადაც აკუსტიკური ტერმინებით, რაც ექსპერიმენტული ფონეტიკისა და, კერძოდ, ენის კვლევის პროცესში ელექტრო-აკუსტიკური ჩამწერი მანქანების ფართო გამოყენებით არის გამოწვეული.

ტერმინოლოგიის თავისებურება სემანტიკური კრიტერიუმის უგულებელყოფითაც არის გაპირობებული. ამის შედეგად მეტყველების ნაკადს ჰყოფენ არა ტრადიციულ ერთეულებად (მაგალითად, წინადადება—სიტყვა—მორფემა), არამედ ისეთ ერთეულებად, რომელთა კლასიფიკაცია მათი ურთიერთშეწვევებისა და განაწილების საშუალებით ხდება.

სემანტიკური კრიტერიუმის დისტრიბუციული კრიტერიუმით შეცვლა უშუალოდ ენობრივი ერთეულების თავისებურ გაგებასთან არის დაკავშირებული. ენობრივი ერთეულების ტრადიციული გაგება, პირველ ყოვლისა, მის სემანტიკურ მხარეს და შემდეგ მის ფუნქციას ეყრდნობა. ასე, მაგალითად, წინადადება—სიტყვა—მორფემა იმდენად არის ენობრივ ერთეულებად მიჩნეული, რამდენადაც მათ მნიშვნელობა და ფუნქცია ანუ ნიშნადობა გააჩნიათ. რაც შეეხება ფონემებს, მათ უშუალოდ მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მათ

¹ Луи Иельмслев. „Метод структурного анализа в лингвистике“.

Acta Linguistica (Revue internationale de linguistique structurale, V. VI, p. 65, Copenhagen, 1950—51).



ნიშნადობა აქვთ და ამიტომაც იყო, რომ ზოგი ენათმეცნიერი მითხრობდა, რომ მიიჩნეოდა ენობრივ ერთეულებად. ფ. დე-სოსიურმა ბგერა და ფონემა განდევნა ენობრივი ერთეულების რიგებიდან, იმდენად, რამდენადაც ენობრივი ერთეულის გაგება მასთან კონცეპტუალურ ხაზს მიჰყვებოდა.

ამერიკელი დესკრიპტივისტები საერთოდ არ უწევენ ანგარიშს ენობრივი ერთეულების სემანტიკურ მხარეს, ამიტომაც მათ თვით ენობრივი ერთეულის შემცვლელად ელემენტის ცნება შემოაქვთ. ელემენტი არის მეტ-ნაკლები სიგრძის ერთეული, რომელიც გარკვეულ მიმართებაშია სხვა ელემენტებთან. თუკი ფ. დე-სოსიურმა ენობრივი ერთეულის კონცეპტუალური მხარე მის ნიშნადობას დაუქვემდებარა, დესკრიპტივისტებმა ენობრივი ერთეულის სემანტიკური მხარე საერთოდ შეცვალეს მისი ნიშნადობით. ისმის კითხვა: რამდენად სწორია საკითხისადმი ასეთი მიდგომა? ჯერ ერთი, არ არის მართებული, რომ დესკრიპტივისტები მხედველობაში არ ღებულაზღვრენ ენობრივ ერთეულთა სპეციფიკას. უდავოა ის ფაქტი, რომ ენობრივ ერთეულებს—წინადადებას—სიტყვას—მორფემას გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომ შეუძლებელია მისი სრული უგულებელყოფა, სემანტიკური მხარე ამ ერთეულის ნიშნადობლივი თვისებაა.

რაც შეეხება ფონემებს, მათ მნიშვნელობა არა აქვთ,—ამიტომ ნიშნადობა მათი არსი და მათი წარმმართველია. შესაძლოა ამით აიხსნას ის გარემოებაც, რომ ფონოლოგია ყველაზე ხელსაყრელ მასალას იძლევა სტრუქტურული კვლევისთვის. ამიტომ არ მგონია შემთხვევითი იყოს ის ფაქტი, რომ სწორედ დესკრიპტიული ფონოლოგია ყველაზე უფრო დიდი პატივით სარგებლობს ამერიკაში. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ დესკრიპტიული კვლევა გრამატიკისა და ლექსიკის სფეროში ასე ადვილად ვერ ართმევს თავს სემანტიკურ კრიტერიუმს. კერძოდ, ჰარისი იძულებულია მორფოლოგიის სფეროში გაცილებით უფრო ხშირად მიმართოს სემანტიკურ პრინციპს, ვიდრე ფონოლოგიაში. აქაც კი (როგორც ეს ზევით დავინახეთ განმეორებულ გამონათქვამთა შემთხვევაში) ის გაჭირვების შემთხვევაში სემანტიკურ კრიტერიუმსა და ცდისპირის რეაქციას მიმართავს ხოლმე.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ სემანტიკური პრინციპის განდევნა შეცდომა იქნებოდა ენობრივი ერთეულების სპეციფიკურობის გამო. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ არც ამ პრინციპის გადაფასება იქნებოდა მართებული. სემანტიკურმა პრინციპმა არ უნდა გადაჰფაროს ენობრივ ერთეულთა ნიშნადობა, რომელიც მათს ურთიერთობაში ვლინდება. ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა არ არის მისი ნიშნადობის სრული იგივეობა: ეს ჯერ კიდევ ფ. დე-სოსიურმა გვიჩვენა. ენობრივი ერთეულები ნიშნადობით ხასიათდება (სულ ერთია: მათ მნიშვნელობა აქვთ თუ არა), რაც მათ ურთიერთმიმართებაში ვლინდება და საბოლოოდ ენის სისტემურ ხასიათს ამჟღავნებს. ამიტომ ენათმეცნიერული კვლევა ენის სისტემურ კვლევას გულისხმობს, სადაც მნიშვნელობის კრიტერიუმს თავისი ადგილი გააჩნია. თუ როგორია მიმართება ენობრივი ერთეულის მნიშვნელობასა და ნიშნადობას შორის, ეს საკმაოდ რთული და ჯერ დაუშუშავებელი საკითხია. ფ. დე-

სოსიურთანაც ეს საკითხი ბოლომდე ნათლად ვერ არის წარმოდგენილი. საჭიროა კონკრეტულად ცალკეული ენობრივი ერთეულის შემთხვევაში გაირკვეს (ე. ი. იმ შემთხვევაში, როცა მხედველობაში ვლებულობთ ენობრივი ერთეულის სპეციფიკურობას), თუ როგორია მიმართება მნიშვნელობასა და ნიშნადობას შორის.

ფიქრობთ, რომ ენობრივი ერთეულის მთავარ მახასიათებლად ნიშნადობა უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც ეს ყველაზე უფრო ზოგადი ნიშანია და ენობრივ მოვლენათა უფრო დიდ რიცხვს მოიცავს. ენობრივ ერთეულთა რიცხვში მაშინ ფონემებიც შევა. გარდა ამისა, ენობრივ ერთეულთა ნიშნადობით ყველაზე კარგად ვლინდება ენის სისტემური ხასიათი და ამიტომ ყოველი ენობრივი მოვლენა, რომელიც ნიშნადობით ხასიათდება და, მაშასადამე, ენობრივი სისტემის (ფონოლოგიური გრამატიკულ-ლექსიკური) აგებაში უშუალოდ მონაწილეობს, ენობრივ ერთეულად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა გადავიდეთ საკუთრივ დესკრიფციული მეთოდის შეფასებაზე ფონოლოგიის სფეროსთვის (ენის სხვა დარგებს აქ არ შევხებით). დესკრიფციული მეთოდი იძლევა იმის სურათს, თუ ფონემიკური სისტემის შიგნით როგორ ვლინდება ელემენტთა წონასწორობა და ურთიერთობა. ამ მხრივ დესკრიფციულ მეთოდს მეტოქეობას ვერ გაუწევს ფონემების გამოვლენის ე. წ. კვაზი-ომონიმიური მეთოდი. ეს უკანასკნელი ვერაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ როგორია თითოეული ფონემის პოზიციური ვარიანტების რიგი და განაწილება, ცალკეულ ფონემათა ძლიერი და სუსტი პოზიციები, მათი ხვედრითი წონა, განაწილების თავისუფლება, პოზიციური შეზღუდულობის სახეები და სხვა.

ცნობილია, რომ არ შეიძლება ყველა ფონემას გააჩნდეს კონტრასტული სიტყვების რიგი (ანუ კვაზი-ომონიმები, როგორიცაა, მაგალითად, სარი—ქარი—ბარი—ნარი და სხვა). სიტყვა „ჰაერს“, მაგალითად, ქართულში კვაზი-ომონიმი არ გააჩნია. გარდა ამისა, საერთოდ კონტრასტული პოზიციების რიგი იმდენად არის შეზღუდული, რომ თუ ფონემების დადგენას ამ ხერხით მივმართეთ, ჩვენ ვერ აღვწერთ ფონემის ყველა მახასიათებელს. ასე, მაგალითად, ქართულ სიტყვებში თანხმოვნები ერთმანეთს შედარებით ადვილად უპირისპირდება ხმოვნების წინ და ძნელად ან ვერ უპირისპირდება სხვა პოზიციებში. ამიტომ ფონემათა უპირისპირება უნდა ხდებოდეს კონტრასტულ პოზიციებში და არა კონტრასტულ სიტყვებში,—ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაითვალოს ფონემების გამოვლენის ერთ-ერთ და არა ერთადერთ ხერხად.

დესკრიფციული მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ კვლევის დროს ყურადღების ცენტრში დავაყენოთ არა მარტო ფონემები, არამედ მათ შორის ურთიერთმიმართებაც.

ჯერ კიდევ დე-სოსიურმა და შემდეგ ტრუბეცკოიმ სიმძიმის ცენტრი ფონემების მიმართებათა შესწავლაზე გადაიტანეს, მაგრამ ტრუბეცკოის ფონოლოგიური შეხედულება ლოგიკურ კატეგორიებზეა აგებული. დესკრიპტივისტები პრაქტიკული კვლევისას არ ეყრდნობიან არც პრაღელი ლინგვისტების



ლოგიკისტურ კატეგორიებს¹ და არც სეპირის ფსიქოლოგიზმს². ფონემების რელატიური მიმართებების შესწავლისას მათი კვლევა გულისხმობს ენობრივ ელემენტთა შორის როგორც სხვაობის, ისე იდენტურობის დადგენას, რასაც სისტემის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დესკრიპციული მეთოდის გამოყენებით დესკრიპტივისტებმა შეძლეს კონკრეტული ენობრივი მოვლენებიდან უფრო ზოგად ოდენობათა ფონემების აბსტრაქტირება. მათ კონკრეტულ ენობრივ მასალაზე დაგვიანხეს, რომ აბსტრაქტულ ერთეულთა რეალობა მათ ფუნქციონალურ ურთიერთმიმართებაში ვლინდება.

დესკრიპტივისტებმა, დე-სოსიურისაგან და პრადელი ლინგვისტებისგან განსხვავებით, დესკრიფციული მეთოდის საშუალებით გვაჩვენეს, რომ ენაში არის არა მარტო ურთიერთმიმართება, არამედ ისიც, რაც ამ ურთიერთმიმართებაში მონაწილეობს—ელემენტები. ფ. დე-სოსიურისგან განსხვავებით, მათ მოგვცეს ენობრივი ელემენტების არა მარტო ნეგატიური³, არამედ პოზიტიური მახასიათებლებიც.

ენობრივი მასალის განლაგება და ჰარისის კვლევის მეთოდი საკმაოდ თანმიმდევრული და ზუსტია: კვლევის ობიექტად გამოდის ადამიანის მეტყველება, საკვლევი ერთეულად—გამონათქვამები, სპეციალური ხერხების გამოყენებით გამონათქვამებიდან გამოიყოფა კონტრასტული სეგმენტების წყება, შემდეგ კი მათგანვე აიგება ფონოლოგიური სისტემა. ასეთია ჰარისის კვლევის საერთო სურათი. მაგრამ თუ ჩვენ ჰარისის თეორიულ მსჯელობას ჩავუყვირდებით, მაშინ ჩვენს დასკვნასა და ჰარისის თეორიულ მოსაზრებებს შორის ერთგვარი შეუსაბამობა შეიმჩნევა. ჰარისის ფონემები ისეთ აბსტრაქტულ ოდენობებად მიაჩნია, რომელთა მიღება ვარკვეული კლასიფიკაციის შექმნა ხდება. თვით გამონათქვამებში ერთმანეთს უბრალოდ სხვადასხვა ფონემათა ვარიანტები, ალოფონები უკავშირდება. ფონემის ცნება უფრო მეცნიერული აბსტრაქციაა, —ფონემათა გამოყენება გვეხმარება იმაში, რომ ელემენტები უფრო ლაკონურად, მარტივად წარმოვადგინოთ. მეტყველებაში მათი რეალიზება ისეთ აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ სიდიდეებში ხორციელდება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ კონკრეტულ მიმართებებში არიან. ჰარისის ეს მოსაზრება შორდება ბლუმფილდის ფიზიკალიზმს⁴ და უახლოვდება პრადელი ლინგვისტების ფონოლოგიურ შეხედულებებს.

იმდენად, რამდენადაც ჰარისის უხდება ელემენტების—ფონემების სიმბოლოებად გამოცხადება, რომლებიც გამონათქვამებში არსებულ სეგმენტებს უპირისპირდებიან, ჰარისმა, ბუნებრივია, უნდა დააყენოს საკითხი ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების შესახებ.

¹ იხ. N. S. Troubetsky, Sur la «Morphologie», Travaux du cercle linguistique de Prague № 1, 1929; Projet de terminologie phonologique standardisée. Travaux du cercle linguistique de Prague, № 4, 1931.

² იხ. Edward Sapir, Sound Patterns in Language, Language v. 1 № 2, 1925.

³ იხ. Ф. Де-Соссюр, Курс общей лингвистики, Москва, 1933, გვ., 59, 118, 120.

⁴ Leonard Bloomfield, Language, New-York, 1933, p. 80.

მეტყველების განსაზღვრისას ჰარისი ბლუმფილდისეული ბიჰევიორლისტიკით არ მიდის: მეტყველება მას გარკვეულ ქცევად მიაჩნია. მეორე მხრით კი ელემენტები, რომლებიც სიმბოლოებად არის გამოცხადებული, ჰარისის მიხედვით არსებობენ არა მეტყველებაში, არამედ ასოცირებულნი არიან „ადამიანური ქცევის სამეტყველო სხვაობებთან“¹. ისმის კითხვა: თუ ეს ასეა, ეს სიმბოლოები სადღა არსებობენ? თუ ჰარისის მსჯელობას ლოგიკური თანმიმდევრობით განვსვამთ, მაშინ ეს სიმბოლოები ანუ ელემენტები ენას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო თვითონ მეტყველება ენის სფეროს დაუპირისპიროთ. მაგრამ ჰარისი საკითხს ასე პირდაპირ არ აყენებს, ის მხოლოდ შენიშნავს რომ, დესკრიპციული ლინგვისტიკის სიმბოლოები ვერ გვაძლევენ შესაძლებლობას ბევრი რამ ვთქვათ მეტყველების შესახებ. მეორე მხრივ, ძნელია დადგენა იმისაც, თუ ადამიანის სამეტყველო ქცევაში რა უნდა მივიჩნიოთ ენად.—ჩვენ, წერს ჰარისი, ელემენტებს ანუ სიმბოლოებს ვუკავშირებთ ადამიანური ქცევის სამეტყველო სხვაობებს. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ბიჰევიორული ნიშნების რეგულარული დისტრიბუცია, მაშინ ჩვენ მათ დავუკავშირებთ გარკვეულ ლინგვისტურ ელემენტებს², ე. ი. ლინგვისტური ელემენტები კი არ არსებობენ მეტყველებაში, ისინი გარედან შემოდიან და უკავშირდებიან მეტყველების ნიშნებს. ეს დებულება მხოლოდ პოსტულატია იმ დასკვნისა, რომელიც მეტყველებისა და ენის სრულ გათიშვაზე უნდა მიუთითებდეს.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკის დესკრიპტივისტები, რომლებიც ევროპელ სტრუქტურალისტებისაგან განსხვავებით ნაკლებად არიან დაინტერესებული წმინდა თეორიული საკითხებით, უფრო სტრუქტურული კვლევის ცალკეული ხერხებისა და მეთოდების დამუშავებით კმაყოფილდებიან. მაგრამ როცა ისინი ეხებიან ისეთ საკითხებს, როგორცაა ენის სისტემურობა, თვითონ ფონემის ცნების რაობა, ბგერის და ფონემის მიმართება, ენა და მეტყველება, მაშინ მათი მოსაზრებები დაუმთავრებელი და წინააღმდეგობრივია, ან, ფ. დე-სოსიურისა და პრადელი ლინგვისტების მოსაზრებებისაგან ბევრად არაფრით განსხვავდება.

ინგლისური ენის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25. IX. 1959).

¹ Z. Harris, *Methods in Structural Linguistics*, 1955, Chicago, p. 4.

² იქვე, გვ. 18, 19.



Л. Гамсахурдия

Фонологические воззрения Хариса

Резюме

Американского лингвиста Хариса и других американских дескриптивистов с европейскими структуралистами сближает понимание языка, как системы соотношений, изучение этих соотношений лишь только в синхронном аспекте и замена семантического критерия функциональным.

Изгнание семантического критерия из исследовательской практики обусловлено несколько иным пониманием языковых единиц. Игнорируя значение языковых единиц, Харис при характеристике языкового элемента исходит исключительно из его значимости внутри самой системы. Исследовательская практика американских дескриптивистов показывает, что полная замена семантического критерия функциональным особенно трудно осуществима в области грамматики и лексики, где языковые элементы: морфема—слово, помимо значимости, имеют и значение.

Вопрос о соотношении значения и значимости у Хариса, так же как и у других американских лингвистов, до конца не разработан, а следовательно и функциональный критерий лишен той универсальности, которую ему приписывают структуралисты вообще. По-видимому, наибольшее развитие дескриптивной фонологии объясняется тем фактом, что функциональный критерий с большей эффективностью используется при построении фонологической системы постольку, поскольку члены ее—фонемы—лишены значения.


Дистрибутивный метод (т. е. метод, способствующий выявить всевозможные виды распределения фонем внутри отрезков речи), применимый дескриптивистами, в основном опирается на сопоставление не контрастных слов, а контрастных позиций (т. е. таких отрезков речи, в которых сходно только непосредственное окружение искомой фонемы).

На основе данного метода Харис и американские дескриптивисты вообще (в отличие от Соссюра, Трубецкого и др.) пытаются дать не только негативные, но и позитивные характеристики фонем.

Дистрибутивный метод имеет то преимущество, что он с большей полнотой вскрывает всевозможные позиции фонем, виды их сочетаемости, их больший или меньший удельный вес внутри системы, а следовательно и функциональную полноценность фонем.

Что же касается метода контрастных слов, то он является не единственным, а одним из приемов нахождения фонем, так как, распространяясь на ограниченное количество слов, он не может показать различные окружения и соотношения фонем.

Работы американских дескриптивистов, в том числе и Хариса, отличаются чисто эмпирическим подходом к исследуемому материалу, сугубой индуктивностью метода, выработкой отдельных оперативных приемов и четкостью их изложения. Однако их теоретические положения лишены той же последовательности и четкости. Понимание Харисом, например, фонемы, как научной фикции для построения голых соотношений, само собой ставит вопрос о соотношении речи и языка. Однако, ставя этот вопрос, Харис отказывается его решить и при определении самой речи не идет дальше Блумфильдовского бихевиоризма.



მოთა ჯინორია

გოეთეს შემოქმედებითი ეპოქის კანონზომიერებისათვის

„გოეთეს, შილერისა და ლესინგის დიდი ჰუმანისტური იდეები დღეს ხომ პირველად განხორციელდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რადგან მშრომელებმა საამისო სოციალ-ეკონომიური საფუძვლები შექმნეს. ამიტომაც ვუთხარი მე ჩვენს ახალგაზრდობას: თუ გინდათ იცოდეთ, რომელი გზა მიდის წინ, წაიკითხეთ გოეთეს „ფაუსტი“ და მარქსის „კომუნისტური მანიფესტი“. მაშინ გეცოდინებათ, როგორ იარაღთ წინ“.

ვალტერ ულბრიხტი.

გოეთეს მსოფლმხედველობრივ-შემოქმედებითი სამყაროს საერთო ხასიათს ორი ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი ობიექტური ფაქტორი განსაზღვრავს:

ა) იმდროინდელი დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის კულმინაციად საფრანგეთის დიდი რევოლუცია იქცა, და

ბ) მაშინდელი გერმანიის საგანგებოდ ჩამორჩენილი და რეაქციული სინამდვილე, რომლის ნიადაგზედაც ნეგატიურ ტრანსფორმაციას განიცდიდნენ, თავიანთ წინააღმდეგობად გადაიქცეოდნენ ხოლმე ეპოქის მოწინავე სულისკვეთებანი და იდეები.

წინამდებარე ნარკვევის მიზანს შეადგენს ამ ორ ასპექტში იმ ძირითადი მომენტების დადგენა, რომელთაც განაპირობებს გოეთეს, როგორც მოაზროვნისა და ხელოვანის, განვითარების კანონზომიერება.

* * *

გოეთეს მსოფლმხედველობა და შემოქმედება ღრმად წინააღმდეგობრივია. „თავის ქმნილებებში, — წერს ფრ. ენგელსი, — გოეთე ორგვარად ეკიდება თავის თანამედროვე გერმანულ საზოგადოებას; აგი მტრობს მას, ნიჰლით იმსჯელება მისდამი და ცდილობს გაექცეს, როგორც „იფიგენიაში“ და საერთოდ იტალიური მოგზაურობის დროს; იგი უმხედრდება მას, როგორც



გოეცი, პრომეთე და ფაუსტი, ჰკილავს მეფისტოფელის გესლიანი და ცინცი, ანდა, პირიქით, იგი მეგობრობს მას, ურიგდება, როგორც თავის „უწყინარ ქსენიათა“ უმრავლესობაში და ბევრ პროზაულ ნაწარმოებში, ხოტბას ასხამს, როგორც „მასკარადში“, იცავს შეტევაზე გადმოსული ისტორიული მოძრაობისაგან, მეტადრე ყველა იმ თხზულებაში, სადაც ფრანგულ რევოლუციასზე ლაპარაკობს... მასში გამუდმებულად ებრძვიან ერთმანეთს გენიალური პოეტი, რომელსაც ზიზღს ჰგვრიდა მისი გარემოცვის უბადრუკობა, და ფრანკფურტელი პატრიცის ფრთხილი შთამომავალი ან ვაიმარელი საიდუმლო მრჩეველი, რომელიც თავს იძულებულად თვლის დაუზავდეს და შეეგუოს ამ გარემოს. ამგვარადაა გოეთე ხან კოლოსალურად დიდი, ხანაც წვრილმანი, ხან ურჩი, დამცინველი, ქვეყნის მქირდველი გენიოსი, ხანაც ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი, ვიწრო ფილისტერი. გოეთეც კი აღმოჩნდა უძლური დაეძლია გერმანული უბადრუკობა; პირიქით, იგი ძლევს მას; და უდიდეს გერმანელზე ამ უბადრუკობის (misère) გამარჯვება იმის საუკეთესო საბუთია, რომ „მიგნიდან“ მისი დამარცხება საერთოდაა შეუძლებელი“¹.

გოეთეს წინააღმდეგობრივი სამყაროს ამ ენგელსისეული დახასიათებიდან ცხადად ჩანს, რომ გენიოსსა და ფილისტერს შორის „გამუდმებული ბრძოლა“ გოეცის და ფაუსტის შემოქმედს მთელი ცხოვრების, მთელი განვითარების მანძილზე თან სდევს. მაგრამ, ამავე დროს, ენგელსის ფორმულა იმგვარად როდი უნდა იქნას გაგებული, რომ თითქოს გოეთე ორადაა ქცეული, თითქოს რაღაც ორი გოეთე არსებობდეს,—მეამბოხე და შერიგებულის,—რომელთაც ერთმანეთისაგან ქრონოლოგიური ზღვარი ჰყოფდეს, ისე რომ ადრინდელ გოეთეში შემმართველი გენიოსი ჭარბობდეს, ხოლო გვიანდელ გოეთეში მფრთხალი ფილისტერი სუფევდეს. საქმე ისაა, რომ ნამდვილი გოეთეს—ღრმა ხალხურ საძირკველზე მდგარი ბუმბერაზი ჰუმანისტის—პიროვნებაში არსებითი და ჭეშმარიტი გენიოსს ეკუთვნის, ხოლო ყალბი და მეორადი ფილისტერს რჩება და რომ ამ პიროვნების განვითარება მის შემფერხებელ ფილისტერთან განუწყვეტელ ჭიდილში ზრდის მიმართულებით სწარმოებს, ჭაბუკობის დროინდელი გოეცისეული უმწიფარი მუამბოხეობიდან თანმიმდევრულად აღმავალი ხაზით მიმდინარეობს და სიმწიფის ხანის ფაუსტური სიბრძნით გვირგვინდება. და ამიტომაც, როგორც ო. გროტევილი ამბობს, „...არ არსებობს ვაიმარისა და ფრანკფურტის გოეთე“, არამედ „არსებობს მხოლოდ ერთი გოეთე“², ხოლო ის, რაც მასში არსებითია, ჭეშმარიტი და ნამდვილი, და რასაც, იოჰანეს ბეჰერის სიტყვებით რომ ითქვას, „გოეთეს სანყარო“ ჰქვია, არის „მშვენიერი განუყოფელი მთელი“ (ein schönes untrennbares Ganzes)³.

ხოლო მეორეს მხრივ, გოეთეს წინააღმდეგობრიობის ენგელსისეული განსაზღვრიდან სულაც არ გამომდინარეობს, თითქოს გოეთეს შემოქმედებითი სამყარო მხოლოდ მისდროინდელი უბადრუკი გერმანული სინამდვილით

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 4, гл. 232—233.

² O. Grotewohl, Goethe. Amboss und Hammer. Berl. 1949. S. 79.

³ J. R. Becher, Der Befreier. Berl. 1949. S. 55.

ყოფილიყოს პირობადებული და, კერძოდ, მისი ეპოქის უდიდესი მისტიკური რიული მოვლენისაგან, ფრანგული რევოლუციისაგან რჩებოდეს გაუცხოვებულნი, გაუნაყოფიერებელი. ენგელსი აქ მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ გენიალურ გოეთეში დაბადებული ფილისტერი ლამობს საკუთარი თავისა და თავისი უბადრუკი გარემოცვის დაცვას ფრანგული რევოლუციის სახით აზვირთებული ისტორიული მოძრაობის შემოტევისაგან.

ვითარცა გენიოსი, რომელიც თავისი თანამედროვეობის ფარგლებს სცილდება, გოეთე დიდი ეპოქის, — XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი მესამედის, — შვილია, ეპოქისა, რომლის უმაღლეს გამოვლენას ფრანგული რევოლუცია წარმოადგენს.

გოეთეს „საარსებო არე“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას ლოკალიზებული მხოლოდ მისდროინდელი გერმანული სინამდვილით, რომლის გარემოცვაში უშუალოდ იზრდებოდა მისი შემოქმედების ხე. მართალია, ამ ხეს თავისი ძლევამოსილი ფესვები ღრმად გაედგა მშობლიურ-ხალხური კულტურის წიაღში და სწორედ ამის ძალით იქცა გოეთე უდიდეს ეროვნულ პოეტად, რომელიც როგორც იმდროინდელი დაქუცმაცებულ და დაფლეთილ, ისე დღევანდელ ორად გაყოფილ გერმანიაში წარმოადგენდა და წარმოადგენს ეროვნულ „სულაერ და ენობრივ ერთიანობას“¹. მაგრამ, ამავე დროს, ეს ხე თავისი ბუმბერაზი ტანით გოლიათურად მალდებოდა მშობლიური გარემოცვის უბადრუკ არემარეზე, რომლის დახმულ და მოწამლულ ატმოსფეროში დაქანობა ეწერა, და თავის უხვ ფოთოლს ხარბად აპყრობდა დასავლეთს, — სწორედ საფრანგეთს, — საიდანაც „ამოდიოდა მისი დროების მზე“².

თვითონ გოეთეს, რომელიც საერთოდ ადამიანისა და კერძოდ გენიოსის ბუნებაზე ყოველგვარი მისტიკური შეხედულებებისაგან თავისუფალი იყო, კარგად ესმოდა „თავის დროსთან“ თავისი განუყრელი კავშირი. „ადამიანი მეტად თუ ნაკლებად ყოველთვის თავისი დროის ორგანოა“-ო, ამბობს იგი ერთგან. ამავე დროს, მას ღრმად ჰქონდა შეცნობილი ამ კავშირის წინააღმდეგობრივი ხასიათი, რომლის არსი ისაა, რომ ადამიანი, როდენ გენიალურიც არ იყოს, თავისი დროის საპირისპირო ძალთა, ნეგატიურ და პოზიტიურ ფაქტორთა ზეგავლენას განიცდის, რომელთაგან პირველნი მას თანადროულობას აჯახებენ, ხოლო მეორენი მისი დროების ფარგლებს აცილებენ. „თვით უდიდესი გენიოსიც კი ზარალობს თავისი საუკუნისაგან ზოგ რამეში, ისევე როგორც იგებს დანარჩენშიო“ (leidet von seinem Jahrhundert in einigen Stücken, wie es von anderen Vorteil hat), — ამბობს იგი სხვაგან; და კიდევ: „ყოველ საუკუნეს გააჩნია თავისი ღმეჭი“ (Fratze); „უდიდესი ადამიანები მუდამ სისუსტით (durch eine Schwachheit) არიან დამოკიდებულნი თავიანთ საუკუნეზე“-ო.

¹ გერმანული ერთიანი სოციალისტური პარტიის Manifest zur Goethe-Feier der deutschen Nation. გაზ. Neues Deutschland. 28. VIII. 49. გვ. 1.

² J. R. Becher, Der Befreier, S. 17.




გოეთეს ამ სიტყვებით რომ ითქვას, მისი დიდი ეპოქის ^{სინამდვილის} „ღმეჭს“ მისდროინდელი დაკნინებული და რეაქციული გერმანული სინამდვილე წარმოადგენდა, ხოლო მის საკუთარ სისუსტეს, რომელიც მის ტიტანურ აღმაფრენას საბოლოოდ ფრთებს ჰკვეცდა და მისი თანამედროვეობის საღატეებით ბოჭავდა, ამავე სინამდვილის პროდუქტი, მასში დაბუდებული ფილისტერი იწვევდა.

ხოლო Vorteil-ს, რომელიც მისმა ეპოქამ არგუნა, ეკერმანთან საუბარში გოეთე ასე ადგენს: „მე დიდი უპირატესობა მაქვს იმის წყალობით, რომ იმ დროს დაეიბადე, როდესაც უდიდესი მსოფლიო მოვლენები დადგნენ დღის წესრიგში და მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდნენ, ისე რომ მე შევიდწლიანი ომის, მერე ინგლისისაგან ამერიკის ჩიმოცილების, შემდგომ ფრანგული რევოლუციისა და, დასასრულ, მთელი ნაპოლეონისეული ხანისა და ყველა მისი მომყოლი ამბის ცოცხალი მოწმე ვიყავი, ამან მიმიყვანა მე სრულიად სხვა შედეგებამდე და შეხედულებებამდე, რომლებიც მიუწვდომელი დარჩება ყველა იმისათვის, ვინც ახლა იბადება და იძულებულია თავისთვის გაუგებარი წიგნებიდან შეითვისოს ყველა ეს დიადი მოვლენა“¹.

თუ კი შევიდწლიან ომს, რომლისგანაც მოგებული მხოლოდ ინგლისი დარჩა, გერმანიის პროგრესისათვის არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია (ერთადერთი, რასაც ამ ომში გერმანია „გამორჩა“, ის იყო, რომ უკვე მანამდე გაძლიერებულმა პრუსიის იუნკრულ-ბიუროკრატიულმა მონარქიამ არსებობა იღბლად შეინარჩუნა) და ამდენად გოეთეში მხოლოდ იმედგაცრუება უნდა გამოეწვია; და თუკი, მეორეს მხრივ, ამერიკის ინგლისისაგან ჩამოცილებას გოეთეს თავისუფლებისმოყვარეობისათვის მხოლოდ ხანმოკლე და, თანაც, შორეული იმპულსის ძალა შეიძლებოდა ჰქონოდა, რამდენადაც ამერიკულმა „თავისუფლებამ“ ძალიან მალე იწყო თავისი მახინჯი შიდაპირის გამოჩენა, რაც გოეთეს შემოქმედველი არ დარჩენია;—სწორედ ფრანგული რევოლუცია,—რომელმაც, ენგელსის თქმით, „ძირფესვიანად შეარყია თანამედროვე საზოგადოება“² და პირდაპირ განაპირობა ნაპოლეონის ხანაც და მისი მომდევნო ევროპული აპებებიც; — დიახ, ეს რევოლუცია უნდა ქცეულიყო და კიდევაც იქცა იმ ფაქტორად, რომელმაც ყველაზე ხანგრძლივად და ნაყოფიერად იმოქმედა გოეთეს ფორმირებაზე. მისი ეს შემოქმედება გარკვევით შეიმჩნევა გოეთეს მთელ ნააზრევში, რომელიც მეტად თუ ნაკლებად, პირდაპირ თუ ირიბად, პოზიტიურად თუ ნეგატიურად ამ რევოლუციასთან დაკავშირებულ პრობლემათა და იდეათა—ცხადია, თავისებურ, გოეთეს გერმანული იდეოლოგიით პირობადებულ—ანარეკლსა და გამოძახილს წარმოადგენს. და ეს გარემოება ყველაზე კარგად თვითონ გოეთეს ჰქონდა შეგნებული: „ფრანგულ რევოლუციასთან დაკავშირებული იდეები მუდამ მიპყრობდნენ მე, სიყმაწვილის წლებიდან მოხუცე-

¹ Goethes Gespräche mit Eckermann, Berl., 1955, S. 109.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е. т. 2, стр. 559.



ბულოზამდე“-ო, აღიარებს იგი გრაფ რაინჰარდტისადმი მიმართულ ერთ ბარათში.

ფრანგული რევოლუციისადმი გოეთეს მიმართება ისევე წინააღმდეგობრივია, როგორც მისი მთელი იდეოლოგია; ამ რევოლუციის აღქმა-ათვისებისას გოეთეს პიროვნებაში აგრეთვე იბრძვიან გენიოსი და ფილისტერი, მაგრამ ამ ბრძოლაშიც არსებითი და საბოლოო უპირატესობა პირველს, გენიოსს რჩება და არა მეორეს.

უდავოა, რომ გოეთეს ფილისტერულ შიშს ჰგვრიდა ამ რევოლუციის ტრაგიკული ელემენტი, მისი რადიკალიზმი, ტერორი, რომელიც, მარქსის თქმით, „სხვას არათერს წარმოადგენდა, თუ არა ბურჟუაზიის მტრებთან, აბსოლუტიზმთან, ფეოდალიზმთან და ფილისტერობასთან, გასწორების პლებეურ მანერას“¹, რომელიც იმისათვის იყო მოწოდებული, „რათა თავის საშინელ უროს დარტყმებით ერთბაშად, თითქოს-და ჯადოქრულად, აღეგავა საფრანგეთის პირისაგან ყველა ფეოდალური ნანგრევი“²;—და ამ შიშითაა შთაგონებული გოეთეს ისეთი თხზულებები,—რომლებშიც იგი პირდაპირ, უშუალოდ „ლაპარაკობს“ ფრანგულ რევოლუციაზე მისი შემოტევისაგან გერმანული უბადრუკობის დასაცავად,—როგორც, მაგალითად, „მოქალაქე გენერალი“, „აჯანყებულნი“ ანდა „ჰერმან და დოროთეა“.—მაგრამ ამ შიშს არასოდეს შეუპყრია გოეთე ისე ძლიერ, რომ მისთვის ამ რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დაეჩრდილა; ფართოდ ცნობილია ჯერ-კიდევ 1792 წელს, ინტერვენტებზე რევოლუციური არმიის ვალმისთან გამარჯვების გამო გოეთეს მიერ გენიალურად გამოტანილი დასკვნა, რომ ამ გამარჯვებით კაცობრიობის ახალ ერას ეძლევა საწყისი; და მეტიც: რევოლუციისადმი გოეთეს მიმართება მხოლოდ ტერორის წინაშე მისი ფილისტერული შიშით როდი ისახლვრებოდა; რევოლუციის პრობლემის გადაჭრა გოეთესათვის გაცილებით მეტად იყო დამოკიდებული იმ პოზიტიურ, „კეთილმოყოფელ“ შედეგებზე, რომლებიც რევოლუციამ, მისი აზრით, ესოდენ საშინელი მსხვერპლის, ამოდენა ნგრევისა და სისხლისღვრის ფასად უანდერძა კაცობრიობას. ამ მხრივ ფრიალ საყურადღებოა გოეთეს გვიანდელი აღიარება: „მართალია,—უთხრა მან ეკერმანს,—მე ვერ ვიქნებოდი ფრანგული რევოლუციის მეგობარი, რადგანაც მისი საშინელებანი (ihre Greuel), რომელთაც ჩემთან მეტისმეტად ახლოს ჰქონდათ ადგილი, ყოველდღიურად და ყოველ საათში მაშფოთებდნენ, მაშინ როდესაც მისი კეთილმოყოფელი შედეგები იმ დროს ჯერ კიდევ არსად ჩანდა (während ihre wohlthätigen Folgen damals noch nicht zu ersehen waren)³. ეს აღიარება იმ კრიტიკულ შენიშვნას მოითხოვს, რომ რევოლუციის „კეთილმოყოფელი შედეგები“ მაშინ, ე. ი. საკუთრივ რევოლუციურ ხანაში იმდენად თავისთავად როდი იყო უჩინარი, რამდენადაც მათ დანახვას გოეთეს რევოლუციის „საშინელებათა“ წინაშე შიში უშლიდა. მაგრამ მთავარი

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 6, стр. 114.

² იქვე, ტ. 4, стр. 299.

³ Goethes Gespräche mit Eckermann, S. 100.



ისაა, რომ ამ აღიარებიდან გარკვევით ჩანს, რომ მანამდე, ვიდრე *„ქვეყნულ-მყოფელი შედეგები“* მისთვის უჩინარი რჩებოდა, რევოლუციისადმი გრძელად დამოკიდებულებაში დომინანტური, — მაგრამ არა გადამწყვეტი, რასაც ვალმისთან გამოტანილი დასკვნა მოწმობს, — მტრული განწყობილება რჩებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი ამ შედეგებს მისწვდა, გოეთე უკვე აღარ თვლიდა თავს რევოლუციის მოძულედ. საქმე ისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს მიმართება ისევე პოზიტიურად ვითარდებოდა, ღრმავდებოდა, როგორც მთელი მისი მსოფლმხედველობა. აბუ შის თქმისამებრ, „გოეთე თვითკრიტიკულად ძლევდა დიდი ფრანგული რევოლუციისადმი საკუთარ ფილისტერულ მიმართებას“ (*er führte... eine selbstkritische Auseinandersetzung mit seiner eigenen philisterhaften Stellungnahme zur Großen Französischen Revolution*)¹ და ამასთან ერთად გოეთე-ფილისტერის რევოლუციის მიმართ მტრული განწყობილება პროგრესულად, სულ უფრო, — მაგრამ არა ბოლომდე, — უთმობდა ადგილს გოეთე-გენიოსის რევოლუციისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. მართალია, ამ კრიტიციზმს, რომლის შედეგადაც გოეთე სულ უფრო წვდებოდა რევოლუციის წინააღმდეგობრიობას, მის რეალურ, პრაქტიკულ შედეგთა ბურჟუაზიულ შეზღუდულობას, ერთგვარად უნდა განემტკიცებინა გოეთეს თვალში ფილისტერული არგუმენტი, რომ ამ შედეგების მისაღებად მეტისმეტად „ძვირი“ მსხვერპლი იქნა ვალეზული. მაგრამ საბოლოოდ არც ამ გარემოებას დაუშლია მისთვის ხელი ძირითადად სწორი თვალსაზრისი შეემუშავებინა ფრანგულ რევოლუციაზე, რომლის პროგრესულობა, — მისი ნახევრადული და დაუმთავრებელი, ბურჟუაზიულად მანკიერი ხასიათის მიუხედავად, — როგორც მარქსი ამბობს, „ცხადია, დიდი იყო,“ რამდენადაც მის მიერ დამკვიდრებული პოლიტიკური ემანსიპაცია „თუმცა-ღა არ წარმოადგენდა საერთოდ ადამიანური ემანსიპაციის უკანასკნელ ფორმას, მაგრამ უკანასკნელი ფორმა იყო ადამიანური ემანსიპაციისა აქამდე არსებული (ე. ი. კლასობრივი, — ო. ჯ.) წყობილების ფარგლებში“².

სახელდობრ: მართალია, ფილისტერს არასოდეს მიუცია გოეთესათვის შესაძლებლობა უთუოდ და სრულად შეეთვისებინა ფრანგული რევოლუცია, — კერძოდ, მისი „პლებერური“ მეთოდოლოგია ბოლომდე ორგანულად უცხო, საზარელი და ანტიპათიური დარჩა მისთვის; — მაგრამ გენიოსმა მას პრინციპულად მაინც აღიარებინა იგი, ეს რევოლუცია, როგორც თუმცა ტრაგიკული, მაგრამ ობიექტურად აუცილებელი კატაკლიზმი, რომლის შედეგადაც დამკვიდრებული სამყარო, მისი არსებითი მანკიერების-და მიუხედავად, ისტორიული აუცილებლობის ძალით უნდა მიიღოს კაცობრიობამ, რათა თავისი სრულქმნისა და ბედნიერების ფაუსტურ იდეალს მიაღწიოს საბოლოოდ.

და სწორედ ამ უკანასკნელ ასპექტში, ფაუსტური იდეალის შუქზე ჩანს მთელის სისრულითა და სიცხადით ფრანგული რევოლუციისადმი გოეთეს მიმართების არსი და ხასიათი.

¹ A. Busch, Das Goethe-Jahr und die Aufgaben der SED. გაზ. Neues Deutschland, 16. III. 49.

² Е. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. I, стр. 392.

რევოლუციის პრაქტიკული შედეგებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას, რომელსაც, თითქოს-და, რევოლუციისაგან გოეთეს გაუცხოებისათვის უნდა შეეწყო ხელი, ნამდვილად რევოლუციის იმ საუკეთესო მონაბოვართა, უმაღლეს იდეათა დონეზე აპყავდა გოეთე, რომლებიც ორგანულად, არსობრივად ენათესავებოდნენ მის საღ, გენიალურ ბუნებას. საქმე ისაა, — ბეჭერისა და ვილმონტის სიტყვებით თუ ვიტყვი, — რომ „გოეთესთან მთელი მისი ცხოვრების მანძილზე თამაშობს პლებეური საწყისი (das Plebejische) წამქეზებელ და მომთხოვნ როლს (eine ihn anregende und fördernde Rolle¹) და რომ ამდენად „გოეთე გაცილებით უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ფიქრობდა, იმ „აღზნებულ“ ხალხურ თავებთან (к тем „возбужденным“ народным умам), რომელთაც თავის კომედიებში დასცინოდა.“² და თუ კი ფილისტერმა მას საშუალება არ მისცა რევოლუციონერი გამხდარიყო, როგორც სწორად აღნიშნავს აბუში, „გოეთე არ იყო ბიურგერული რევოლუციონერი, თვით ახალგაზრდობაშიაც კი,³ — მისი გენიალური ბუნების საღი, ხალხურ-პლებეური არსება განუყრელად აკავშირებს მას ფრანგული ბურჟუაზიულ-პოლიტიკური რევოლუციის იმ ეტაპთან, — იაკობინურ პერიოდთან, — რომელზედაც ხალხის მასებმა ამ რევოლუციის შეზღუდულობის, სისუსტის დაძლევა, დემოკრატიულ-სოციალურ რევოლუციად მისი გადაზრდა სცადეს.

ღიბს: რაოდენ პარადოქსულიც არ ჩანს ეს ერთი შეხედვით, გოეთე — გენიოსი, გოეთე — ჰუმანისტი თავისი უაღრესად წინააღმდეგობრივი და რთული განვითარების მწვერვალზე სწორედ იმ იაკობინელთა სულიერი, იდეური მემკვიდრეა, რომელთა პრაქტიკული საქმიანობის „პლებეური მანერა“ მას ბოლომდე ძრწოლასა და ზიზღს გვრიდა. სწორედ იაკობინური იდეოლოგიის თუმცა გერმანულად „კორექტირებულს“, მაგრამ მაინც გენიალურად მაღალს ტრანსფორმაციას წარმოადგენს გოეთეს ფაუსტური იდეალი.

„წმინდა ოჯახში“ მარქსი წერს, რომ „რობესპიერის დაცემის შემდეგ იწყება იმ პოლიტიკური განათლების პროზაული განხორციელების ერა, რომელიც მანამდე (ე. ი. რობესპიერის დაცემამდე — ო. ჯ.) საკუთარ თავზე აღმატებას ლამობდა და ფანტასტიკაში ვარდებოდა (которое раньше хотело превзойти само себя и ударялось в фантастику)⁴ და რევოლუციური იდეოლოგიის სწორედ ამ „პროზაული განხორციელების“ წინააღმდეგ იყო ძირითადად მიმართული გოეთეს „ანტირევოლუციური“ კრიტიციზმი.

ხოლო რევოლუციური „პოლიტიკური განათლების“ თვითაღმატებისაკენ ძალვის უმაღლეს პროდუქტს მარქსი შემდეგნაირად ახასიათებს, საწინააღმდეგოდ ბრუნო ბაუერის დებულებისა: „ფრანგული რევოლუციის

¹ Z. R. Becher, Der Befreier, S. 13.

² Н. Вильмонт, Г. Гете, Москва, 1951, გვ. 131.

³ A. A busch, Das Goethe-Jahr und die Aufgaben der SED. გაზ. Neues Deutschland, 16. III, 49.

⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 2, გვ. 136, კურსივი მარქსისაა.



მიერ წარმოქმნილ იდეებს ჩვენ არ გამოვეყვდით იმ წყობილების ფარგლებიდან, რომლის ძალმომრეობით დამხობაც მათ ეწადათ, — იგი შენიშნავს: „იდეებს არასოდეს არ ძალუძთ ძველი წყობილების ფარგლებიდან გამოყვანა; მათ მუდამ მხოლოდ ძველი წყობილების იდეათა ფარგლებიდან გამოვეყვართ. იდეები საერთოდ ვერაფერს განახორციელებენ. იდეათა განხორციელებისათვის საჭიროა ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკული ძალა უნდა გამოიყენონ“; — და რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ განაგრძობს: „...ფრანგულმა რევოლუციამ წარმოქმნა იდეები, რომელთაც გამოვეყვართ მთელი ძველი წყობილების იდეათა ფარგლებიდან. რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელიც 1789 წელს დაიწყო Cerele social-ში, რომელსაც თავის შუაგზაზე ლეკლერკი და რუჰე ვაგდა მთავარ წარმომადგენლებად და რომელმაც, დასასრულ, ბაბეფის შეთქმულებასთან ერთად განიცადა დროებითი მარცხი, — ამ მოძრაობამ წარმოშვა კომუნისტური იდეა, რომელიც 1830 წლის რევოლუციის შემდგომ საფრანგეთში კვლავ იქნა შემოღებული ბაბეფის მეგობრის, ბუონაროტის მიერ. თანმიმდევრულად დამუშავებული, სწორედ ეს იდეა ახალი მსოფლიო წყობილების იდეა“.¹

ამ იდეის განხორციელებისათვის საკმარისი ადამიანები, როგორც ამას ბაბეფის მარცხი ამტკიცებს, იმდროინდელ საფრანგეთშიც კი არ აღმოჩნდნენ, ხოლო მაშინდელ გერმანიაში საამისო ადამიანები სულაც არ მოიძებნებოდნენ. და ამიტომაც გოეთე ვერც ვახდებოდა და არც გამხდარა ამ იდეის პრაქტიკული განხორციელებელი, მისთვის რეალურად მიერძოლი რევოლუციონერი. მაგრამ გოეთეს ჰქონდა, ბეჰერის თქმისამებრ, „ღრმა პატივისცემა (tiefe Achtung) უსახელო ადამიანთა მილიონებისადმი და მათი დაუცხრომელი საქმიანობისაგან განუყოფელად ესახებოდა კაცობრიობის უზენაესი ძალები“ (die höchste Leistungen des Menschengeschlechts);² და მის ამ ჰუმანისტურ-დემოკრატიულ არსებას ორგანულად ენათესავებოდა ამ მშრომელი ხალხის შემოქმედებით ყოფა-ცხოვრებაში მღვივი ჭეშმარიტად ადამიანური სულისკვეთებები, რომელთა უსრულყოფილეს იდეოლოგიურ გამოხატულებად იქცა ფრანგული რევოლუციის ქარცეცხლში წარმოქმნილი „კომუნისტური იდეა“. და თუკი ამ იდეის თანმიმდევრულად დამუშავებისათვის გოეთეს არც შესაფერი გარემოცვა გააჩნდა და არც დრო უმართავდა ხელს, — საამისოდ მარქსისა და ენგელსის ხანა უნდა დამდგარიყო,³ — მისი კოლოსალური მონაპოვარი ის იყო, რომ ამ უპირობობისა და უდროობის საწინააღმდეგოდ იგი სწორედ ამ ახალი, ძველი მსოფლწყობის ფარგლებიდან გამომავალი იდეის მიმარ-

¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. 2-е, т. 2, გვ. 132, კურსივი მარქსისაა.

² J. R. Becher, Der Befreier, S. 13.

³ გოეთეს იმისათვის დადანაშაულება, რომ მან თავისი მანკიერი გარემოციდან წამდვილ გამოსავალს, თავისი იდეალის განხორციელების რეალურ საშუალებებს ვერ სძიებოდა, ბეჰერის მართებული შენიშვნისამებრ, არსებითად იმის მოთხოვნას უდრის, რომ მარქსს „სახოვადოების მამოძრავებელი კანონი და ამით ჩვენი დროების საიდუმლოების გასაღებიც“ უკვე გოეთეს ეპოქაში უნდა აღმოეჩინა, როცა „მუშათა კლასი არ იყო ჯერ-კიდევ წარმომდგარი“ (J. R. Becher, Der Befreier. S. 23).

თულებით ავითარებდა თავის ჰუმანიზმს, რომ მან ამ იდეის სულით,—თავისუფალ ნიწაზე თავისუფლად შემოქმედ ხალხზე ოცნებით,—გამსჭვალა თავისი ფაუსტური იდეალი.

ასეთია საფრანგეთის რევოლუციისადმი გოეთეს წინააღმდეგობრივი მიმართება: როგორც ვილმონტი აღნიშნავს, იგი ერთდროულად ფილისტერულად მშობრულია რევოლუციური პრაქტიკის უგულვებელყოფით და გენიალურად ვაბედულიც რევოლუციური იდეოლოგიით გატაცების გამო¹. მაგრამ საბოლოოდ ეს მიმართება ღრმად პოზიტიური, პროგრესული რჩება,—რამდენადაც „რევოლუციის, როგორც მეთოდის ამ შორს მიმავალ მიუღებლობას მაინც არ დაუშლია გოეთესათვის (რაც მას დიდად ამაღლებს მის უმრავლეს თანამედროვეზე—შილერის, ფიჰტეს და ჰეგელის ჩათვლით) გამსჭვალულიყო უკიდურესი რევოლუციური იდეებით“².

გოეთე—გენიოსი ისევე სულდგმულებს ფრანგული რევოლუციის იდეებით, როგორც გოეთე—ფილისტერი იკვებება გერმანული სინამდვილით; ანუ, როგორც ბეჭერი ამბობს, „ფრანგული რევოლუციის სულია, რომელმაც გოეთე შეიპყრო, რომელმაც იგი მის არსებით ხაზებში ჩამოაყალიბა და რომლის განმხორციელებლად იგი ისე იქცა, როგორც არც ერთი სხვა გერმანელი“³.

სწორედ ამ გარემოებით ისაზღვრება გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეგისის მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური და შემოქმედებითი განვითარების პოზიტიური, თანმიმდევრულად აღმავალი ხასიათი, რაც გოეთეს არსებითად განასხვავებს, პრინციპულად უპირისპირებს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის კორიფეგს, ჰეგელს, რომელმაც თავისი ევოლუცია ფრანგული განმანათლებლობისა და რევოლუციის იდეებით პლატონური გატაცებით დაიწყო და გერმანულ არისტოკრატიულ-რეაქციულ სინამდვილესთან სრული შერიგებით, პრუსიის იუნკრულ-მონარქისტული წყობილების აპოლოგიით დაამთავრა. და თავის მხრივ, გოეთეს ამ პოზიტიური განვითარების ასპექტში ჩანს ნათლად მისი,—„უდიდესი გერმანელი“,—ღრმა პროგრესულობა არა მხოლოდ საკუთრად მისდროინდელი ჩამორჩენილი გერმანიის მიმართ, სადაც იგი ობიექტურად,—რამდენადაც ყველაზე სრულყოფილად წარმოადგენდა გერმანული კლასიკური ლიტერატურის ჰუმანიტეტის იდეას,—დემოკრატიული რევოლუციისათვის ამზადებდა სულიერად ხალხს, არამედ მთელი მოწინავე მსოფლიოს მიმართაც, რომელშიც ბურჟუაზიის საბოლოოდ გამარჯვების კვალდაკვალ სულ უფრო ითრგუნებოდა საფრანგეთის რევოლუციის უმაღლესი იდეები და უკეთილშობილესი სულისკვეთებანი.

ეს გარემოება,—საფრანგეთის რევოლუციის „პოლიტიკურ განათლებასთან“ კავშირი,—გახდა ობიექტური, მისი დიდი ეპოქით განსაზღვრული ფაქტორი, რომელმაც გოეთე მისი გარემოცვის უბადრუკ დონეზე ძლევამოსილად აამილდა და, სულაც, იდეურად „ძველი მსოფლწყობის ფარგლებიდან“ გაიყვა-

¹ Н. Вильмонт. Гете, стр. 129.

² იქვე.

³ J. R. Becher, Der Befreier, S. 17.



ნა. ამ გარემოების ძალით მოხდა რომ, ბეჭერის თქმისამებრ, ^{ერეკენულს} გოეთეს ნაშემოქმედარში წარსულს კი არ ეკუთვნის, არამედ რომ სამყარო, რომელსაც გოეთე ჰქვია, მომავალში ძევს¹.

საფრანგეთის რევოლუციის უმაღლეს იდეებთან ორგანული კავშირის ძალით მოხდა, რომ გოეთეს ჰუმანიზმი თავისი საბოლოო, ფაუსტური სახით პრინციპულად შეურიგებლად დაუპირისპირდა კლასობრივ ურთიერთობათა ძველ სამყაროს, მასში კაცთა ურთიერთისაგან მტრულ განმხოლოვებას, ადამიანთა მიერ ურთიერთის ჩავვრითა და დამცირებით ადამიანობის ხელყოფას. და იგივე იდეური წყარო ასაზრდოებდა „უდიდესი გერმანელი პოეტის“ უშრეტ ოპტიმიზმს, იმ გარემოებას, რომ თუმცა მას ბუნდოვანი და ნაკლოვანი წარმოდგენა ჰქონდა შორეული მომავლის ჰარმონიულ ცხოვრებაზე და, მეტადრე, მისკენ მიმავალ გზებზე, მაგრამ ბოლომდე უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ, ძველის ნებისმიერი შემოტევის მიუხედავად, მინც გარდაუვალია ადამიანურ სრულყოფილებაზე და კაცობრიობის ბედნიერებაზე მისი ფაუსტური ზმანების განხორციელება.

მაგრამ ყოველივე ეს, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს გოეთე—გენიოსი თავის მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი, საკუთრივ-გერმანული სინამდვილით განუპირობებელი მოვლენა იყოს.

საქმე ისაა, რომ საფრანგეთის რევოლუციის გერმანელ მოაზროვნეებზე ზეგავლენის ხასიათი არსებითად თვით გერმანული სინამდვილის თავისებურებით ისაზღვრებოდა. ამ ზეგავლენის ფაქტსა და სპეციფიკას ასე ახასიათებს ენგელსი: „...საფრანგეთის რევოლუცია ელვის მსგავსად დაატყდა ამ ქაოსს, გერმანია რომ ერქვა. მან უდიდესი ზეგავლენა იქონია. საქმეში მეტისმეტად ნაკლებ ჩახედული და ტირანიისადმი მორჩილებას მეტისმეტად შეჩვეული ხალხი უძრავი დარჩა, მაგრამ ყველა საშუალო კლასი და აზნაურობის საუკეთესო ნაწილი აღფრთოვანებული სიხარულით ხვდებოდა ნაციონალურ კრებასა და ფრანგ ხალხს. ყველა გერმანელი პოეტი ასხამდა ხოტბას ფრანგი ხალხის დიდებას. მაგრამ ეს იყო წმინდად გერმანული ენთუზიაზმი, მას ჰქონდა მხოლოდ მეტაფიზიკური ხასიათი, იგი შეეხებოდა ფრანგ რევოლუციონერთა მხოლოდ თეორიებს². ხოლო ეს გარემოება,—რომ გერმანელები საფრანგეთის რევოლუციის თეორიას მისი პრაქტიკისაგან განყენებულად იღებდნენ,—რასაკვირველია, იმას ნიშნავს, რომ ისინი მას არსებითად ცვლიდნენ კიდევაც, სპეციფიკურ-გერმანულ ხასიათს სძენდნენ.

და, ცხადია, ეს გოეთესაც ეხება: ისიც გერმანულ ყაიდაზე ახდენდა ფრანგ რევოლუციონერთა უმაღლეს იდეათა ტრანსფორმაციას, ისე რომ გასარკვევ-დასადგენი აქ მარტო ის ინდივიდუალური თავისებურება უნდა იყოს, რომელსაც იგი, ეს ტრანსფორმაცია, გოეთეს შემოქმედებით „მე“-საგან იძენდა.

¹ J. R. Becher, Der Befreier, S. 8.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 2, стр. 562.

გერმანული კლასიკური ლიტერატურის სხვა დიდ წარმომადგენლებსა და ლესინგისა და ჰერდერის, შილერისა და ჰელდერლინის და, მით უფრო, რომანტიკოსთა მსგავსად, გოეთეს ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ფილოსოფიისადმი განსაკუთრებული ან, უფრო სწორად, იმაზედ ძლიერი მიდრეკილება, რაც ხელოვანთ „ჩვეულებრივ“ მოეთხოვება.

ერთი შეხედვით, ფილოსოფიისადმი სპეციალური ინტერესი თითქოს და ეწინააღმდეგება გოეთეს შემოქმედებით ბუნებას, რამდენადაც „ფაუსტის“ ავტორი პირველ ყოვლისა და უმთავრესად ხელოვანი იყო და თანაც—თავისი დროის ყველაზე კონკრეტული, უშუალო და ემოციური გერმანელი პოეტი. სინამდვილეში კი ეს ინტერესი იმდენად კი არ ვნებს გოეთეს შემოქმედებით ზრდას, რამდენადაც, პირიქით, გადაიქცევა ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად, ერთ-ერთ ძირითად საყრდენად მისი აღმავალი იდეური და მხატვრული ევოლუციისა, რომელიც ფაუსტური მწვერვალებით დაგვირგვინდა.

მაგრამ, ამავე დროს ამ ინტერესს აქვს ღრმად წინააღმდეგობრივი ხასიათი, რაც განპირობებულია იმავე ობიექტური მიზეზებით, რომლებმაც გოეთეს საერთო წინააღმდეგობრიობა განსაზღვრეს. სახელდობრ, ფილოსოფიისადმი გოეთეს მიდრეკილება თავს იჩენს, როგორც ორი ურთიერთის საწინააღმდეგო ძალის ერთდროული მოქმედების შედეგი, — როგორც ბუნებრივი წინაგანი მოთხოვნებისა და იძულებითი გარეგანი აუცილებლობის ნაყოფი.

ერთის მხრივ, ფილოსოფიით გოეთეს გატაცება ნაკარნახევი იყო მისი უნივერსალური პიროვნებისათვის დამახასიათებელი მისწრაფებით სინამდვილის სინთეზური შემეცნებისაკენ. გოეთეს გონება თავისი წყობითა და ხასიათით სავსებით შეესაბამებოდა ეპოქის მოწინავე, ხშირად ჯერ კიდევ მხოლოდ ჩასახვის საფეხურზე მყოფ მეცნიერულ ტენდენციებს, ანუ, სხვა სიტყვით, გოეთე იყო ღრმად დიალექტიური მოაზროვნე და ხელოვანი, რომელიც ცდილობდა მის ყოვლისმომცველს ერთიანობაში შეეცნო და აესახა ბუნებისა და ცხოვრების მრავალსახოვანება. იგი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მოვლენათა გარეგანი მხარით, არასოდეს არ შემოიფარგლებოდა ფაქტების ოდენობრივი აღქმით, რითაც მკვეთრად უპირისპირდებოდა XVII—XVIII საუკუნეთა მექანიკურ მსოფლმხედველობას; იგი დაუჩინებლად ცდილობდა ყოფიერების სიღრმეში ჩაწვდომას, სავანთა არსის შეცნობას, იმ ძირითად კანონზომიერებათა გამოვლენას, რომლებიც ურთიერთკავშირს გამოხატავენ და ხარი-სხობრივ თვისებებს საზღვრავენ ყოველივე არსებულისას. სუბიექტივიზმზე არა ნაკლებ მტრობდა იგი ზერელე, ვიწრო ემპირიზმსაც და მეცნიერისაგან, — ისევე, როგორც ხელოვანისგან, — მოითხოვდა ფაქტებზე „ამაღლებას“ ანუ მათ ფართე თეორიულ განზოგადებას, „სხვადასხვა სახის ცალკეულ გამოვლინებებში ძირითადი კანონის პოვნას“.¹ მის დროს ბუნებისმეტყველებაში გამოჩენილ „შესანიშნავ აღამიანთა“ გამო იგი შენიშნავს: „ზოგიერთი მათგანი კარგად იწყებს, მაგრამ ბოლომდე ვერ ძლებს; მათში მოჭარბებული სუბიექტური ელემენტი მათ მცდარ გზაზე აყენებს, ზოგიერთნიც კიდევ მეტისმე-

¹ Goethes Gespräche mit Eckermann, S. 570.



ტად ეჭიდებიან ფაქტებსა და ურიცხვი რაოდენობით აგროვებენ მათ, არაფერი მტკიცდება (wodurch nichts bewiesen wird). საერთოდ კი ნაკლებად იგრძნობა თეორიული ნიჭი, რომელიც შეძლებდა პირველ-ფენომენტა წკლომისა და ცალკეულ მოვლენათა დაუფლებას¹. ამ აზრით მეტად დამახასიათებელია, მაგალითად, გოეთეს აზრი კიუვეს შესახებ, რომელიც იყო ერთ-ერთი უთვალსაზიროესი და ტიპიური წარმომადგენელი ძველი, გოეთეს საყვარელი ტერმინით თუ ვიტყვით, „ანალიტიკური“ ანუ შეგროვებით-აღწერილობითი ბუნებისმეტყველებისა; „კიუვე, — უთხრა მან ერთხელ ეკერმანს, — ბუნების დიდი მცოდნე, გვაოცებს გადმოცემის თავისი ნიჭითა და თავისი სტილით. არავის შეუძლია მასზე უკეთესად ფაქტის ჩვენება. მაგრამ მას თითქმის არავითარი ფილოსოფია არ გააჩნია. იგი აღზრდის დიდად განსწავლულ, მაგრამ ნაკლებად ღრმა მოწაფეებს“². ამავე აზრით ნიშანდობლივია გოეთეს აღიარება, რომ იგი „ვერასოდეს ვერ სძლებდა“ ფილოსოფოსების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ „ვერც გაერთიანებულ იყო მათთან ოდესმე“³. და ვასაგებია, რომ ფილოსოფიისადმი ამ ბუნებრივ მიდრეკილებას, რომელიც შთაგონებული იყო სინამდვილის ჭეშმარიტად მეცნიერული შემეცნებისა და ჭეშმარიტად რეალისტური ასახვისაკენ მისწრაფებით, გოეთე მიჰყავდა ხარისხობრივად ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამომუშავების მიმართულებით, — მსოფლმხედველობისა, რომელიც, ძველი და პოეტის თანამედროვე მეტაფიზიკური მოძღვრებების საწინააღმდეგოდ, კი არ აშორებს ადამიანს ბუნებისაგან, კი არ აბუნდოვანებს და ართულებს ჭეშმარიტებას, არამედ ემსახურება მას ქმედით იარაღად მისი ესთეტიკური და მეცნიერული ძიებებისა.

მეორე მხრივ, გოეთე თავს ესხმის „ფილოსოფოსებსა“ და „ფილოსოფიას“, ხაზს უსვამს რა მათს მავნე ზემოქმედებას როგორც გერმანელ პოეტთა მხატვრული შემოქმედების, ისე მთელი იმდროინდელი კულტურის თავისუფალ, ბუნებრივ განვითარებაზე. თანაც, საყვებით ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გოეთეს მხედველობაში აქვს საერთოდ მეტაფიზიკური და განსაკუთრებით გერმანული იდეალისტური ფილოსოფია, რომელიც თავისი „წმინდად“, ე. ი. განკენებულ-თეორიული ხასიათით დაბრკოლებად ექნება სინამდვილის ჭეშმარიტ, კონკრეტულ შემეცნებასა და ართმევს ადამიანს აქტიური პრაქტიკული ქმედების უნარს.

ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც ზემოთმოტანილი აღიარება, რომ მუდამ ფილოსოფოსთაგან დამოკიდებული გოეთე საბოლოოდ ვერასოდეს „გაერთიანებულ იყო“ მათთან. ხოლო მთელი სისრულით „ფილოსოფიისადმი“ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გოეთემ გამოხატა ეკერმანთან საუბარშიც — ი. შუბარტიის წიგნის („საერთოდ ფილოსოფიისა და კერძოდ ჰეგე-

¹ Goethes Gespräche mit Eckermann. გვ. 439.

² იქვე, გვ. 681.

³ იხ. გოეთეს წერილი ფიქტესადმი 1794 წ. 24 ივნისის თარიღით. Гете, Собр. сочинений в 13-и томах, т. XIII, 1949, გვ. 56.

ლის ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის შესახებ“) გამოქვეყნდა. რა ამ წიგნის „დედააზრს“ იმის მტკიცებაში, „რომ არსებობს ფილოსოფიისაგან დამოუკიდებელი თვალსაზრისი“, სახელდობრ, „სალი გონიერების“ თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც „ხელოვნება და მეცნიერება ყველაზე უკეთ ხარობენ ხოლმე ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლად, ბუნებრივ ადამიანურ ძალთა თავისუფალი მოქმედების საფუძველზე“, გოეთე აცხადებს: „ეს მთლიანად ჩვენს წისქვილზე დასხმული წყალია. მე პირადად ყოველთვის ვიცავდი ფილოსოფიისაგან ჩემს თავისუფლებას, სალი გონიერების თვალსაზრისი ჩემი თვალსაზრისიც იყო მუდამ და ამრიგად შუბარტიც იმას ადასტურებს, რაც მე თვითონ ნიმიტკიცებია და მიკეთებია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე“¹.

ეკერმანთან საუბრებში გოეთე დაულალავად ამტკიცებს „სალი გონიერების“ ამ თავისი თვალსაზრისის სისწორესა და დამლუბველობას განყენებული ფილოსოფოსობისა, რომლითაც საგანგებოდ სცოდავდნენ მისი თანამედროვე „დიდი“ და „მცირე“ გერმანელი მოაზროვნენი.

ასე, მაგალითად, იგი ლაპარაკობს მეცნიერებზე, „რომელთაც განსწავლულობისა და ჰიპოტეზების სიჭარბის გამო მხედველობისა და სმენის უნარი დაჰკარგვიათ, რომელნიც ისე არიან გართულნი თავიანთი აზრებით, რომ ძალიან მალე იზღუდებიან შინაგანით“ ანუ ვარდებიან უნიდაგო, რეფლექტურ სუბიექტივიზმში, რის შედეგადაც იქცევიან მეცნიერებისათვის უსარგებლო თანტაზიორებად, რომლებთანაც შედარებით უპირატესობა ენიჭებათ „მეცნიერების შავ მუშებსაც“ კი, ე. ი. ფაქტების უბრალო, მაგრამ შეუცდომელ დამკვირვებლებს: „ღმერთმა ჰქნას, დასძენს გოეთე,—რომ ჩვენ ყველანი მხოლოდ კარგი მუშები ვიყოთ; ჩვენ სწორედ იმით ვაფუჭებთ საქმეს, რომ მეტი გვინდა და ყველგან ფილოსოფიისა და ჰიპოთეზების უზარმაზარ აპარატს დავათრევთ თან“². ანდა ჰეგელიანელი ესთეტიკოსის ჰ. ფ. ვ. ჰინრიჰსის წიგნის („ანტიკური ტრაგედიის არსი“) გამო გოეთე აღნიშნავს, მისი ავტორი, ე. ი. ჰინრიჰსი ძვალრბილამდე გამსჭვალული ფილოსოფიური განსწავლულობითა და დასძენს: „გულახდილად რომ ვთქვა, მე მწყინს, რომ ისეთი დაბადებით მაგარი ბუნების კაცი, როგორიცაა ჰინრიჰსი,... ასე სასტიკად დაუმუშავებია ჰეგელის ფილოსოფიას; ამ უკანასკნელს აღმოუფხვრია მისგან მიუკერძოებელი ბუნებრივი ჭერტისა და აზროვნების უნარი და შთაუნერგავს მისთვის მსჯელობისა და გამოთქმის იმდენად მიძიმე მანერა, რომ მის წიგნში გვხვდება ადგილები, რომელთა წინაშე სრულიად უძლური რჩება ჩვენი გონება, ისე რომ ჩვენ ვეღარც კი ვივებთ, რასაც ვკითხულობთ“³.

მეტაფიზიკური ფილოსოფიის მაენე ზეგავლენას მიიჩნევს გოეთე თავისი დროის გერმანული ლიტერატურის შედარებითი მხატვრულ-სტილისტური სისუსტის უშუალო მიზეზად: „გერმანელთ,—ამბობს იგი,—საერთოდ ვნებთ ფილოსოფიური სპეკულაციები, რომლებიც ხშირად განყენებულ, არარეალურ,

¹ Goethes Gespräche mit Eckermann; S. 444—445.
² იქვე, გვ. 140.
³ იქვე, გვ. გვ. 290—291.



ბუნდოვან და მალალფარდოვან ხასიათს სძენენ მათ სტილს. რაც უფრო მეტი როდ უკავშირდებიან გარკვეულ ფილოსოფიურ სკოლებს, მით უფრო ცუდად წერენ ისინი. ხოლო ის გერმანელები, რომლებიც ვითარცა საქმისა-და ცხოვრების კაცები სინამდვილეს პრაქტიკულად აღიქვამენ (bloss aufs Praktische gehen), წერენ ჩინებულად. კერძოდ, „ვილერის სტილი იქაა ყველაზე ბრწყინვალე და ძლიერი, სადაც იგი არ ფილოსოფოსობს...“¹

მაგრამ ყველაზე მეტად ის აღონებს გოეთეს, რომ გერმანელთა კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, კერძოდ, სასკოლო განათლების სფეროში ამ ფილოსოფიის შეჭრა აღშობს კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობის სულს, ჰკლავს იმ ქმედითი პროდუქტიული შრომის უნარს, რომელიც მისთვის, თ. კარლაილის თქმისამებრ, „მომავლის რელიგიის“ კულტად იქცა. იგი ამბობს: „გერმანელთა რომ ინგლისელთა მსგავსად შთაენერგოს ნაკლები ფილოსოფია და მეტი ენერგია, ნაკლები თეორია და მეტი პრაქტიკა, უკვე ეს განმოსყიდდა ბევრ ჩვენ ცოდვასა და ჩვენ არ მოგვიხდებოდა მეორე ქრისტესდაგვარი მაღალი პიროვნების მოვლენის ლოდინი“; და შემდეგ: „მე ვერ მოვიწონებ იმას, რომ სახელმწიფოს მომავალ მსახურთ მათი სწავლისას მეტისმეტად მრავლად მოეთხოვება თეორიულად განსწავლული ცოდნა, რის შედეგადაც ახალგაზრდა ადამიანები ნაადრევად ირღვევიან (werden ruiniert) როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. ამის შემდეგ პრაქტიკულ სამსახურში ჩადგომისთანავე ისინი, მართალია, ფლობენ სხვადასხვა თეორიულ და სწავლულ ცნობათა უზარმაზარ მარაგს, მაგრამ მცირედაც ვერ იყენებენ მას თავიანთი ხელობის ვიწრო სარბიელზე და კიდევაც ივიწყებენ როგორც უსარგებლო შენაძენს. ხოლო სწორედ იმას, რაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ, ისინი მოკლებულნი არიან: მათ აკლიათ სათანადო სულიერი და ფიზიკური ენერგია, რომელიც სრულიად აუცილებელია პრაქტიკულ ასპარეზზე წარმატებული საქმიანობისათვის“².

გოეთე არასოდეს არ ყოფილა „ფილოსოფოსი“ ამ ცნების ტრადიციული გერმანული მნიშვნელობით, ე. ი. აბსტრაქტული მეტაფიზიკოსი, რომლის კლასიკურად ტიპიურ განსახიერებად გვევლინება იმანუილ კანტი. ამ უკანასკნელის მსგავსი „წმინდა გონების რაინდები“ ორგანულად ეუცხოვებოდნენ მას მუდამ; მისთვის ყოველთვის უცხო და ანტიპათიური იყო ვაგნერი-სეული მწიგნობრული, სქოლასტიკური „სიბრძნე“, რომელიც „თავის თავში“ ეძებს ხოლმე საზრდოს, იმის ნაცვლად, რომ ბუნების ცოცხალ წიგნს დაეწაფოს. ჯერ კიდევ 1769 წელს, ე. ი. ოცი წლის ჰაბუჯი, წერს იგი თავისი ხატვის მასწავლებლის ასულს, ფრედერიკა ეზერს, რომ ფილოსოფიური შტუდიებითაა გართული და იმიტომ აღწევს მწიგნობარ სწავლულებზე უფრო დიდ წარმატებებს, რომ პირს არ უქცევს ბუნებას: „ჩემი ამჟამინდელი ცხოვრება, — იტყობინება ბუნების მომავალი მკვლევარი, — ფილოსოფიისადნია მიძღვნილი. ჩაკეტილი, განმარტოვებული, ქალაღის ფურცელი, საწერ-კალამი

¹ Goethes Gespräche mit Eckermann, S. 126.

² იქვე, გვ. გვ. 400—401.

და ორი წიგნიც,—ესაა მთელი ჩემი საჭურველი. და ამ უბრალო გზით მე ხშირად შორს ვიჭრები სიმართლის შეცნობაში, უფრო შორს, ვიდრე სხვები ახერხებენ ამას თავიანთი მიწინააღმდეგეობით განსწავლულობით. დიდი სწავლული იშვიათად ყოფილა დიდი ფილოსოფოსი, ხოლო იმას, ვინც დიდად გარჯილა წიგნების ფურცლით, შეზიზღებული აქვს ბუნების ხელმისაწვდომი მარტივი წიგნი, სიმართლე კი მაინც ისაა მხოლოდ, რაც მარტივია“¹. უფრო გვიან, 1775 წელს, გოეთე წერს იოჰანანა ფალმერს თავისი ასაკისათვის რამოდენიმედ პრეტენზიულად, მაგრამ თავისი რეალისტური ბუნებისათვის მეტად დამახასიათებლად: „მე ბევრი მინახავს, ძალიან ბევრი. ქვეყანა დიდებული წიგნია, რომელიც ჰკუთას გვმატებს“². ათი წლით გვიან, 1785 წელს, ე. ი. უკვე მომწიფებული მოაზროვნე, იგი წერს ფ. ჰ. იაკობის: „არასოდეს მქონია პრეტენზია, მეტაფიზიკური აზროვნების ოსტატი ვყოფილიყავი“ და ამიტომაც სპინოზას „უმაღლეს არსებას“ „მხოლოდ ცალკეულ საგანთა შეცნობით ანდა მათგან გამომდინარე ვწვდებოდიო“³. ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ იგი შენიშნავს იმავე იაკობის იმ „კეთილსეუობის“ გამო, რომლითაც „ღმერთმა“ ეს უკანასკნელი უხვად დააჯილდოვა: „მართალია, ამის გამო ღმერთმა შენ მეტაფიზიკით დაგსაჯა, რითაც პალო ჩავასო სხეულში, მე კი ფიზიკით დამლოცა, რათა შემრგებოდა მის ქმნილებათა ცქერა, რომელთა მხოლოდ სულ მცირე ნაწილი მარგუნა“⁴. ყველა ეს აღიარება მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს გოეთეს—ფილოსოფოსს, რომელიც ცდილობს ყოფიერების არსს ჩასწვდეს არა ბუნების გამო განყენებული სქოლასტიკური ფილოსოფოსობით, არამედ ემპირიული სინამდვილის უშუალო, კონკრეტული, პრაქტიკული შესწავლა-ათვისების გზით.

მაგრამ „ფიზიკისადმი“ თავისი მძლე მიდრეკილების მიუხედავად და მაშინდელი გერმანული ვითარებით განპირობებულ უარყოფით ობიექტურ ფაქტორთა ძალით, რომელნიც მისი საოცრად საღი და დიდად პროგრესული პიროვნებისათვისაც იყვნენ დაუძლეველნი, გოეთეს ვერასოდეს ვერ მოეხერხებინა მთლიანად განთავისუფლებულიყო „წმინდა გონების რაინდთა“ გავლენისაგან, გადაეღახა მეტაფიზიკის „მწვერვალებისაკენ“ გერმანული ლტოლვა და სავსებით მტკიცედ დამკვიდრებულიყო უშუალო სინამდვილის ნიადაგზე. და ამდენად გოეთე „ვერ სძლებდა ფილოსოფოსთა გარეშე“ უკვე არა ფილოსოფიისადმი, როგორც კონკრეტულ-პრაქტიკული ცოდნისა და მოქმედების ზოგადთეორიული საფუძვლისადმი, თავისი ბუნებრივი მიდრეკილების შედეგად, არამედ იმიტომ, რომ იდგა აუცილებლობის წინაშე, თავისთვის უცხო და საძულველი მეტაფიზიკისათვის მიეზლო ხარკი.

გერმანული კლასიკური ლიტერატურის განვითარებაზე გერმანული კლასიკური იდეალიზმის უარყოფითი ზეგავლენის ფაქტი საგანგებოდ იჩქმალდება,

¹ Гете, Собр. сочинений в 13-и томах, т. XII, 1948, стр. 111.

² იქვე, გვ. 163.

³ იქვე, გვ. 285.

⁴ იქვე, გვ. 295.



ანდა სულაც „ინსენება“ თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ, რომელიც ყოველნაირად ცდილობს დაადგინოს მათ შორის მარტო „ნათესაობა“, „ერთიანობა“ თუ ურთიერთგამანაყოფიერებელი ზემოქმედება. ხოლო თავისი აღიარების იშვიათ შემთხვევებში ეს ფაქტი არსებითად მახინჯდება ხოლმე. ასეთი დამახინჯების ერთ ნიშანდობლივ მაგალითს წარმოადგენს მტეფან ცვაიგის მტკიცება გერმანულ კლასიკურ პოეზიაზე კანტის ფილოსოფიის „მაგიკური ზეგავლენისა“ და იმის შესახებ, რომ ამ ზეგავლენას „ინსტიქტიურად“ ეწინააღმდეგებოდა სწორედ გოეთე. ცვაიგის თანახმად, კანტი, — „ამ ყველაზე უსიცოცხლო ადამიანმა, რომელმაც თავისი თავი აზრის ავტომატად გააუპიროვნა“, — „უსაზღვროდ დააქვეითა კლასიკური პოეზიის წმინდა შემოქმედება, ჩაახშო იგი თავისი აზროვნების კონსტრუქტული ოსტატობით და, დააყენა რა ხელოვანი ესთეტიკური კრიტიციზმის გზაზე, უზომო ზარალი მიაყენა გრძნობიერებას, სამყაროს ხალისიან მიღებას, წარმოსახვის თავისუფალ აღმაფრენას“; კანტი, თურმე, „დიდი ხნით ახშობდა წმინდა პოეზიას ყოველ პოეტში, რომელიც კი დამორჩილებია მის ზეგავლენას“; ეს გავლენა განარიდებდა „კლასიკოსებს მათი დიადი, რენესანსის ძლიერებით ნაზარდი პირველყოფილი ვნებიანობისაგან“ და „შეუმჩნევლად“ უბიძგებდა მათ „სწავლული“, „სისხლდაცლილი“, „პროზაში გარდამავალი“ პოეზიისაკენ; იგი შეეხო, მაგალითად, არა მხოლოდ შილერსა და ჰელდერლინს, არამედ გოეთესაც კი, რომელმაც, — მიუხედავად იმისა, რომ მისი ჯანსაღი ბუნება „პირველყოფილი ინსტიტუტის შეუპოვრობით მტრობდა ყოველგვარ სისტემატურ მეტაფიზიკას“, — აგრეთვე შიატოვა მრავალი წლით „ღვთაებრივ სახეთა სამყარო“, რათა დამკვიდრებულიყო „ესთეტიკისა და პეცნიერების უფრო ცივს სამყაროში“¹.

ცვაიგის ამ დებულებით გარკვეულ ფარგლებში საკმაოდ ზუსტადაა ფიქსირებული საქმის ფაქტიური ვითარება: მართლაც, გერმანული კლასიკური ლიტერატურა მნიშვნელოვნად სცოდავს ჭეშმარიტად პოეტური ემოციურობის, კონკრეტული, უშუალოდ გრძნობადი სახოვანების ნაკლებობით. ესაუმათავრესი და სპეციფიკური ნაკლი გერმანული კლასიკური ლიტერატურისა, რომლის განვითარება ძირითადად წარმართა არა შექსპირიზაციის, არამედ შილერიზაციის მიმართულებით. ამ ნაკლს მწვავედ გრძნობდნენ და კიდევაც ჰგმობდნენ, როგორც მარქსიზმის ფუძემდებელნი, ისე რუსი რევოლუციონერი დემოკრატები. სწორედ ეს ნაკლი აქვს მხედველობაში ფ. ენგელსს, როცა კ. მარქსს წერს, რომ „Merry wives-ის მხოლოდ პირველ აქტში მეტი სიცოცხლეა და მოძრაობა, ვიდრე მთელ გერმანულ ლიტერატურაში“ და რომ „მარტოდენ ლაუნსი თავისი ძაღლ კრაბით მეტად ფასობს, ვიდრე ერთად აღებული ყველა გერმანული კომედია“². და ამავე აზრით სწერდა, მაგალითად, ბელინსკი ბაკუნინს

¹ С. Цвейг, Борьба с безумием. Гельдерлин. Собр. сочинений, изд. „Время“, т. 10, гл. 83. 87—88.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, 1938, гл. 83. 250—251.

გოეთეს „Wahlverwandschaften“-ის გამო: „ოჰ, თანაც: ამას წინათავე ვალე გამარჯვება მოვიპოვე მოთმინების დარგში—წავიკითხე ოტილია ლმერთო ჩემო! როგორ ვიფიქრებდი, რომ დიდი გოეთე, გერმანიის ეს ოლიმპიელი, ასეთი გერმანელი გამოდგებოდა თავის ამ სახელგანთქმულ რომანში; ძირითადი აზრი გონივრულია და სწორი, მაგრამ აზრის მხატვრული განვითარება—ო, ალაპ, ალაპ,—რამ შევაქმნევინა გერმანელები?“¹.

და მეორეს მხრივ, ისიც მართალია, რომ გერმანულმა კლასიკურმა ლიტერატურამ გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის ძლიერი გავლენა განიცადა და რომ, თანაც, ამ გავლენას არსებითად ღრმად უარყოფითი, რეაქციული ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ ყოველივე ამისდა მიუხედავად ცვაიგის მოტანილი თვალსაზრისი წარმოადგენს გერმანული კლასიკური ლიტერატურის პრინციპულად მანკიერ დახასიათებას, რამდენადაც მისი მხატვრული ნაკლოვანებისათვის „ბრალი“ აქ მოლიანად საცოდავ კანტს ედება, ხოლო ამდენად მის ზემოაღნიშნულ არსებით, სპეციფიკურ-გერმანულ მანკს ეძლევა წმინდად გარეგანი, შემთხვევითი ხასიათი.


სინამდვილეში კი ეს ლიტერატურა მარტო კანტისეული მეტაფიზიკის გავლენას კი არ განიცდიდა, არამედ იმავე ობიექტურ მიზეზთა ძალით, რომელთა ყველაზე ტიპურ ნაყოფს კანტის ფილოსოფია წარმოადგენს, თვითონ იჩენდა, მართალია, უპირატესად იძულებით მიდრეკილებას მეტაფიზიკისადმი.

საქმე ისაა, რომ კანტის ფილოსოფია, მარქსის ღრმა განსაზღვრისამებრ, იყო „ფრანგული რევოლუციის გერმანული თეორია“² ანუ წარმოადგენდა იმ „დამახასიათებელ ფორმას, რომელიც გერმანიაში მიიღო ნამდვილ კლასობრივ ინტერესებზე დამყარებულმა ფრანგულმა ლიბერალიზმმა“³; ანდა, სხვა სიტყვით, კანტი გვევლინება ყველაზე ტიპურ გამომხატველად იმ ფილისტერული უბადრუკობისა, რომლითაც მაშინ გერმანელი ხალხის ყველა ფენა იყო შეპყრობილი, პირველ ყოვლისა კი ბიურგერობა,—მატერიალურად და სულიერად სუსტად განვითარებული გერმანული ბურჟუაზია. „გერმანიის მდგომარეობა წარსული საუკუნის ბოლოს,—წერენ მარქს-ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“,—მოლიანად აისახება კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკაში“. იმ დროს, როცა ფრანგულმა ბურჟუაზიამ, უდიდესი რევოლუციის წყალობით, როგორც კი იცის ისტორიამ, ბატონობას მიიღწია და ევროპის კონტინენტი დაიპყრო, იმ დროს, როცა პოლიტიკურად უკვე ემანსიპირებული ინგლისური ბურჟუაზია რევოლუციურად ავითარებდა მრეწველობას და ინდოეთზე გაბატონდა პოლიტიკურად, ხოლო მთელს ქვეყანაზე კომერციულად,—ამ დროს უძლური გერმანელი ბიურგერები მხოლოდ „კეთილი ნების“

¹ ციტირებულია А. Н. Пынин-ის წიგნიდან: „Белинский, его жизнь и переписка“, изд. 2-е, С.—П., 1908, გვ. 83. 554—555.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 1, გვ. 89.

³ იგივე, ტ. 3, გვ. 184.



ალიარებამდე მივიდნენ. კანტი დაკმაყოფილდა მარტოოდენ „კეთილ ნებებში“, თუნდაც იგი უნაყოფო რჩებოდეს, თანაც ამ კეთილი ნების განხორციელება, მასასა და ინდივიდთა მოთხოვნილებებსა და მიდრეკილებებს შორის ჰარმონია მან გადაიტანა იმიერ სამყაროში. კანტის ეს კეთილი ნება სავსებით შეესაბამება უძლურებას, დაბეჩავებულობასა და უზადრუკობას გერმანელი ბიურგერებისა, რომელთა წვრილმანი ინტერესები ვერასოდეს განვითარებულყო კლასის საზოგადო ნაციონალურ ინტერესებამდე¹. და ამის შესაბამისად კანტის „ესთეტიკური კრიტიციზმიც“, რომელსაც ასეთ საბედისწერო ძალას ანიჭებს ცვაიგი, თავისი სუბიექტივიზმითა და ფორმალიზმით, თავისი მჭვრეტელობითა და გამოფიტულობით, ხოლო მაშასადამე, თავისი უსიცოცხლობით, არაადამიანურობითა და არაპოეტურობით გვევლინება ნაყოფად და გამოხატულებად გერმანული უზადრუკობისა, წვრილმანობისა და უმწეობისა, რომელიც შიგნიდან აძაბუნებდა მთელ გერმანულ პროგრესულ იდეოლოგიას და რომლის სავსებით დაძლევაც ვერ შესძლო თვით „უდიდესმა გერმანელმა“, თვით გოეთემაც კი. კანტის სწორედ ამ ტიპიურობით აიხსნება გერმანულ კლასიკურ ლიტერატურაზე მისი ფილოსოფიის ძლიერი და, ცხადია, უარყოფითი ზეგავლენა. მაგრამ მეორეს მხრივ, მისი ეს ტიპიურობა მოწმობს გერმანულ კლასიკურ ლიტერატურაშიც გარკვეული ობიექტური, კანტიანიზმის მონათესავე ტენდენციის არსებობას, ტენდენციისა, რომელსაც, ამდენად, ცხადია, ვერ ასცდებოდა. — ყოველგვარი მეტაფიზიკისადმი თავისი სუბიექტური მტრობის მიუხედავად — აგრეთვე გოეთეც.

კანტის ფილოსოფიის მანკიერება, რომლის წყალობითაც იგი გადაიქცეოდა „ფრანგული რევოლუციის გერმანულ თეორიად“, მდგომარეობდა მის ტრანსცენდენტალიზმში.

„ჭეშმარიტი“ და „თავისუფალი“ ადამიანის იდეალს ფრანგი განმანათლებლები, — ენერჯული ბურჟუაზიული ლიბერალიზმის² იდეოლოგები ანუ საფრანგეთის რევოლუციის ნამდვილი თეორეტიკოსები, — იმთავითვე იაზრებდნენ როგორც კონკრეტულ-პრაქტიკულ მიზანს, როგორც, მართალია, მხოლოდ სანახევროდ (მარტო პოლიტიკურ ურთიერთობათა დარგში და არა აგრეთვე სოციალური, სამოქალაქო საქმიანობის სფეროში), მაგრამ მაინც რეალურად განხორციელებისათვის დანიშნულ პრინციპს. ხოლო კანტის ფილოსოფიაში ეს რევოლუციურ-პროგრესული იდეალი იძენდა განყენებულ-მორალურ, წმინდა თეორიულ ხასიათს და „ხორციელდებოდა“ მხოლოდ იმიერს, არამიწიერს სამყაროში. ეს „მეტამორფოზა“, რომელსაც კანტის პერცეპციაში განიცდიდა „ნამდვილ კლასობრივ ინტერესებზე დამყარებული ფრანგული ლიბერალიზმი“, სავსებით შეესაბამებოდა იმ დროის გერმანიას, რომლის მიმართაც, მარქს-ენგელსის თქმისამებრ, „ლაპარაკი შეიძლება არა წოდებებზე და კლასებზე, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, ყოფილ წოდებებზე და დაუბადებელ კლასებზე“ და რომელშიც ბურჟუაზია გამოიჩინებოდა „საერთო ინ-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 3. გვ. 182.

² იქვე, გვ. 184.

ტერესთა მოკლებულობითა“ და „დაქუცმაცებული წვრილმანი ინტერესებების მარქსისა და ენგელსის თქმისამებრ, როგორც ბიურგერულ სულისკვეთებასა“¹ შელამაზებით გამოხატველმა“, კანტმა ვერ შეამჩნია, რომ თავისუფლების შესახებ ფრანგული ბურჟუაზიის „თეორიულ აზრებს“ საფუძვლად ედო „მატერიალური ინტერესები და ნება, რომელიც მატერიალური საწარმოო ურთიერთობით იყო განპირობებული და განსაზღვრული; ამიტომაც მან ჩამოაშორა ეს თეორიული გამოხატულება მასში გამოხატულ ინტერესებს ანუ ფრანგული ბურჟუაზიის ნების მატერიალურად მოტივირებული განსაზღვრებები გადააქცია „თავისუფალი ნების“ წმინდა თვითგანსაზღვრებებად,—განსაზღვრებებად ნებისა თავისთავად და თავისთვის, ადამიანური ნებისა,—და ამნაირად გამოიყვანა მისგან წმინდა იდეოლოგიური მორალური პოსტულატები და ლოგიკური განსაზღვრებანი“². და თეორიის მისი მატერიალურ-პრაქტიკული საფუძვლებისაგან ამგვარი აბსტრაქციონების შედეგად იქცა ფრანგების ქმედითი, რევოლუციური ლიბერალიზმი თავის გერმანულ, ფილისტერულ წინააღმდეგობად,—თავისუფლების იდეალის მატერიალურ, სოციალ-პოლიტიკურ სინამდვილეში განხორციელების შესაძლებლობის უარყოფად: ეს მატერიალური ინტერესებისაგან „თავისუფალი ნება“,—რომელიც თავისი ერთადერთი კანონის სახით ექვემდებარებოდა მასავით გამოფიტულ და, მაშასადამე, „უილაჯო“, „შეუძლებლის მთხოვნელ“ და „ვერაფერ რეალურის მიმღწევ“ კატეგორიულ იმპერატივს,³ —გამორიცხავდა იდეალის სახელით მატერიალურ სინამდვილეზე ყოველგვარ ქმედით, აქტიურ შემოქმედებას. ხოლო ამდენად, მისი საბოლოო შედეგი იყო მახინჯი გერმანული სინამდვილიდან მოიხვენებითი ლტოლვა, ე. ი. საქმით ამ სინამდვილისადმი, მონური მორჩილება ანუ, როგორც ენგელსი ამბობს,—„უხამსო უბადრუკობის მაღალფარდოვანი უბადრუკობით შენაცვლება“⁴.

ამ ტრანსცენდენტალიზმით, რომელიც საბოლოოდ ქრისტიანულ იდეალიზმს უკავშირდება, განისაზღვრება კანტის ფილოსოფიის ობიექტურ-რეაქციული არსი, რომელსაც ორგანულად გამსჭვალავს კლასიკურ-განმანათლებლური ბიურგერული იდეოლოგიის თავის წინააღმდეგობად გადაგვარების, ფრანგული რევოლუციისა და მათთან დაკავშირებული განმანათლებლობის წინააღმდეგ მიმართულ რომანტიკულ-არისტოკრატიულ რეაქციად გადაზრდის ტენდენცია.

მაგრამ იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ და შევაფასოთ არა მხოლოდ კანტი, არამედ ამ ეპოქის მთელი ბიურგერული იდეოლოგიაც, რომლის სისუსტის ტაბიურ გამოხატულებად „კრიტიკული ფილოსოფია“ გვევლინება, არსებითი მნიშვნელობა აქვს ნ. ვილმონტის მიერ აღნიშნულ შემდეგ გარემოებას; სახელდობრ—იმას, რომ შემდგომ გერმანულ იდეალისტ-რომანტი-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 4, гл. 183.

² იქვე, გვ. 184.

³ იხ. ენგელსის „ლუდვიგ ფიფერბახი“. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 83. 452—453.

⁴ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 4, гл. 233.




კოსთაგან, — ფიქტე-შელინგისა და, აგრეთვე, ჰეგელისაგან, — განსხვავებული, „სუბიექტურ-ფსიქოლოგიური გზა, რომელმაც კანტი მის რეაქტიურ-ფიქტურ-სოფიამდე მიიყვანა, ყველაფერში და ყოველთვის არ ყოფილა წინასწარგანსაზღვრულად რეაქციული“, რომ, კერძოდ, „კანტს შეგნებული რეაქციონერის სახით როდი გაულაშქრნია ფრანგ განმანათლებელთა მეტაფიზიკურ-მექანიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომლებმაც, მისი რწმენით, ისე დაარღვიეს თავისუფლებაზე ადამიანის ძველი ილუზორული წარმოდგენები, რომ მათ რეალური ვერაფერი დაუპირისპირეს“¹.

კანტის ტრანსცენდენტალიზმი გვევლინება ობიექტურ შედეგად ბიურგურობის ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური განუვითარებლობისა, რომელმაც არ მისცა მას ფრანგთა განმანათლებლური ლიბერალიზმის ქმედითი, რევოლუციური შინაარსის აღქმისა და ათვისების უნარი. მაგრამ სუბიექტურად, — ამდენადაც ბიურგურობის მოწინავე ნაწილი მთელი თავისი სისუსტის მიუხედავად მაინც იჩინდა გერმანიაში გაბატონებული არქირეაქციული ფეოდალური რეჟიმის მიმართ კრიტიკულსა და ოპოზიციურ დამოკიდებულებას და ასე თუ ისე, პრაქტიკულად თუ არა, ოცნებებსა და მეტად ვიწრო ჩარჩოებში მაინც მიისწრაფოდა თავისი ემანსიპაციისაკენ, — დიახ, სუბიექტურად კანტი უსათუოდ იყო მემკვიდრეობითად დაკავშირებული როგორც ინგლისურ, განსაკუთრებით იუმიისეულ, ისე ფრანგულ, მეტადრე რუსოისტულ განმანათლებლურ იდეებთან. მაგრამ ფილოსოფიის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ჩვეულებრივ მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, ამ კავშირს თავისი შედეგების მიხედვით სულაც არ ჰქონია პირდაპირი და დადებითი ხასიათი, არამედ, პირიქით, იგი ატარებდა, ასე ვთქვათ, უქუქცივეითსა და ღრმად უარყოფით ხასიათს.

ძირითად პრობლემას, რომლის წინაშე უძლური რჩებოდა მთელი ბურჟუაზიული განმანათლებლობა, წარმოდგენდა იდეალსა და სინამდვილეს, თეორიასა და პრაქტიკას შორის წინააღმდეგობის საკითხი. ეს პრობლემა თავად ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგობრიობის, მისი არათანმიმდევრულობისა და ნახევრადულობის ძალით დგებოდა განმანათლებელთა წინაშე. როგორც ეს მარქსმა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომაში, — „ებრაული საკითხისათვის“, — ცხადჰყო, ამ რევოლუციამ ადამიანი, საზოგადოება განათავისუფლა მხოლოდ ნაწილობრივად, პოლიტიკურად, და არა სრულად, ე. ი. აგრეთვე სოციალურადაც, თანაც იმგვარად, რომ ადამიანის იურიდიულ, პოლიტიკურ ემანსიპაციას შედეგად მოჰყვებოდა მისი კიდევ უფრო დიდი, საბოლოო დამონება ემპირიულ, სამოქალაქო ცხოვრებაში, სადაც თავის უკანასკნელ, უმაღლეს საფეხურს აღწევდა კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ანტაგონიზმი. ბურჟუაზიული რევოლუცია მკვეთრად განასხვავებდა და ერთმანეთს უპირისპირებდა თავისუფლების პოლიტიკურ სამყაროსა და მონობის სამოქალაქო სამყაროს: პირველში ადამია-

¹ Н. Вильмонт, Предисловие к XIII тому Юбилейного собрания сочинений Геге, 1949. г. 19.



ნი, როგორც იდეალური, „გვაროვნული“ არსება, როგორც პოლიტიკური სახელმწიფოს წევრი, უფლებებს იძენდა ვითარცა თავისი მატერიალური საზოგადოებრივი თვისებებისაგან განყენებული „ალეგორიული, იურიდიული პიროვნება“¹, ხოლო მეორეში ადამიანი, როგორც ემპირიული, ნამდვილი არსება მკვიდრდება ვითარცა „იზოლირებული, თავისთავში“, ე. ი. თავის პირად ინტერესთა ვიწრო ჩარჩოებში „ჩაკეტილი მონაღა“² და ამდენად სამოქალაქო საზოგადოება, რომელშიც ყოველივეს მომაკვდინებელი და გამაჟიკურებელი ჩარჩობის „სული“ დასადგურებელიყო, გადაიქცეოდა მარტოოდენ მექანიკურ სიმრავლედ ამგვარი ერთმანეთისაგან შინაგანად გაუცხოვებული „მონადებისა“, „ატომისტური, ერთმანეთისადმი მტრულად დაპირისპირებული ინდივიდებისა“³, რომელთაც აერთიანებდა და, ამით, რკინის ძალით იქვემდებარებდნ მხოლოდ „ბუნებრივი აუცილებლობა, მოთხოვნილება და კერძო ინტერესი, თავისი საკუთრებისა და თავისი ეგოისტური პიროვნების შენახვის საჭიროება“⁴. მაგრამ ეს წინააღმდეგობა, — ეს „განხეთქილება პოლიტიკურ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის“⁵, — სულაც არ გამოირიცხავდა, არამედ, პირიქით, კიდევაც გამოხატავდა გარკვეულ ერთიანობას, ერთგვარ ურთიერთკავშირს, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პოლიტიკური ცხოვრება მიიჩნეოდა „უბრალო საშუალებად, რომლის მიზანიც იყო სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრება“⁶; სახელდობრ, ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ დამოკიდებული სანახევრო, მარტოოდენ პოლიტიკური ემანსიპაცია საზოგადოებისა, — ჭეშმარიტად ადამიანური, გვაროვნული საზოგადოების პრინციპთან დაკანონება სოციალური ყოფიერების მატერიალური საფუძვლებისაგან განყენებულად, — „ამავე დროს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ემანსიპაციას პოლიტიკისაგან, თუნდაც მინამგვანისაგან რაიმე საზოგადო შინაარსისა“⁷, წარმოადგენდა „იმ ბორკილთა მსხვრევას, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ეგოისტურ სულს ბოჭავდნენ“⁸; ანუ ამ წინააღმდეგობრივი ერთიანობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „სახელმწიფოს იდეალიზმის დასრულება იმავე დროს წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების მატერიალიზმის დასრულებას“⁹.

სწორედ ეს წინააღმდეგობა აღმოჩნდა ის სრულიად იდეოლოგიური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა განმანათლებელთა მსოფლმხედველობის დუალისტური ხასიათი, ის გარემოება, რომ საზოგადოების მამოძრავებელ ძალთა გაგებაში ისინი იდეალისტი რაციონალისტები იყვნენ, ხოლო ბუნების

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 1, стр. 405.

² იქვე, გვ. 400.

³ იქვე, გვ. 412.

⁴ იქვე, გვ. 402.

⁵ იქვე, გვ. 391.

⁶ იქვე, გვ. 402.

⁷ იქვე, გვ. 404.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.



მოვლენათა გაგებაში მექანიკური მატერიალიზმის პოზიციებზე დგებოდა ერთის მხრივ: როგორც მარქსი აღნიშნავს, ბურჟუაზიულ ემანსიპატორულ ცნობიერებაში ხდება „ობტიკური ცთომილება“, რომლის არსი ისაა, რომ „საკითხი თავდაყირა დგება და მიზანი (ე. ი. ეგოისტური სამოქალაქო საზოგადოების განთავისუფლება—ო. ჯ.) საშუალებად ისახება, საშუალება კი (ანუ აბსტრაქტულ-მორალური იდეის სახით პოლიტიკური თავისუფლების დაკანონება—ო. ჯ.) მიზნად მიიჩნევა“¹; და ამ ცთომილების ძალით მათ მიერ პროკლამირებული „იდეალური“ ანუ ბურჟუაზიული წყობილება განმანათლებლებს წარმოუდგა „გონივრულ“ სამყაროდ, რომელშიც „თავისუფალი“ და „ქეთილი ნება“ სუფევს. ხოლო მეორეს მხრივ: სინამდვილეში ბურჟუაზიულ ემანსიპატორებს ალევორიული პოლიტიკური ადამიანი, citoyen-ი, მიაჩნდათ მარტო მსახურად, იარაღად სამოქალაქო საზოგადოების ადამიანისა—მონადისა, bourgeois-სი, რის შესაბამისადაც „საკუთრივ ადამიანად და ნამდვილად ადამიანად“ ისინი თვლიდნენ „არა ადამიანს—citoyen-ს, არამედ ადამიანს—bourgeois-ს“² და ამის შედეგად ხდებოდნენ გარკვეული „ესთეტიკური ილუზიის“ მსხვერპლნი; ამ ილუზიის არსი ის იყო, რომ ხსენებული „ნამდვილი“ ადამიანი ნათ ესახებოდათ არა სოციალური განვითარების, ისტორიის ნაყოფად, არამედ თავად ბუნების „თავდაპირველ“ ქმნილებად, ერთდავეარ „რობინზონად“ ანუ „ბუნებრივ“, „ნატურალურ“ არსებად³; ხოლო, თავის მხრივ, ამ ილუზიის საფუძველზე ისინი მთელ „არაადამიანურ“, ე. ი. არასოციალურ ბუნებას, მთელ ნატურალურ სამყაროს მიაწერენ „ბუნებრივი“ ანუ ყოველგვარ ჰემმარიტად ადამიანურ, გვაროვნულ კავშირთაგან განთავისუფლებული სამოქალაქო საზოგადოების „ატომისტურ“ ხასიათს,—საზოგადოებისა, რომელშიც სოციალური თანაყოფიერების პრინციპი მხოლოდ „ბუნებრივი აუცილებლობით დეტერმინირებული ეგოისტური ინდივიდების, მონადების“ მექანიკური ერთიანობის სახით ხორციელდება⁴.


¹ K. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. I, გვ. 403.

² იქვე, გვ. 402.

³ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, სახელგამი, 1953, გვ. 255, 256.

⁴ აქ ადგილი აქვს მთელი ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ პრინციპულ ცთომილებას, რომელსაც ყველაზე ტიპური და უკიდურესად რეაქციული გამოხატულება მისცა მაღალთუხმა, როცა თავისი ანტიჰუმანური „თეორია“ იმაზე ააგო, რომ ბუნების ცხოვრების კანონად კაპიტალისტური ანტაგონიზმი და კონკურენცია გამოაცხადა.

საგანგებოდ უნდა დავსძინოთ, რომ ეს ცთომილება, რომელსაც ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეზღუდულობა ბადებს, ცხადია, არ გვევლინება ბუნებაზე მატერიალისტ განმანათლებელთა მექანიკური შეხედულების ერთადერთ მსახდრველ ფაქტორად: იგი ავლენს მხოლოდ სოციალურ ფესვებს ამ შეხედულებისას, რომელიც აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სათანადო დონით ისახდრება; მაგრამ ეს უკანასკნელი ფაქტორი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გვიხსნის იმ შესაბამობას, რომელიც სუფევს განმანათლებლურ მატერიალიზმსა და ბურჟუაზიული პოლიტიკური რევოლუციის მომყოლი სამოქალაქო საზოგადოების ატომისტურ ხასიათს შორის; ხოლო ამასობაში სწორედ ეს შესაბამობა წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს მექანიკური მატერიალიზმის, როგორც „ეგოიზმის ფილოსოფიის“ იმ კრიტიკისა, რომელიც თვით განმანათლებლობის წილში წარმოსდგა სენტიმენტალისტური რეაქციის სახითა და გერმანული „კლასიკური“ ბიურგერული იდეოლოგიისათვის ჭაბდა განსაკუთრებით დამახასიათებელი.



თავისუფლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სამყაროსა და აუცილებლობების ბუნებრივ-მატერიალურ სამყაროს ამგვარი დაპირისპირება განმანათლებლებს აყენებდა რიგი მათთვის გადაუჭრელი ფილოსოფიური პრობლემის წინაშე, რომელთა შორისაც მთავარი აღმოჩნდა სიკეთისა და ბოროტების პრობლემა. უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური citoyen-ის ცნების იდეალურ-თეორიულ შინაარსსა და სამოქალაქო bourgeois-ის საქმიანობის რეალურ-პრაქტიკულ არსს შორის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა მეტისმეტად მძაფრი იყო საიმისოდ, რომ სავსებით შეუმჩნეველი დარჩენილიყო თავად განმანათლებლებისათვის: ისინი სულ უფრო და უფრო აწყდებოდნენ პოლიტიკური თავისუფლების „გონივრულ“ პრინციპთა თავის წინააღმდეგობად, „უსიროცხვილო ბურჟუაზიული ზარჩობის“ ზეიმად გადაქცევის აღმაშფოთებელ ფაქტებს და მათ შორის უფრო პატიოსნად და რადიკალურად მოაზროვნენი, — „მესამე წოდების“, ფართე დემოკრატიული ფენების წარმომადგენელი, როგორც, მაგალითად, იუმი ინგლისსა და, მეტადრე, რუსსა საფრანგეთში, — სკეპტიკურად და კრიტიკულად განწყობოდნენ თეორეტიული, პრაქტიკულ ცხოვრებაში საყრდენის უპოვნელი „გონების“ მიმართ. ხოლო მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ ბოროტება არსებობდა და, სულაც, ზეიმობდა ნამდვილს, სამოქალაქო ცხოვრებაში, რომელიც აღიქმებოდა როგორც „ბუნებრივი აუცილებლობის“ ბატონობის „ბუნებრივი სამყარო“, ლოგიკურად კარნახობდა მათ დასკვნას სიკეთისა და ბოროტების [თანასწორუფლებიანობისა და, რაც მთავარია, ამქვეყნად ბოროტების წინაშე „თავისუფალი“ და „კეთილი“ ნების უმწეობის შესახებ.

ამ პრობლემის წინაშე ობიექტურად უძლური რჩებოდა მთელი ბურჟუაზიულ-განმანათლებლური ფილოსოფია, კერძოდ, როგორც ინგლისურ-ფრანგული, ისე გერმანულიც. მაგრამ მისი წარმომადგენლები სუბიექტურად ცდილობდნენ ამ პრობლემის დაძლევას და სწორედ აქ, მისი გადაწყვეტის მათ მიერ არჩეულ საშუალებებსა თუ გზებში, მკლავნდებოდა კიდევაც არსებითი, დიამეტრალური სხვაობა ინგლისურ-ფრანგულ და გერმანულ განმანათლებლობას შორის.

როგორც მართებულად შენიშნავს იგივე ნ. ვილნოტი, ფრანგი განმანათლებლები „არ დაბნეულან“ თავიანთი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობებში, „არ ქცეულან საკუთარი არასრულყოფილი ფილოსოფიის მონებად“, სახელდობრ „არ დანებებულან „რკინის აუცილებლობას“, არ დასდგომიან „ყოვლისგამგებ ყოვლისშემწყნარებლობას“,¹ რომელიც ლოგიკურად გამოიმდინარეობდა ბუნებრივად-დეტერმინირებულ „მატერიალურ“ სამყაროში ბოროტების გარდუვალობისა და უფლებამოსილების აღიარებიდან. და არსებითად იგივეა სათქმელი ინგლისელ განმანათლებლებზედაც, რომელთაც, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო ნაკლებ აკრთობდა მძაფრი შეუსაბამობა თავიანთ თეორეტიულ პრინციპებსა და გარემომცველ პრაქტიკულ სინამდვილეს შორის. როგორც ფრანგებისათვის, ისე ინგლისელებისათვისაც ეს შეუსაბამობა ოდნა-

¹ Гете, Собр. сочинений в 13-и томах, т. XIII, 83. 20.



ვინაა იქცეოდა საბედისწერო დაბრკოლებად, რომელსაც შეეძლო დაეხმებინა მათი მსოფლმხედველობა, წაერთმია მისთვის პრაქტიკული ჭეშმარიტება, რევოლუციურობა.

„გამოსავალი“ იდეალსა და სინამდვილეს, იდეალიზმსა და რეალიზმს შორის წინააღმდეგობიდან ინგლისელმა და ფრანგმა განმანათლებლებმა იპოვეს ემპირისტულ ფსიქოლოგიზმში. ეს უკანასკნელი საგნებით შეესაბამებოდა მათ განვითარებულ კლასობრივ შეგნებას, რომელიც მათ უნერგავდა ურყევ რწმენას ხრწნად ფეოდალურ წყობილებასთან ბრძოლაში აღმოცენებული ბურჟუაზიული სამყაროს არსებითი სრულყოფილებისა და საბოლოო გამართლებულობისა და ასევე მტკიცე ნდობას სამოქალაქო საზოგადოების „ნამდვილი“ ადამიანის — bourgeois-ის „ბუნებრივი“ გრძნობებისადმი და ინსტიტუტებისადმი. ამ „გამოსავლის“ არსი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ადამიანს ავალდებულებდა პრაქტიკული ცოდნისა და ქცევის სფეროში ეხელმძღვანელა არა მეტაფიზიკური გონების თეორეტიკული პრინციპებით, რომელსაც არ ძალუძს უეჭველად შეიცნოს „უმაღლესი“, „საბოლოო“ ჭეშმარიტება, არამედ ფემპირიული ცდის მონაცემებით, რომელიც ემყარება „უშუალო“ გრძნობებს, ყოველგვარი „მიწიერი“ ცოდნის წყაროს.

აქ ისევე, როგორც სხვა მხრივაც, ეს განმანათლებლები ითვისებდნენ და ავითარებდნენ თავის უშუალო წინამორბედთა ანუ მაღალი რენესანსის მოახროვნეთა თვალსაზრისს. არც ამ უკანასკნელთ დარჩენიათ შეუმჩნეველი პოლიტიკური თანაყოფიერების იდეალურ პრინციპთა სამოქალაქო ცხოვრების რეალურ ურთიერთდამოკიდებულებებთან შეუსაბამობის ფაქტი, რომელმაც უკვე თავდაპირველი დაგროვების ეპოქაშივე იჩინა თავი. და ამ ფაქტის შთაბეჭდილების ქვეშ უკვე მათ ეპარებოდათ ეჭვი გონების, როგორც სინამდვილის პრაქტიკულად გარდაქმნის იარაღის, განუსაზღვრელ შესაძლებლობებში; მაგრამ მათს ცნობიერებაში ამ ეჭვს ჯერ კიდევ მაინც გადაჭრით ჰარბობდა „ბუნებისა“ და „ბუნებრივ“ გრძნობათა და ინსტიტუტთა ზემოხსენებული რწმენა.

ამ ემპირისტული ფსიქოლოგიზმის ერთ-ერთი პირველი დამახასიათებელი მსვეური იყო მონტენი. წარმოადგენდა რა მძაფრ რეაქციას არა მხოლოდ შუასაუკუნეთა რელიგიურ დოგმატიზმის, არამედ ახალი ბურჟუაზიულ რაციონალიზმის მიმართაც, მისი სკეპტიციზმი მაინც შორს იდგა აგნოსტიციზმისა და პესიმიზმისაგან, რამდენადაც „გონებისადმი“, სპეკულატური შემეცნებისადმი უნდობლობას ათანხმებდა უთუო ნდობას „კეთილი ბუნებისადმი“, რომელსაც ჩვენ გრძნობადი გამოცდილებით შევიცნობთ და რომელიც კაცს სრულიად გარკვეულ პრაქტიკულ „ცხოვრების სიბრძნეს“ კარნახობს სახელდობრ, ავალდებულებს პირად „ბუნებრივ“ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას¹. ხოლო ყველაზე ტიპური ფორმა მიიღო ამ ფსიქოლოგიზმმა ინგლისში, კაპიტალისტურ ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების კლასიკურ

¹ იხ. История Французской литературы, АН СССР, т. I, 1946, გვ. გვ. 328, 332.

ქვეყანაში. აქ მისი ფუძემდებელი გახდა „ინგლისური მატერიალიზმის“¹ საერთოდ ახალი დროის ცდისმიერ მეცნიერებათა ჭეშმარიტი მამამთავარი“² ბეკონი, რომელმაც თავის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას საფუძვლად დაუდო მონტენის დებულება: „როდესაც გონება ველარ გვემსახურება, ჩვენ მივმართავთ ცდას...“ როგორც ენგელსი აღნიშნავს, „რაკი ბეკონმა თავისი გონებით ვერ გადასჭრა იდეალიზმისა და რეალიზმის წინააღმდეგობა, გონება საერთოდ უნდა აღმოჩენილიყო საამისოდ უძლური, იდეალიზმი უნდა დაეწუნებინათ უბრალოდ და ემპირიზმი უნდა ელიარებინათ ხსნის ერთადერთ საშუალებად“³ და ინგლისური ბურჟუაზიულ-განმანათლებლური ფილოსოფიის მთელი შემდგომი განვითარებაც სწორედ ამ „განსჯის უნარის კრიტიკისა და საერთოდ ფსიქოლოგიური მიმართულებით“ წარიმართა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, წინააღმდეგობის გადაწყვეტის ყველა ამაო ცდის შემდეგ, იგი საერთოდ გადაუწყვეტელად გამოაცხადა და ხსნას ან რელიგიურ რწმენაში ანდა ემპირიაში დაუწყო ძებნა“³. თანაც ამ „გამოსავალს“ შორის ინგლისელები გადაჭრით არჩევდნენ არა პირველს, რომელსაც ბერკლიმ მიმართა, არამედ სწორედ მეორეს, რომელიც ბეკონის შემდგომ ჰობსმა და ლოკმა აირჩიეს, ხოლო იუმიმა დაამთავრა და „დაავიროვნა“.

იუმის სკეპტიციზმი, მონტენისეულის მსგავსად, ვრცელდება მხოლოდ „გონების“ შემეცნებით უნარზე, რომელსაც აკლია საკმარისი „არგუმენტები“ ჩვენ შეგრძნებათა ემპირიულ სინამდვილესთან შესაბამისობის დასამტკიცებლად; მაგრამ ამავე დროს ისიც აღიარებს გადამწყვეტ როლს თუმცა „ბრმა“, მაგრამ ძლევამოსილი „ბუნებრივი“ ინსტინქტისა ანუ წინასწარგანწყობილებისა, რომელიც ჩვენ გვინერგავს ობიექტურ სამყაროს გრძობად სახეთა შეუცთომლობის რწმენას⁴. და, როგორც ენგელსი აღნიშნავს, სწორედ ეს იუმი-სეული სკეპტიციზმი იქცა დიდი ხნით, სულაც XIX საუკუნის ჩათვლით, „ფორმად ყოველგვარი ირრელიგიური ფილოსოფოსობისა ინგლისში“⁵. ამ ფილოსოფოსობის არსებით ნიშანს წარმოადგენს პრაქტიკულ განსჯასა და მოქმედებაში სრული იგნორირება უკმარი, „არასარწმუნო“ სპექულატური თეორიისა, რაც ასე დაახასიათა ენგელსმა: „ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ,—მსჯელობს ეს მსოფლმხედველობა,—არსებობს თუ არა ღმერთი, ხოლო თუკი არსებობს, მასთან ყოველგვარი კავშირი ჩვენთვის გამორიცხულია და ამიტომაც ჩვენ გვმართებს ისე ავაწყოთ ჩვენი პრაქტიკა, თითქოს ღმერთი არ არსებობს. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, განსხვავდება სული სხეულისაგან და უკვდავია იგი თუ არა; ამიტომაც ჩვენ ვცხოვრობთ ისე, თითქოს ეს იყოს ჩვენი ერთადერთი ცხოვრება, და არ ვზრუნავთ იმაზე, რაც აღემატება ჩვენს გონე-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 2, стр. 142.

² იქვე, გვ. 601.

³ იქვე.

⁴ იხ. История философии. АН СССР, т. II, 1941, стр. 265.

⁵ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 1, стр. 601.



ბას¹. და არსებითად იდეალიზმსა და რეალიზმს შორის წინააღმდეგობრივი იგივე არალოგიკური, მაგრამ პრაქტიკულად სავსებით გამართლებული „გადაწყვეტა“ ახასიათებს ფრანგულ განმანათლებლურ მატერიალიზმსაც, რომლის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს, როგორც ეს ენველსმა აღნიშნა, მეტაფიზიკური თეორიის სფეროში უმწეო იუმისეული სკეპტიციზმის პრაქტიკა².

ხოლო რაც შეეხება კანტს, როგორც ყველაზე ტიპიურ გამომხატველს იმ ქვეყნის მდგომარეობისა, სადაც, მარქსის თქმისამებრ, პრაქტიკული ცხოვრება „ისევე უსულო იყო, როგორც სულიერი ცხოვრება არაპრაქტიკული“³, — მას შეეძლო განმანათლებლური მსოფლმხედველობის ძირითადი წინააღმდეგობა გადაეჭრა მხოლოდ იმის დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულებით, რომელიც ინგლის-საფრანგეთის განმანათლებლებს დაუსახა მათი კლასის განვითარებულმა, მატერიალურად მოტივირებულმა და ქმედითმა ინტერესებმა. სახელდობრ, განსხვავებით ემპირიული ფსიქოლოგიზმისაგან, რომლის გზასაც ინგლისურ-ფრანგული განმანათლებლური ფილოსოფია დაადგა, კანტმა ააგო თავისი ფილოსოფიური სისტემა აბსტრაქტული ლოგიციზმის საფუძველზე.

ინგლისელ და ფრანგ განმანათლებლებს, როგორც ითქვა, იმან შეაძლებინა თავიანთი მსოფლმხედველობის სუბიექტური მთლიანობისათვის მიეღწიათ, რომ მათ სწამდათ „ბუნებრივი“ სინამდვილის არსებითი სრულყოფილებისა და იმისა, რომ ადამიანს პრაქტიკულად ძალუძს თავისუფლად იმოქმედოს, ე. ი. ამ სინამდვილეში გაბატონებული „რკინის აუცილებლობის“ შესახებ მისად მოიქცეს (მით უფრო, რომ ჯერ-ჯერობით, — ვიდრე ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგობები მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაში იყო, — ეს აუცილებლობა იმდენად კი არ ბოქავდა, რამდენადაც, პირიქით ზრდიდა ადამიანის ფეოდალური არტახებისაგან ახსნილი პიროვნების აქტიობას). ხოლო ამის საწინააღმდეგოდ, კანტის გამოსავალ წერტილს, საიდანაც მან თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისის მთლიანობას „მიღწია“, წარმოადგენდა „ბუნებრივი აუცილებლობის“ მატერიალურ სამყაროსადმი უნდობლობა და იმის ეჭვი, რომ ადამიანს შესწევს უნარი, ამ სამყაროს დაეუფლოს, მასში მოქმედი „რკინის“ ძალები თავის ნებასა და ინტერესებს შეუთანხმოს.

ახასიათებს რა გაუკაცურებული ბიურგერობის ფილისტერულ ფსიქოლოგიას, მარქსი აღნიშნავს, რომ იგი, ბიურგერობა, ისევე „ზრდებოდა თავის ბატონთ“, ე. ი. არქირეაქტიულ გერმანულ ფეოდალურ არისტოკრატias, „როგორც მონათა ან ცხენთა ნამატი“, მონობას თვლიდა თავის „თანდაყოლილ“ მდგომარეობად⁴ და, ამდენად, მოკლებული იყო იმ რევოლუციურ თვითდაჯერებულობასა და შემმართველობას, რომელმაც ფრანგ ბურჟუას

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. I, 83. 427.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, 83. 373.

შეაძლებინა კანდიერი დევიზით დაპირისპირებოდა ძველ ქვეყანას; ფერი ვარ, მაგრამ უნდა გავხდეთ კველათერი!"¹ და საგვებით ამ მონური ფსიქოლოგიის შესაბამისად გამოაცხადა კანტმა არასრულყოფილება, შეზღუდულობა და სიმდაბლე ორგანულ და განუშორებელ, „თანდაყოლილ“ თვისებებად მატერიალური ქვეყნისა, ხოლო უთავისუფლობა და „ბოროტებას“ დამორჩილებულობა, „ჭეშმარიტ ადამიანობას“ რომ ბოჭავენ და ბლაღავენ, მიიჩნია კაცის ამქვეყნად აუცდენელ სამწუხარო ხვედრად. და რასაკვირველია, ამგვარ საფუძველზე მას, არ შეეძლო იდეალიზმისა და რეალიზმის შორის წინააღმდეგობის გადაჭრა ინგლისელებისა და ფრანგების მიერ არჩეულ გზაზე ეძებნა, — „უბრალოდ დაეწუნებინა“ იდეალიზმი და ემპირიზმის ნიადაგზე დამდგარიყო, თეორიული გონება უკმარად გამოეცხადებინა და პრაქტიკულ გრძობად გამოცდილებას დანდობოდა. პირიქით: მას რეალიზმი ანუ მატერიალიზმი უნდა „დაეწუნებინა უბრალოდ“, გრძობადი შემეცნება უნდა მიეჩნია უკმარად და „წმინდა“, თვითპოფი, მატერიალური ქვეყნისაგან დამოკიდებული თეორიული გონება უნდა ელიარებინა ჭეშმარიტების წყაროდ და კანონმდებლად.

მართალია, იდეალიზმისაგან კანტის ამგვარი გადახრა არ დაგვირგვინებულა მატერიალიზმის სრული, თანმიმდევრული უარყოფით. გამოხატავდა რა XVIII საუკუნის ბიურგერობის არა მარტო საერთო სისუსტეს, არამედ აგრეთვე გარკვეულ, თუმც მეტად ნელ და არათანაბარ, მაგრამ მაინც საგრძნობ ეკონომიურ ზრდას და სოციალურ აქტივიზაციას, კანტი ხარკს უხდოდა მატერიალიზმსაც, როგორც აღმავალი, ე. ი. თავისი „მიწერი“ ანუ ნამდვილი, პრაქტიკული ბატონობის განმტკიცებისაგან მსწრაფი ბურჟუაზიის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. სახელდობრ, ემპირისტულ ფსიქოლოგიზმს კანტის ფილოსოფიაშიც ურჩებოდა ადგილი, რამდენადაც ეს ფილოსოფიაც აღიარებდა მატერიალურ „საგნებს თავისთავად“, რომელთა წევრძნებანი ჩვენს ცოდნის „მასალას“ შეადგენენ. და ამ აღიარებაში მელავნდებოდა როგორც დადებითი, თუმცაღა ფრიად შეზღუდული, მაგრამ მაინც ბიურგერულ ფილისტერობას დაპირისპირებული ბურჟუაზიულ-პროგრესული არსი კანტის იდეოლოგიისა, ისე ამ მარცვლით განპირობებული მემკვიდრეობითი კავშირი მისი ფილოსოფიისა ინგლისურ-ფრანგულ განმანათლებლურ ფილოსოფიასთან.

მაგრამ ამავე დროს, — „კენიგსბერგელ ბრძენს“ ღრმად დანათესავებული ბიურგერი პოეტის, ჰალერის სიტყვებით რომ ვთქვათ, — კანტის იდეოლოგიის პოზიტიურ-ბურჟუაზიულ „მარცვალს“ (Kern) იმდენად აღემატებოდა მისი ნეგატიურ-ბიურგერული „ნაჭუჭი“ (Schale), რომ აღნიშნული ფსიქოლოგიზმი ანუ მატერიალიზმი მარტოდენ „პლატონურ“ ხასიათს იძენდა „კრიტიკულ ფილოსოფიაში“. სახელდობრ, კანტი კი სცნობდა „საგნებს თავისთავად“, რომლებიც ჩვენში შეგრძნებებს აღძრავენ, მაგრამ ვერაფერს დადებითს ვერ ამბობდა ამ საგნებთან „ჭეშმარიტი ცოდნის“, იმ „იდეათა“ შესაბამისობაზე, რომელთა სახითაც აქალიბებენ შეგრძნებებს „წმინდა“ ანუ

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. I, стр. 427.



მეტაფიზიკური გონების „აპრიორული“, აბსტრაქტულ-ლოგიკური რეები“. და სწორედ თავისი ამ პლატონიზმით „გვევლინება კანტის „კრიტიციზმი“ გერმანიაში ფილოსოფოსობის დამახასიათებელ ფორმად სავსებით ისევე, როგორც იუმის სკეპტიციზმი იქცა ასეთად მეტადრე ინგლისელი და არსებითად აგრეთვე ფრანგ განმანათლებელთათვის: თუკი ინგლისელებსა და ფრანგები თავიანთ „ცხოვრების ფილოსოფიას“ ისე აგებდნენ მატერიალური სინამდვილის კონკრეტულ-ემპირიულ მონაცემებზე, რომ უგულვებელყოფდნენ მეტაფიზიკური გონების აბსტრაქტულ-ფეორიულ პრინციპებს, კანტი, პირიქით, ისე აყალიბებდა თავის პრაქტიკულ ფილოსოფიას წმინდად თეორიულად, მხოლოდ და მხოლოდ სპეკულატიურად, ტრანსცენდენტური გონების აპრიორულ კანონთა თანახმად, „თითქოს არც არსებობდეს“ ადამიანის შეგნებისა და ნების მსახდვრელი ობიექტური-მატერიალური სამყარო.

აზროვნების ამ აბსტრაქტულ-თეორიულმა ფორმამ, რომელმაც უკიდურესი, „კლასიკურად“ დასრულებული გამოხატულება „კრიტიკული“ ფილოსოფიის ფორმალიზმში, მის ტრანსცენდენტალიზმსა და გამოცარიელებულობაში მიიღო, პირველ ყოვლისა ასახა გერმანული „ბურჟუაზიის“, ე. ი. ბიურგერობის უუნარობა ეწარმოებინა აქტიური და ქმედითი, რევოლუციური ბრძოლა თავისი რეალური, სოციალ-პოლიტიკური თვითგამორკვევისათვის. და მეტიც, მან ასახა აგრეთვე საზოგადო უზადრუკობაც XVIII საუკუნის დასასრულის გერმანული სინამდვილისა, სადაც, ენგელსის თქმისამებრ, „ყოველივე ჩამპალიყო, ირყეოდა, მზად იყო დასაშხობად და კეთალსმყოფელი იმედიც კი ვერავის ექნებოდა, რადგანაც ხალხში არ ჩანდა ისეთი ძალა, რომელიც აღგვიდა დრომოქმულ დაწესებულებათა გახრწნილ გვამებს“. აზროვნების ეს ფორმა უშუალოდ იყო განპირობებული ამ სინამდვილით, რომელსაც არ მოეძეებოდა ის ობიექტური მატერიალური და სულიერი ფაქტორები, ინგლისურ-ფრანგულ განმანათლებლური იდეოლოგია ცოცხალი, „მიწიერ“-რეალისტური შინაარსით რომ აღავსეს, და რომელიც, ამდენად მარტო ერთ შესაძლებლობას უტოვებდა გერმანელთ—მხოლოდ აბსტრაქტულ-მორალური და ხშირად (როგორც ეს კანტამდე კლოპშტოკმა, ხოლო კანტის მერე რომანტიკოსებმა გააკეთეს) სულაც „წმინდად“—მეტაფიზიკური იდეის სახით „განეხორციელებინათ“ ჭეშმარიტი და თავისუფალი ადამიანის რევოლუციური იდეალი.

აზროვნების ამ აბსტრაქტულ-თეორიული მანერის შუქზე, პირველ რიგში, ცხადი ხდება საფრანგეთის რევოლუციისადმი თვით კანტის, როგორც მისი „გერმანელი თეორეტიკოსის“, ორმაგი, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, სახელდობრ, ის გარემოება, რომ სუბიექტურად იგი უკავშირდებოდა ფრანგულ რევოლუციურ ლიბერალიზმს, მაგრამ ობიექტურად თავიანთ წინააღმდეგობად აქცევდა მის იდეებს, რამდენადაც მხოლოდ აბსტრაქტულ-თეორიულ პლანში ითვისებდა მათ. როგორც ითქვა, თავიანთი „ცხოვრების ფილოსოფიის“,—სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინების, ეთიკის, ესთეტი-

ქვემოთაა
შემაღლებული

კის,—კონსტრუქტირებისას ფრანგი განმანათლებლები, ინგლისელთა მსგავსად გამოდიოდნენ „ნამდვილი“ ადამიანის, bourgeois-ის მატერიალური ინტერესებიდან და ემპირიული პრაქტიკიდან; სწორედ ეს ინტერესები და ეს პრაქტიკა აქციეს მათ თავიანთი მრწამსის რეალურ შინაარსად, რომელიც შემოსეს „ჭეშმარიტი“ ადამიანის, citoyen-ის იდეალური ფორმით, თანაც ისე, რომ მათ ნაკლებად აკრთობდა ამ შინაარსის და ამ ფორმის არსებითი წინააღმდეგობა. ხოლო კანტისათვის, პირველად, ეს იდეალურ-თეორიული ფორმა იქნდა თვითმყოფე არსებობას და მნიშვნელობას და ისიც ისე აგებდა თავისი პრაქტიკული ფილოსოფიის შენობას, რომ ყოველგვარ „მატერიალურ შინაარსს“, ყოველგვარ „დინტერესებულობას“ აძევებდა იდეალურის სფეროდან, ხოლო „მიწიერ“ ურთიერთდამოკიდებულებათა „მდაბალ“ სამყაროს მხოლოდ ნეგატიურად „სცნობდა“, როგორც „დაძლევს“ საგანს¹. მაგრამ ამით კანტი ფიტავდა და აძაბუნებდა „ჭეშმარიტი“ და „თავისუფალი“ ადამიანის განმანათლებლურ იდეალს, რომელიც „თავისთავად“, ე. ი. იდეალურ-თეორიული სახეივ, როგორც პოლიტიკური citoyen-ი, აბსტრაქტულ-მორალურ ფიქციის წარმოადგენდა ფრანგებთან და სწორედ იმით იქნდა ქმედითობას, რევოლუციურ ძალასა და მნიშვნელობას, რომ იმსჭვალებოდა bourgeois-ის განვითარებული ინტერესებით განსაზღვრული ნამდვილი, მატერიალური შინაარსით (საქმე ისაა, რომ ხსენებული ინტერესები „თავისთავად“, თავისი კლასობრივი არსით, მართალია, მანკიერნი, ეგოისტურნი იყვნენ, მაგრამ ფეოდალიზმის უღლისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლაში ცდილობდნენ თავიანთ კლასობრივ ზარჩობებსა და თანხედებოდნენ ხალხის ზოგად-ეროვნულ მოთხოვნილებებს). და მით განისაზღვრა კიდევაც კანტის ფილოსოფიის, როგორც ფრანგული რევოლუციის გერმანული თეორიის, სპეციფიკაც: აღიქვა და განაზოგავდა რა აბსტრაქტულ-თეორიული ფორმა ფრანგული განმანათლებლური ლიბერალიზმისა, განიტვირთა რა მისი ნამდვილი, პრაქტიკულ-რევოლუციური შინაარსისაგან, კანტმა ობიექტურად ფრანგული რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ ბიურგერულ რეაქციად გადააქცია თავისი „ეს თეტიკური კრიტიციზმი“.

¹ ფრანგ განმანათლებლებსა და კანტს შორის ამ არსებითი სხვაობის ნიმუშად აქ საქმარისია აღნიშნოს მათი ვითვის ძირითადი ცნებები—„გონივრული ეგოიზმისა“ და „კეთილი ნება“ ცნებები. ფრანგებს „ზნეობრივისა“ და „კეთილი“ კრიტერიუმად მიაჩნდათ ინდივიდის—მონადის, სამოქალაქო საზოგადოების ერთეულის პირად-ეგოისტურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხოლო „გონივრულობის“ პრინციპს ანუ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პოლიტიკური თანყოფიერების წესებთან შეთანხმებას ისინი ცნობდნენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი, ეს პრინციპი, წარმოადგენს ინდივიდების—მონადების თანაარსებობის აუცილებელ პირობას, რომელიც გარკვეულ გარეგან საზღვრებს უდებს მათ ეგოისტურ საქმიანობას; ამასთან ერთად, ისინი გვერდს უვლიდნენ იმ გარემოებას, რომ ეს ორი პრინციპი,—„გონივრულობისა“ და „ეგოიზმისა“,—არსებითად გამოირიყვას ერთმანეთს, რის გამოც „გონივრული ეგოიზმის“ ცნება პრინციპულის თვალსაზრისით გვევლინება უაზრო, ყალბ, ხელოვნურ კონსტრუქციად. კანტმა კი იმით „აიციდინა“ ეს წინააღმდეგობა, რომ მართლ ალგორითული ადამიანის—citoyen-ის იდეალური არსით შემოიფარგლა და „ზნეობრივის“ ცნებიდან, ვითარცა „ეგოისტური“, გამოაძევა ყოველგვარი რეალური, მატერიალური დინტერესებულობა: მისი „კეთილი ნება“ სწორედ იმიტომაა „კეთილი“, რომ არის „უაზარო“, გონივრული „როგორც ასეთი“, „ამაღლებული“ ადამიანის „მიწიერ“ გულისწადილებზე, რომელთა არსაც ეგოიზმი შეადგენს თურმე.



მეორეს მხრივ კი, აზროვნების ამ კანტიანური მანერის შექმნის მიზანმიმართულად კანტის თანამედროვე მთელი გერმანულ-განმანათლებლური იდეოლოგიის, კერძოდ, გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეესთა, — გოეთესა და შილერის, — მსოფლმხედველობის თავისებურებაც, საქმე ისაა, რომ თავიანთი გარემოცვის ფილისტერულ დონეზე დიდად ამაღლებულობის მიუხედავად ისინი საბოლოოდ და გარკვეულს ფარგლებში მიანიც რჩებოდნენ გერმანული უბადრუკობით შებოჭილნი და დასუსტებულნი და, ამდენად, კიდევაც ენათესავებოდნენ ამ უბადრუკობის ყველაზე ტიპიურ ნაყოფს — კენისბერგელ „აზრის ავტომატს“.

მხატვრული შემოქმედების დარგში აზროვნების კანტიანური სახის პარალელს წარმოადგენს „შილერიზაცია“, რომლის ხაზითაც, როგორც ვაკვრით უკვე ითქვა, უპირატესად ვითარდებოდა გერმანული კლასიკური ლიტერატურა, — არა მარტო თავად შილერის, ძირითადად ღრმად რეალისტური ხელოვანის შემოქმედება, არამედ არსებითად აგრეთვე ამ ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლის, თვით გოეთეს პოეზიაც.

მართალია, გოეთე და შილერი დიდად მიღლებოდნენ ბიურგერული იდეოლოგიის იმ „საშუალო“ დონეზე, რომლის კლასიკურად ტიპიურ წარმომადგენლადც კანტი გვევლინება. როგორც ღრმად ხალხური ხელოვანთა და მოაზროვნეთა, რომელთა ჰუმანისტური სულისკვეთება მათი ისტორიულად დაბეჭავებული ერის თუმცა ჯერ-კიდევ გაუცნობიერებელ, მაგრამ ნამდვილ ინტერესებს ესატყვისებოდა, მათ, — მეტადრე კი გოეთემ, — შესძლეს კანტზე გაცილებით მეტად გამსჭვალულიყვნენ თავიანთი ეპოქის რევოლუციური სულით, აღექვათ და შემდგომ განევითარებინათ ინგლის-საფრანგეთში ჩამოყალიბებული განმანათლებლური მსოფლმხედველობის პოზიტიური არსი, დიახ, მისი მატერიალისტური შინაარსი. და ამის ძალით, — ვიმეორებ, როგორც უფრო ძლიერი, უფრო დადებითი პიროვნებანი, — ისინი გამოდგნენ ხელოვანნი და მოაზროვნენი, რომელთა მსოფლმხედველობა თავისი ძირითადი, წამყვანი ტენდენციით არსებითად უპირისპირდება და მტრობს კანტის ფორმალიზმსა და ტრანსცენდენტალიზმს. ორთავენი ისინი ვითარდებიან და სრულყოფილებას იძენენ კანტთან ბრძოლაში, მისი ტრანსცენდენტალიზმის დაძლევის მიმართულებით ანუ იმ თვალსაზრისზე განმტკიცებით, რომ „მიწიერ“, მატერიალურ სინამდვილედ შესაძლებელია და უნდა განიორციელდეს „ჭეშმარიტი“ და „თავისუფალი“ ადამიანის განმანათლებლური იდეალი, რომელსაც კანტმა განყენებულ-თეორიული და მეტაფიზიკურ-იმიერი ხასიათი მისცა¹.

¹ გოეთეს საერთოდ ანტიიდეალისტური, როგორც კანტის, ისე ჰეგელის წინააღმდეგ მიმართული ფილოსოფიური მრწამსის შესახებ იხ. ჩემი ნარკვევი „გოეთეს ფილოსოფიური შეხედულებანი“ (სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის „შრომები“, ტ. 75, 1959). ხოლო შილერის გამო, რომლის ანტიკანტიანელობა ტრადიციულად დამკვიდრებული თვალსაზრისის შეუქმე „პარადოქსული“ ჩანს. აქ შემდეგი შეიძლება ითქვას: გვევლინება რა „კანტიანულად“ იდეოლოგიურად და მსოფლმხედველობრივად თავისზე უფრო ძლიერ გოეთესთან შედარებით, იგი „გოეთეანულად“ გვესახება კანტის პირისპირ, ე. ი. უფრო



მაგრამ, ამავე დროს, არც გოეთესა და, მით უფრო, არც შილერს ეძლო სავსებით თუ ნამდვილად დაედლიათ „შიგნიდან“ დაუძლეველი გერმანული უბადრუკობა, რის გამოც ისინი იძულებულნი რჩებოდნენ მაინც მიეზღოთ ხარკი მეტაფიზიკისათვის, აზროვნების კანტიანური, განყენებულ-თეორიული სახისათვის. ფილისტერობის „სულით“ კანტზე ბევრად ნაკლებად შეპყრობილნი და მათ საკუთარ თავში დაბუდებულ ბიურგერთან დაჟინებით მიბრძოლნი, ისინი საბოლოოდ მაინც მარცხდებიან ბიურგერული შეზღულდულობისა და უმწიგობის წინაშე. სახელდობრ, გერმანული უბადრუკობის მათზე ეს გამარჯვება, მშობლიური სინამდვილისადმი მათ მიერ გაღებული ხარკი, ყოვლის უწინარეს, იმაში გამოიხატა, რომ იდეალური ადამიანი მათ უპირატესად ესახებოდათ თუმცაღა „მიწიერი“, მატერიალურად არსებული, მაგრამ მაინც განყენებულ-მორალური ფენომენის და არა კონკრეტული, სოციალ-პოლიტიკური შინაარსით აღსავსე ინდივიდის სახით. ხოლო მეორეს მხრივ, გერმანული სინამდვილე იმით იმარჯვებდა მათზე, რომ იძულებულს ხდიდა ახალი ადამიანის ცნების კონსტრუირება, ჰუმანისტურ-რევოლუციური იდეალის ფორმირება და დასაბუთება ე. წ. „კონტემპლათური“ წვდომის. ე. ი. აბსტრაქტულ-თეორიული ჰერეტიკის მეშვეობით ანუ „ფილოსოფიური“ გზით იცადათ.

ინგლისელი და ფრანგი განმანათლებლები, ასე ვთქვათ, „შექსპირიზაციის“ გზით აყალიბებდნენ თავიანთ იდეალს, ე. ი. რეალური, მათი გარემომცველი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილიდან გამოჰყავდათ იგი ამ სი-

შორდება, ვიდრე ენათესავება „წმინდა“ და „პრაქტიკულ“ გონებათა „კრიტიკის“ ავტორს. როგორც კარგად შენიშნავს ნ. სლავიატინსკი, „შილერის კანტიანელობას საგანგებოდ აზვიადებდნენ ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები“, რომლებიც, „იმას ჩრიდნენ წინ, რაც შილერს კანტთან ახლოვებდა... და გულდაგულ ჰქმალავდნენ იმას, რაც მათ ერთმანეთისაგან აშორებდა“ (იხ. Гослитиздат-ის მიერ გამოცემული შილერის Собрание сочинений-ის მე-8 ტომი, 1950 წ. გვ. 26). მართალია, შილერი დიდხანს სპეციალურად სწავლობდა კანტს, მაგრამ სულაც არა მისაღებად და განსამტკიცებლად, არამედ, პირიქით. დასაძლევად კანტის ესთეტიკისა. და თუმცა მან სრულად და გადაქრით ვერ დასძლია კანტი, ვერ „მოხსნა“ ობიექტურ-მატერიალისტურ საფუძველზე მისი დუალიზმი, მაგრამ სწორედ აქვეთვე მისწრაფოდა და ამ მისწრაფების ნაყოფი იყო მისი რწმენა, რომ იდეალურ-ადამიანური, — ჰუმანარტი, კეთილი და მშვენიერი, — რაც კანტის თანახმად, მიიღწევა მატერიალურ ყოფიერებაზე სრული „ამაღლებით“, ყველა „მიწიერი“ ვნებისა და გულისთქმისაგან „ენახისი-პაციით“, — შეიძლება ამიერ სინამდვილეში იქნას მოპოვებული, თანაც ისე, რომ „ფიზიკური ადამიანის“ „ცხოველური ყოფიერება“ წარმოადგენს საფუძველსა და პირობას იდეალურის რეალიზაციისა, რამდენადაც „თავისთავად“ ეს უკანასკნელი, იდეალური, „პრობლემატური“ და ნამდვილობასაა მოკლებული. და სწორედ ამ ძირითადმა ანტიკანტიანურმა ტენდენციამ შეაძლებინა ბ. ბელინსკის თავის ერთ-ერთ (ნ. ბაკუნინისადმი მიმართულ) წერილში ეწოდებინა შილერისათვის „ადამიანურობის (ჰუმანურობის)“ წინასწარმეტყველი, „მიწაზედ ღვთის სამეფოს“ მაუწყებელი, ქურუმი „მარადიული სიყვარულისა და მარადიული სიმატობისა არა მარტო მწიგნობრულს შეგნებასა და ბრამინულ წარმოსახვაში, არამედ ცოცხალ გონივრულ That-ში“ (იხ. А. Н. Пынин, Белинский, его жизнь и переписка, გვ. 388). უფრო დაწვრილებით შილერის ფილოსოფიისა და ესთეტიკის მატერიალისტურ-რეალისტური არსის შესახებ იხ. ჩემი წერილები: „ფრ. შილერი“ (მნათობი, 1955, № 5) და „შილერის ესთეტიკური მრწამსი“ („ცისკარი“, 1959, № 11) და დ. ლაშქარაძის წიგნი: „ფრ. შილერი“, სახელგამი, 1955.



ნამდვილის ხშირად ჯერ კიდევ ფარული პროგრესული ტენდენციების განხორციელების მეშვეობით. ხოლო გერმანელები, მათ შორის გოეთეცა და შილერიც, რომელთა შემოქმედებაც გერმანული განმანათლებლობის მწვერვალს წარმოადგენს, უფრო Sollen-იდან გამოდიობდნენ, ე. ი. მართებულიდან და სასურველიდან, იმისაგან, რაც „უნდა იყოს,“ ვიდრე Sein-იდან ანუ მოცემულიდან, იმისაგანაც, რაც არის.

ეს არსებითად იდეალისტურ-რომანტიკული საშუალება თავისი ჰუმანისტური არსით მატერიალისტურ-რეალისტური იდეალის ფორმირებისა მართლ იმას ან, უფრო სწორად, იმდენად იმას როდი განუსაზღვრავს, რომ გოეთე-შილერსაც კი,—იმ დროის უდიდეს გერმანელთ, რომელთაც საფრანგეთის რევოლუციის სული ყველა სხვა თანამემამულეზე უკეთ აღეჭვათ,—განმანათლებლური იდეოლოგიის განხორციელების პლებეურ-ქმედითი ფორმები ეუცხოვებოდათ; გაცილებით მეტად ეს საშუალება იმ ობიექტურმა გარემოებამ განაპირობა, რომ მათი გაუკაცურებული და უპერსპექტივო გარემოცვა მათ აუცილებელ მასალას ვერ აწვდიდა, სათანადო მონაცემებს იყო მოკლებული, რადიკალური განახლების არაფითარ პოტენციალს არ შეიცავდა. ამ ობიექტური გარემოების გამო გოეთესა და შილერს თუ სხვა მოწინავე გერმანელთ, მაგალითად, ლესინგს მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდათ: თავიანთ ოცნებათა და იმედთა შორეული და იდეალისტური ანტიკურობის სახეებში მატერიალიზაცია და მათი განხორციელების შესაძლებლობის ასევე შორეულსა და ბუნდოვნად განჭვრეტილ მომავალში გადატანა.

პოზიტიური იდეალის ფორმირების ეს ნეგატიური საშუალება, ეს წინააღმდეგობა გამოხატავს გერმანული კლასიკური ლიტერატურის უმთავრეს თავისებურებას,—ლიტერატურისა, რომლის ტრაგიკული ხვედრიც ის იყო, რომ თავის უბადრუკ გარემოცვაში იგი შესაფერის კონკრეტულ მასალას ვერ პოულობდა თავისი ეპოქის უმაღლეს იდეათათვის ხორცის შესასხნელად, უშუალო და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ სახეებში გამოსახატავად. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა გოეთეს მიერ იმ კრიტიკოსთათვის გაცემული პასუხი, „რომლებიც ლესინგით უკმაყოფილონი არიან და მას შექმნილ მითხონილებებს უყენებენ“: „როცა“, თქვა მან, „ლესინგის დრამებს ანტიკურ ქმნილებებს ადარებენ და ცუდად და უბადრუკად (schlecht und miserabl) მიიჩნევენ, რაღა გვეთქმის ამის გამო! შევიბრალოთ მაინც არაჩვეულებრივი ადამიანი, რომ მას ისეთ უბადრუკ დროში მოუხდა ცხოვრება, რომელიც იმაზე უკეთეს მასალას არ იძლეოდა, რაც მის დრამებშია დამუშავებული. შევიბრალოთ მაინც, რომ თავის „მინა ფონ ბარნჰელმში“ მას საქონელთა და პრუსიელთა კინკლაობით მოუხდა დაკმაყოფილება, რაკი უკეთესი ვერაფერი იპოვნა!“¹

მართალია, აზროვნების კონტემპლატური სახე გარკვეულ უპირატესობას სძენდა გერმანელთ ინგლისელ და ფრანგ განმანათლებლებთან შედარე-


¹ Goethes Gespräche mit Eckermann, S. 288.

ბით, რის საბოლოო მიზნისკენ კვლავ ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად დადგინდა და შეზღუდულობაში ძევს. ინგლისელთა და ფრანგთა აზროვნება და მხატვრული შემოქმედება თუმცა კი ემყარებოდა იქაური ბურჟუაზიის განვითარებულ კლასობრივ ინტერესებს ანუ მძლავრ სოციალურ საფუძველს, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ სათანადო ქმედითობას, პრაქტიკულ მიზანდასახულობასა და რადიკალიზმს კი არ სძენდა მას, არამედ, ამავე დროს, კიდევაც ზღუდავდა თავისი ჯერ კიდევ სრულად გამოუვლენელი, მაგრამ უკვე მოქმედი ნეგატიური ტენდენციებით. ხოლო გერმანელთა აბსტრაქტულ-თეორიულ „რეგიონებში“ მსრბოლი აზრი ანალოგიურ „მიწიერ“ ბორკილთაგან შეუბოგველი რჩებოდა; თანაც, მის ამგვარ „ემანსიპაციას“ ისევე ღრმა ფესვები აქვს, როგორც გერმანული განმანათლებლური იდეოლოგიის მთელ შემოადინებულ სპეციფიკას: იგი ჯერ-კიდევ XVI საუკუნეში იღებს სათავეს, სადაც გერმანიის საერთოდ მთელი ისტორიის ჩარხი დატრიალდა უკუღმად. აღნიშნავს რა „XVI საუკუნის გერმანული რევოლუციის სპეციფიკურ ღვთისმეტყველურ-თეორიულ ხასიათს“, იმას, რომ ამ რევოლუციის მესვეურნი „უპირატესად არაამქვეყნიური საგნებისადმი“ იჩენდნენ ინტერესს, ენგელსი დასძენს, უბადრუკი სინამდვილისაგან განყენება წარმოადგენს საფუძველს თეორიაში გერმანელთა შემდგომი უპირატესობისა ლაიბნიციდან ჰეგელამდე¹. პაულ რილას თქმისამებრ, „სწორედ უბადრუკი სინამდვილისაგან ეს განყენება იყო, რამაც XVIII საუკუნის მეცნიერულ კვლევაძიებას გარკვეულ სფეროებში მოახვეჭინა თეორიული უპირატესობა ინგლისური და ფრანგული განმანათლებლობის მონაბოვრებთან შედარებით“². და, ცხადია, იგივე ითქმის გერმანულ განმანათლებელ მწერალთა, მეტადრე კი მათ შორის უდიდესთა შესახებაც. ხოლო უმთავრესი, რაშიც ეს უპირატესობა გამოიხატა, ის იყო, რომ წამყვან გერმანელ განმანათლებელთა ნააზრევი დიდად ვასცილდა თავის სოციალურ-ისტორიულ საზღვრებს, საკუთრივ ბურჟუაზიულ მასშტაბს. სახელდობრ, იგი მარტო იმით არ შემოფარგლულა, როგორც ამას გ. ლუკაჩი ფიქრობს, რომ მჭვრეტელურ-თეორიულ გზაზე დამდგარი გერმანული ლიტერატურა ისე „მალდდება დასრულებამდე და შემდგომ ხორცშესხმამდე (schwingt auf zum Zuendedenken und Weitergestalten) წინარევოლუციურ სინამდვილეში მხოლოდ ჩანასახობრივად წარმომდგარი პრობლემებისა“ და ისე „ავლენს თავისი ეპოქის ყველაზედ ფარულ ტენდენციებს“, რომ „ამავე დროს ხდება იმ პრობლემატიკისა და იმ სინამდვილის წინამორბედი, რომელიც ევროპაში მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მკვიდრდება“³. სინამდვილეში უდიდეს გერმანელ განმანათლებელთა კონტემპლატური აზრის წვდომისა და გაქანების ძალა ვაცი-

¹ Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. X, гл. 345.

² P. Riila, Lessing und sein Zeitalter. Lessings gesammelte Werke in 10 Bänden. Aufbau-Verlag, 10. Band, S. 343.

³ G. Lukács, Skizze einer Geschichte der neueren deutschen Literatur. Aufbau-Verlag, 1955, S. 24.




ლებით უფრო დიდი იყო. ამ აზრის სიმალლიდან ისინი მარტო ფეოდალურ წყობილების მანკიერებასა და, კერძოდ, გერმანული სინამდვილის კობას კი არ აღიქვამდნენ განსაკუთრებული სიმწვავეით, არამედ, ამავე დროს, იმ გვერად წვდებოდნენ თავიანთი ეპოქის უდიდესი მოვლენის, საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგობრივ ხასიათსა და „პროზაულ“ შედეგებს, რომ იმ ახალ იდეალებს ეზიარებოდნენ, რომლებიც ამ რევოლუციის „საკუთარ თავზე აღმატებისაკენ“ მსწრაფმა იდეოლოგიამ წარმოშვა, რომლებსაც საერთოდ ეწერათ კლასობრივი სინამდვილის ნიადაგზე მარტოდენ თეორიული სახით ყოფნა და რომელთაც, ამით, „მთელი ძველი მსოფლწყობის იდეათა ფარგლებიდან გაჰყავდათ ადამიანი“¹.

¹ თუ როგორ ზღუდავს გ. ლუკაჩი გერმანული განმანათლებლური ლიტერატურის ბუნებულ უპირატესობას, კერძოდ, იქიდანაც ჩანს, რომ მისი ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენის სახით აღნიშნავს „ახალი ბურჟუაზიული ადამიანის შინაგანი ცხოვრების“ უფრო გაღრმავებულ და უფრო რეალისტურ განსაზღვრებას გოეთეს „ვერთერში“, ვიდრე რიჩარდსონისა და რუსოს რომანებში, ანდა უმთავრესად ჟანრულსა და მხატვრულ უპირატესობას გერმანული ბიურგერული დრამისა,—მის შედეგთა: „ემილია გალოტისა“ და „ვერაჯობა და სიყვარულისა“,—„თვით დიდროს“ ბურჟუაზიულ დრამაზე, „რომ არაფერი ვთქვათ მის ინგლისურ საწყისებზე“ (ibid. S. 24). მაგრამ გაცილებით უფრო მკვეთრად და მნიშვნელოვნად ეს უპირატესობა იდეურ პლანში, ინგლისურ-ფრანგულ და გერმანულ ლიტერატურათა საერთო პრობლემატიკის ასპექტში ჩნდება. სანიმუშოდ კმარა დიდროს და ბომარშეს დადებით გმირთა, ჟაკისა და ფიგაროს, ლესინგის გმირებთან ოდნავ არღო გალოტისთან და ნათან ბრძენთან შეპირისპირება. ყველა ეს პერსონაჟი თავისი ანტიფეოდალური მიმართულებით ტიპურ განმანათლებლურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გმირად გვევლინება. მაგრამ ამავე დროს თავიანთი მორალური სახით ოდნავად და ნათანი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჟაკისა და ფიგაროსაგან და, ერთგვარად, მათ ანტიპოდებადაც გვევლინებიან. ჟაკისა და ფიგაროს ენერგიულობა, ცხოვრებისუნარიანობა არსებითად იმაში გამოიხატება, რომ ისინი „პრაქტიკოსები“ არიან ამ ცნების სწორედ ბურჟუაზიული გაგებით, ე. ი. გვევლინებიან საკმაოდ მკვეთრად გამოსახულ ცინიკოსებად, რომელთაც ვხვდებით, რომლებიც სინდისთან გარკვეულ მორიგებაზე მიდიან, პრინციპულად „ცხოვრებას“ ისეთს იღებენ, როგორც ის არის, და იმდენად ურიგდებიან ბოროტებას, რამდენადაც ქვეყნად სიკეთის ოდენობრივ სიჭარბედ აღიქვამენ პირადად თავისთვის მისაწვდომ წარმატებებსა და კეთილსეულებს; და როგორც ასეთნი, ისინი არსებითად ნაკლებად განსხვავდებიან თავიანთ სოციალურ-ისტორიულ ანტაგონისტებს, უფრო სწორად, მოქიშპეებს, პირველი—თავის ბატონს, მეორე—ლმავივას, რომლებთანაც საბოლოოდ კიდევაც თანაარსებობენ „მშვიდად და ბედნიერად“. ხოლო ამ „ცხოვრების ოსტატთაგან“ განსხვავებით და, მეტიც, მათ საწინააღმდეგოდ ოდნავად და ნათანი გვევლინებიან მაღალი კეთილშობილებით აღბეჭდილ ადამიანებად, უდრეკი პრინციპულობით აღჭურვილ ჰუმანისტებად, რომლებიც გაცილებით უფრო სერიოზულად აღიქვამენ და მთელი არსებით ჰგმობენ თავის გარემომცველ ფეოდალურ მანკიერებას და რომელთაც მათი მორალური სიმკაცრე შინაგანად შეუროიგებელ მტრებად აქცევს არა მხოლოდ ფეოდალური, არამედ აგრეთვე მას არსებითად დანათესავებული ბურჟუაზიული ანუ საერთოდ ყოველგვარი სოციალური ბოროტებისა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გერმანული კლასიკური ლიტერატურის, კერძოდ, გოეთე-შილერის მემკვიდრეობის ლუკაჩისეული კონცეპცია, რომელიც ცალკეულ მნიშვნელოვან და საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს, ძირითადად სწორედ იმით სცოდავს, რომ ამ მემკვიდრეობის გენეზისსა და ფარგლებს მარტო „სპეციფიკურ-ბურჟუაზიული ქვალიტეტებით“ ზღუდავს (დაწვრილებით ამის შეს. იხ. H. Redeker, Die klassische Kulturkritik und das Dilemma der Dekadenz. 1958. S. 14 ff.).

მაგრამ, ამავე დროს, თავისი შედარებითი უპირატესობის მეშვეობით ეს თეორიული, „ფილოსოფიური“ გზა, რომელსაც იძულებით დაადგნენ გერმანელი განმანათლებლები, მაინც არსებითად იყო მანკიერი. ინგლისელ და ფრანგ განმანათლებელთა იდეალი, მართალია, ძლიერ იყო შემოფარგლული ბურჟუაზიის „განვითარებულ ინტერესთა“ რკალით, მაგრამ ამავე დროს, სწორედ ამ გარემოების ძალით იქნდა თუმცა სანახევროდ, მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, მაგრამ მაინც რეალურად განხორციელების შესაძლებლობას. და პირიქით: გერმანელთა უფრო სრულქმნილი, აგრეთვე სოციალური ემანსიპაციის მთხოვნელი იდეალი წარმოადგენდა ერთგვარ „გადაცდენას“, „გადაშორებას“ თავისი ეპოქის მიმართ, რომლის ისტორიულ მიზანსაც მართო ფეოდალიზმის დამხობა და კაპიტალიზმის გაბატონება შეადგენდა. ე. ი. იქცეოდა ერთგვარ უტოპიად, დიდებულ, მაგრამ რეალიზაციის ობიექტურ წანამძღვრებს მოკლებულ ოცნებად, „ფანტასტიკად“¹. მაგრამ მთელი ამ გზის მანკიერება, — რომლის გამოც გერმანელი განმანათლებლები საბოლოოდ ინგლისელებზე და ფრანგებზე მეტად დაშორდნენ იდეალსა და სინამდვილეს შორის წინააღმდეგობის ნამდვილ გადაწყვეტას, — გამოჩვენდა საკუთრივ-პრაქტიკულ ასპექტში, მათ ცდებში გამოემუშავებინათ „ცხოვრების სიბრძნის“ მოძღვრება, გამოეძებნათ თავიანთი იდეალის განხორციელების ფორმები და მეთოდები. საქმე ისაა, რომ ისინი „შილერიზაციის“ გზას ადგნენ როგორც იდეალის, ისე მეთოდოლოგიის სფეროშიც, სახელდობრ, თავისთვის მიუღებელი „ხელოვნური“ სინამდვილის გარდაქმნის საშუალებათა გამოიმუშავებისას გამოდიოდნენ არა მისი კონკრეტული ხასიათიდან, ემპირიუ-

¹ ეს წანამძღვრები მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, სოციალისტური პროლეტარიატის განვითარებასთან ერთად უნდა წარმომდგარიყო, რომელსაც თავისი რევოლუციური ბრძოლით ერთადერთს შეეძლო მატერიალურ-პრაქტიკული რეალობა მიეცა თავიანთი ეპოქის ფარგლებს გაცილებული ლესინგისა და ჰერდერის, შილერისა და გაეთეს აბსტრაქტულ-თეორიული ოცნებისათვის. და ამ აზრით, ბეჭერის ზემოთ ციტირებული შენიშვნისამებრ, ცხადია, საიმისო საფუძველი არ არის, რომ დიდი გერმანელი განმანათლებელნი იმისათვის „დაეადანაშაულოთ“, რომ ისინი უტოპისტები დარჩნენ, მაგრამ მათი ეს „უდანაშაულობა“ სრულიადაც არ ხსნის, არ გამორიცხავს მათ კონკრეტულ-ისტორიულ სისუსტეს, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ძალა არ შესწევდათ განზრწილი ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ ეწარმოებინათ ეფექტიური, წარმატებული ბრძოლა, რაც მათი ეპოქის პირველსა და ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. და სწორედ ამ ასპექტში ჩნდება გერმანელ განმანათლებელთა ინგლისელებზე და ფრანგებზე ზემოაღნიშნული უპირატესობის მთელი შედარებითობა, მისი მართლადენ აბსტრაქტულ-თეორიული ხასიათი, რის მკვეთრ საბუთსაც დიდროს, ბოშარშესა და ლესინგის იგივე გმირები იძლევიან. მართლაც, ოდთარდა და ნათანი იმდენადვე უმოქმედონი პრაქტიკულად ბასიურნი რჩებიან, რამდენადაც ამოღებულნი არიან თავისი პირადი მორალური სრულქმნილებით, და, პირიქით, ყაკი და ფიგარო იმდენადვე იჩენენ აქტიურობასა და ცხოვრებისუნარიანობას, რამდენადაც თავიანთ გარემოს მიმართ არიან „დამთმობნი“. ხოლო ამ აზრით განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთი და იგივე თემატიკური მასალის, — „მეორე“ და „მესამე“ წოდებათა შორის კონფლიქტის, — ურთიერთის საწინააღმდეგო მიმართულებით დამუშავება ბოშარშეს ტრილოგიასა და ლესინგის „ემილიაში“: ამ კონფლიქტის ნეგატიურად, ტრაგიკულად დამთავრება კეთილშობილ ოდთარდოსათვის და მისი პოზიტიურად, სატირულ-კომიკურ პლანში გადაწყვეტა ენერგიულ ფიგაროს მიერ.



ლი შინაარსიდან, არამედ კვლავ თავისი აბსტრაქტული წარმოდგენიდან ადგილი მიანიჭა და საზოგადოების იდეალურ, „ბუნებრივ“ არსებაზე. ხოლო საბამისად მათ,—კერძოდ, გოეთესაც,—საკმარისად ესახებოდათ ისეთი საშუალებანი, როგორც, მაგალითად, ხელოვნება, მეცნიერება, შრომა, რომელთა აღმზრდელ-გარდაქმნელი უნარი სრული ძალით ვლინდება და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მომავალს, მათი იდეალის შესაბამის ჰარმონიულ, თავისუფალ საზოგადოებაში, მაგრამ რომელიც ანტი-გონისტური, გაუქაცურებული ძველი წყობილების პირობებში იქცევიან ხოლმე თავის წინააღმდეგობად, ჰკარგავენ თავიანთ ორგანულ ჰუმანისტურ არსებასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო ფუნქციას, გამოიყენებიან ადამიანის დამონებისა და ჩაგვრის იარაღებად¹.

და ამასთანავე, უდიდეს გერმანელ განმანათლებელთ საკმაოდ ცხადად ესმოდათ მჭვრეტელური თეორეტიზირების გზაზე თავიანთი დგომის, „ფილოსოფიისადმი“ თავისი მიდრეკილების როგორც იძულებითი, ისე მანკიერი, მაინც ხასიათი. ყოველ მათგანს თავის ცხოვრების ტრაგედიად, თავის „საბედისწერო“ მარცხად მიაჩნდა მარტოოდენ მწიგნობარ-მოაზროვნედ, რეფლექტურ ლიტერატორად ყოფნისათვის განწირულება.

მათ პირველად იგონეს განსაკუთრებული სიმწვავით თავისი ეს მძიმე „ხვედრი“ გერმანული განმანათლებლური მოძრაობის ადრიაინი კრიზისის დადგომისას ანუ „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდში, როდესაც მათმა პროტესტანტულმა განწყობილებებმა რადიკალიზმის მწვერვალს მიაღწია, მაგრამ ამასთან ერთად ამ განწყობილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის მათი სრული უმწეობაც გახდა ნათელი. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია, მაგალითად, ჰებუკი ჰერდერის მწარე აღიარებანი, რომელიც რიგიდან ნანტს საზღვაო მოგზაურობის დღიურში (*Journal meiner Reise, 1769*) თავის თავს წარმოგვიდგენს, როგორც გარემომცველი მეღნის კულტურისა და საკუთარი ინტელექტუალისტური ყოფის მსხვერპლს.

¹ გერმანული განმანათლებლური მსოფლმხედველობის ეს უმთავრესი მანკი, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობლად მის უკანასკნელ და უდიდეს წარმომადგენლებთან გამოვლინდა და იმაში მდგომარეობდა, რომ ჭიინი თავისი თუმცა აბსტრაქტული, მაგრამ თავისთავად მაღალჰუმანისტური და, ამდენად, ღრმად-რეალისტური იდეალის განსახორციელებლად ყოველად არარეალისტურ, სინამდვილის მძაფრად შეუსაბამო საშუალებებს ირჩევდნენ, კარგად აღნიშნა ა. ლუნაჩარსკიმ სწორედ გოეთეს მაგალითზე; „რეზინაციის“ ანუ „ხელისალების“, „უარის თქმის“ ცნების გამო, რომელიც გოეთეს სოციალური ვითარების ძირითად პრინციპს წარმოადგენს და პიროვნების საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დამორჩილებას მოითხოვს, იგი წერდა: „გოეთე უზომოდ იძალვის, რათა ერთეულის წესრიგისადმი დამორჩილების იდეა, ესოდენ აშკარა და ცხადი ჰარმონიული საზოგადოებისათვის (სოციალიზმისათვის), კეთილშობილ და ნათელ კანონად გადააქციოს ყოველად უაზრო, ... უთანასწორობის ნიადაგზე და-მკვიდრებული საზოგადოების ჩარჩოებში. ამის გამო მთელი საკითხის დასმა იძენს უაზრო ხასიათს“ (A. B. Луначарский, Вольфганг Гете. Вегушительная статья к Собр. соч. Гете в 13-и томах, т. I, გვ. XLVII).

გოეთეს მომავალი მასწავლებელი და თანამოსაგრე იურვის თავისი სულიერი სიყმაწვილის გამო, რომელიც წიგნთა ხელოვნურ, უსიცოცხლო სამყაროში ჩაჰკვდომია („... ამასაც სამყარო ჰქვია!“-ო, აღმოხდება მის ამ უკანასკნელის მიმართ). ენერგიით აღსავსე და დიდი საქმის უნით შეპყრობილ ჰაბუკს მაშინდელი რიგის დამყაყებულ პროვინციულ გარემოში სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მწიგნობრულ „სიბრძნეში“ ეძებნა ნამდვილი, ქმედითი, ცოცხალი ცხოვრების წყარო: მაგრამ რაც უფრო ეზიარებოდა იგი „სწავლულ განათლებას“, მით უფრო „ბერდებოდა სულით“, ჰკარგავდა ცხოვრების უშუალო, გრძნობადი აღქმისა და მასში აქტიური, ენერგიული მონაწილეობის უნარს. და აი, მოგზაური გაქცევისათვის ამ უზადრუკ ყოფას, — „დახუთულ საკანში მდგარ სამეცადინო სკამსა და მაგიდას“ და მოძღვრისა და მასწავლებლის კათედრებს, რომლებიც მისთვის უზომოდ „მცირე და ვიწრო“ ასპარეზს წარმოადგენენ; „ცასა და ზღვას შუა მოქანავე გემს“ მისი აზრისათვის „ფრთები, მოძრაობა და გრცელი ჰორიზონტი“ მიუცია და პირველი, რასაც იგი წარმოიდგენს, ისაა, თუ რა მოუვიდოდა, „თავისი ადამიანური ცხოვრების გარკვეული წლები“ რომ არ დაეკარგა და წიგნთა სამყაროში ჩაქეტვის ნაცვლად ქვეყანა უშუალოდ რომ ენახა და განეცადა. „მე დავტკბებოდი ჩემი წლებითო, — ამბობს იგი, — შევიცნობდი საფუძვლიან, რეალურ მეცნიერებას და ვისწავლიდი ყოველივე იმის გამოყენებას, რაც მისწავლია. მე არ გადავიქცეოდი სწავლული მწიგნობრობის სამელნედ და იმ ხელოვნებათა და მეცნიერებათა ლექსიკონად, რომლებიც არ მინახავს და არ მესმის; არ ვიქნებოდი ქალაქდებითა და წიგნებით გატენილი თარო, მარტო სამეცადინო ოთახში რომ დაიდგმება. მე დავალწევდი თავს სიტუაციებს, რომლებმაც დამიზღეს და ამით ყალბი ინტენსიური (შიგნით მიმართული — ო. ჯ.) ცოდნით შემზღულდეს სული, მაშინ როდესაც მას ერჩივნა ქვეყანა, ადამიანები, საზოგადოებანი, ქალები, სიამოვნება ექსტენსიურად (გარე მიმართული ქმედებით — ო. ჯ.) შეეცნო იმ ჰაბუკის მგზნებარე ცნობისმოყვარეობით, რომელიც ცხოვრებას დასწრათებია და ერთიდან მეორესაკენ მიეშურება შმაგად და დაუღალავად. ეჰ, რაოდენ სხვა აღნაგობას მიიღებდა სხვა სული! ნაზი, უხვი, საქმით აღსავსე, არა სიტყვით სწავლული, ხალისიანი, ცოცხალი, ვითარცა ჰაბუკი, რომელიც ოდესმე ბედნიერი ვაჟაკი იქნება და ბედნიერი მოხუცი!...“ ახლა კი... ახლა მის ხვედრს საკუთარი თავით ერთიანი დაუკმაყოფილებლობა შეადგენს; ახლა მას თავისი „სათნობაც კი“ მარტო „სისუსტედ“ ესახება, მარტოოდენ „აბსტრაქტულ სახელად, რომლის სიყრმიდანვე რეალიზაციას გვასწავლის მთელი ქვეყანა“, ცოცხალი სინამდვილე, რომელთანაც მწიგნობარს კავშირი აქვს გაწყვეტილი. მართალია, გემის ბაქანზე მას ანაზღეულად ამ კავშირის აღდგენის წყურვილი აღძვრია: სწადია იყოს „ბუნების ფილოსოფოსი“, ე. ი. ახალი ტიპის მოაზროვნე, რომელიც „წიგნებისა და ინსტრუმენტების გარეშე ფილოსოფოსებს ბუნებაზე“, მხოლოდ მის „ფაქტებზე და რეალობებზე“ იმსჯელებს, „მათ ფიზიკას მათგანვე გამოიყვანს“, მათივე რაობით ახსნის და „არა სიტყვებით“. და მეტიც! იგი კვლავ გრძნობს თავს კაცობრიობის საკეთილდღეოდ ბრძოლისათვის მოწოდებულად და ოცნე-



ბობს ფართე საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ნატრობს ვითარცა „მეორე ცვინგლი, კალვინი, ლუთერი“ მოევლინოს ლატვიას, სადაც „ესოდენ ბევრია გასაკეთებელი ბარბაროსობის დასანგრევად, უვიცობის აღმოსაფხვრელად, კულტურისა და თავისუფლების გასავრცობად“. მის სულში წამიერ კადნიერად აღიმართება რევოლუციონერი-რადიკალი: „განა ლიკურგემ და სოლონ-მა ვერ შესძლეს რესპუბლიკის დამყარება, რატომ მეც ვერ უნდა შევუქმ-ნა ახალგაზრდობას რესპუბლიკაო?“ — კითხულობს იგი და წამოიძახებს: „ო, მიზანო, დიდო მიზანო, წაიღე მთელი ჩემი ძალა, გულმოდგინება, ვნება!“ — მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი აღტკინებაა... „ნუთუ შემიძლია ეს ვიყო? განა გამაჩნია ამის უნარი, საბაბი და ნიჭი?“ — ეჭვობს იგი და იძულებული ხდება დაასკვნას, რომ საბოლოოდ წართმევია ნამდვილ, ძლიერ და ქმედით კაცად ყოფნის უნარი. „შენი აღზრდის უბადრუკობამ, — ეუბნება იგი თავის თავს, — შენი სამშობლოს მონობამ, შენი საუკუნის წვრილმანობამ, შენი სარბიელის სივიწროვემ შეგებოჭა, ისე დაგაკნინა, რომ საკუთარ თავს ველარა ცნობ...“ წიგნის მატლად ქცეულს, მას მარტო რეფლექსური არსებობა-ლა ძალუძს; ყოველგვარი ნამდვილი, ცოცხალი საქმისა და განცდის უნარი ჩაკვდომია. იგი იმას უჩივის, რომ „იძულებულია მხოლოდ ჩრდილნი იხილოს იმის ნაცვ-ლად, რომ ნამდვილი საგნები შეიგრძნოს;“ „მე ვხედავ და ვგრძნობ შორეუ-ლად, — წერს იგი, — თვითონ ვიბრკოლებ სიამოვნებას უდროო პრეზუმიციითა (შესაძლებლობაზე დაფუძნებული ვარაუდით, — ო. ჯ.) და ერთდროული სისუს-ტითა და გაუბედაობით... ყოველივეს ხელოვნურად გაღიზიანებული წარმო-სახვა უსწრებს, რომელიც ნამდვილისაგან მწყვეტს და სიამოვნებას მიკლავს, მიღუნებს და მიძაბუნებს და მხოლოდ მერე მაგრძნობინებს, რომ არ დამტკ-ბარვარ, რომ ჩემი სიამოვნება დუნე იყო და ძაბუნი“. „ო, დამიბრუნეთ, — ევედრება იგი ადამიანთ, — დამიბრუნეთ ისევე ცოცხალი, როგორც ის იყო, შეუბღალავი, აბსტრაქციითა და სიტყვებით ჩაუნშობელი სული და გადამიყვა-ნეთ ქვეყანაში, სადაც შემეძლება მას ყველა ის ელფერი მივცე, რაც კი მიწ-და: ო, რას გაიხარებს ის იქ!“ მაგრამ ამ ევედრებას იმის გრძნობაც გამსჭვა-ლავს, რომ ადამიანთა შეწევნა მას ისევე ვერ აღუდგენს სულის სიცხოველეს, როგორც თავად მას არ ძალუძს თავის თავში მწიგნობარი ჩაჰკლას, და ამ გრძნობის კარნახით იგი კიდევ უფრო განუხორციელებელ რასმე ნატრობს: „ნეტავ ევმენიდე¹ მომევლინოს ჩემი ჭალებიდან², რათა დამაშინოს, სამუდა-მოდ გამაძევოს მათგან (ამ „ჭალებიდან“ — ო. ჯ.) და გადამხვეწოს დიდ სასარ-გებლო ქვეყანაში“. და დასასრულ, ასეთი „სასწაულის“ შეუძლებლობასთან აშკარად შერიგებული, იგი იმით ლამობს ნუგეში, ერთგვარი „პრაქტიკული“ გამოსავალი ჰპოვოს, რომ გადასწყვეტს კიდევ ერთი თხზულებით გაამდიდ-როს წიგნთა ის სამყარო, რომლის უსიცოცხლობამაც სული ასე დაუბერა.

¹ ევმენიდები ანუ ვრინიები ძველ ბერძნულ მითოლოგიაში არიან წყველის, სასჯელისა და შურისგების ღმერთქალები.

² იგულისხმება ჰერდერის ცნობილი ადრინდელი თხზულება „კრიტიკული ქალები“ (1779).

ეს უნდა იყოს ტრაქტატი, რომელიც იმას ასწავლის ახალგაზრდებს, როგორ უნდა დაიცვან მათ სინამდვილის, ცხოვრების ცოცხლად აღქმის თავიანთი უნარი მწიფნობრული „სიბრძნის“ დამბერებელ-დამძაბუნებელი ზეგავლენისაგან. „ამგვარმა გრძნობებმაო,—ამთავრებს ჰერდერი თავის აღიარებებს,—იღეა აღმიძრეს ადამიანის სულის სიყმაწვილისა და სიბრძნის შესახებ შემეთხზა წიგნი, სადაც ნაწილობრივ საკუთარი სამწუხარო გამოცდილებისა და ნაწილობრივად სხვა სულთა მაგალითზე იქნებოდა ნაჩვენები, თუ როგორ შეიძლება მსგავსი დაბერების თავიდან აცდენა და სიჭაბუკით ჯეროვნად სარგებლობა და ჯეროვნად დატკობა“¹.

ცხადია, მარტო ჰერდერი როდი განიცდიდა ესოდენ მწვავედ „მწერლობისათვის“ და „მოაზროვნობისათვის“ თავის „განწირულებას“, იმას, რომ მას როგორც სათანადო ობიექტური პირობების უქონლობა, ისე საკუთარი სუბიექტური არაპრაქტიკულობა „უკრძალავდა“ ცოცხალი, ნამდვილი საქმის კაცად ყოფნას. ზუსტად,—მხოლოდ უფრო დაძაბულად და მძაფრად,—იმეორებს მას, მაგალითად, შილერი. ლიტერატურულ ასპარეზზე ფეხის შედგმისთანავე ისიც წყევლა-კრულვით ატყდება თავს „მელნისა“ და „ქასტრატთა ძაბუნ საუკუნეს, რომელსაც მხოლოდ შორეულ დროთა საქმეების განცდა და ტრაგედებისა და კომენტარებში ძველ გმირთა დამახინჯება „ძალუძს“, მაგრამ მერე,—მას შემდეგ, რაც რწმუნდება, რომ გერმანიაში არა თუ „ჯარი“, არამედ რამდენიმე „ფაუკაციც“ კი არ მოიძეევა, რომელთაც თავიანთ სამშობლოს ნამდვილ, თავისუფალ და აქტიურ მოქალაქეთა რესპუბლიკად გარ-

¹ ობიექტურად, მართებულად თუ გავიგებთ მას, სულაც არაა საფუძველს მოკლებული კორფის მტკიცება, რომ ჰერდერის ეს „რუსოისტული“ აღსარებები წარმოადგენენ ადრეულ გამოვლენას ფაუსტური დაუქმაციფილებლობისა კაბინეტური სიბრძნით, რომელიც ბუნებისა და ცხოვრების ჭეშმარიტი, კონკრეტულ და პრაქტიკულად სასარგებლო შემეცნებას აწორებს ადამიანს; რომ თუმცა-ღა ჰერდერი ვერ ჩაითვლება გოეთეს ფაუსტის „მოდელად“,—რამდენადაც ამ „მოდელად“ გვევლინება არც მარტო ჰერდერი და არც თვით გოეთე, არამედ „გოეთეს ეპოქის დასაწყისის მთელი გენერაცია“,—მაგრამ, მაინც, ფაუსტის პირველი მონოლოგი სინამდვილეში სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა იმ განწყობილების დიდებულ პოეტიზაციას, რომელმაც პირველად ჰერდერის საზღვაო შენიშვნებში იჩინა თავი“ (H. A. Korff, Geist der Goethezeit, I. Teil, 4. durchgesehene Auflage, 1957, S. 80). მაგრამ თავად კორფის ესმის ჰერდერისა და გოეთეს ეს იდეური ერთიანობა ყოვლად მცდარად; სახელდობრ, იგი ბრინჯიბულად აყალბებს როგორც ჰერდერს, ისე გოეთეს, როდესაც „გოეთეს ეპოქის სულის“ თავისი კონცეპციის შესაბამისად ცდილობს ჰერდერის ხსენებული აღიარებანი, რომლებიც სინამდვილეში იმდროინდელ გერმანელთათვის დამახასიათებელი რეფლექსური-მკვრეტელური აღქმის წინააღმდეგ არიან მიმართული, დასაბნოს საერთოდ „კულტურული ცხოვრების წყევლისა“ (Fluch des Kulturlebens) და პირველ რიგში განმანათლებლური „ინტელექტუალიზმის“ წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად; როდესაც ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველზე იგი ამ აღიარებებში ხედავს გერმანული კლასიკური ლიტერატურის „ძირითადი პრობლემის“ დასმას, პრობლემისა, რომელიც, თითქოს-ღა მოითხოვს „კალმბრივი“ განმანათლებლური რაციონალიზმის „უკმარობისა“ (Unzulänglichkeit) და „საეჭვობის“ (Fragwürdigkeit) დაძლევისა და მოხსნას „სინთეზური“, „ინტელექტუალური ირრაციონალიზმის“ ანუ „ირრაციონალისტური იდეალიზმის“ საფუძველზე, რაც თურმე, გოეთეს ეპოქის „სულს“ შეადგენს და თავის „სისრულეს“ (Vollendung) გერმანულ რომანტიზმში იძენს.



დაქმნა შეეძლებათ,—იძულებული ხდება სასოწარკვეთილებისაგან ხსნა და
 თონაც ეძებოს „მეცნიერებაში, ძველი საბერძნეთისა და რომის დიდი ისტო-
 რიაში“ (ფ. ენგელსი).¹ და ამავე აზრითაა მეტად დამახასიათებელი ის გარე-
 მოებაც, რომ შილერი, რომელიც გოეთეს თქმისამებრ „თანდაყოლილი პოე-
 ტი“ იყო,² გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე „ფილოსოფიურ“ ხელოვანად გადა-
 იქცევა; რომ იგი ჰელდერლინს ურჩევს „შედლებისამებრ“ თავი არიდოს „ფი-
 ლოსოფიურ მატერიებს“, რადგანაც „ისინი ყველაზე უმაღურ თემებს წარმო-
 ადგენენ“, და „გრძნობად სამყაროს დაუახლოვდეს უფრო“, რათა „აღმა-
 ფრენისას სიფხიზლე არ დაჰკარგოს“,³ მაგრამ, ამავე დროს, კვლავ გოეთეს
 მოწმობისამებრ, თავად „იტანჯავს თავს ფილოსოფიური იდეებით, რომლე-
 ბიც მას ვერაფერს შევლიან“;⁴ რომ, ასევე, იგი „გამუდმებით უშლის გოეთეს
 კანტის შესწავლას“, ვინაიდან „კანტი მას არაფერს მისცემს“, თვითონ კი
 „ძალზედ გულმოდგინედ სწავლობს კანტს“,⁵ მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ
 ადრე, უკვე გოეთესთან შეხვედრის დროისათვის (1787), „იწყებს თავისი
 ფილოსოფიური სპეკულაციებით დაღლას“.⁶

რომ გერმანული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენ-
 ლებს ესმოდათ „სისტემატური ფილოსოფიით“ თავიანთი იძულებითი გატა-
 ცების მანებლობა, ამას მოწმობს ჰელდერლინის მაგალითიც. თავის გა-
 რემომცველ „სიცივეში“ „გათოშილი და გაყინული“ მგოსანი დიოტიმასი და
 პიპერიონისა არ ისმენს თავისი კერპის,—შილერის გაფრთხილებას და გატა-
 ცებით სწავლობს ფილოსოფიას, რომელსაც მეტად მოსწრებულად თვითონვე
 უწოდებს „უიღბლო პოეტთა ჰოსპიტალს“. მაგრამ საბოლოოდ იგი
 მაინც რწმუნდება საკუთარი გამოცდილებით განსწავლული შილერის სიმართ-
 ლეში: „მე დიდხანს არ მესმოდა,—აღიარებს იგი,—რა იყო იმის მიზეზი,
 რომ მე მით უფრო ვრჩებოდი აფორიაქებული და მღელვარე, რაც უფრო
 სრულად ვეტანებოდი ფილოსოფიის შესწავლას, რომელიც ჩვეულებრივ სიმ-
 შვიდით აჯილდოვებს შეუპოვარ სიბეჯითეს. ახლა კი იმით ვხსნი ამას, რომ
 ეს მეცადინეობა საჭიროზე მეტად მაშორებდა ჩემს ბუნებრივ მიდრეკილე-
 ბას“⁷,—ე. ი. „გრძნობად სამყაროსთან“ უშუალო, ცოცხალ კავშირს, რომე-
 ლიც მისთვის ისევე წარმოდგენდა ორგანულ, სასიცოცხლო მოთხოვნილებას,
 როგორც გოეთესა და შილერისათვის, რადგანაც, მათ მსგავსად, ისიც იყო
 „თანდაყოლილი პოეტი“.

მაგრამ ყველაზე ღრმად ჩასწვდა მაშინდელ გერმანელ—და არა მარტო
 გერმანელ—ხელოვანთა „ფილოსოფიური მატერიებისადმი“ მიდრეკილების
 მანკიერ ხასიათს უდიდესი გერმანელი პოეტი—გოეთე. როგორც თავის

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, изд. 2-е, т. 2, стр. 562.

² Goethes Gespräche mit Eckermann, S. 348.

³ იხ. С. Цвейг, Собрание сочинений, т. X, стр. 89.

⁴ Goethes Gespräche mit Eckermann, S. 83—84.

⁵ იქვე, გვ. 313.

⁶ იქვე, გვ. 467.

⁷ იხ. С. Цвейг, Собрание сочинений, т. X, стр. 89.

თანამოსაგრეთა შორის ყველაზე ჯანსაღი და ძლიერი მოაზროვნე, რომელიც შეუხრელად და სულ უფრო მტკიცედ ებრძოდა ყოველგვარ მეტაფიზიკას, — რასაც დამაჯერებლად მოწმობს როგორც მისი პირდაპირი, აქ ნაწილობრივ მოტანილი გამონათქმები ამ საკითხზე, ისე მისი მთელი მხატვრული და მეცნიერული მემკვიდრეობა, — გოეთემ ამ მიდრეკილების მავნებლობაც კარგად შეიგნო და მისი მთავარი მიზეზიც დაადგინა არსებითად სავსებით სწორად. ამ მიზეზად მას მიაჩნდა სულაც არა კანტიისა თუ რომელიმე სხვა მაშინდელ ფილოსოფიური კორიფეჯის რალაც „მაგიჯური ზეგავლენა“, არამედ თავისი დროის გერმანულ და, აგრეთვე, ზოგად-ევროპულ სინამდვილეში იმ კონკრეტული მასალის უქონლობა, რომელიც ეპოქის უმაღლეს იდეალთა პრაქტიკულ რეალობად განხორციელებისათვის იყო აუცილებელი. ასე, მაგალითად, სწორედ ამ მიზეზით ახსნა მან ფილოსოფიისა და ისტორიისადმი შილერისა და ისტორიისადმი მანცონის მიბრუნება: „მანცონი ისევე თანდაყოლილი პოეტია, როგორც შილერი, — უთხრა მან ეკერმანს, — მაგრამ ჩვენნი დროა იმდენად შეუფერებელი, რომ თავის გარემომცველთა შორის იგი ვერც ერთ გამოსადეგ ფიგურას ვერ პოულობს. ამას თავი რომ გაართვას, შილერი ორ დიდ სფეროს მიმართავს — ფილოსოფიასა და ისტორიას, მანცონი კი — მხოლოდ ისტორიას. შილერის ვალენსტინი ისეთი დიდი ქმნილებაა, რომლის ბადალსაც მეორეს ვერსად იპოვით. მაგრამ თქვენ ამჩნევთ, რომ სწორედ ეს ორი დიდი ძალა, — ისტორია და ფილოსოფია, — ბევრგან ხელს უშლის ნაწარმოებს და არღვევს მის წმინდად პოეტურ მოქმედებას. და მანცონისაც ასევე ვნებს ისტორიული მასალის სიჭარბე“¹.

როგორც ჰერდერისა და, მეტადრე, შილერისა და ჰელდერლინის მაგალითები მოწმობენ, გერმანული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს, — რაოდენ მწვავედაც არ განიცდიდნენ ისინი თავიანთი აზროვნების აბსტრაქტულ-თეორიული ხასიათის მავნებლობას, — იმის ძალა არ შესწევდათ, რომ თავი დაედწიათ რეფლექსიის უსიცოცხლო სამყაროსაგან და დაედლიათ „ფილოსოფოსობისადმი“ თავიანთი მიდრეკილება, რომელიც „შიგნიდან“ ბოჭავდა და აკვდენდა მათ შემოქმედებით უნარს. ამ „საბედისწერო წყევლას“ სავსებით თვით გოეთეც კი ვერ ასცდა, რამეთუ ისიც კი „აღმოჩნდა უძლური, — დაედლია გერმანული უბადრუკობა“.

მაგრამ, ამავე დროს, სწორედ გოეთე გამოდგა, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მაშინდელი გერმანელი, რომელმაც თუმცაღა ვერ შეძლო თანამედროვე და მთელი მანამდელი მეტაფიზიკური ფილოსოფიის სრული დაძლევა, მაგრამ მას მაინც დაუპირისპირა თავისი არსებითად ახალი ფილოსოფიუ-

¹ Goethes Gespräche mit Eckermann, S. 348.



რი მრწამსი. ამ მრწამსის ძირითად პრინციპს, რომელიც მის მსოფლიო-
დევლობას თვისებრივ, ხარისხობრივ სიახლეს სძენდა და მის მთელი შემოქ-
მედების ლაიტმოტივად იქცა, წარმოადგენდა პრაქტიკის პირველადო-
ბის იდეა, რომელმაც კლასიკური გამოხატულება მიიღო ცნობილ ფაუსტურ
ფორმულაში:

„თავდაპირველად იყო საქმე!“

გერმანული ენის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 3. 1. 1960).

О. Г. Джинория

О закономерности творческого развития Гете

Резюме

Общая закономерность творческого развития Гете обусловлена двумя основными объективными факторами: а) западно-европейским буржуазно-демократическим освободительным движением, кульминацией которого явилась Великая французская революция, и б) особо отсталой немецкой действительностью, на почве которой обычно негативно трансформировались, превращались в свою противоположность передовые идеи той эпохи.

Относясь критически к ограниченным буржуазным результатам французской революции и преодолевая (хотя и не окончательно) свою собственную филистерскую неприязнь к ее радикальным практическим методам, Гете смог возвыситься до усвоения ее высших, яacobинско-плебейских идей, „выводящих, — по словам К. Маркса, — за пределы идей всего старого мирового порядка“. В силу этого обстоятельства творческое развитие величайшего немецкого поэта приобрело последовательно восходящий характер, выразившийся в его эволюции отраннего несовершенного бунтарства до поздней фаустовской мудрости, конечный идеал которой вышел далеко за рамки как феодального, так и буржуазного, т. е. вообще классового общества, приобрел социалистическую сущность.

Однако французские революционно-демократические, а также и английские просветительские идеи Гете воспринимал, конечно, на „намецкий лад“, а именно в абстрактно теоретическом плане, что составляет главную специфическую черту всей немецкой просветительской идеологии.

„Выход“ из основного противоречия буржуазной идеологии, — из противоречия между теоретическим идеалом и практической реальностью, объективно вообще не разрешимого в рамках буржуазного мировоззрения, — англо-французские просветители, в соответствии со своим развитым клас-

совым сознанием, находили в эмпирическом психологизме, предписывавшем руководствоваться в области практического знания и действия не сомнительными теоретическими принципами „чистого“ разума, а данными „опыта“, основанного на „непосредственных“ чувствах и являющегося источником всякой „земной“ мудрости. Согласно этому „выходу“, нашедшему наиболее характерную форму в скептицизме Юма, человек может строить свою практическую философию чисто эмпирически, основываясь на „опыте“ и игнорируя „недостовверную“ умозрительную теорию, „сомнительные“ данные разума о „высших“ истинах. Немецкие же просветители, в соответствии со слабостью и непрактичностью бюргерства искали выход из указанного противоречия в „возвышении“ над практической действительностью, в бегстве в метафизические, трансцендентные сферы абстрактного логицизма с помощью которого конструировали свою концепцию жизни чисто теоретически, умозрительно таким образом, как будто не существовало определяющего сознание и волю „низменного“ материального мира. Наиболее типичную и завершенную форму этот образ мышления принял в „критической“ философии Канта, которую К. Маркс охарактеризовал как „немецкую теорию французской революции“.

Сообразно этому „немецко-кантовскому“ образу мышления немецкая классическая просветительская литература в своих положительных тенденциях развивалась преимущественно, игнорируя реальные данные „сущего“ и исходя из идеальных норм „должного“, т. е. по линии „шиллеризации“, хотя ее лучшие представители,—Лессинг и Гердер, Шиллер и Гете и даже Гельдерлин,—субъективно, по своей философско-эстетической натуре, были склонными к „шекспиризации“ материалистами и реалистами.

Хотя этот абстрактно-теоретический образ мышления предоставлял крупнейшим немецким просветителям определенное преимущество,—облегчая им возвышаться над своим убогим окружением и „раздвигать“ рамки своей эпохи,—но опять-таки лишь в абстрактно-теоретическом плане, так что в конечном счете влек за собой отрицательные результаты: в худшем случае вел к замене плоского убожества высокопарным, а в лучшем—придавал их самому по себе революционному гуманистическому идеалу утопический характер, превращал его в возвышенную, но беспочвенную фантастику.

Тем самым определялось основное идейное противоречие немецкой просветительской литературы, заключающееся в том, что ее наиболее выдающиеся представители оказывались вынужденными прибегать к идеалистическому, „романтическому“ способу формирования идеала, носящего в своей гуманистической основе материалистический и реалистический характер.

Притом величайшие немецкие просветители,—и в первую очередь, конечно, Гете,—достаточно ясно сознавали как вынужденность, так и по-



рочность, вредность своего следования по пути созерцательного теоретизирования, всячески старались превозмочь его отрицательные последствия и, тем самым, развивались, росли, совершенствовались, более или менее преодолевая кантовский трансцендентализм и, вообще, „немецкий“ абстрактно-теоретический образ мышления.

И в порядке данной закономерности величие Гете тем и определилось, что он в большей мере и мощнее любого иного немецкого просветителя смог насытить свой революционно-демократический гуманистический идеал практически реальным содержанием, действенной жизненной мудростью, исходным принципом которой явилась известная фаустовская формула:

„В начале было дело!“

6. ბაქარაძე

კაუზატიური ზმნების საკითხისათვის თანამედროვე
ინგლისურ ენაში

კაუზატიური ზმნების როლი თანამედროვე ინგლისურ ენაში არ არის გათვალისწინებული სასკოლო გრამატიკებსა და უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური ფაკულტეტებისათვის შედგენილი გრამატიკის ნორმატულ კურსებში.¹ რაც შეეხება თეორიულ გრამატიკებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ავტორებთან ვხვდებით კაუზატიურ ზმნებზე მსჯელობას. კერძოდ, პროფ. ილიში თავის წიგნში „Современный английский язык“² მოკლედ ეხება ამ მოვლენას; მაგრამ ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისური ენის თეორიულ კურსში, სადაც მოველოდით ამ მოვლენის უფრო ფართოდ გაშუქებას, მასზედ სიტყვაც არ არის თქმული (იხ. „Современный английский язык“, შედგენილი ვ. ნ. ჟივადლოს, ი. პ. ივანოვას და ლ. ლ. იოფიკის მიერ, მოსკოვი, 1956 წ.).

უცხოელი სპეციალისტების მიერ შედგენილ მარტივ სასკოლო და მეცნიერულ გრამატიკებში უფრო მეტად ვხვდებით მსჯელობას კაუზატივზე, მაგრამ, არც აქ აქვს ამ მოვლენას მოპოვებული ისეთი ხვედრითი წონა, როგორც სხვა გრამატიკულ მოვლენებს გააჩნიათ.

რომ კაუზატივი თანამედროვე ინგლისურ ენაში არ არის სათანადოდ დაფასებული, ამის მიზეზი თვით კაუზატივის ბუნებაში უნდა ვეძებოთ. კაუზატივი არ წარმოადგენს ზმნის გრამატიკულ კატეგორიას ამ ენაში და ამიტომ არ არის ის მორფოლოგიურად გამოხატული.

ცნობილია, რომ ინგლისური ენა არის ანალიზური ენა და გრამატიკული მოვლენები აქ საზოგადოდ ნაკლებად არის მორფოლოგიურად გაფორმებული, მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ მოვლენებს, სრულიად სამართლიანად, გრამატიკებში მინც იხილავენ ცალკე, გამოყოფილად, ვინაიდან ისინი გაუფორმებლადაც ასრულებენ ისეთსავე მნიშვნელოვან როლს, როგორც გაფორმებული მოვლენები, რომლებიც გრამატიკულ კატეგორიებად იწოდებიან ენაში.

¹ მხედველობაში გვაქვს ჩვენს კავშირში გამოცემული გრამატიკის სახელმძღვანელოები ინგლისურსა, რუსულსა და ქართულ ენებზე.

² გამოცემულია მოსკოვში 1948 წ.



ამიტომ კაუზატივი ინგლისურში, მიუხედავად იმისა, რომ ის ზმნის კატეგორია, უნდა გამოეყოს სხვა მოვლენებს და ცალკე იქნეს შესწავლილი.

რას უწოდებენ კაუზატივს თანამედროვე ინგლისური ენის სინამდვილეში? სურათი უფრო ნათელი იქნება, თუ ამ მოვლენას ჩვენ გზა და გზა დავუპირისპირებთ ინგლისური ენისათვის არა მონათესავე ქართული ენის ზმნის კატეგორიას, რომელსაც პროფ. აკ. შანიძემ საბოლოოდ კონტაქტი უწოდა. კერძოდ თუ გავავლებთ პარალელს დასახელებულ მოვლენასა და ზმნის შუალობით კონტაქტიან ფორმებს შორის; რადგანაც კონტაქტი არის მკაფიოდ გამოხატული კატეგორია ქართული ზმნისა, რომელიც მრავალ შემთხვევაში შინაარსის თვალსაზრისით ტოლფარდია ინგლისური ენის კაუზატივისა (მხედველობაში გვაქვს შუალობით კონტაქტიანი ფორმები).

პროფ. ბ. ილიშის განმარტებით, კაუზატიურად ითვლება ზმნა „имеющий значение заставить (когонибудь или что-нибудь) производить действие, выраженное другим глаголом. Каузативный глагол, естественно, всегда бывает переходным, а глагол, который обозначает данное действие, может быть как переходным так и непереходным. В качестве примера каузативного глагола в русском языке можно привести глагол положить по отношению к лежать, так как положить означает заставить лежать, привести в лежачее положение“.¹

ჰორნბი შემდეგნაირად განმარტავს კაუზატივს, როდესაც ეხება კაუზატიურ ზმნა to have-ს.

„როდესაც ჩვენ ვთხოვთ ან ვუკვეთავთ ვისმეს რაიმეს გაკეთებას, როდესაც ჩვენ ვაძულებთ ვისმეს რაიმეს გაკეთებას, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ზმნა to have-ის სხვადასხვა დრო“.²

როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, ძველ ინგლისურში გავრცელებული იყო კაუზატივის აფიქსებით წარმოება ძლიერი ზმნებიდან, ე. წ. სინთეზური წარმოება. ნამყო დროის ზმნას მხოლოდობით რიცხვში ემატებოდა სუფიქსი „ian“, რომელიც იწვევდა ფუძისეული ხმოვნის ცვლას. ასე, მაგალითად, ზმნა sittan (ჯდომა)-ის კაუზატივი იწარმოებოდა მისი წარსული დროის მხოლოდობითი რიცხვიდან sæt: sætian > settan, რომელიც „დასმა“-ს, „დადგმა“-ს ნიშნავდა. თანამედროვე ინგლისურ ენაში შემონახულია მცირე რიცხვი ასეთი წარმოების კაუზატივებისა, ასეთებია: to set „დადება“, „დადგმა“ საპირისპიროდ ფორმისა—to sit „ჯდომა“; to lay „დადება“ საპირისპიროდ ფორმისა to lie „წოლა“; to raise „აწევა“, „ახდა“ საპირისპიროდ ფორმისა to rise „ადგომა“, „ამოსვლა“; to fell „დაცემა“ (შემდეგი გაგებით: მოჭრა ხე, დასცა ხე დაბლა) საპირისპიროდ ფორმისა—to fall—„ჩამოვარდნა“.³

¹ Б. А. Ильиш—„Современный английский язык“, 1948, стр. 212.

² When we ask or order somebody to do something, When we cause something to be done by somebody, we may use the various tenses of the verb have (Composition Exercises in Elementary English by Hornby, 1945, p. 20).

³ Б. А. Ильиш—„Современный английский язык“, 1948, стр. 212.

ძველ ინგლისურში სინთეზური წარმოების გვერდით არსებობდა კაუზატიური წარმოება ანალიზური საშუალებებით. თანამედროვე ინგლისურში მდგომარეობა სხვაგვარია. კაუზატივის წარმოება აქ ხდება მხოლოდ ანალიზური საშუალებებით. თანამედროვე ინგლისურში ზმნას არ ძალუძს საკუთარი ფორმით (აფიქსებით) გამოხატოს კაუზატივი. მაგრამ ენას აქვს შესაძლებლობა აწარმოოს ზმნის ეს ფორმა სხვა ზმნების მოშველიებით; ასეთ ზმნებს კაუზატიურ ზმნებს უწოდებენ. სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთი შეხედულება კაუზატიურ ზმნების რაოდენობაზე. ინგლისური ენის სინტაქსის სპეციალურ გამოკვლევაში ბ. ტრნკა¹ ასეთ კაუზატიურ ზმნებად ასახელებს შემდეგ ზმნებს: *let, do, make, have, get* და *cause*-ს.

ამათგან *let* და *do* ჯერ კიდევ ძველ ინგლისურში იხმარებოდა, მათი ხმარების შემთხვევები მოგვიანო პერიოდში უფრო გაიზარდა, როცა ხმარებიდან გამოვიდა კაუზატივების წარმოება ძლიერი ზმნებისაგან. უილიამ კაქსტონი ხშირად იყენებს ორივე კაუზატიურ ზმნას, მაგრამ XV საუკუნის დამდეგს მათი კაუზატიური მნიშვნელობა სუსტდება და გასაძლიერებლად საჭირო ხდება მათი გაერთიანება კონსტრუქციაში *do let*, რომელიც XVII ს. დასაწყისამდე არსებობს. *Do*-ს კაუზატიური ფუნქცია მიიღო სინონიმურმა ზმნამ *make*-მა.

Do და *make*-ს გარდა, კაუზატიური მნიშვნელობა გამოიხატებოდა კიდევ ზმნა *gar*-ის საშუალებით (ძველ სკანდინავურ ენის *gǫrva*-დან) ჩრდილო და ცენტრალური ინგლისის დიალექტებში. მას ვხვდებით ჩვენ სპენსერის არქაულ ენაში. *Do*-ს კაუზატიური მნიშვნელობით გამოყენების უკანასკნელი შემთხვევა, რომელიც მოყვანილია *NED*-ში, დათარიღებულია 1621 წლით, ხოლო ზმნა *let*-ი კვლავ იხმარება ზოგიერთ კომბინაციაში ახლაც.

Have და *get* ზმნების კაუზატიური მნიშვნელობა განვითარდა XV ს. ინგლისურში შემდეგი სახის კონსტრუქციაში: *will (would) have (to) + inf.* ან *past participle*. ამავე საუკუნეში ზმნა *have*-მა მიიღო კაუზატიური მნიშვნელობა, იმ შემთხვევაშიაც, როცა მას არ ერთვოდა წინ *will*-ი.²

პროფ. ილიში და ჰორნბი კაუზატიურ ზმნებად თავიანთ ნაშრომებში ასახელებენ *have*-სა და *get*-ს. დესპერსენი კაუზატიურად თვლის შემდეგ ზმნებს: *make, cause, contrive, haste, get, motion compel, force, oblige, constrain, help*³.

ზმნის კაუზატიურობა გამოიხატება კაუზატიურ ზმნის შემწეობით სპეციალურ კონსტრუქციაში, რომელსაც კაუზატიურ კონსტრუქციებს ვეძახით. ასეთ კონსტრუქციაში კაუზატიური ზმნა თავსდება უშუალოდ ქვემდებარის შემდეგ, რომელსაც მოსდევს დამატება, შემდეგ მთავარი ზმნა ინფინიტივის

¹ B. Trnka, „On the Syntax of the English verb from Caxton to Dryden“. Prague, 1930, p. 60

² იქვე, გვ. 29.

³ იხ. O. Jespersen, A Modern English grammar on Historical principles*.



ფორმაში წინდებულით ან უწინდებულად და ბოლოს კიდევ დამატება, რომელიც მუდმივად არ არის წარმოდგენილი. პირველი დამატება კი კონსტრუქციის აუცილებელი წევრია, რომელიც კაუზატიურ ზმნასა და მთავარ ზმნას შორის თავსდება. ამას მოითხოვს არა კონსტრუქციის იდიომატიურობა ან ენის ჩვეულება, არამედ ეს ხდება იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს შესაძლებელი ორაზროვნება ან გაუგებრობა, რაც შეიძლება მათმა სიახლოვემ გამოიწვიოს. ამგვარად, წინადადებაში she made him write a letter (მან დააწერინა მას წერილი) ქვემდებარეა she, კაუზატიური ზმნაა made, დამატებაა him, write მთავარი ზმნა არის ინფინიტივის ფორმით, to-ს გარეშე, a letter. მეორე დამატებაა.

მოცემული წინადადების (she made him write a letter) საპირისპირო წინადადება, იქნება: She wrote a letter, სადაც მთავარი ზმნა wrote გარდამავალია, რადგანაც ახლავს პირდაპირი დამატება a letter.


კაუზატიურ ზმნა made-მა კაუზატიურ კონსტრუქციაში შეიყვანა მოქმედი პირი him და ამით შეუცვალა ქვემდებარეს ნიუანსი; მთავარი ზმნა write ამიტომ „დააწერას“ ნაცვლად ახლა „დააწერინას“ გამოხატავს ე. ი. უშუალო კონტაქტიანი ფორმა იქცა შუალობით კონტაქტიან ფორმად, ე. ი. კაუზატიური კონსტრუქცია: I made him write a letter-ის ტიპისა ტოლფარდი ყოფილა თავისი შინაარსით შუალობით კონტაქტიანი ფორმისა.

წინადადება she makes him cry (ის მას ატირებს) ასევე კაუზატიური კონსტრუქციაა, მხოლოდ პირველი კონსტრუქციისაგან განსხვავებით მთავარი ზმნა cry-ს არ ახლავს დამატება. ამ წინადადებაში she ქვემდებარეა, makes-კაუზატიური ზმნაა, him მისი დამატებაა; ხოლო cry მთავარი ზმნაა, ინფინიტივის ფორმაში to-ს გარეშე. ამ წინადადების საპირისპირო წინადადება იქნება: „she cries“ (ის ტირის), სადაც ზმნა გარდაუვალა. კაუზატიური ზმნა makes-ს კაუზატიურ კონსტრუქციაში შეაქვს დამატება him, რომელიც მოქმედი კი არ არის, როგორც პირველ კონსტრუქციაში (კაუზატიურში) იყო, არამედ სამოქმედოა. ამიტომაც კაუზატიურ კონსტრუქციაში ზმნა cry-ს აქვს მნიშვნელობა არა „ტირის“, არამედ „ატირებს“, ე. ი. გარდაუვალი ზმნა იქცა გარდამავლად. მოვიყვანოთ ორივე მოვლენის რამდენიმე მაგალითი.

ინგლისური მაგალითები მოგვყავს თარგმნილი ლიტერატურიდან, სახელდობრ ქართულიდან, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ კაუზატიური კონსტრუქციების შეპირისპირებას სათანადო შუალობით კონტაქტიან ფორმებთან, რაც კაუზატიურ ზმნების ფუნქციას ინგლისურ ენაში უფრო თვალსაჩინოს გახდის.

1) If that knight go to court he will make me eat my children with my mouth, 1086. თუ დარბაზს სივა ივი ყმა, შეგილთა დამაჭმევს პირითა ვფხ. ტყ., 1086.

2) For since Viro could not find his heart's desire in me, I ვერ პოვა, სხვასა ნუვის აპოვნო-



shall let none other find his desire in me. Visramiani (55, 2-4) ანო 60 (1-2)

3) My mother caused me to forgive Ramin, and it has turned out as might have been expected. Visramiani 385, (27-28) მე დედამან ჩემმან მიყო, რომე რამინს შემანდობინა და მართლად წამეკიდა. ვისრამიანი, 444 — (7-8)

4) There said the Hindoo to Avt'handil: I will have thee do a good piece of fooling. 1351 მუნ ავთანდილს ინდო ეტყვის „გაქევევ კარგთა სიშმაგეთა“. ვფხ. ტყ. 1351.

გარდაუვალი ზმნა ხდება გარდამავალი:

1. They embraced me, kissed me, wept, and made me weep. 628 მეგზეოდეს, მაკოცებდეს, ატირდის და ამატირეს ვფხ. ტყ., 628

2. Whoever pursued me could not confront me, (when) I turned, I made them turn. 590 ვინცა მდევდა ვერ შემომხვდა მიუბრუნდი, მივაბრუნე. ვფხ. ტყ., 590

მაშ კაუზატიურ კონსტრუქციაში წარმოდგენილი კაუზატიური ზმნები გარდამავალი ზმნებისაგან აწარმოებენ იმას, რასაც ჩვენ შუალობით კონტაქტიან ფორმებს ვუწოდებთ, ხოლო გარდაუვალი ზმნებისაგან—გარდამავალს. ჩვენს ენაში, როგორც ვიცით, შუალობით კონტაქტიან ფორმებს გარკვეული აფიქსები აწარმოებენ, რის გამოც ეს მოვლენა ენაში წარმოადგენს ზმნის გრამატიკულ კატეგორიას; ინგლისურში სათანადო მოვლენას არა აქვს საკუთარი ერთი ფორმა, იგი ვლინდება, როგორც ვხედავთ, სინტაქსურად, გარკვეული ზმნების დახმარებით, რომლებიც ძირითადად „იძულების“ მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსს გამოხატავენ სემანტიკურად.

ზოგიერთ კაუზატიურ ზმნასთან მთავარი ზმნა კაუზატიურ კონსტრუქციაში შეიძლება იდგეს ინფინიტივის ნაცვლად Past Participle-ის ფორმაში, როგორც მაგალითად:

In the morning he showed all his wares, he had them all unpacked; 1057 დილასა ლარი ყველაი უჩვენა, გააახსნევიანა. ვფხ. ტყ., 1057.

ასეთ კონსტრუქციაში წარმოდგენილია შემდეგი წევრები: ქვემდებარე, კაუზატიური ზმნა, პირდაპირი დამატება (სამოქმედო) და მთავარი. ზმნა. აქლია მოქმედი პირი, რომელიც იგულისხმება.

ინგლისური ენის ზმნას არა აქვს პირის გამოხატვის უნარი, ინგლისური ზმნის პირები მხოლოდ წინადადებაში არიან წარმოდგენილი ფარდი სახელების სახით და მის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ, მათი გამოტოვება არ შეიძლება, რადგან მათი გამოხატვის სხვანაირი საშუალება არ არსებობს; ამის გამოა, რომ მაშინ, როცა შემსრულებელი ობიექტი კონტექსტში არა ჩანს, მაგრამ საჭირო კი არის რომ ის იქ იყოს, ჩვეულებ-



რიც იყენებენ Past Participle-იან კონსტრუქციას, რადგან, როგორც ვთქვამთ, ასეთ კონსტრუქციაში შემსრულებელი პირი აზრობლივად ივარაუდება, თუმცა მორფოლოგიურად არაფრით არ არის გამოხატული. აი მაგალითები: ქართული ტექსტი — „ხელმწიფე... ადგა და შიგ შუა ზღვაში ერთ თვალუწვდენელი კოშკი ამოაყვანიდა (ხალხური ზღაპ. „ღვთისავარ“, 39 (4—6), სადაც ტექსტის მიხედვით არსად არა ჩანს თუ ვის ამოაყვანინა კოშკი ხელმწიფემ — ნათარგმნია უორდროპის მიერ ასე: So he had a huge tower built in the sea. „Ghvthisavari“, 25, (3—5)

ანდა „გაიგო ეს ამბავი პატარა ქურდმა, გაიგლო ვირი წინ და იქვე, ერთ ახლო სოფელში გადავიდა, გამოაცხოვინა იქ ნაზუქები, ქადები, იყიდა თავი ღვინო, მოახარშვინა ქათმები, ინდაურები, ჩაალაგა ხურჯინში, გადაჰკიდა ვირსა და გზას გაუდგა“ ხალხ. ზღ. „ორი ქურდი“, 125 (27—28), 126 (1—3).

ამ კონტექსტშიაც არსად არა ჩანს სახელდობრ ვის გამოაცხოვინა პატარა ქურდმა ნაზუქები, ვის მოახარშვინა ქათმები და ინდაურები იგი მხოლოდ ზმნის ფორმაში ჩანს, რის გამოც მარჯორი უორდროპს უთარგმნია ასე:

There he had some cakes baked and turkeys and fowls roasted, put them in the saddle bag, and... „The Two Thieves“, 91 (22—24).

ჩვენ მიერ გამოყენებულ სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულ კაუზატიურ ზმნების რიცხვს, ჩვენი შეხედულებით, უნდა დაემატოს კიდევ ზმნები: to order, to command და to move, რადგანაც ეს ზმნებიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ ვითარებაში კაუზატიურ კონსტრუქციებს უნდა აწარმოებდნენ საკუთარი მნიშვნელობის წყალობით.


მოგვაქვს მაგალითები, სადაც დასახელებული ზმნები ემსახურებიან შუალობითი კონტაქტის შინაარსის გამოხატვას:

the king ordered them to bleed my arm 350 სისხლი დამწამეს, მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა. ვფხ. ტყ., 350.

My husband commands me to seek a humble home which we call ours. Thackeray, Vanity Fair 1, 173 (13—14). ჩემი ქმარი მაძებნივებს მე უბრალო ბინას, რომელსაც ჩვენ საკუთარს ვეძახით. ამოების ბაზარი. I, 249 (9—11).

Hamlet ჰამლეტი
I beseech you, remember (Hamlet moves him to put on his hat) Sh. „Hamlet“, act V, Sc II 256 (24—25). (ცდილობს ქუდი დაახურვინოს) ნუ დაივიწყებთ რაც გითხარით. ჰამლეტი, მოქ. V, სურ. II, 179, (8).

ინგლისურ ენაში არსებობს ვნებითი გვარის კაუზატიური კონსტრუქცია. ასეთი კონსტრუქცია ორი ტიპისაა: პირველია ისეთი კონსტრუქცია, სადაც სუბიექტი მიზეზია იმისა, რომ უბრალო ობიექტმა იმოქმედოს პირდაპირ ობიექტზე, ისეთ ვითარებაში, როცა სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ფაქტიურად ერთსა და იმავე პირს წარმოადგენენ. პირდაპირი ობიექტი



ასეთი ტიპის კონსტრუქციაში გამოხატულია უკუქცევითი ნაცვალსახელოვანი მაგალითად:

He caused himself to be carried from the scene of his loss and misery, and... „(Dickens, Posth. Pap. Pickw. Club“. 331/8—9) (მან თავი წააყვანინა საკუთარი უბედურებისა და დანაკარგის სცენიდან).

მეორე ტიპის კონსტრუქციაში სუბიექტი მიზეზია იმისა, რომ უბრალო ობიექტმა იმოქმედოს პირდაპირ ობიექტზე, ისეთ ვითარებაში, როცა სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი სხვადასხვა პირებს წარმოადგენენ.

1. Then she caused a hundred and thirty bundles to be brought. 220 (16—17). ვისმან... მერმე ას ოცდაათი არტახი მოატანინა. ვისრ. 249 (21—22)

2. Wanton, harlot woman, why didst thou cause the bridegroom to be slain. 562. როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე. ვფხ. ტყ. 562.

The vizier ordered everything to be taken out of the royal apartments. 107 (12—13). დააცლევინა სახლები მეფესა; სიბრძ. სიცრ. „მეფე დავეზირი“ 94—(8—9).

მეორე ტიპის ვნებითი კონსტრუქციები ხშირად გვხვდება ენაში, პირველი კი ძალიან ნაკლებად. პირველი ტიპის ვნებითი კონსტრუქცია შეესატყვისება შინაარსის მიხედვით ქართულ ვნებითი გვარის შუალობით კონტაქტიან ფორმებს, მეორე კი—მოქმედებითი გვარის შუალობით კონტაქტიან ფორმებს.


კაუზატიური ზმნები ყველა გარდამავალია და თითქმის ყოველთვის „იძულება“ ვაგების მატარებელი სემანტიკურად. მათივე რიცხვს ეკუთვნის თითო-ოროლა ისეთი ზმნაც, რომელთა მნიშვნელობა არ არის „იძულება“, მაგრამ ისინი მაინც გამოიყენებიან კაუზატიური კონსტრუქციის საწარმოებლად.

აღსანიშნავია, რომ კაუზატიური ზმნები კაუზატიურ კონსტრუქციაში არა კარგავენ საკუთარ სემანტიკურ მნიშვნელობას, როგორც, მაგალითად, დამხმარე ზმნები, პირიქით, ისინი სწორედ საკუთარი სემანტიკის წყალობით ახერხებენ კაუზატიურობის გამოხატვას სპეციალურ კონსტრუქციაში.

ზოგი კაუზატიური ზმნისთვის კაუზატიური მნიშვნელობა „იძულება“ პირველადია, სხვათათვის მეორადი. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ზმნა „იძულება“ სემანტიკის გვერდით, იმავე ტიპის კონსტრუქციაში, სხვა მნიშვნელობასაც ამჟღავნებს, ასეთი ზმნებია: to have-ი და to let-ი.

როგორც პროფ. ბ. ილიში აღნიშნავს, to have-ის Past Participle-იან კონსტრუქციაში შეიძლება ჰქონდეს „ქონა“ მნიშვნელობა „განცდა“, „გადატანის“ ვაგებით. ასეთი მნიშვნელობით აქვს მაგალითად შექსპირს გამოყენებული to have-ი წინადადებაში: I that have a father killed a mother stained, რომელიც ი. მაჩაბელს სრულიად მართებულად ნათარგმნი აქვს: „მე რაღას ვდგევარ? ამ ძილიდან რათ არ მალვიძებს ან მამის მოკვლა, ან შერცხვენა დედაჩემისა“, (ჰამლეტი, მოქ. IV, სურ. 4, გვ. 131—(23—24)).

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ to have-ის ეს ორი მნიშვნელობა ერთმანეთის პარალელურად ვითარდებოდა.



რაც შეეხება to let-ს, იგი იმავე ტიპის კონსტრუქციაში „იძულების“ გვერდით გამოხატავს „ნების დართვასაც“ (to allow-ს). ვნახოთ მაგალითები:

Iago იაგო წავალ კასიოს მივეუდღებ მე
I will in Cassio's lodging lose this ამ ხელსახოცსა და თავის ოთახში
napkin, and let him find it. Sh., ვაპოვნინებ. ოტელო მოქ. III,
Othello, act III, sc III, 388 (1—2) სურ. III, 93 (8—9).

ამ მაგალითში I will... let him find ნიშნავს „მოვიქცევი ისე, რომ მან იპოვოს ცხვირსახოცი“ (ვაიძულებ რომ იპოვოს ის).

If thou wilt let me slay თუმცა მას დამაკვლევინებ და
him, and wilt eat his liver and blood, მის ღვიძლსა სჭამ, მორჩე. სიბრძ.
thou shalt recover. The book of სიცრ. „მეფე და აქიმი“ 126 (7—8).
wisdom and Lies, (the Stories of the
ten Surgeons, the fifth, 144 (9—11)

აქ კი let-ნების დართვას ნიშნავს; ე. ი. „თუ ნებას დამრთავ რომ დაგვლა“...

ამას გარდა, როდესაც ზნა let-ი კაუზატიურ კონსტრუქციაში Present Indefinite Tense-ში დგას და არ მიუძღვის წინ სუბიექტი (ქვემდებარე) ფორმით ემთხვევა let-ით წარმოებულ ბრძანებით კილოს გამოხატველ კონსტრუქციას. ასეთ შემთხვევაში მათ რომელობას წყვეტს მხოლოდ კონტექსტის შინაარსი, მაგალითად:

Portia „Inquire the jew's house out, give him this deed and let him sign it. Sh. „the Merch. of Ven“. act IV, sc II, 150 (1—2) აქ „let him sign it“ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ბრძანებითი კილოს გამოხატველი კონსტრუქცია ფორმის მიხედვით. სინამდვილეში კი კაუზატიურ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. რადგან let him sign it-ს, კონტექსტის შინაარსის მიხედვით, აქვს შუალობით კონტაქტის გაგება, რადგან let-ს ახლავს სუბიექტი you ანუ Nerisa, რომელიც თუმცა მორფოლოგიურად არ არის არაფრით გამოხატული, მაგრამ თეორიულად ნამდვილად იგულისხმება. მოცემულ მაგალითში პორცია ელაპარაკება ნერისას და აგზავნის მას ებრაელთან ხელის მოსაწერად. პორცია ეუბნება ნერისას: (you ანუ იგივე Nerisa) Inquire the jew's house out (კილო ბრძანებითია). (you) give him this deed (კილო ბრძანებითია). And you let him sign it (კონსტრუქცია კაუზატიურია).

როგორც ზემოთ ვთქვით, კაუზატიური ზნების დიდი უმრავლესობა ძირითადადში „იძულება-ძალდატანების“ მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ ისინი განსხვავდებიან კიდევაც ერთმანეთისაგან.

ზოგი მათგანი უფრო მძლავრად გამოხატავს ამ მნიშვნელობას, ზოგი უფრო სუსტად, ზოგს თან ახლავს სხვა გაგების ნიუანსი; ზოგი, გარდა ამისა, ისეთი სემანტიკის მატარებელიც არის, რომელიც ძალიან ხშირად ირევა მის ძირითად სემანტიკაში. ხოლო ზოგიერთი არ გამოხატავს „იძულება“, „ძალდატანებას“ სემანტიკურად და სხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგენს შუალობით კონტაქტის გამოხატვის საშუალებას.


კაუზატიური კონსტრუქციები, როგორც ვიცით, ტექსტიდან მარჯვნივ
 ლი კი არ არსებობს, არამედ წარმოდგენილია კონტექსტში. ასეთი კონ-
 ტექსტები შინაარსის მიხედვით მრავალნაირი შეიძლება იყოს; რაკი ინგლი-
 სურ ენას არა აქვს კაუზატიურობის გადმოსაცემად მორფოლოგიურად გამო-
 ხატული ერთი ფორმა და მხოლოდ ვადმოცემის სხვადასხვა საშუალებას
 ფლობს, კაუზატიურ კონსტრუქციებში კაუზატიური ზმნების სახით, საჭირო
 ხდება კაუზატიური ზმნების შერჩევა, კონტექსტის მთლიან შინაარსთან შეფარ-
 დებით, რადგანაც ერთმა ნებისმიერად არჩეულმა კაუზატიურმა ზმნამ თავისი
 სემანტიკით შეიძლება ყოველთვის ვერ შეძლოს სხვადასხვა კაუზატიური კონ-
 სტრუქციის შემცველი კონტექსტის მრავალფეროვანი შინაარსისა და ნიუან-
 სის ზუსტი ვადმოცემა. ამიტომ კაუზატიური ზმნის შერჩევისას ამოსავლად
 უნდა ჩაითვალოს კონტექსტის მთავარი აზრი ან წინადადების მთლიანი შინა-
 არსი და მთავარი ზმნის სუბიექტსა და შემსრულებელ ობიექტს შორის არსე-
 ბული ურთიერთობა და დამოკიდებულება,¹ ერთი მხრივ და შინაარსობლივი
 განსხვავება, რომელიც კაუზატიურ ზმნებს შორის არსებობს, რანაირი სახი-
 საც არ უნდა იყოს იგი, ძირითადი თუ ნიუანსებრივი, მეორე მხრივ. რომ ეს
 ასეა, ვნახოთ მაგალითზე: წინადადება „თუმცა მას დააკვლენებ და მის
 ღვიძლსა სჭამ, მორჩე“, სიბრძ., სიცრ., „მეფე და აქიმი“, 126 (7—8).
 ნათარგმნია: If thou wilt let me slay him, and wilt eat his liver and
 blood, thou shalt recover, (the Book of Wisdom and Lies. „The Stories of
 the Ten Surgeons“, (the fifth), 144 (9—11).

რატომ არის ეს წინადადება ნათარგმნი კაუზატიური ზმნა let-ის საშუა-
 ლებით და არა რომელიმე სხვა ზმნით? ჩვენ ვფიქრობთ იმიტომ, რომ იგავის
 შინაარსი სწორედ let-ს მოითხოვს. მართლაც იგავში ექიმი სთხოვს მეფეს,
 რომელსაც „ყიას ძვალი დაეხირა“, რომ დართოს მას ნება შეიღის დაკვლი-
 სა, რათა საკუთარი შეიღის ღვიძლით განკურნოს იგი². Let, როგორც ვნა-
 ხეთ, „იძულებასთან“ ერთად ნების დართვის სემანტიკის მატარებელი ზმნაც
 არის. ამიტომ არის, რომ სწორედ იგი და არა რომელიმე სხვა ზმნა აქვს
 შერჩეული ოლივერ უორდროპს. თუ დავიმოწმებთ რუსულ თარგმანსაც, ვნა-
 ხავთ, რომ ალ. ცაგარელსაც სრულიად სამართლიანად აქ ზმნა *позволить*
 უხმარია, თორემ კაუზატივის შინაარსის ვადმოსაცემად იგი უფრო ხშირად
заставлять ზმნას იყენებს.

კაუზატიური ზმნებიდან ყველაზე პროდუქციულია ზმნა *make*-ი; ძალიან
 ხშირად გამოიყენება ზმნები: *let*, *cause* და *have*-ი.

¹ ამაში არ ვგულისხმობთ იმ ურთიერთობასა და დამოკიდებულებას, რომლებიც კაუ-
 ზატიურობის გაგებაში ივარაუდება.

² არათარგმნილი ლიტერატურაშიც (ინგლისელ და ამერიკელ მწერლებთან) *let*-ს ხში-
 რად აქვს ნების დართვის გაგება. თარგმნილი ლიტერატურა მოგვყავს მხოლოდ იმ მიზნით,
 რომ აქ შედარების საშუალება ვეძლევა, რაც განსამარტავი მოვლენის ბუნებას უფრო თვალ-
 საჩინოს ხდის.



განშინასა და ვასილევსკაიას თავიანთ ინგლისური ენის გრამატიკის „English grammar“ ზოგი ტიპის კაუზატიური კონსტრუქცია განხილული აქვთ როგორც კონსტრუქცია accusative with the infinitive¹.

მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისური ენის განვითარების ადრეულ პერიოდში კონსტრუქცია accusative with the infinitive იხმარებოდა ამ ენაში, ისევე როგორც მის მონათესავე სხვა ენებში მხოლოდ ზოგიერთი კაუზატიური ზმნების შემდეგ [laetan, hatan, biddan], მაგრამ შემდეგ მოხდა ცვლილებები; ახლა თანამედროვე ინგლისურში ეს კონსტრუქციები ირჩევა ერთმანეთისგან შინაარსის მიხედვით დასახელებულ ზმნებთანაც კი.

თუ გავიზიარებთ განშინასა და ვასილევსკაიას შეხედულებას, მაშინ კონსტრუქციები I see him write და I made him write ორივე იქნება accusative with the infinitive-ი. ერთი შეხედვით ეს თითქოს ასეც არის. მართლაც, როგორც ზმნა made-ის, ისე ზმნა see-ის შემდეგ ჩვენ გვაქვს აკუზატივი ინფინიტივითურთ, მაგრამ შინაარსობლივად ეს ორი კონსტრუქცია განსხვავდება ერთმანეთისაგან. I see him write ნიშნავს: „მე ვხედავ, თუ როგორ წერს ის“; I made him write კი ნიშნავს: „მე ვაწერინებ მას“. პირველ შემთხვევაში I არის უბრალო მოწმე სხვისი დამოუკიდებელი მოქმედებისა; მეორე შემთხვევაში I მიზნავს სხვისი მოქმედებისა; I არის ინიციატორი სხვის მიერ შესრულებული მოქმედებისა.

პირველ კონსტრუქციას ვერ მოეუნახავთ საპირისპირო ცალს, მეორეს კი შეიძლება ვუპოვოთ საპოზიციო ცალი (I write—I made him write, ხოლო I see him write-ს—ცალი არ აქვს).

პირველი კონსტრუქცია (I see him write) შეესატყვისება ქართულ ქვეწყობილ წინადადებას, მეორე კი—შუალობით კონტაქტიან ფორმას—„დავაწერინე“-ს; ამიტომ მათი ერთ ჯგუფში მოქცევა ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

კაუზატივი ინგლისურ ენაში, როგორც დავინახეთ, გრამატიკული კატეგორია არ არის, მაგრამ იგი მაინც თვალსაჩინოდ არის სინტაქსურად გამოხატული ენაში და ამდენად საგანგებო ყურადღებისა და შესწავლის ღირსია. ჩვენი აზრით, მისი შეტანა გრამატიკის თეორიულ კურსებში და პრაქტიკულ გრამატიკებში საჭირო არის. ვფიქრობთ, კაუზატივი შეტანილ უნდა ჰქნეს აგრეთვე ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში, როგორც გრამატიკული მასალა, განსაკუთრებით მაშინ, თუ სახელმძღვანელო ქართული აუდიტორიისათვის მზადდება.

ინგლისური ენის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25. IX. 1959).

¹ იხ. განშინასა და ვასილევსკაიას მიერ შედგენილი გრამატიკის 1953 წ. გამოცემის გვ. 219.

Р. Гаччиладзе

К вопросу о каузативных глаголах в современном английском языке

Резюме.

Глаголы, образующие каузатив в современном английском языке, мало освещены в специальной литературе по английскому языку¹.

Каузатив не является грамматической категорией глагола в современном английском языке. В древнеанглийском языке существовал синтетический способ образования каузатива от сильных глаголов; в современном языке существуют аналитические способы его образования; средством образования аналитического способа являются особые глаголы — так называемые каузативные. Каузативный глагол имеет значение „заставить кого-нибудь или что-нибудь производить действие, выраженное другим глаголом“. Число таких глаголов в специальной литературе точно не установлено. Мы такими глаголами считаем: to make, to cause, to have, to get, to let, to force, to help, to compel, to oblige, to incite, to induce, to impel, to order, to move, to constrain, to command, to urge, to persuade, to provoke...

Изучение каузатива современного английского языка в сопоставлении с грузинским посредственным контактом позволило яснее определить существующие различия между двумя случаями использования каузативных глаголов: 1. Каузативный глагол с переходным глаголом выражает смысл передаваемый грузинским посредственным контактом; например: I make him write a letter значит: ვაწერებ მას წერილს (я заставляю его писать письмо), где форма ვაწერებ является посредственным контактом.

2. Каузативный глагол с непереходным глаголом делает его переходным по содержанию; например: I make him cry означает: ვატარებ (я заставляю его плакать), где ვატარებ только переходный глагол.

Работа в области установления аналитических средств выражения каузатива и выяснения его истинной природы в современном английском языке имеет как теоретическое, так и практическое значение.

¹ Имеется в виду литература, изданная в Советском Союзе.

ზუკაბ ჭახხადაშვილი

ხელოვნების დანიშნულების საკითხი შილერის ესთეტიკაში

ფრიდრიხ შილერის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ნააზრევში მთავარია თეორია ადამიანის „ესთეტიკური აღზრდის“, საზოგადოების „მორალური სრულყოფის“ შესახებ. ამ თეორიის პირველი ჩანასახები ნათლად შეიმჩნევა შილერის როგორც ადრეულ კრიტიკულ წერილებში („თანამედროვე თეატრის შესახებ“, „თეატრი, როგორც მორალური დაწესებულება“), ასევე ამავე პერიოდის პიესებში („ყაჩაღები“, „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“, „ვერაგობა და სიყვარული“). ამავე თვალსაზრისით საინტერესოა შილერის პირველი თეორიული შრომა — ადამიანის ცხოველური ბუნების სულიერთან მიმართების შესახებ, სადაც ავტორი მატერიალურსა და იდეალურს შორის „საშუალოს“ ეძებს, კანტიანული დუალიზმის დაძლევის ცდილობს და, განიხილავს რა არსებულ შეხედულებებს სამყაროს სუბსტანციის შესახებ, პირდაპირ აცხადებს, რომ იგი იდეალიზმისაკენ იხრება¹.

უფრო სრულად და თანმიმდევრულად შილერი საკუთარ თეორიულ შეხედულებებს „დონ კარლოსზე“ მუშაობის პერიოდიდან აყალიბებს. ამას მოწმობს როგორც „წერილები დონ კარლოსზე“, ასევე თვით დრამაც — „დონ კარლოსი“.

„დონ კარლოსში“ შილერმა სერიოზულად პირველად სცადა მორალურად სრულყოფილი ტიპის შექმნა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ტიპი — მარკიზ პოზა — ამ მიმართებით ჯერ კიდევ არაა დასრულებული (შევნიშნავთ, რომ შილერმა სასურველი სახე მორალურად სრულყოფილი გმირისა — ბოლომდე ვერ შექმნა. მისი ყოველი დრამა ამ მხრივ გარკვეულ ცდას წარმოადგენს). პოზამ კარგად არც კი იცის, როგორ განახორციელოს დაკისრებული მისია. შილერს სამართლიანად მიაჩნია საყვედური, რომ თავისუფლებაზე მაღალი იდეების მქონე პოზას ქმედების, სხვის მიმართ დამოკიდებულების გარკვეული „მორალური“ პროგრამა არა აქვს და განმარტავს, რომ პოზას ხასიათი ბევრს მოიგებდა სიმშვენიერისა და სიწმინდის თვალსაზრისით,

¹ Schillers sämtliche Werke in zwölf Bänden, Verlag von Max Hesses, Leipzig, Bd. X, S. 5.

(მითითებულია ყველგან ეს გამოცემა).



რომ იგი (პოზა) ინტრიგის გზას არ გაჰყოლოდა¹. ამასთანავე შილერის კვებით მიუთითებს, რომ მისი სიმბათია პოზასაკენაა გადახრილი².

საინტერესოა აგრეთვე ავტორის მსჯელობა პოზასა და დონ კარლოსის ურთიერთობის შესახებ. ამ მსჯელობაში ნათლად ჩანს, რომ შილერის „მორალური აღზრდის“ თეორია ვერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. „წერილებში დონ კარლოსზე“ იგი წერს, რომ კარლოსის გაუბედურება გამოწვეულია მისი „მაღალი“ მეგობრის — პოზას მისდამი (კარლოსისადმი) არასწორი დამოკიდებულებით. (ისინი თვისებრივად განსხვავებულნი არიან). შილერის აზრით, მორალურად გამართლებულმა ქმედებამ შეიძლება არასასურველი შედეგი გამოიღოს, თუ იგი (ქმედება) ასევე მორალურად გამართლებული საშუალებებით არ იქნება გატარებული³. ამავე დროს შილერი მიუთითებს, რომ მორალური ქმედება პიროვნებამ უნდა განახორციელოს არა „თეორიული გონების“ ხელოვნური გზებით, არამედ „პრაქტიკული კანონებით“, რითაც იგი კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკის საწინააღმდეგოდებულებას აყენებს. ამავე „წერილებში დონ კარლოსზე“ შილერმა უკვე მოხაზა ადრეული სახით ზოგი რამ ხელოვნების დანიშნულების შესახებ პიროვნების „მორალური აღზრდის“ თეორიაში. შილერის სიტყვით, მორალური მოტივები უშუალოდ ადამიანის გულში კი არაა, არამედ ასეთს (გულს) მხოლოდ ხელოვნებით მიაღწევენ⁴.

იდეალი ჰარმონირებული მონარქიისა, რომელსაც შილერი მიზნად ისახავდა „დონ კარლოსში“, დრამის მიხედვით განუხორციელებელი დარჩა. თუ გავეყვებით თვით შილერს, ამის მიზეზი თვისებრივად განსხვავებულ მარკიზ პოზასა და დონ კარლოსის მოქმედებათა არამიზანშეწონილობა, არაშესაბამისობა გამოვა. მაგრამ, ცხადია, საკითხი ასე არ ისმის. „დონ კარლოსში“ გამოჩნდა ავტორის განხიზვლა საკუთარი „შტურმერული“ იდეალებით და, საერთოდ, ის შემარბიებლური, რეფორმისტული ხაზი გერმანულ იდეოლოგიაში, რომელიც გერმანული ბურჟუაზიის პრუსიული გზით განვითარებამ განსაზღვრა. დრამის ავტორი საზოგადოების რეფორმისტული ე. წ. „განათლებული“ მონარქების თაოსნობით გარდაქმნის მომხრეა (ცნობილია ევროპის „განათლებული“ მონარქების დამოკიდებულება ამ დრამისადმი).

„დონ კარლოსის“ შემდეგ არსებითად იცვლება შილერის შემოქმედებითი მუშაობის ხასიათი. იგი ახლა ძირითადად წმინდა თეორიულ საკითხებს ამუშავებს. ეს ის პერიოდია, როცა შილერი, რომელმაც ვერ გაიგო ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის არსი, ხელს იღებს საფრანგეთის „საპატიო მოქალაქის“ წოდებაზე, „გარბის კანტის იდეალისაკენ“ (ენგელსი) და გარდასულ ჟამთა უკანდაბრუნებას მოითხოვს (ლექსი „საბერძნეთის ღმერთები“). ეს ის პერიოდია, როცა შილერი, ენგელსის სიტყვით, „სასოწარკვეთილებაში

¹ Schiller, Fr. — Briefe über Don Karlos, Bd. X., S. 227.

² იქვე.

³ იქვე, 88. 83. 228, 229.

⁴ იქვე.

ჩავარდებოდა, რომ არ ეპოვა თავშესაფარი მეცნიერებაში, კერძოდ კი — ხელოვნებაში და რომის დიდ ისტორიაში“¹.

შილერი, გერმანული ბურჟუაზიის შედარებით რადიკალური წარმომადგენელი, საზოგადოების რეფორმისტულად გარდაქმნის მომხრე, ლუი XVI დასჯის შემდეგ, საფრანგეთის რევოლუციისადმი ისეთი ზიზღით იმსჯელება, რომ, როგორც კერნერისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, მას ფრანგული გაზეთების კითხვაც კი შესძულდა. გერმანელი ბიურგერის ადრეულ გატაცებას ფრანგული რევოლუციით ენგელსი „წმინდა გერმანულ ენთუზიაზმს“ უწოდებს, ხოლო 1791 წლის შემდეგ უკანდახევას, „რევოლუციისადმი ფანატიკურ სიძულვილს“². სწორედ რევოლუციისადმი ავტორის „ფანატიკური სიძულვილითაა“ დაწერილი შილერის ლექსი „სიმღერა ზარზე“, რომელშიც მასების რევოლუციურ პათოსს იგი „მარადბრმა“ (ewigblind) ბრბოს „სულელურ“ მოქმედებად აცხადებს.

რევოლუციისადმი შილერის კრიტიკული დამოკიდებულება ისე კი არ უნდა გაფიგოთ, რომ თითქოს „ყაჩაღების“ ავტორი ფეოდალურ სინამდვილეს შეურიგდა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ შილერი არ იქნება გერმანული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელი, შეუძლებელი იქნებოდა მისი გოეთეს გვერდით დასახელება. საქმე იმაშია, რომ შილერი ფეოდალურ-ბურჟუაზიული სინამდვილის მოწინააღმდეგე ბოლომდე რჩება, მაგრამ რჩება არა როგორც მისი რევოლუციით გარდაქმნის მომხრე, არამედ როგორც ამ დრომოჭმული საზოგადოების „გაუმჯობესების“ თეორეტიკოსი. ასეთი გარდაქმნისათვის იგი მთელ სისტემას იმუშავებს.


ყოველი ადამიანი — შილერის აზრით — თავის თავში ატარებს „წმინდა, იდეალურ ადამიანს“, რომელიც განსაზღვრავს, საერთოდ, პიროვნების ყოფიერების არსს³. ამგვარად, პიროვნება, შილერის მიხედვით, სულიერ და მატერიალურ საწყისებად ნაწევრდება. ასეთი დანაწევრება შრომის დანაწილების შედეგია, რაც თან მოიტანა ფეოდალურ ბურჟუაზიულმა სინამდვილემ. ეს სინამდვილე, შილერის სიტყვით, ადამიანმა „აურჩევლად“, „იძულებით“ მიიღო. ამის შემდეგ ინდივიდი ცდილობს თავსმოხვეული სინამდვილის უკუგდებას, მაგრამ ახერხებს მხოლოდ, ისიც გვიან, „ბუნებრივი მდგომარეობის შექმნას იდეაში“. პიროვნების სრული „აღდგენა“, ფიქრობს შილერი — უნდა მოხდეს „...ან იმით, რომ წმინდა ადამიანმა ემპირიული, უნდა დათრგუნოს, ანდა ადამიანი ღრღინა უნდა გაკეთილშობილდეს ადამიანად იდეაში“⁴.

შილერი ფიქრობს, რომ არსებული სინამდვილის მახინჯი მხარეები სწორედ „წმინდა ადამიანის“ არასრული „აღდგენის“ შედეგია. უფრო მეტიც.

¹ К. Маркс и Фр. Энгельс — Об искусстве, 1938, гл. 298.

² Фр. Энгельс — Положение Германии, соч. Т. V, гл. 83-7, 8.

³ Schiller, Fr. — Über die ästhetische Erziehung des Menschen, Bd. XII, s.



ამის გამო, მისი აზრით, Naturstaat-ი (არსებული ფეოდალურ-ბურჟუაზიული სინამდვილე) საძირკველმორყეულია. შეიძლება მისი დანგრევა, მაგრამ არსებობს მორალური შესაძლებლობა, რაც განმსაზღვრელი ფაქტორია საზოგადოების გარდაქმნის საკითხში¹. უარყოფს რა დრომოჭმული პოლიტიკური ინსტიტუტის დანგრევის იდეას, შილერი მიუთითებს, რომ უნდა გაუმჯობესდეს არსებული სინამდვილე (Das lebendige Urwerk des Staates muß gebessert werden) და განმარტავს, რომ „გაუმჯობესება“ უნდა მოხდეს არსებული სინამდვილის შენარჩუნებით, „ახალი საყრდენის გამოძებნით“ (eine Stütze aufsuchen)².

მაგრამ რა უზრუნველყოფს, რის მიხედვით უნდა მოხდეს საზოგადოების გარდაქმნა? რა იქნება მიზეზი „ფიზიკური ადამიანის“ „იდეალურისაკენ“ სვლისა? რა აამაღლებს Naturstaat-ს იდეაში არსებულ „გონივრულად მიზანშეწონილ“ მდგომარეობამდე?

შილერის აზრით, Naturstaat-ით დამახინჯებული ადამიანი ცდილობს შეიძინოს საკუთარი ყოფიერების არსი, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგან გამოცდილება (Erfahrung) — ე. ი. ყოველდღიური ცხოვრება — გვიჩვენებს მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა კერძო მდგომარეობებს, რაც ადამიანობის არსის — აბსოლუტისა და მარადიულის (das Absolute und Bleibende) წვდომისათვის სრულებით არაა საკმარისი. ასეთის წვდომისათვის საჭიროა გარკვეული „ტრასცენდენტალური გზის“ ვაკვა. ეს გზა წმინდა ცნებათა სფეროზე გადის და ამიტომ პირველად შეიძლება მოსაწყენი გვეჩვენოს, მაგრამ ეს, შილერის სიტყვით, მართლაც მოჩვენებაა, რადგან „ვისაც სინამდვილისაგან განშორება არ შეუძლია, იგი ვერასოდეს ვერ დაიპყრობს ჭეშმარიტებას“³.

ობიექტური რეალობის უგულვებელყოფა შილერის მსოფლმხედველობის იდეალისტურ ხასიათზე მიგვითითებს. მაგრამ ავტორი აქ არ ჩერდება. მოითხოვს რა სინამდვილის უარყოფას, შილერი აყენებს დებულებას, რომ „ტრანსცენდენტური გზით სვლა ინდივიდმა უკვე „ფიზიკურ მდგომარეობაში“ უნდა დაიწყოს, რომ „მატერიას ბრძოლა“ უნდა გამოეცხადოს, და საშუალებად აბსოლუტისაკენ სვლისათვის (რაც მატერიული საწყისის დაძლევიტ ხდება) „ესთეტიკურ კულტურას“ აცხადებს⁴.

შილერი აშკარად აღიარებს ესთეტიკას საკუთარი დუალისტური სისტემის გამაერთიანებლად, როცა აღნიშნავს, რომ მშვენიერის გარეშე პიროვნების ბუნებრივ (Naturbestimmung) და გონივრულ დანიშნულებას შორის (Vernunftbestimmung) მარადიული უთანხმოება იქნებოდა⁵. ამასთანავე, მშვენიერს იგი „თავისუფლებისაკენ“ სვლის საშუალებად აცხადებს⁶.

¹ Schiller, Fr. — Über die ästhetische Erziehung..., s. 13.

² იქვე, 83. 9.

³ იქვე, 83. 30.

⁴ Schiller, Fr. — Über die ästhetische Erziehung..., s. 66.

⁵ Schiller, Fr. — Über das Erhabene, Bd. XII, s. 199.

⁶ Schiller, Fr. — Über die ästhetische Erziehung..., Bd. XII, s. 8.

მაგრამ, როგორ ახდენს ხელოვნება ადამიანის ესთეტიკურ ანიჭებს ხელოვნებას ასეთ ძალას?

ოთხი ესთეტიკური კატეგორიიდან (სასიამოვნო, კარგი, ამაღლებული და მშვენიერი) შილერი ხელოვნების ობიექტებად აცხადებს მშვენიერსა და ამაღლებულს¹; მშვენიერი, მისი აზრით, იდეალია, ხელოვანისათვის მისაწვდომია, მაგრამ არა არსებულ სინამდვილეში, არამედ ამ სინამდვილისაგან თვისებრივად განსხვავებულ — ე. წ. „მორალურ მდგომარეობაში“, რომელიც „ფიზიკურისა“ და „ესთეტიკურის“ შემდეგი საფეხურია². არსებულ სინამდვილეში, შილერის მიხედვით, პირველი ამოცანაა „ფიზიკურიდან“ „ესთეტიკურ მდგომარეობამდე“ ამაღლება, რაც, ცხადია, სულიერი საწყისის გაკეთილშობილებით უნდა მოხდეს. ეს მისია შეიძლება შეასრულოს მხოლოდ ხელოვნებამ, რადგან იგი „ჩვენი არსების ღვთაებრივ ნაწილს ესიტყვება“³. ფიზიკურ მდგომარეობაში — განმარტავს შილერი — ადამიანი განიცდის მხოლოდ ბუნების ზემოქმედებას, ესთეტიკურში — თავისუფლდება ამ ზემოქმედებისაგან, ხოლო მორალურში — ეუფლება მას⁴. ხელოვნების შემწეობით ადამიანი ამაღლდება „ესთეტიკურ“ მდგომარეობამდე⁵, ხოლო აქედან „მორალურის“ მიღწევა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე „ფიზიკურიდან“ „ესთეტიკურ მდგომარეობაში“ გადასვლა⁶. შილერი რჩევას იძლევა არსებულ სინამდვილეში ხელოვნებამ განასახიეროს ამაღლებული, რადგან იგი მატერიალური და იდეალური საწყისების ურთიერთობით მიღებული სწორედ ისეთი „შერეული გრძობაა“ (das gemischte Gefühl)⁶, რომელიც ნიშანდობლივია ინდივიდისათვის „ესთეტიკურ მდგომარეობაში“⁷.

მიუხედავად იმისა, რომ არსებულ სინამდვილეში ხელოვნების ობიექტად შილერი ამაღლებულს აცხადებს, იდეალური ხელოვნება მისთვის მაინც განასახიერებელი მშვენიერია. მაგრამ მშვენიერი მისთვის იდეის, ფორმის სახით არსებობს, ამიტომ, მისი აზრით, ხელოვნების „ჰემმარიტ ნაწარმოებში ყველაფერს უნდა აკეთებდეს ფორმა და არა შინაარსი“. ფორმით შინაარსის დამორჩილებას იგი „ოსტატის ხელოვნების საიდუმლოებას (das Kunstgeheimnis des Meisters)“ უწოდებს⁸. შილერი, მართალია, ამაღლებულს უშუალოდ სახავს „ადამიანში არსებული წმინდა დემონის“⁹ მეგზურად, ხოლო მშვენიერს იდეალად, მაგრამ აქ არ ჩერდება და ტრანსცენდენ-

¹ Schiller, Fr. — Zerstreute Betrachtungen über verschiedene ästhetische Gegenstände, Bd. XI, s. 240.

² იქვე, 83-67.

³ Schiller, Fr. Über die tragische Kunst, Bd. XI, s. 173.

⁴ Schiller, Fr. — Über die ästhetische Erziehung des Menschen, Bd. XII, s. 67.

⁵ იქვე, 83-64.

⁶ Schiller Fr., Bd. XII, s. 57, 124, 125 (das gemischte Gefühl-ის ნაცვლად შილერი ზოგჯერ ხმარობს — die mittlere Stimmung).

⁷ იქვე, 83-57.

⁸ იქვე, 83-62.

⁹ Schiller, Fr. — Über das Erhabene, Bd. XII, s. 199.



ტალღური ესთეტიკის აშკარა საწინააღმდეგო დებულებას აყენებს. მიუხედავად მშვენიერი და ამაღლებული „წმინდა გონების“ „ნეტარ საგანში“ განცდა, გრძნობა, საგნის თვისება კი არაა, არამედ ისინი — მისი აზრით — „ბუნების მიერ გულუხვადაა გადმოფრქვეული“ და მათი წვდომა არა მარტო კანტის „გენიოსს“ შეუძლია, არამედ „მათი შეგრძნების უნარი ყველა ადამიანშია მოცემული“¹. მისივე განპარტებით, უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ეს უნარი ყველაში ერთნაირად არ ვითარდება და აღნიშნავს, რომ სწორედ აქაა საჭირო ხელოვნების დახმარება².

როგორც ვხედავთ, შილერი საკმაოდ შორსაა კანტის ტრანსცენდენტალური ესთეტიკისაგან. შილერის დამსახურება ისაა, რომ იგი სრულიად არასოდეს არ წყდება რეალურ სინამდვილეს, რომ იგი ხელოვნებას რეალურ მიზანს — საზოგადოებრივ ფუნქციას აკისრებს — გამოიყვანოს ადამიანი არსებული უბადრუკი სინამდვილიდან (სხვა საქმეა, საერთოდ, ამ ნიშნისა და მისი მიღწევის საშუალებათა ხასიათი). მართალია, შილერის მეთოდოლოგიური პოზიცია მცდარია და ამდენად, მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებანი შეზღუდული, მაგრამ მისი ხელოვნების თეორია მაინც აშკარა პროგრესია კანტის ფორმალისტურ თეორიასთან შედარებით. მოითხოვს რა რეალური, მისივე სიტყვებით, „ფიზიკური ადამიანის“ ვაკეთილშობილებას, შილერი ყოველთვის ანგარიშს უწყევს ამ ადამიანს, არ მიიჩნევს მას კანტისეულ „Ding an sich“-ად რომელიც მიღმურ (jenseits), ცოდნისათვის მიუწვდომელ სფეროს განეკუთვნება³. შილერი წერს: „ამჟამად ფიზიკური ადამიანი რეალურად, ხოლო მორალური — პრობლემატურად არსებობს“. მისი აზრით, თუ გონება არსებული სინამდვილის გაუქმებას შეეცდება, იგი ამით წირავს ფიზიკურსა და რეალურს პრობლემატურ — მორალურის გულისათვის. ამდენად გონება წირავს საერთოდ საზოგადოების არსებობას, თუმცა მორალურის, მაგრამ მაინც შესაძლებელის და არა რეალურისათვის. გონება — განაგრძობს შილერი — ართმევს ადამიანს რეალურს და სამავიგროდ უთითებს პრობლემატურისაკენ. ამ გზით წასვლა ნიშნავს, შილერის აზრით, ადამიანისათვის „ფიზიკური საწყისის“ წართმევას, რაც დაუშვებელია, რადგან ეს საწყისი მისი ადამიანობის განმსაზღვრელია⁴.

სწორედ ამ დებულების დაცვით ახერხებს შილერი რეალურ სინამდვილესთან კავშირის შენარჩუნებას, სწორედ ამიტომ მისი ხელოვნების თეორია ისტორიულად გარკვეულ პროგრესს წარმოადგენს.

ესთეტიკურ წერილებსა და ტრაქტატებში ჩამოყალიბებული თეორიული შეხედულებანი აშკარად მოჩანს შილერის მხატვრულ შემოქმედებით ნიმუშებშიც. ლექსში — „die Künstler“ ავტორი ამბობს, რომ ხელოვნება კაცობრიობის ცივილიზაციის შემოქმედია, რომ იგი (ხელოვნება) ამაღლებს ადამიანს

¹ Schiller, Fr. — Über das Erhabene, Bd. XII, s. 193.

² Schiller, Fr. — Über das Erhabene, Bd. XII, s. 193.

³ В. И. Ленин — Материализм и эмпириокритицизм, 1948, გვ. 86.

⁴ Schiller, Fr. — Über das ästhetische Erziehung., Bd. XII, s. 9.



პირველყოფილი მდგომარეობიდან კულტურულ ყოფამდე, რომ ხელოვნების გზით კაცობრიობა მიდის წინ „დიადი ჰარმონიის ოკეანისაკენ“. დრომოქმულ საზოგადოებაში ხელოვნების აყვავება, შილერის აზრით, თვით მეცენატობის პირობებშიც შეუძლებელია. ეს იდეა გაატარა მან ლექსში — „An Goethe, als er Mahomet von Voltaire auf die Bühne brachte“. საყურადღებოა აგრეთვე ლექსები: „იდეალი და ცხოვრება“, რომელშიც ავტორი, სახავს რა თავის მორალურად გამართლებულ იდეალს, არსებული ფეოდალურ-ბურჟუაზიული სინამდვილის შეცვლას მოითხოვს თავისებურად, — „Die Teilung der Erde“, სადაც შილერმა პოეტის ღვთიურ დანიშნულებაზე მიუთითა და ზოგიერთი სხვა, რომლებშიც მხატვრულ ფერებში ამა თუ იმ სახით გამოვლინებულია ავტორის თეორიული დებულებანი.

ხელოვნების დანიშნულების შესახებ შილერის ზოგად-თეორიული დებულებების გაცნობის შემდეგ შევჩერდეთ ხელოვნების სახეობათა შილერისეულ დაყოფაზე და განვიხილოთ ზოგიერთი ამ სახეობის ფუნქცია ხელოვნების საერთო დანიშნულების თვალსაზრისით.

სიტყვაკაზმულ მწერლობას (რასაც შილერი პოეზიას უწოდებს) შილერი ყოფს ორ მთავარ სახედ: ნაივურ და სენტიმენტალურ პოეზიად. ამ სახეობებში არჩევს მთელ რიგ ქვესახეებსაც (ისტორიული, ელეგიური, იდილიური პოეზია და სხვ.).

ნაივურ პოეზიას, შილერის აზრით, ქმნის ბუნებისადმი ისეთი ინტერესი, რომლის დროსაც ბუნება არა ჩვენი გრძნობიერებისათვის ქველმოქმედებს, არა ჩვენს აზრსა და გემოვნებას აკმაყოფილებს, არამედ ჩვენს ყურადღებას იგი როგორც ემპირიული სინამდვილის „რალაც ფორმა“ ასე იმსახურებს. ბუნებისადმი ამგვარი ინტერესი ნიშნავს საგნებში რეალური თვისებების მიღმა თვით ამ საგნების საფუძველზე მიღებული იდეალური ელემენტების დანახვას. შილერის აზრით, ნაივური პოეზიის ობიექტი სწორედ ეს იდეალური ელემენტებია. ავტორი განმარტავს, რომ რადგან იდეალური ხელოვნება არსებულ სინამდვილეში იდრის, ფორმის სახით არსებობს, ნაივური პოეზიაც სწორედ „ფორმას უნდა ემყარებოდეს“ (das Naive bloß auf der Form beruht)¹, და იქვე დაურთავს, რომ ნაივური პოეზიის ამგვარი ხასიათის გამო, იგი (ნაივური პოეზია) შეიძლება შექმნას მხოლოდ „მორალური სულის მქონემ“ (moralischer Gemüter)².

ნაივური პოეზიის არსი უშუალოდ გამომდინარეობს მშვენიერის შილერისეული გაგებიდან. ავტორი ნაივური პოეზიის არსებობას კი უშვებს, მაგრამ იგი, მისი აზრით, არადროულია, არამიზანშეწონილია არსებულ სინამდვილეში; ამიტომ შილერი, როცა ნაივური პოეზიის პრინციპებს აყალიბებს, წმინდა თეორიულ მსჯელობებს ეძლევა. იგი უკან, კერძოდ ჰომეროსისა და შექსპირისაკენ იხედება და შენიშნავს, რომ მის თანამედროვე პოეტებში თი-

¹ Schiller, Fr. — Über naive und sentimentalische Dichtung, Bd. XII, S. 113 (იხ. ავტორის შენიშვნა სქოლიოში).

² იქვე, S. 109.



თქმის არ მოიპოვება ისეთი, „მორალური სულის მქონე“, რომელიც ნაიფური პოეზიის ნიმუშების შექმნას. ავტორის აზრით, ეს არცაა მაშინდელი სინამდვილისათვის დიდი ცოდვა, რადგან მკითხველებიც ჯერ კიდევ არ არიან მზად ასეთი ნაწარმოებებისათვის¹.

განსხვავებით ნაიფური პოეტისაგან, სენტიმენტალურ პოეტს — შილერის მიხედვით, „საქმე აქვს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენასთან და განცდასთან, კერძოდ, სინამდვილესთან, როგორც ზღვართან და საკუთარ იდეასთან, როგორც უსასრულოსთან. შერეული გრძნობა (das gemischte Gefühl), რომელსაც იგი (პოეტი — ზ. ჭ.) წარმოშობს, ისაზრდოვებს სწორედ ხსენებული ორი წყაროთი (სინამდვილე და იდეა — ზ. ჭ.)“². ამრიგად, სენტიმენტალურ პოეზიას, რომელიც, როგორც ვხედავთ, ამალღებულის შილერისეული კონცეფციიდან გამომდინარეობს, უნარი შესწევს უშუალოდ და უკავშირდეს ფეოდალურ-ბურჟუაზიულ სინამდვილეში არსებულ გაორებულ ადამიანს, რადგან იგი იმ „შერეული გრძნობით“ საზრდოობს, რომელსაც შეუძლია ინდივიდის „ფიზიკურიდან ესთეტიკურ მდგომარეობამდე“ ამალღება. და რადგან არსებულ სინამდვილეში, შილერის აზრით, პიროვნების მხოლოდ „ესთეტიკურ მდგომარეობამდე“ ამალღებაა შესაძლებელი, ავტორი მაშინდელი სინამდვილისათვის მიზანშეწონილ პოეზიად სენტიმენტალურს აცხადებს.

მიუხედავად ნაიფურ და სენტიმენტალურ პოეზიას შორის არსებითი განსხვავებისა, შილერის აზრით, პოეზიის ხსენებულ სახეობათა ცალკეული თვისებები შეიძლება ერთდროულად თანაარსებობდნენ. ავტორი წერს: „ნაიფური პოეზიის ნიმუშები, მართალია, არა წმინდა სახით, მაგრამ მაინც მოიპოვებიან არა მარტო ახალ, არამედ უახლეს ეპოქაშიც. ასევე სენტიმენტალური პოეტი შეიძლება ვნახოთ ძველ, რომელ და ბერძენ პოეტთა შორის“. იქვე შილერი შენიშნავს, რომ პოეზიის აღნიშნულ სახეობათა თანაარსებობა შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებშიც და მაგალითად ასახელებს გოეთეს „ვეროერს“³.

მნიშვნელოვან ამოცანას უსახავს შილერი თავის ხელოვნების თეორიაში ე. წ. „ტრაგიკულ ხელოვნებას“ (die tragische Kunst), რომლის თვისებებიც, მისი აზრით, ტრაგედიაშია ხორცილსხმული. ტრაგედია, შილერის მიხედვით, წარმოადგენს გარკვეული დასრულებული ქმედების (vollständige Handlung) პოეტურ მიბადვას (dichterische Nachahmung), რომელიც მიზნად ისახავს ადამიანში თანაგრძნობის აღძვრას (Mitleid erregen)⁴. ტრაგედიაში — განაგრძობს შილერი — მოვლენა სახიერდება უშუალოდ, კავშირი ზემოქმედების ობიექტთან (ე. ი. ადამიანთან) ხორციელდება მესამე პირის ჩაურევლად

¹ Schiller, Fr. — Über naive und sentimentalische Dichtung, Bd. XII, s. 124 — 125.

² იქვე, გვ. 129.

³ Schiller, Fr. Über naive und sentimentalische Dichtung. Bd. XII, s. 127

(იხ. ავტორის შენიშვნა სქოლიოში).

⁴ Schiller, Fr. — Über die tragische Kunst, Bd. XI, s. 168.

(ohne Einmischung eines dritten). მესამე პირის — მთხრობელის (*der Erzähler*) ჩარევა, რაც; შილერის სიტყვით, დამახასიათებელია ეპოპის, რომანისა და უბრალო მოთხრობებისათვის, მოქმედებას აშორებს სინამდვილესა და ამდენად, პიროვნებაზე ზემოქმედების შესუსტებას იწვევს¹. შილერი მოითხოვს ტრაგედიაში ასახული იქნეს არა ის, რაც მატერიალურ-ემპირიულს შეგრძნებით გვეძლევა, არამედ ჩვეულებრივზე ამაღლებული თვისებები, კერძოდ, ინდივიდში „ფიზიკური“ და „მორალური“ საწყისების ურთიერთობით წარმოშობილი გრძნობადი განცდა. ასახვა უნდა მოხდეს პათოსით, რაც ავტორის განმარტებით, გონების პრიმატის, გონებრივი არსების (*Vernunftwesen*) დამოუკიდებლობის, საკუთარი ქმედითი უნარის ჩვენებას ნიშნავს².

ამრიგად, ტრაგედიას, რომელშიც დაშვებულია პიროვნების შეგრძნებადი თვისებების პათოსით განსახიერება, უშუალო კავშირი აქვს ინდივიდის „იდეალურ საწყისთან“, რომელიც სრულყოფისაკენ მიისწრაფის. და თუ გავიხსენებთ, რომ შილერის მიხედვით, ტრაგედია პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, ცხადი ვახდება ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ტრაგედიას უკავია შილერის „მორალური აღზრდის“ თეორიაში.

გავეცანით რა შილერის შეხედულებებს პოეზიის სახეობებზე და ე. წ. „ტრაგიკულ ხელოვნებაზე“, ცხადი ხდება, რომ ხელოვნების ნიმუშთა შემქმნელნი, ავტორის აზრით, სწორედ ის „*moralischer Gemüter*“ ები, რომელთაც უნარი შესწევთ იყვნენ მეგზურნი „ფიზიკური“ ადამიანისათვის „მორალური სრულყოფის“ გზაზე. მაგრამ მწერალი და, ვთქვათ, მხატვარი ერთნაირად ვერ ასრულებენ ამ მისიას. მწერალი გაცილებით მაღლა დგას. თვით მწერლის ცნებაში, თანახმად შილერისა, განსახიერებულია ის თავისუფლება (ავტორის უტოპიური იდეალი), რომელიც თავის არსს კარგავს, თუ „დიდბუნებოვან“ (*der Höchste*) და „კეთილშობილისაგან“ (*der Edelste*) არ იქნება მოპოვებული³. მწერალი შილერისათვის სწორედ ასეთი „დიდბუნებოვანი“ და „კეთილშობილია“. რაც შეეხება მხატვარს, მას, როგორც ერთერთ თეორიულ წერილში ვკითხულობთ, არა აქვს ისეთი უფლებანი, როგორც მწერალს, რადგან პირველი (ე. ი. მხატვარი) მხატვრული შემოქმედებისას გრძნობით ხელმძღვანელობს, ხოლო მეორე (ე. ი. მწერალი) — ფანტაზიით⁴. ამიტომ მხატვრის ნაწარმოების აღქმისას სუბიექტი, შილერის აზრით, ადვილად ვერ იშორებს იმ „მეორეხარისხოვან იდეებს“ („*Nebenideen*“), რომლებიც თან სდევნენ შემეცნებით პროცესს. ეს „*Nebenideen*“ ინდივიდზე „მორალური“ ზემოქმედების შემეფერხებელი ძალაა და ამდენად, გასაგებია, რომ მწერალთან შედარებით მხატვარი პიროვნების აღზრდის შილერისეულ თეორიაში ბევრად დაბლა დგას.

¹ Schiller, Fr. — Über die tragische Kunst, Bd. XI, s. 169.

² Schiller, Fr. — Über das Pathetische, Bd. XI, s. 220.

³ Schiller, Fr. — Über naive und sentimentalische Dichtung, Bd. XII, s. 146.

⁴ Schiller, Fr. — Gedanken über Gebrauch des Gemeinen und Niedrigen in der Kunst, Bd. XII, s. 205.



დაადგა რა დრომოკმული პოლიტიკური ინსტიტუტის „გაუმჯობესების“ (Verbesserung) გზას, შილერმა ჯერ კიდევ 1794 წელს იკითხა: არსებობს „მშვენიერი მოჩვენების სახელად“ (der Staat des schönen Scheins)? თუ არსებობს, სადაა იგი? — და იქვე უპასუხა: რეალურად ასეთი სახელად მხოლოდ რჩეულ წრეებში შეიძლება ვიპოვოთ („Der Tat nach möchte man ihn wohl nur... in einigen wenigen auserlesenen Zirkeln finden...“) ¹. რომ არაფერი ვთქვათ პასუხის ხასიათზე, დამახასიათებელია თვით საკითხის დაყენება. აქ ამკარად ისმის საკითხი წამოყენებულ თეორიულ დებულებათა პრაქტიკაში განხორციელების შესახებ. ვუპასუხოთ პირდაპირ: ფრ. შილერი, ისტორიულად სუსტი გერმანული ბურჟუაზიის შედარებით რადიკალური წარმომადგენელი, ბოლომდე ვერ ერკვევა შექმნილ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში, აყალიბებს საზოგადოების გარდაქმნის ბუნდოვან მორალისტურ თეორიას და ამაოდ ცდილობს საკუთარი პრინციპების დაცვას.

აი, მისი ისტორიული დრამები, ტრილოგიაში „ვალენშტაინი“ (1797—99), რომელიც უშუალოდ მოჰყვა ავტორის „თეორიული მოღვაწეობის პერიოდს“, შილერი გარდასულ დროებში ეძებს ისეთ „სრულყოფილ ინდივიდს“, რომელიც მას თავის სინამდვილეში ნიმუშად გამოადგება. შილერი იმდენადაა გატაცებული ამ პიროვნება-იდეალებით, რომ იგიწყებს მათ პრაქტიკულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. კერძოდ, ვალენშტაინი მან თითქმის მარკიზ პოზამდე დაიყვანა ჯერ კიდევ თეორიულ ნაშრომში 30-წლიანი ომის შესახებ, მაგრამ ტრილოგიაში, გოეთეს უშუალო ზეგავლენის შედეგად, ვალენშტაინმა რამდენადმე შეინარჩუნა რეალისტური სახე. მიუხედავად ამისა, შილერის ვალენშტაინის ტრაგედია არა სოციალ-პოლიტიკური მოვლენების გაუთვალისწინებლად გერმანიის გაერთიანებისათვის მებრძოლის ტრაგედიაა, არამედ გმირის დაღუპვა მოტივირებულია თვით პიროვნების გრძნობად მისწრაფებებსა და მორალურ მოვალეობას შორის კონფლიქტით. ამასთანავე ავტორს დრამაში შემოჰყავს მაქს პიკოლომინი და თეკლა — „მშვენიერი კაცობრიობის იდეის“ წარმომადგენელი, „ამალღებელი ხასიათის“ მქონენი, რომელთაც, როგორც „მორალური“ საზოგადოების წარმომადგენლებმა, უნდა დაასრულონ ვალენშტაინის პერსონაჟი.

მიუხედავად ტრილოგიის ასეთი ხასიათისა, დრამის ავტორი მაინც შორსაა საკუთარი თეორიული სქემისაგან; ნაწარმოებში არა ერთი რეალისტური სურათია მოცემული. ამიტომ იყო, რომ ენგელსი, რომელიც, საერთოდ, აკრიტიკებს შილერის სუბიექტურ-იდეალისტურ შეპოქმედებით მეტოდს, დადებითად აფასებდა ამ ტრილოგიას, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილს.

შემუშავებული თეორიული სქემის მიხედვით მოქმედების გაშლა, რასაც მარქსი და ენგელსი „შილერიზაციას“ უწოდებენ ² და „იდეალური“ ადამიანის მორალურის თვალსაზრისით ყოველგვარ სიტუაციაში გამარჯვება, კარ-

¹ Schiller, Fr. — Über die ästhetische Erziehung..., Bd. XII, s. 86.

² К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, 1938, 83-83. 173, 174, 178.

გად ჩანს შილერის დრამის — „მარია სტიუარტი“ მაგალითზე. დრამის ავტორი, მიჰყვება რა ე. წ. „ტრაგიკულ ანალიზს“, რაც „მზა სიტუაციის ავტომატურ განვითარებას“ ნიშნავს, ყველაფერს აკეობს იმისათვის, რომ მარია სტიუარტი — „feingestimmte Seele“ — მიუხედავად ფიზიკური დამარცხებისა, მორალურად ამაღლებული გამოვიდეს.

პიროვნების „ფიზიკური“ და „სულიერი“ საწყისების კონფლიქტი მხატვრულ ფერებში განასახიერა შილერმა დრამაში — „ორლენელი ქალწული“. ღვთაებრივი ზეშთავონება განაპირობებს თავიდან ბოლომდე ჟანა დარკის მოქმედებას. წვდა რა რალაც სასწაულით ღვთიურ მოწოდებას, მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია საფრანგეთის ტერიტორიიდან ინგლისელების განდევნაში, მაგრამ დასასრულს ირკვევა, რომ იდეალისაკენ მის ლტოლვას აბრკოლებს მისივე „ფიზიკური“ საწყისი, ის, რაც მას მიწიერ ცხოვრებასთან აკავშირებს. ეს მომენტი კარგად ჩანს ჟანა დარკის ლაიონელთან შეხვედრის სცენებში; „ფიზიკური“ საწყისის ანგარიშგაუწვევლად შეუძლებელია „მორალური“ იდეალის განხორციელება — ასეთია ნაწარმოების ლაიტმოტივი.

როგორც ვხედავთ, შილერმა ვერ გამოახანა რეალური საშუალებანი იდეალურ „მოჩენების სამეფომდე“ ამაღლებისათვის. აკისრებს რა მთელ „აღმზრდელობით მისიას“ ხელოვნებას, იგი გადაუჭრელ წინააღმდეგობებს წააწყდა. ეს წინააღმდეგობანი არსებითად თავს იყრიან „ფიზიკური“ და „მორალური“ საწყისების, ინდივიდის „გონივრულ“ და „გრძნობად“ მისწრაფებათა ურთიერთობის საკითხის გარშემო. შილერი დაიბნა სინამდვილიდან გამოსვლის ძიებაში. ამაზე ამკარად მიგვიჩივებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბედისწერის დანახვა („ვალენშტაინი“, „ორლენელი ქალწული“, „მესინელი პატარძალი“), მხატვრულ ნაწარმოებში ქოროს გამოყვანა და საერთოდ კაცობრიობის „ნეტარი სავანის“ — ანტიურობისაკენ ლტოლვა („მესინელი პატარძალი“). ბედისწერა და ქორო — აღნიშნავს შილერი „მესინელი პატარძლის“ წინასიტყვაობაში — ემსახურებიან იმის ჩვენებას, რომ ყოველმა დანაშაულმა მიიღოს თავისი საზღაური, რომ მაყუტრებელმა „სცენაზე იხილოს სამყაროს ისეთი ზნეობრივი გამგებლობა, როგორც უცხოა მისთვის ცხოვრებაში“.

როგორც ვხედავთ, „მორალური აღზრდის“ თეორიის მომხრედ შილერი ბოლომდე რჩება. ამგვარ დასკვნას ვერ ცვლის ავტორის უკანასკნელი შემოქმედებითი ნიმუშებიც: „ვილჰელმ ტელი“ და ფრაგმენტი „დემეტრიუსი“. „ვილჰელმ ტელი“, ცხადია, არ შეიძლება გაიგვივებული იქნას წინა ისტორიულ დრამებთან. ისტორიული მოვლენის რეალისტურ ფერებში ასახვა, ხალხის, როგორც რეალურად მოქმედი, წამყვანი ძალის, წინა პლანზე წამოწევა უდავოდ დადებითი მომენტებია შილერის შემოქმედებაში.

რაც შეეხება „დემეტრიუსს“, როგორც მოღწეული სქემიდან ვგებულობთ, იგი უნდა ყოფილიყო ისევ მორალისტური ნაწარმოები. დრამა წარმოგვიდგენდა რომანოვისა და ცრუდიმიტრის დაპირისპირებას. უკანასკნელი უნდა დაღუპულიყო, რადგან რუსეთის ტახტზე ხელი არ აიღო მას შემდეგაც, რაც დარწმუნდა, რომ არაა ტახტის კანონიერი მემკვიდრე.



შილერის „მორალური აღზრდის“ თეორია ავტორის „მეტურმეტრულ“ პოზიციებიდან გარკვეულ უკანდახევას მოწმობს. ეს თეორია ტიპიურად ხატულებაა მე-18 საუკუნის გერმანული იდეოლოგიისა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია „წმინდა თეორიის“ სფეროში პრაქტიკული საკითხების გადატანა. მიუხედავად შილერის ესთეტიკური კონცეფციის გარკვეული კავშირისა კანტის ფილოსოფიურ სისტემასთან, ხელოვნების არსი და ფუნქცია მასთან მაინც ისტორიულად პროგრესულადაა წარმოდგენილი. მართალია, შილერმა ვერ მოგვცა უკეთესი მომავლის ნათლად მოხაზული უტოპიაც კი, მართალია, მისთვის ნიშანდობლივია „ოცნება განუხორციელებელ იდეალებზე“ (ენგელსი), მაგრამ შილერი ბოლომდე რჩება ფეოდალურ-ბურჟუაზიული სინამდვილის მამხილებლად, თავისებურად ბოლომდე ცდილობს უკეთესი მომავლის შექმნას; იგი არ მოითხოვს კანტის მსგავსად დანიშნულებისაგან დაცლილ, ინდეფერენტულ მდგომარეობაში შექმნილ ხელოვნებას. შილერი ხელოვნებას საზოგადოებრივ ფუნქციას აკისრებს, სწორედ ესაა არსი ხელოვნების დანიშნულებისა შილერის ესთეტიკაში.

გერმანული ენის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 4. II. 1959).

3. Д. Чархалашвили

Вопрос назначения искусства в эстетике Фридриха Шиллера

Р е з ю м е

В теоритических работах Фр. Шиллера ведущее место занимают вопросы „эстетического воспитания“ человека, концепция „морального совершенствования“ общества. В „Письмах об эстетическом воспитании человека“, в статье „О наивной и сентиментальной поэзии“ и в разных философско-литературных очерках Шиллер обосновывает свою идею о связи искусства с историческим развитием общества, связывает вопросы эстетики с социальными проблемами своей эпохи.

Основной задачей искусства Шиллер считает перевоспитание людей в духе гумманности и красоты с целью улучшения „изнутри“ феодально-буржуазного строя.

Придавая чрезмерное значение воспитательной роли искусства в процессе общественного переустройства, Шиллер противопоставляет

эстетическую силу искусства социально-политической борьбе. „Эстетическое воспитание“ человека, „моральное совершенствование“ общества являются, по Шиллеру, путем к политической свободе. Под влиянием красоты, думает Шиллер, люди станут гуманными, справедливыми, настанет царство разума и равенства.

В своих основных эстетических работах Шиллер борется с отдельными положениями философии Канта, в частности, с его учением о красоте как о „чистой“, отвлеченной форме. Автор „Писем об эстетическом воспитании человека“ и „Лекций по эстетике“ пытается доказать, что красота имеет объективную основу в самой действительности.

Шиллер неоднократно подчеркивает, что в условиях феодально-буржуазного общественного строя нет настоящих условий для расцвета искусства и культуры. По мнению Шиллера, в классовом обществе „пока существует антагонизм, человек находится лишь на пути к культуре“. При этом Шиллер вовсе не требует изменения социально-экономических основ существующего общества, считает „всякую попытку такого изменения“ несвоевременной, пока не будет восстановлена внутренняя гармония человеческой личности, пока физический человек „Naturstaat“-а не поднимется до „чистого человека“ царства разума. В этом процессе облагораживания человека главенствующее значение он придает искусству, с помощью которого, по его мнению, вполне возможно возвышение человека до „эстетического состояния“ и этим самым его сближение с царством красоты. В разных теоретических трудах („О наивной и сентиментальной поэзии“, „Письма об эстетическом воспитании человека“, „О возвышенном“, „О трагическом искусстве“ и др.) Шиллер специально исследует возможность „морального облагораживания“ человека с помощью отдельных жанров искусства.

Оставаясь до конца своей жизни противником феодально-буржуазного строя, борцом за человеческое счастье Фридрих Шиллер оказался не в состоянии преодолеть кантовскую болезнь „помечтать о неосуществимых идеалах“ (Энгельс), дуализм кантовской идеалистической философской системы. В поисках преодоления убожества тогдашней немецкой действительности, Шиллер не смог избежать „бегства к кантовскому идеалу“ (Энгельс). Однако в ходе обоснования своей эстетической концепции Шиллер приходит к отрицанию формалистической теории искусства и к утверждению его воспитательного, общественного значения.

Хорошее доказательство этому художественные произведения самого Шиллера, которые, при всей своей противоречивости, служат делу прогресса человечества.

3. შარხაძე

პრაქტიკური გერმანულ ენაში

სახელადი შემასმენელი იძლევა ქვემდებარის დახასიათებას მისი საკვალი ფიკაციო ნიშნის მიხედვით¹. ბოლო დროს გერმანულ გრამატიკულ ლიტერატურაში სახელად შემასმენელს განიხილავენ როგორც მეშველსიტყვიან შესიტყვებას², რომელიც შუა საფეხურს ქმნის ისეთი ტიპის შესიტყვებებს შორის, როგორიცაა თავისუფალი სინტაქსური შესიტყვება (შესიტყვება, რომელსაც ქმნის წინადადების წევრები) და მორფოლოგიზებული შესიტყვება (დროის ანალიზური ფორმა). სახელადი შემასმენელი შედგება მთავარი წევრისა (პრედიკატივი) და მეშველი სიტყვისაგან (მაერთი).

მაერთი ზმნა (sein, werden, bleiben, scheinen) არის განსაკუთრებული ტიპის სიტყვა, რომელიც მეშველ ფუნქციას ასრულებს სახელად შემასმენელში: იგი გამოხატავს პრედიკაციის კატეგორიებს, ქვემდებარეს მიაწერს პრედიკატივით გამოხატულ საკვალიფიკაციო ნიშანს და ამასთანავე თავისი შინაარსით ამ ნიშნის მდგომარეობის ფორმის დახასიათებას იძლევა. სხვა მეშველი სიტყვებისაგან განსხვავებით მაერთი ზმნები მეტნაკლებად ინარჩუნებენ ლექსიკურ შინაარსს და თავისი ელფერი შეაქვთ სახელად შემასმენელში.

რაც შეეხება პრედიკატივს, იგი სახელადი შემასმენლის გრამატიკული და სემანტიკური ცენტრია და მისი თავისებურებების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელადი შემასმენლის ფუნქციური და სტრუქტურული რაობის გაგებისათვის. პრედიკატივის დახასიათება უნდა მოხდეს ორი მიმართულებით: 1. დადგინდეს პრედიკატივის სინტაქტურ-სემანტიკური თავისებურება: მოი-

¹ ტერმინი — „საკვალიფიკაციო“ (შეფასებითი) **квалификационный, оценочный** ნახმარია პირობითად იმ ნიშნის განსაზღვრის მიზნით, რომელსაც სახელადი შემასმენელი დაკრძოდ პრედიკატივი გამოხატავს. ამ ტერმინის აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ სახელადი შემასმენლის ფუნქციის განსაზღვრისას, ჩვეულებრივ მოცემულია ხოლმე ცალკეული განსაზღვრებანი არსებითსახელიანი და ზედსართავსახელიანი შემასმენლებისა, სახელდობრ, არსებითსახელიანი შემასმენელი გამოხატავს სუბსტანტიურ ნიშანს, ზედსართავსახელიანი — თვისებრივს. ხოლო საჭიროა ისეთი განსაზღვრის მოცემა, რომელიც სახელადი შემასმენლის ყველა სახეს მოიცავს, რომელიც ხაზს გაუსვამს სახელადი შემასმენლის ფუნქციის თავისებურებას. ზმნური შემასმენლისაგან განსხვავებით. ჩვენი აზრით, „საკვალიფიკაციო“ შეიძლება მოემსახუროს ამ მიზანს.

² **А. И. Рудьева, Связочные глаголы в современном немецком языке, Москва, 1952.**



ძებნოს საერთო ნიშანი იმ მეტყველების ნაწილებისა და შენაერთებისა რომლებიც გვხვდება პრედიკატივის როლში. 2. აღიწეროს პრედიკატივის მორფოლოგიური თავისებურებანი.

I პრედიკატივის სინტაქსურ-სემანტიკური თავისებურება

საკითხის დასმა — პრედიკატივის მიხედვით სახელად შემასმენელს უპირატესად ორ სახედ ჰყოფენ: პირველია სახელადი შემასმენელი, რომლის პრედიკატივია არსებითი სახელი, მეორე — რომლის პრედიკატივია ზედსართავი (ან ზედსართავი მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვა ან შენაერთი). ზოგ ავტორს მიაჩნია, რომ სახელადი შემასმენლის სემანტიკის სპეციფიკა თანამიმდევრულად შედგენდება არსებითსახელიან შესიტყვებაში, ხოლო ზედსართავსახელიანი შემასმენელი ახლოსაა უფრო ზმნურ, ვიდრე სახელად შემასმენელთან.¹

ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და პრედიკატივებს შორის არსებული განსხვავება თვით შემასმენლის ტიპობრივ განსხვავებამდე დაჰყავს.² უდავოა რომ არსებობს განსხვავება არსებით და ზედსართავსახელიან შემასმენელს შორის, მაგრამ გარდა იმისა, რომ არსებითი სახელი და ზედსართავი უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ზედსართავი ზმნასთან, პრედიკატივის ფუნქციის შესრულების დროს ისინი იძენენ რაღაც ახალს, რაც ორივესათვის საერთოა. პრედიკატივის დახასიათებისათვის ძირითადია არა ის სხვაობა, რაც აჩვენებს პრედიკატივის როლის შემსრულებელ სხვადასხვა სიტყვებს შორის (თუმცა არც ესაა მხედველობიდან გასაშვები), არამედ ის, რაც სინტაქსური თვალსაზრისით საერთოა მათთვის. პრედიკატივის სინტაქსურ-სემანტიკური თავისებურების გახსნა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მოიძებნოს საერთო ნიშანი პრედიკატივის ფუნქციის შემსრულებელ სიტყვებსა და შენაერთებს შორის.

§ 1. პრედიკატივი სახელადი შემასმენლის სემანტიკური ცენტრია

პრედიკატივის ლექსიკური შინაარსი შეადგენს სახელადი შემასმენლის სემანტიკის ძირითად ნაწილს, მეორეი ზმნა მხოლოდ მიუთითებს პრედიკატივით გამოხატული სავნის, მოვლენის ან თვისების ყოფიერების ფორმაზე.

1. Am darauffolgenden Morgen log er, die Schmerzen seien stärker geworden. W. Bredel. Die Söhne. Moskau. 1952. გვ. 152.

მომდევნო დილას მან იცრუა, ტკივილები უფრო გაძლიერდნენო.

¹ იხ. А. И. Рудьева, იქვე, გვ. 62—62, 281.

² „В основном немецкий язык знает, как это и фиксируется многими грамматиками, три типа сказуемых: глагольное (wir arbeiten) и два именных — с существительным (wir sind Arbeiter) и с прилагательным (wir sind groß).“ Вл. Адмони. Структура предложения. Вопросы немецкой грамматики в историческом освещении. Сборник статей. Учпедгиз, 1935, გვ. 10.

ქვემოთაა
ქვემოთაა

2. **Almer ist doch ein gescheiter Mensch.** W. Bredel. 38. რომ ჭკვიანი ადამიანია.

პირველ წინადადებაში **stärker** პრედიკატივი ასახელებს თვისებას, რომელიც ქვემდებარით გამოხატულ საგანს მიეწერება. იგი სახელადი შემასმენლის სემანტიკური ცენტრია: ლაპარაკია იმაზე, რომ ტკივილები უფრო გაძლიერდნენ (ძლიერი გახდნენ).

მეორე წინადადებაში **ist ein gescheiter Mensch** შესიტყვება ქვემდებარით გამოხატულ პირს (Almer) მიაწერს ჭკვიანი ადამიანების რიცხვს. შესიტყვების სემანტიკური ცენტრია პრედიკატივი, ახალი და ძირითადი ძვეს პრედიკატივის სემანტიკაში. ქვემდებარით გამოხატულ პირს შესაძლოა მრავალი თვისება ქონდეს, მაგრამ ამ წინადადებაში **it ein gescheiter Mensch** პრედიკატივით გამოხატული ნიშანი გამოეყოფა სხვა ნიშნებს როგორც არსებითი და მიეწერება მას.

§ 2. პრედიკატივი გამოხატავს ქვემდებარით გამოხატული საგნის ზოგად საკვალიფიკაციო ნიშანს

სახელადი შემასმენლის ძირითად სემანტიკას პრედიკატივი შეიცავს.

1. **Ich will 'nen Besen fressen, wenn dieser Borkhausen nicht ein Spitzel ist.** H. Fallada. Jeder stirbt für sich allein. 22. თავს მოვიჭრი, თუ ეს ბორკჰაუზენი ჯაშუში არ იყოს.

2. **Die Küche war aufgeräumt.** J. Becher. Abschied. 229. სამზარეულო დალაგებული იყო.

3. **Er war guter Laune, es war offenbar.** Th. Mann. Buddenbrooks. Berlin. 1930. გვ. 696. იგი აშკარად კარგ გუნებაზე იყო.

4. **Ein reines Gewissen ist ein gutes Ruhekipfen.** H. Fallada. 15. სუფთა სინიდისი კარგი სასთუმალია.

პირველ წინადადებაში სახელადი შემასმენლის სემანტიკური ცენტრია **ein Spitzel** პრედიკატივი. **ist** მეორით მხოლოდ პრედიკატივით გამოხატული პირის ყოფიერების ფორმაზე მიუთითებს. ქვემდებარე—ბორკჰაუზენი განსწავლული პირია. პრედიკატივი **Spitzel** გარკვეულ მოსაქმეთა ჯგუფის წარმომადგენელს გამოხატავს. ბორკჰაუზენი ერთია, ჯაშუში კი შეიძლება სხვაც ბევრი იყოს. ბორკჰაუზენი მიეწერება ჯაშუშთა ჯგუფს, როგორც სახე გვარს.

ამ წინადადებაში ქვემდებარეც სუბსტანტივურ ნიშანს გამოხატავს და პრედიკატივიც. შედარებით ადვილია ორი სუბსტანტივური ნიშნის შედარების საფუძველზე ვთქვათ, რომელია კერძო და რომელი ზოგადი, რადგან ორივეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი და იგივე განზომილება აქვთ.

უფრო ძნელია ამისი თქმა იმ შემთხვევაში, როდესაც პრედიკატივი არ გამოხატავს სუბსტანტივურ ნიშანს. მეორე წინადადებაში პრედიკატივი **aufgeräumt** გამოხატავს თვისებას, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობის ფორმა არ გააჩნია. ამიტომ თითქოს ძნელია ქვემდებარით გამოხატულ სუბსტანტივურ ნიშანთან მისი შეპირისპირებისას იმის დანახვა, რომ ერთი კონკრეტ-



ტულ ნიშანს გამოხატავს, ხოლო მეორე ზოგადს. მაგრამ პირველ წინადადებაშიც ქვემდებარით გამოხატული საგნის დახასიათება ხდება (როგორცაა მეორეშიც. იქაც პრედიკატივი გამოხატავს განსაზღვრებით ნიშანს (ამ ცნების ფართო გაგებით) და აქაც. განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში ქვემდებარე დახასიათებულია სუბსტანტიურნი ნიშნის, ხოლო მეორეში როგორც ნიშნის მიხედვით. ამ განსხვავებას სინტაქსური თვალსაზრისით არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან ორივე შემთხვევაში ქვემდებარით გამოხატული საგნის დახასიათება ხდება საკვალიფიკაციო ნიშნის მიხედვით: *aufgeräumt* განსაზღვრელია *die Küche* კონკრეტული საგნისა, ისევე, როგორც *ein Spitzel* პრედიკატივი *Borkhausen* ქვემდებარისა. ზედსართავსახელიანი შემასმენელი ქვემდებარის ზოგად ნიშანთვისებას გამოხატავს ისევე, როგორც არსებითსახელიანი შემასმენელი ზოგად სუბსტანტიურ ნიშანს, ხოლო რამდენადაც პრედიკატივი შემასმენლის ცენტრია, იგი იმ ზოგად თვისებას ასახელებს, რომელიც მიეწერება ქვემდებარით გამოხატულ საგანს: *war aufgeräumt* შესიტყვება მიაწერს ქვემდებარეს ზოგად ნიშან-თვისებას, *aufgeräumt*, ასახელებს იმ ზოგად საკვალიფიკაციო ნიშანს, რომელიც მიეწერება ქვემდებარეს.

ისევე სუბსტანტიურ ნიშნებს გამოხატავენ ქვემდებარე და პრედიკატივი მეოთხე წინადადებაში. მაგრამ აქ აღარ ხერხდება ქვემდებარით გამოხატული კონკრეტული საგნის ჩარიცხვა განსაზღვრულ საგანთა ჯგუფში, როგორც ეს პირველ წინადადებაში იყო. ამისი მიზეზი ის არის, რომ თუ თავისთავად ავიღებთ *Gewissen* და *Ruhekissen* სახელებს, შეუძლებელია მათი შეპირისპირებით იმის თქმა, თუ რომელი გამოხატავს უფრო ზოგად ნიშანს (ყოველ შემთხვევაში თავის თავად *Ruhekissen* უფრო კონკრეტულ ცნებას გამოხატავს, ვიდრე *Gewissen*), მაგრამ ამ წინადადებაში, სადაც *Gewissen* ქვემდებარეა, ხოლო *Ruhekissen* პრედიკატივი, ეს სახელები იძენენ ახალ თვისებას მოცემული სინტაქსური ფუნქციის შესრულებისას. პრედიკატივი გამოხატავს ქვემდებარის ზოგად ნიშანს. შემასმენელი განსაზღვრავს ქვემდებარეს, მაშასადამე უფრო ფართოა, ხოლო პრედიკატივი სახელადი შემასმენლის სემანტიკური ცენტრია. მისით გამოხატული ნიშანი ზოგადია ქვემდებარით გამოხატული კონკრეტული ნიშნის მიმართ. *Ruhekissen* გამოხატავს ნიშანს, რომლის მიხედვითაც ხდება *Gewissen* ქვემდებარის დახასიათება. ეს ნიშანი ზოგადია ქვემდებარით გამოხატული ნიშნის მიმართ.

გაქვავებული შენაერთით გამოხატული პრედიკატივი *guter Laune* (წინადადება 3) გამოხატავს იმ თვისებრივ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება ქვემდებარით გამოხატული საგანი. სახელადი შემასმენელი *war guter Laune* ქვემდებარით გამოხატულ საგანს ახასიათებს საკვალიფიკაციო ნიშნის მიხედვით. ამ ზოგად საკვალიფიკაციო ნიშანს გამოხატავს პრედიკატივი.

ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც პრედიკატივის როლში საკუთარი სახელია. შეიძლება კაცმა იფიქროს, როგორ შეიძლება საკუთარი სახელი უფრო ზოგად ნიშანს გამოხატავდეს, ვიდრე ქვემდებარით გამოხატული რომელიმე სიტყვა, მაგრამ ეს ასეა.

1. **Seine Frau ist'ne Xanthippe und imstande, ihm das Leben in der Hölle zu machen.** H. Fallada. 23. მისი ცოლი ქსანტიპეა და ძალა შესწევს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციოს.

2. **War doch auch Zillich mal bloß ein Alwig gewesen.** A. Seghers. Das Siebte Kreuz. Moskau. 1949. გვ. 78. ცილიხიც ხომ ერთ დროს მხოლოდ ალვიგი იყო.

პირველ წინადადებაში პრედიკატივი Xanthippe საზოგადო სახელად ქცეული საკუთარი სახელია. იგი ახასიათებს ქვემდებარით გამოხატულ კონკრეტულ პიროვნებას, როგორც ავ ცოლს.

მეორე წინადადებაში პრედიკატივი Alwig განზოგადებულია და გული-სხმობს იმ წოდების ზოგად თვისებებს, რომლის წარმომადგენელიც იგი არის. წინადადებაში სწორედ ეს ზოგადი თვისებებია წინ წამოწეული და მათი მიხედვით ქვემდებარით გამოხატული საგანი დახასიათებული. აქ ავტორს იმის თქმა სურს, რომ ვესტაბოელი ცილიხი ერთ დროს გლეხი იყო.

ამრიგად რა სიტყვით ან შენაერთითაც არ უნდა იყოს პრედიკატივი წარმოდგენილი, იგი გამოხატავს ქვემდებარის ზოგად საკვალიფიკაციო ნიშანს.

§ 3. პრედიკატივის სინტაქსურ-სემანტიკური

კლასიფიკაცია

ის მეტყველების ნაწილები და შენაერთები, რომლებიც გვხვდება პრედიკატივის როლში, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სინტაქსურ-სემანტიკურ ჯგუფად:

1. სუბსტანტიური ნიშნის გამომხატველი ჯგუფი

აქ ერთდებიან პრედიკატივები, რომლებიც გამოხატულია:

1) უწინდებულო არსებითი სახელით

Nach vier Jahren Arbeitslosigkeit war er 1934 Werkmeister geworden. H. Fallada. გვ. 19. ოთხი წლის უმუშევრობის შემდეგ იგი 1934 წელს ქარხნის ოსტატი გახდა.


Sie ist 'ne gutmütige Frau. H. Fallada. გვ. 19. იგი გულკეთილი ქალია.

Eifersucht ist Albernheit. B. Kellermann. Der Totentanz. 1952. გვ. 188. ეჭვიანობა სისულელეა.

2) ნაცვალსახელით.

Ihr Bruder Wolfgang ist auch so ein Ketzer, wie wir sie eben sind. B. Kellermann. 32. თქვენი ძმა ვოლფგანგი ისეთივე ერეტიკოსია, როგორებიც სწორედ ჩვენა ვართ.

Die Eleganz seines Äußeren blieb dieselbe. Th. Mann. 448. მისი გარეგნობა ისევ ელეგანტური რჩებოდა.



Die Kraft ist **alles**, das ist eine ewige Wahrheit. B. Kellermann. 135.
ძალა რომ ყველაფერია, ეს მარადიული ჭეშმარიტებაა.

2. როგორობისა და თვისებრივი მდგომარეობის
გამომხატველი ჯგუფი

ეს ჯგუფი იყოფა ორ ქვეჯგუფად:

1) როგორობითი ნიშნის გამომხატველი ჯგუფი. აქ ერთიანდებიან: პრე-
დიკატივები, რომლებსაც გამოხატავენ:

a) ვითარების ზმნიზება:

Die Weibslente sind ganz anders. W. Bredel. 143. ქალები სულ სხვა-
ნაირი არიან.

b) ზედსართავი სახელი:

Unvergleichlich schön war der Tag. W. Bredel. 350. შეუდარებლად
ლამაზი იყო დღე.

Die Straße war fast menschenleer. W. Bredel. 185. ქუჩა თითქმის
უკაცრიელი იყო.

c) ზედსართავად ქცეული მიმღეობა:

Wie reizend ist doch ihr Lächeln. B. Kellermann. 53. მაინც რა
მომხიბლავია მისი ღიმილი.

Fabian war so verwirrt, daß ihm keine passende Antwort einfiel
B. Kellermann. 341. ფაბიანი ისე იცოდა დაბნეული, რომ შესაფერი პასუხი
ვეღარ გამონახა.

უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მიმღეობა + sein შენაერთისათვის აღ-
გილის მიჩენა განსაზღვრულ შემთხვევებში ჭირს. საერთოდ მიმღეობის გამო-
ყენება პრედიკატივის ფუნქციაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მიმღეო-
ბის ადიექტივაციასთან. როგორც ცნობილია „მიმღეობა წარმოადგენს ზმნურ
სახელადს ფორმას, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას; ეს მოქმედება მიეწერება
პირს ან საგანს, როგორც მათი ნიშანი, როგორც მათი თვისება, რომელიც
დროში მქლავნდება.“¹ თუ მიმღეობაში სახელადი საწყისი იმარჯვებს, ხდება
მისი გადაქცევა ზედსართავ სახელად.

I მიმღეობის ადიექტივაცია ხდება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუ-
ვალი ზმნებიდან. II—მიმღეობის ადიექტივაციის ერთერთი ნიშანია ის, რომ
შიდილება მისი ხმარება შემასმენლის შემადგენელ ნაწილად.“²

პრედიკატივის ფუნქციაში I მიმღეობას სავსებით დაკარგული აქვს
ზმნური თვისებები და იგი იმავე სემანტიკური თავისებურებით ხასიათდება,
როგორც იტაც ზედსართავი.

¹ Грамматика русского языка, АН СССР, 1952, გვ. 506.

² А. М. Кантор, Пути развития имен прилагательных в современном немецком
языке. Канд. дисс. М. 1952, გვ. 188.

პრედიკატივის ფუნქციაში უფრო ხშირად გვხვდება ზედსართავად ქცეული II მიმღობა. ასეთი პრედიკატივისა და მაერთისაგან შექმნილი შესიტყვება ჩვეულებრივ ექვს არ იწვევს ფუნქციისა და სტრუქტურის მხრივ. გამოწვევის წარმოადგენს მხოლოდ ის შესიტყვება, რომელიც შესდგება II მიმღობისა და sein ზმნისაგან, რომლის განსაზღვრა რიგ შემთხვევებში ძნელი ხდება. კონსტრუქცია მეორე მიმღობა + sein ორნაირად გაიგება, როგორც ვნებითი გვარის განსაკუთრებული ფორმა და როგორც სახელადი შემასმენელი.

„ფორმა sein + II მიმღობა, წერს ე. გულივა, ძველ ზემოგერმანულში ვნებითი გვარის გამოხატვის საშუალება იყო werden ზმნიანი ფორმის პარალელურად. თუმცა უკვე შუა ზემოგერმანულში გამარჯვება, გრიმის გამოთქმით, werden ზმნას დარჩა, მაინც თანამედროვე გერმანულში ნაწილობრივ იხმარება sein ზმნიანი ფორმა როგორც ვნებითი გვარის გამომხატველი.“¹

ამ კონსტრუქციას გერმანული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში უწოდებენ მდგომარეობის პასივს (Passiv des Zustandes). ამასთანავე იგი შეიძლება გავიგოთ როგორც სახელადი შემასმენელი.

მაგ: 1. Aber nun ist der Tod von Ottochen gekommen, und mit Beruhigung spürt Otto Ouangel, wie tief sie davon aufgewühlt ist. H. Fallada. 20. მაგრამ მოვიდა ძვირფასი ოტოს სიკვდილი და შემფოთებით გრძნობს ოტო კვანგელი, რა ძლიერ არის იგი ამით აღელვებული.

2. Sonst aber ist das ganze Buch prächtig geschrieben. K. Marx — Fr. Engels. Briefwechsel. 1 Band. 24. ისე კი მთელი წიგნი შესანიშნავად არის დაწერილი.

3. Er suchte nach Gründen, die den Fremden überzeugen konnten, das Sommertheater sei jetzt geschlossen. H. Mann. Professor Unrat. 37. იგი ეძებდა საბუთს, რომელიც უცნობს დააჯერებდა, რომ საზაფხულო თეატრი ახლა დაკეტილი იყო.

პირველ წინადადებაში თითქოს არის პასიურობის ნიშანი davon, რომელიც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქვემდებარე-განიცდის ვიღაცის ან რაღაცის მოქმედებას. ნამდვილად კი შესიტყვება ist aufgewühlt სახელადი შემასმენელია, რადგან წინადადებაში ხდება ქვემდებარის თვისების პრედიცირება და არა ქვემდებარის მიერ განცდილი მოქმედებისა. ამის შემოწმება შეიძლება კითხვის დასმითაც: wie ist sie? და არა was wird mit ihr gemacht?

მესამე წინადადებაში sei geschlossen აგრეთვე სახელად შემასმენლად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი გამოხატავს საგნის თვისებას და არა მოქმედებას: „თეატრი დახურულია“ და არა „დაიხურა“. ქვემდებარის თვისების პრედიცირება ხდება მეორე წინადადებაშიც, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ წიგნი შესანიშნავად არის დაწერილი, და არა იმაზე, რომ წიგნი დაიწერა.

„მოცემულ შემთხვევებში გადამწყვეტია, თუ ავტორი რას უსვამს ხაზს, წერს ე. გულივა, თუ თვისებას, მდგომარეობას, ე. ი. სახელით გამოხატულ

¹ Гулыга, Страдательный залог в литературном немецком языке. Канд. дисс. Москва, 33. 198.



კატეგორიებს,—მაშინ კონსტრუქცია სახელად მიეკუთვნება. თუ წინააღმდეგობა მოქმედება, რომელსაც ვილაც ასრულებს, თუ ხაზი ესმება მოქმედების დროს, მაშინ კონსტრუქცია მიეკუთვნება ზმნურს.“¹

შეად., Der Artikel war prächtig geschrieben და Als der Artikel geschrieben war, lächelte er zufrieden.

ეს შუალედური ფორმა შეიძლება გავებული იქნას აგრეთვე როგორც Zustandsform: Das Theater ist geschlossen. საგანი იმყოფება განსაზღვრულ მდგომარეობაში მასზე მოქმედების შედეგად (ვილაცამ დაკეტა თეატრი და ახლა იგი დაკეტილია).

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად განიხილავენ sein + II მიმღობა—კონსტრუქციას, როგორც სახელად შემასმენელს.

ზოგჯერ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კონსტრუქცია sein + II მიმღობა სახელადი შემასმენელია, ე. ი. II მიმღობა სავსებით არის ზედსართავად ქცეული. ასეა მაგ., როცა

ა) II მიმღობა დგას ზედსართავით გამოხატული პრედიკატივების რიგში: Er war hager, alt und gebeugt. W. Bredel. 123. იგი იყო გამხდარი, მოხუცი და მოხრილი.

ბ) II მიმღობას ახლავს მნიშვნელობის გამაძლიერებელი ნაწილაკი ან სიტყვა:

Rumpf war äußerst erstaunt. B. Kellermann. 350. რუმბფი უაღრესად გაოცებული იყო.

Die finanziellen Verhältnisse sind natürlich sehr zerrüttet. K. Marx—Fr. Engels. 134. ფინანსური მდგომარეობა, რასაკვირველია, ძლიერ შერყეულია.

გ) II მიმღობის ლექსიკურ მნიშვნელობაში აშკარა გადააზრებაა იმ ზმნურ ძირთან შედარებით, საიდანაც იგი წარმოსდგება. მაგ.: verrückt „შეშლილი“ ზმნიდან verrücken „ადგილიდან დაძვრა, გადაადგილება; gewandt „დახელოვნებული“ ზმნიდან wenden „ტრიალი“; beschaffen „შექმნილი“ ზმნიდან beschaffen „შოვნა“ მოპოვება“.

d) წინდებულისანი არსებითი სახელი

Nichts, überlegte ich, ist ohne Folgen. J. Becher, 153-54. არაფერი არ არის უშედეგო, ვფიქრობდი მე.

აღსანიშნავია, რომ პრედიკატივის ფუნქციაში უწინდებულო არსებითი სახელი სუბსტანტივურ ნიშანს გამოხატავს, ხოლო წინდებულისანი როგორც ბითს. არსებითი სახელი იმ გრამატიკულ საგანს ასახელებს, რომელიც ფლობს თვისებათა კომპლექსს. ზედსართავი კი იმ ერთ განსაზღვრულ თვისებას ასახელებს, რომელსაც საგანი ფლობს. პრედიკატივი—წინდებულისანი სახელი ზედსართავის მსგავსად როგორც ბით ნიშანს გამოხატავს, რადგან წინდებულს

¹ Гулыга, Страдательный залог в литературном немецком языке. Канд. дисс Москва. 33. 70.

მოცემულ შენაერთში შეაქვს თავისი სემანტიკური ელფერი. იგი განსხვავდება ფლობს თუ არა ქვემდებარეში წარმოდგენილი საგანი პრედიკატული ვარსებობითი სახელით გამოხატულ ნიშანს როგორც თვისებას. აქ წინდებულებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ზედსართულ აფიქსებს.

შეად., ohne Tadel და tadellos,
von Nutzen და nützlich.

2) თვისებრივი მდგომარეობის გამოხატველი
ქვეჯგუფი

აქ ერთიანდებიან თვისების ნათესაობით (Genitivus qualitatis), voller + არსებითი სახელით და in წინდებულიანი კონსტრუქციებით გამოხატული პრედიკატივები.

Fabians apathische Stimmung verlor sich rasch während des kurzen Diners, und er wurde bald sogar guter Laune. B. Kellermann. 287. ფაბიანის აპათიური განწყობილება ჩქარა გაქრა ხანმოკლე სადილის დროს და იგი მალე კარგ გუნებაზეც კი დადგა.

Er sei voller Freude und Glück, schrieb er. B. Kellermann. 273. აღსაყვ ვარ სიხარულითა და ბედნიერებითო, წერდა იგი.

Er war in ausgezeichneter Stimmung. B. Kellermann. 190. იგი შესანიშნავ გუნებაზე იყო.

II. პრედიკატივის მორფოლოგიური თავისებურება

§ 1. პრედიკატივი სახელადი შემასმენლის გრამატიკული ცენტრია

პრედიკატივი სახელადი შემასმენლის სემანტიკური ცენტრია. ეს თავის გამოხატულებას ფორმაშიც პოულობს: პრედიკატივი ამასთანავე სახელადი შემასმენლის გრამატიკული ცენტრია.

She war eine Mutter geworden. A. Seghers. 398. იგი დედა გახდა.

Ich bin traurig. H. Fallada. 22. სევდიანი ვარ.

პრედიკატივის როლის შემსრულებელ სახელს (eine Mutter, traurig) დამოუკიდებელი ფორმა აქვს, მაერთი ზმნა არ მართავს მას. ეს საყვებით კანონზომიერია: სახელადი შემასმენელი ახასიათებს ქვემდებარით გამოხატულ საგანს არა იმის მიხედვით, მოქმედებს თუ არა იგი სხვა საგანზე, არამედ მისი საკვალიფიკაციო ნიშნის მიხედვით. სახელადშემასმენლიანი წინადადება გამოხატავს არა ქვემდებარით გამოხატული საგნის მიმართებას სხვა საგნისადმი, არა მის მოქმედებას სხვა საგანზე, არამედ თვით ამ საგნის კვალიფიკაციას იძლევა. ამის შესაბამისად პრედიკატივს დამოუკიდებელი ფორმა აქვს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მაერთმა მისით გამოხატული ნიშანი ქვემდებარეს მიაწეროს.



§ 2. პრედიკატივის ფორმალური ნიშნები

1. ბრუნვა.

ა) სახელობითი

როგორც წესი, პრედიკატივის როლში არსებითი სახელი დგას სახელობით ბრუნვაში.

Es zeigte sich, daß er ein guter Beschreiber war. A. Seghers. 142. აღმოჩნდა, რომ მას კარგად შეეძლო აღწერა.

Er wird vielleicht sogar der richtige Mann sein. H. Fallada. 28. იქნებ იგი ნამდვილი კაციც კი დადგეს.

Die Aufgabe war dieselbe geblieben. A. Seghers. 375. დავალება იგივე დარჩა.

ბ) ნათესაობითი.

საპირისპიროდ აღნომინალური ნათესაობითისა, რომელიც მთელ რიგ ურთიერთობებს გამოხატავს და დამოკიდებული ბრუნვაა, პრედიკატულ ნათესაობითს დამოუკიდებელი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს.

„იმის გამო, რომ თანამედროვე გერმანულ ენაში პრედიკატული ნათესაობითი არაპროდუქტიული ვახდა და აღარ იქმნება მეერთი ზმნების ახალი შესიტყვებანი ნათესაობითში მდგომ არსებით სახელთან, ენაში არსებული ამ ტიპის ყველა შესიტყვება გამყარდა და იხმარება მზა სახით“¹.

Ich bin immer der Meinung gewesen, daß alle Menschen gleich sind. Th. Mann. 289. მე ყოველთვის ვიყავი იმ აზრისა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია.

ამ წინადადებაში პრედიკატივი წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვით. განსხვავებით ატრიბუტული ნათესაობითისაგან, მაგ., der Wunsch der Großmutter (J. Becher. 247). რომელიც დამოკიდებული ბრუნვაა, პრედიკატული ნათესაობითი — der Meinung შემადგენელი ნაწილია der Meinung sein გაქვეავებული შესიტყვებისა, რომელიც ენაში მზა სახით იხმარება, და მას დამოუკიდებელი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს. იგი გამოხატავს საკვალიფიკაციო ნიშანს, რომელსაც მეერთი ქვემდებარეს მიაწერს.

აღსანიშნავია, რომ ძველ ზემოგერმანულში გვხვდება პრედიკატული მიცემითიც.

Thoh sint thie Liuti missilich, fehemo Muate, ubile ioh guate². სხვადასხვანაირი ხალხი არსებობს: ქარაფშუტები, ბოროტები და კეთილები.

2. არტიკლი.

ქვემდებარის როლში არსებით სახელს ხშირად განსახლვრული არტიკლი ახლავს, პრედიკატივის როლში კი განუსახლვრელი. ეს მაშინ ხდება, როცა

¹ А. И. Рудьева, იქვე. გვ. 272—273.

² ნიმუში მოყვანილია წიგნიდან: Becker Karl Ferdinand. Ausführliche deutsche Grammatik. Zweite Abteilung. Frankfurt am Main. 1837. გვ. 24.

პრედიკატივი გამოხატავს უფრო ზოგად ცნებას, რომელშიც ქვემოთაღნიშნული გამოხატული ცნება შედის როგორც სახე გვარში. მაგ:

Von allen Klassen... ist nur das Proletariat eine wirklich revolutionäre Klasse. Das Kommunistische Manifest, 1904. 16. ყველა კლასთაგან მხოლოდ პროლეტარიატი ნამდვილად რევოლუციური კლასი.

პრედიკატივის ფუნქციის შესრულების დროს არსებითი სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული არტიკლით ან უარტიკლოდ, განსაზღვრული არტიკლი იხმარება, როცა

ა) პრედიკატივით გამოხატული ნიშანი დამოკიდებული წინადადებით განისაზღვრება.

Wiederum aber war Christa ja nicht die Frau, der man phantastische Lügen erzählen konnte. B. Kellermann. 276. მაგრამ, მეორე მხრივ, ქრისტა ხომ ისეთი ქალი არ იყო, რომლისთვისაც ფანტასტიკური ტყუილების მოყოლა შეიძლებოდა.

ბ) პრედიკატივი აღმატებითი ხარისხით წარმოდგენილი სახელია.

Außerdem, setzte er hinzu, seien sie von allen arbeitern in Europa die rückständigsten. W. Bredel. 194. გარდა ამისა, ჩაუროთ მან, ჩვენ ვერობაში ყველა მუშაზე უფრო ჩამორჩენილნი ვართო.

არსებით სახელს პრედიკატივის როლში არტიკლი არ ახლავს, როცა იგი

ა) მოსაქმეობას აღნიშნავს

Der Vater, Dr. Heinrich Gastl, war Staatsanwalt. J. Becher, 45. მამა, დოქტ. ჰაინრიხ გასტლი, პროკურორი იყო.

ბ) კოპულატივური შენაერთითაა წარმოდგენილი.

Wenn man die beiden auf der Straße sah, so konnte man nicht eine Sekunde im Zweifel darüber sein, daß sie Mutter und Tochter waren. B. Kellermann. 54. როცა კაცი ორივეს ქუჩაში დაინახავდა, ერთი წუთითაც არ შეეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ისინი დედა და ქალიშვილი იყვნენ.

არტიკლის ხმარება შემასმენლურ არსებით სახელთან დაკავშირებულია არტიკლის პრობლემასთან საერთოდ. არტიკლის სემანტიკური და გრამატიკული ფუნქციების დადგენისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. ერთი და იგივე არსებითი სახელი შეიძლება შეგვხვდეს განსაზღვრული, განუსაზღვრელი არტიკლით ან უარტიკლოდ იმისდა მიხედვით, თუ არტიკლის რომელი სემანტიკური ან გრამატიკული ფუნქცია წამოიწევა წინ. ასე მაგ: თუ არსებითი სახელი გამოხატავს ცნებას, რომელიც მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს ან მოვლენას, ე. ი. წინ წამოიწევა არტიკლის განმაზოგადებელი ფუნქცია, მაშინ იხმარება განსაზღვრული არტიკლი. თუ ცნება გამოხატავს გვარის ცალკეულ, კონკრეტულ წარმომადგენელს, ე. ი. წინ წამოიწევა არტიკლის გამოყოფითი, განმაცალკეებელი ფუნქცია, მაშინ არსებითი სახელი იხმარება განუსაზღვრელი არტიკლით.

ეს ძირითადი ტენდენცია არც თუ იშვიათად ირღვევა: განსაზღვრულ არტიკლს შეიძლება ჰქონდეს გამოყოფითი მნიშვნელობა, ხოლო განუსა-




ზღვრებს განმაზოგადებელი. თავისთავად *der Mensch* და *ein Mensch* მებს, შეიძლება ითქვას, ისეთივე მნიშვნელობა აქვს როგორც *Mensch* მას. არტიკლის სემანტიკური მნიშვნელობა მკლავნდება მხოლოდ კონტექსტში. არტიკლის ფუნქციის გაგება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონტექსტი ვიცით. მაგ.: წინადადებაში *der Mensch muß ehrlich sein* განსაზღვრული არტიკლი განმაზოგადებელ ფუნქციას ასრულებს: *der Mensch* ე. ი. ადამიანი ზოგადად. წინადადებაში *ein Mensch steht da* განსაზღვრულ არტიკლს აქვს გამოცალკეებითი მნიშვნელობა, მაგრამ *ein*-ს შეუძლია ჰქონდეს განმაზოგადებელი მნიშვნელობაც: *ein Mensch muß ehrlich sein: ein Mensch*—ყოველი, თვითიული ადამიანი ე. ი. ყველა ადამიანი.

როგორც წესი, ნივთიერების სახელებთან არტიკლი არ იხმარება, რადგან ისინი აღნიშნავენ ნივთიერებას, რომელიც არ შეიძლება დაიყოს ცალკეულ, ინდივიდუალურ ერთეულებად, ისე რომ არ შეიძლება ლაპარაკი ზოგადსა და კონკრეტულზე, განსაზღვრულსა და განუსაზღვრელზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნივთიერების სახელებთან ხშირად იხმარება არტიკლი. არტიკლის ხმარება ნივთიერების სახელებთან გაპირობებულია იმით, რომ აუცილებელია ხდება ბრუნვის გამოხატვა, ხშირად კი იმით, რომ საუბარია ნივთიერებაზე ზოგადად, ანდა რომელიღაც წინასწარ განსაზღვრულ ნივთიერებაზე. მაგ.: შეად., *Gib mir Wasser!* (საზოგადოდ წყალი როგორც სასმელი ნივთიერება). *Er sprang ins Wasser.* (ბრუნვაა გამოხატული). *Ich trank das Wasser.* (რომელიღაც განსაზღვრული წყალი, ვთქვათ, რომელიც დედამ დამიტოვა) *Ein Wasser habe ich getrunken!* (ისეთი წყალი დავლიე! ვთქვათ ცივი, გემრიელი წყალი).

არტიკლის სემანტიკური და გრამატიკული ფუნქციების ეს თავისებურებანი თავს იჩენს არსებითი სახელის პრედიკატივად ხმარების დროსაც. პრედიკატივს არსებით სახელთან არტიკლის ხმარება ზემოთ მოხაზულია სქემატურად. ამ ზოგად კანონზომიერებებს გამონაკლისებიც აქვს. ასე მაგ: პრედიკატივის როლში არსებით სახელს განსაზღვრული არტიკლი ახლავს, როცა პრედიკატივი დამოკიდებული წინადადებით განისაზღვრება. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც პრედიკატივი დამოკიდებული წინადადებით განისაზღვრება, მაგრამ მას განუსაზღვრელი არტიკლი ახლავს. ჩვეულებრივ, როცა პრედიკატივი მოსაქმეობას აღნიშნავს, არსებითი სახელი უარტიკლოდ დგას, მაგრამ მას არტიკლითაც ვხვდებით.

3. პრედიკატივის უცვლელი ფორმა

უცვლელი ფორმა აქვს პრედიკატივს ზედსართავს, რომელიც ისტორიულად წარმოადგენს მხ. რიცხვის სახელობით ბრუნვას სამივე სქესისათვის არსებით სახელური ბრუნების მიხედვით. მის გვერდით არსებობდა ნაცვალ-სახელური ფორმებიც. (mhd blint ერთი მხრივ, blinter, blintiu, blinter, მეორე მხრივ). ძველ ზემოგერმანულში არ იყო ზედსართავის ბრუნებადი და უცვლელი (უბრუნველი) ფორმების სინტაქსური დიფერენციაცია. მაგ: ბრუ-



ნებადი ფორმა იხმარებოდა როგორც განსაზღვრების ისე პრედიკატივის ფუნქციაში.

Ih sagen iu mihhilan gifehon.¹ მე გეტყვით თქვენ დიდ სასიხარულო ამბავს.

Siu uuarun rehtiu beidu...² ორივე მართალნი იყვნენ...

მაგრამ შეინიშნებოდა ტენდენციები ატრიბუტული ზედსართავის ბრუნებადი ფორმით, ხოლო პრედიკატული ზედსართავის უბრუნველი ფორმით ხმარებისა. შუა ზემოგერმანულში პრედიკატული ზედსართავი ბრუნებადი ფორმით აქა-იქა და გვხვდება. მას უმრავლეს შემთხვევაში უცვლელი ფორმა აქვს. ახალ გერმანულში, როგორც წესი, პრედიკატულ ზედსართავს უცვლელი, უბრუნველი ფორმა აქვს:

Das Leben ist **erfinderischer** als der größte Dichter. W. Bredel. 183.
ცხოვრება უფრო საზრიანია, ვიდრე უდიდესი პოეტი.

გერმანული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 15. IX. 1958)

В. В. Пурцеладзе

Предикатив в немецком языке

Резюме

Именное сказуемое определяет предмет-подлежащее по его квалификационному (оценочному) признаку.

Именное сказуемое это словосочетание особого типа, основным членом которого является предикатив, а служебным — связка.

Связка (sein, bleiben, werden, scheinen) — это полужнаменательный глагол, выполняющий в именном сказуемом служебную функцию: она приписывает своей формой предмету, выраженному подлежащим, квалификационный (оценочный) признак, выраженный предикативом, и характеризует своей семантикой форму состояния этого признака.

¹ Der althochdeutsche Tatian. И. С. Чемоданов. Хрестоматия по истории немецкого языка. Москва. 1953. 83. 27 6, 2.

² Der althochdeutsche Tatian. იქვე. 83. 26. 2, 2.



Обычно именное сказуемое делят на два вида: первый вид — с существительным в роли предикатива, второй — с прилагательным в той же роли. Некоторые исследователи считают, что специфическая семантика именного сказуемого последовательно проявляется в сочетании с существительным. Более того, иногда различие между видами предикативов доводится даже до типового различия самого сказуемого.

Не подлежит сомнению, что существует некоторое различие между сказуемым с существительным в роли предикатива и сказуемым с прилагательным в роли предикатива, что объясняется самим отличием существительного от прилагательного. Но выполняя функцию предикатива, они приобретают нечто новое, общее. Поэтому для характеристики предикатива основным является не различие между разными частями речи, а то, что является общим для них с синтаксической точки зрения.

Синтаксико-семантическую особенность предикатива образуют следующие признаки:

1. Предикатив — семантический центр именного сказуемого. Лексическое содержание предикатива составляет основную часть семантики именного сказуемого.

2. Предикатив выражает общий квалификационный (оценочный) признак предмета, выраженного подлежащим, какими бы частями речи (или группами слов) он бы ни был представлен.

Предикативы можно разбить на следующие синтаксико-семантические группы:

1. Предикатив выражает субстантивный признак, приписываемый предмету, выраженному подлежащим.


В этой группе объединяются предикативы, представленные существительным без предлога и местоимением.

2. Предикатив выражает свойство и качественное состояние предмета, выраженного подлежащим.

а) Группу, выражающую свойство, составляют предикативные прилагательные, адъективированные причастия, качественные наречия и предложные группы.


б) Качественное состояние выражают: *Genitivus qualitatis, voller* + существительное, *in* + существительное.

Предикатив — семантический центр именного сказуемого. Это находит свое выражение в форме предикатива, и к тому же он грамматический центр именного сказуемого. Предикативные имена существительные имеют независимую форму, связочный глагол не управляет ими. Как правило, предикативные существительные и местоимения стоят в именительном падеже. Предикативное существительное может иметь и форму родительного падежа, но и он имеет независимое значение.



Как правило, предикативное существительное стоит с неопределенным артиклем. Но оно может стоять с определенным артиклем или вовсе без артикля. Вообще, семантические и грамматические особенности артикля сказываются и в употреблении существительного в функции предикатива.

В отличие от атрибутивного прилагательного предикативное прилагательное имеет краткую форму. В древневерхненемецком еще не было синтаксической дифференциации кратких и полных форм прилагательного. Так, напр., полную (склоняемую) форму могли иметь как определение, так и предикатив. Но уже замечалась тенденция к употреблению атрибутивного прилагательного в склоняемой форме, а предикативного — в краткой форме. В средневерхненемецком реже встречаются склоняемые формы предикативных прилагательных. В нововверхненемецком они, как правило, имеют краткую форму.



Н. К. Орловская

Итальянский материал в словаре Сулхан-Саба Орбелиани¹.

Словарь Сулхан-Саба Орбелиани—этот ценный памятник грузинской лексикографической литературы XVIII века, представляет собой сложный и многосторонний труд. Главная его задача—это толкование грузинских слов. Для этой цели автор, прекрасный знаток своего родного языка, изучал различные письменные памятники, сравнивал тексты одних и тех же сочинений на разных языках, разыскивал неясные ему по смыслу слова по словарям разных народов. Толкованию слов служат объяснения их на грузинском языке, иногда более краткие, иногда очень подробные и развернутые.

Но, помимо такого грузинского текста, автор внес в свой словарь параллельный ряд слов на армянском, турецком и итальянском языках.

Эти иностранные переводы представляют большой интерес, дополняя в отдельных случаях толкование грузинских слов. На это указывают все издатели словаря. Писатель Р. Д. Эристави, вовсе не включивший в свое издание параллельных текстов, писал в своем предисловии „ამ ლექსიკონის დანიშნულება არის ახსნა და განმარტება ქართულისავე გაუგებარის სიტყვებისა და იმისათვის კი არ გაუწევია შრომა საბა-სულხან ორბელიანს, რომ ჰქონდა აზრათ თარგმნა ქართულის სიტყვებისა სხვა ენებზედაც“².

А. Г. Шанидзе в предисловии к своему изданию словаря отмечает особое значение иностранного материала для толкования грузинских слов и, в первую очередь, для понимания ряда ботанических, зоологических и других терминов, оставленных в словаре без специальных объяснений. „ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს უპირველეს ყოვლისა ქართული სიტყვების მნიშვნელობათა დადგენისათვის“³,—пишет он.

¹ Доклад, прочитанный 8 октября 1959 г. на I научной сессии Института Рукописей Академии Наук Грузинской ССР, посвященной 300-летию со дня рождения Сулхан-Саба Орбелиани.

² ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, გამოცემული რაფ. დ. ერისთავის რედაქტორობით, თბილისი, 1884, გვ. XV.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. XVII.



На это же явление указывает и С. Иорданишвили: „ირვეცხე ქონაში სიტყვათა უმრავლესობას, რომელსაც ქართულ ნაწილში სათანადო ანსნა-განმარტება არ მოეპოვება და მხოლოდ წყაროებზე აქვს მითითება, თუ საიდან არის იგი ამოღებული, სათანადო შესატყვისი აქვს მიწერილი უცხო (სომხურ-თურქულ-იტალიურ) თარგმანებში. ხშირად უცხო თარგმანი ზედმიწევნით განვეიმარტავს ქართულ ნაწილში აუხსნელად დატოვებულ ამა თუ იმ სიტყვას“¹.

Однако, помимо подобных функций толкования грузинских слов, самый факт включения в словарь иностранного материала указывает на интерес автора к языкам других народов; в то же время, при бедности лексикографической литературы в те времена, подобные параллели могли, в известной мере, выполнять функции переводного словаря.

Итальянские переводы приписаны не ко всему грузинскому ряду слов, но к небольшой его части (всего их в словаре, по подсчету С. Иорданишвили, 1486) и имеются не во всех редакциях. Они вписаны в „В“ редакцию словаря², над которой Сулхан-Саба работал во время пребывания за границей. Как и другие иностранные слова, итальянские параллели словаря пополняют в известной мере толкование грузинских слов. Но кроме того они служат свидетельством интереса автора к культуре западного мира в период его пребывания за границей и активной дипломатической деятельности в Европе. Итальянский материал явился своеобразным дополнением к словарю и представляет значительный интерес для изучения.

Трудно точно определить, какие категории слов привлекли внимание автора, а какие остались без перевода на итальянский язык. Можно отметить, что в итальянских переводах много названий материалов и драгоценных камней, много ботанических, зоологических, медицинских терминов, слов церковно-религиозного содержания. В то же время, здесь встречаются совершенно простые и употребительные слова разговорной, живой речи. Среди переведенных на итальянский язык слов есть такие, которые не имеют объяснений в грузинском тексте. В числе подобных примеров можно встретить как слова бытового характера, так и менее употребительные названия и термины, например: ავეანდა, ვარდკაქაჟა, თურინჯი, თოფის-წამალი, კოკისანღლებელი, ლიმო, პერანგი, სამხარეულო, სტუმარი и т. д.

Часто итальянские параллели не даются к словам восточного или греческого происхождения, а также к тем словам, при объяснении которых автор ссылается на грузинские источники. Значительно меньше, чем в грузинском, дается на итальянском языке глаголов и глагольных форм. Здесь переведены лишь немногие из личных глагольных форм, которыми пополнял Сулхан-Саба свою заграничную редакцию словаря. Значительно

¹ სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949, გვ. XXI.

² Единственный автограф в фондах Института Рукописей Н—1658.

меньше дается и производных. Из группы синонимов, или близких по значению слов, итальянский перевод, обычно, дается лишь к одному слову. Так, например, „არწივი“ имеет перевод „aquila“, но „ორბი“, „ფსოვი“, „ბაზი“ остаются без перевода. Смысловые гнезда, приведенные в грузинском тексте, не передаются на итальянский, где дается только одно, основное значение разбираемого слова, например, ქვა—sasso; აბოხტი—presciutto; ქარი—vento, ნავი—nave и т. д. Иногда из группы слов переводится даже не основное, но более частное название, например, ვარია—pollastro, но „ქათამი“ остается без перевода; ავთრათი—polizza, но слово „წერილი“ не имеет итальянского перевода. В итальянском тексте, как правило, не дается синонимов к переводимым словам, к каждому слову грузинского текста дается лишь одно итальянское значение. Можно привести лишь несколько случаев, когда в переводе указано не одно, но два однозначных или близких по значению слова, например, თავი—capo, testa; თრთული—pruina, gelo.

Некоторые итальянские слова из приведенных в словаре переводов встречаются в то же время и в грузинском ряде слов, например,

აკაური, — ჩინუბე.

ჩინი, — სხუთა ენა, აკაურს ჰქვია, კარაბსა.

მოციქული — აბსტოლოს.

აბსტოლოს (უცხ.) — მოციქული, გინა დესპანი.

სანთელი — კანდელა.

კანდელი—ფრანგულია¹, სანათი ჰქვია.

Перевод грузинского ряда слов на итальянский язык в основном дается в словаре правильно. Случаев значительного смыслового расхождения или неправильного перевода — встречается не много, например, ანგარიშობა; „capo“ значит „голова, начало, статья, параграф, пункт“, вместо правильного перевода слова как „conto“ — счет.

Чаще бывают в словаре случаи, когда перевод дает не основное значение, а более отдаленное по смыслу слово, например: ბალიში—carezzale (изголовье), вместо cuscino (подушка); მდინარე—corrente (поток), вместо fiume (река). Слово „ავთრათი“ переведено как „polizza“, но к его синониму „ბარათი“ приписано „lettera“ (письмо); слово же „წერილი“, которое следовало перевести как „lettera“, оставлено без перевода.

На итальянский язык переводятся в словаре различные морфологические категории, как изменяемые, так и неизменяемые части речи. Следует отметить, что, в основном, грузинский ряд слов получает правильную передачу в соответственных частях речи итальянского языка.

Однако, строгой системы записи в словаре изменяемых частей речи не наблюдается. Существительные, как правило, даются в единственном числе и без артикля, но в некоторых случаях артикль оставлен и написан слитно с существительным: წვიმა-ლაპიოჯა (la pioggia), ქუბილი-ილ-

¹ Слово итальянское (candela), по французски chandelle.

ტუნო (il tuono), სეტყუა-ლაგრანდინე (la grandine), ჰაერი-ლარი (l'aria).
 Прилагательные приведены в единственном числе мужского рода, но иногда
 да встречаются и в женском роде: მაგარი — duro, მართალი — vero, ღია —
 aperta.

Есть случаи, когда грузинский пример передается на итальянский
 другой частью речи: прилагательное-существительным (არაწმინდა — lussuria),
 глагол-наречием (სირბილი — presto), существительное-глаголом (ვახშამი —
 cenare), причастие—существительным (დაცომილი — indigestione).

Глагол, как известно, встречается в словаре Сулхан-Саба Орбелиани
 в различных формах. Они находят свое отражение в итальянских перево-
 дах. Наиболее характерная для словаря форма масдара передается итал-
 янским инфинитивом: ბრძანება — comandare, დადება — mettere, გაღვიძება —
 svegliare, გაყოფა — spartire, დავიწყება — scordare, ზელა — stropicciare, თუ-
 ალვა — contare.

Временные формы глагола тоже переводятся на итальянский в соот-
 ветствующих временах: настоящее время ვწერ — scrivo, ვძებნი — cerco,
 ვმსახურობ — servo (Presente); будущее ვნახავ — vedrò (Futuro); прошедшее
 совершенное აფიცა — ha giurato, იარა — ha camminato (Passato Prossimo).

В словаре переводятся на итальянский формы возвратных глаголов,
 а также делается попытка передачи на итальянский язык некоторых гру-
 зинских глагольных форм, содержащих определение субъекта и объекта:
 იტანჯა — სეფატიკათო (s'è faticato); ახარა — ლარეგრატო (l'ha allegrato),
 იპოვა — ლატროვატო (l'ha trovato).

Но не всюду соответствие соблюдается в переводах правильно, и в
 отдельных местах встречаются расхождения: ასესხა-იმპრესტატო (impresta-
 to — Participio Passato), ვმადლობ-გრინგრატიარე (ringraziare — Infinitivo),
 ვტყუე — ომენტიტო (ho mentito — Passato Prossimo).

В текст словаря итальянские слова вписаны грузинскими буквами,
 запись сделана по фонетическому принципу, исходя из произношения каж-
 дого слова. Однако, единой системы транскрибирования в итальянском ма-
 териале не наблюдается. Поэтому одни и те же итальянские звуки полу-
 чают разное выражение в грузинской записи словаря. Так, например,
 итальянское „р“ передается, как „პ“ или „ფ“: ატამი—პერსიკო (persico);
 ვცოდვ—ფეკო (pecco).

„t“ передается как „ტ“ или „თ“: აქვა — ვოტო (voto); ასი — ჩენტო
 (cento); თავი—თესტა (testa).

Аналогично с этим встречается в записях наряду с „კ“ и „ქ“: ავშა-
 რა—კავეცა (cavezza); ბრძანება—ქომანდარე (comandare).

„f“ выражается четырьмя способами, как „ვ“, „ფ“, „ფ“, „ფ“; თივა—
 ვენო (fieno); ლუმბა—ვეროდეკავალო (ferro di cavallo); ასული—ფილია (fig-
 lia); ავაჯი—კანთოუერმო (canto fermo).

„сі“, „се“ в большинстве случаев передаются как „ჩ“, но иногда встречаются „ჭ“ и даже „ჯ“; ასი—ჩენთო (cento), ახლო—ვიჩინო (vicino), ალვისხე—ჭიპრეს (cipresso), კოცნა—ბაჯარე (baciare).

В тексте встречается замена одного звука другим, близким по звучанию: რ-ლ (დანა—კორთელო—coltello), მ-ფ (აღვიარება—კომფესიონე—confessione), დ-თ (გუშინწინ—ავანდიერი—avantieri), ბ—პ (ეტრატო—ბერგამენა—pergamena).

В иных случаях отдельные звуки бывают пропущены или переставлены: დესპანი—ბაშათორე—ambasciatore; ბელატი—ქალოვ—calvo.

Дифтонги итальянского языка передаются в записи не одинаково: „io“—как „ო“, „უო“ (კაცი—ომო—uomo; გული—კუორე—cuore); „ie“ как „იე“ и иногда как „ი“ (გუშინ—იერი—ieri; თაფლი—მილე—miele).

Удачнее передается в грузинской записи смягчение „gn“—как „ნი“: ბატონა—სინიორა—signora; ვენახი—ვინია—vignia.

Удвоение согласных, как правило, не передается в грузинской транскрипции, но в иных случаях оно бывает оставлено: ერბო—ბუტირო—butiro; დაი—სორელა—sorella; ზიანი—დანო—danno; აკვანი—კულა—culla.

Итальянский ряд слов словаря не является вполне однородным по своему лексическому и фонетическому составу. В нем заметны некоторые заимствования из других языков. Так, некоторые слова греческого происхождения внесены сюда не с итальянскими, но с греческими окончаниями:

ამიანტოს—ამიანტოს	вместо итальянского	amianto.
ვარხვი—ფელიკანოს	“ “	pellicano.
ბოციქული—აპოსტოლოს	“ “	apostolo.

„ყარყატი“ имеет перевод „ეროლიონემ“, но в объяснении к этому слову Сулхан-Саба пишет: „ესე არს რომელსა ბერძენნი „ეროლიოს“ უწოდენ“.

В переводах грузинского ряда слов среди итальянских встречаются иногда и латинские слова. Так, დედა—მათერ скорее является латинским словом „mater“, чем итальянским „madre“. Иногда дается в переводе и латинское, и итальянское обозначение: ავი—მალუს, კათივო (malus, cattivo); კრავი—აგნუს, ანიელო (agnus, agnello).

В отдельных словах наблюдается смешение элементов латинских и итальянских. Так, „აკაური“ имеет в итальянских параллелях „ჩინუმე“. Такого слова в итальянском нет. Однако, в грузинском объяснении к одному из синонимов этого слова написано следующее: ასპუჰაკი (ფრინ.) რომელსა ლათინურად ჩინუმ ეწოდების. Т. о. слово „ჩინუმე“, стоящее в ряду итальянских параллелей, оказывается, по словам самого автора, латинским названием. Но латинский язык не имеет звука „ჩ“, он взят с итальянского. Приведенное слово представляет своеобразное сочетание латинского „cug-



pus“ и итальянского „signo“. В грузинском ряде слов оно как „ხობო“.

В словаре можно заметить и некоторые заимствования из французского языка, например, აბბა—ბა—mât (вместо итальянского albergo); თუ—სი—si (итальянское se); в отдельных случаях некоторое смешение фонетических элементов, например, замена итальянского „ш“ звуком „с“: აბბა—ლგბა—სენსიონი и т. п.

Тот факт, что в итальянском материале словаря встречаются элементы из других языков, вовсе неудивителен. Латинскими и греческими источниками Сулхан-Саба пользовался еще в Грузии, с этими языками он столкнулся раньше, чем с итальянским и, естественно, что он мог внести отдельные слова, или употребить окончания и формы более знакомых ему языков.

Что касается французского, то его, очевидно, писатель не знал, во всяком случае, до отъезда за границу. Поэтому с французом аббатом Ришаром, с которым он поехал во Францию, он по-французски не объяснялся. Как пишет Сулхан-Саба в письме к графу Понтшартрену о Ришаре „რადგან მან ყიზილბაშური-თათრული კარგად იცის, ამის სიტყვას უკეთ შევიტყობ და ჩემსა ეს შეიტყუებს“¹.

Но общение с Ришаром, путешествие по Франции, наконец, длительное пребывание в Константинополе в доме французского посла, где Сулхан-Саба закончил переписывание новой редакции своего труда, могло ознакомить его с отдельными французскими словами и строем языка, что и оставило свой след на некоторых лексических и фонетических элементах словаря.

* * *

Сулхан-Саба Орбелиани занимался работой над словарем на протяжении многих лет своей жизни. Он начал эту работу в 1685 г. и продолжал ее до конца своих дней. Но в первых вариантах словаря, составленных до поездки в Европу, итальянских переводов еще не встречается. Интересно, однако, отметить следующий факт. В приложении к некоторым ранним автографам имеются названия знаков Зодиака на разных языках, в том числе и на латинском; но под этой рубрикой стоят названия не в латинских, а в итальянских формах и произношении.

¹ Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France, recueillis par M. Brosset jeune.

Nouveau Journal Asiatique, 1832, t. IX, p. 343—344.

Вот несколько примеров¹:

В словаре Сулхан-Саба		по-итальянски	по-латински
ვერძი	არიეთე	Ariete	Aries
კურო	თავრო	Tauro	Taurus
მარჩბივი	ჯემინი ²	Gemini	Gemini
ლომი	ლიონი	Lione	Leo
ქალწული	ვერჯინე	Vergine	Virgo
ღრიანკალი	სკორპიონე	Scorpione	Scorpio
მშვილდოსანი	საჯიტარიო	Sagittario	Sagittarius

Такие названия Сулхан-Саба мог получить от итальянских миссионеров в Грузии, с которыми он был связан. Известно, что он еще до поездки за границу перешел в католицизм. В доведении к министру Торси от 17 ноября 1713 г. миссионер Ришар писал, что Сулхан-Саба уже „несколько лет как вступил в орден св. Базилия“³, а в архивных материалах тосканских миссионеров, относящихся ко времени пребывания писателя за границей, говорится о том, что он более 20 лет назад принял католицизм от католических миссионеров в Грузии⁴.

Эта дата может быть несколько преувеличена, но вопрос о точном времени перехода писателя в католицизм не имеет непосредственного отношения к теме данной работы. Необходимо лишь подчеркнуть, что связи с итальянскими миссионерами он поддерживал на протяжении многих лет до своей поездки за границу. Эти связи могли быть вызваны как политическими, так и филологическими интересами. Как известно, Сулхан-Саба принадлежал к числу тех деятелей Грузии, которые в тот период обращали свои взоры на запад в надежде получить отсюда защиту от притеснений своих восточных мусульманских соседей. Как связывающее звено с Европой миссионеры могли быть весьма полезны, давая нужные сведения и информации и оказывая помощь в установлении дипломатических контактов Грузии с западным миром. С миссионером Ришаром поехал Сулхан-Саба за границу и во время пребывания в Европе тоже пользовался помощью миссионеров.

Но помимо этого, миссионеры могли быть для автора словаря источником информации по интересовавшим его вопросам филологии и могли

¹ Приведено из авторизованного списка словаря Сулхан-Саба Орбелиани (фонд Института Рукописей Q-400).

² Интересно отметить, что в то время как здесь это итальянское слово вписано вполне точно как „ჯემინი“, в тексте словаря оно очень искажено: მარჩბივი — ჟემელო.

³ Письмо Ришара приведено в книге მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ. 1902, გვ. 729.

⁴ Там же, стр. 328.

оказывать помощь в использовании источников на европейских языках. Сближение с миссионерами считает К. С. Кекелдзе одной из ~~важных~~ частей той почвы, на которой развился и вырос писатель¹.

Будучи в контакте с итальянскими миссионерами, Сулхан-Саба мог пользоваться их помощью как в отношении использования материалов на латинском, так и на итальянском языке. Но к итальянскому лексическому материалу до своей поездки в Европу он не прибегал. Итальянские параллели были внесены автором в „В“ редакцию словаря, над которой он работал в годы пребывания за границей и заканчивал в Константинополе, как указано самим писателем, с 10 августа 1715 по 20 января 1716 г.

Поездка по Европе явилась важным моментом в творческой биографии Сулхан-Саба, дала ему много новых впечатлений, познакомила с культурой и искусством западного мира. Подробное описание в „Путешествии“ церквей и дворцов, которые он посетил в Италии, построек и росписей, которые он видел, явно показывает, какое сильное впечатление произвели на него памятники искусства и жизнь Италии XVIII века. Восхищение памятниками и ценностями Рима ясно звучит в его описаниях: „დაიჯერეთ, რომი ასეთია. ას წგელს სულ იაროს კაცმა მის საკვირველებას ვერც გაუვიდეს ვერც დაასრულოს. მაგრამ მე რასაც შევიძლებ, ჩემს ნახულს მართალს დავწერ“².

Путешествие должно было стимулировать интерес писателя к Италии, к ее языку и способствовать проникновению итальянского лексического материала в его работу. Сулхан-Саба повез с собой в Европу список словаря и продолжал пополнять его новыми источниками, которые он нашел за границей. Здесь он, очевидно, смог использовать словари греческие и латинские, которых, по словам самого автора, он не имел в начале своей работы над словарем. Для объяснения трудных слов мог использовать он в Италии и итальянские словари. В ранней редакции словаря нет упоминания об использовании материалов на итальянском языке. Такие указания появляются в более поздних списках, относящихся ко времени после путешествия автора в Европу. Как пишет сам Сулхан-Саба „ხოლო რაოდენ ძალმედვა, ვეცადე ელლენთა, ლათინთა, იტალიათა, სომხურთა, რუსთა, არაბთა წიგნებთაგან შემოწმებთა გარდმოვიღე და უმრავლესი დამიშთა“³.

¹ „შთამომავლობა ორბელიანთა გვარიდან, რომელშიაც მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებს, სიახლე და ნათესაობა სამეფო კართან, რომელიც იმ დროს ლიტერატურულ-კულტურული მუშაობის ცენტრად ითვლებოდა, დაახლოება კათოლიკე მასიონერებთან და დიდი ბუნებრივი ნიჭი—აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა სულხანის სულიერი ფიზიონომია“.

ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1958, გვ. 451.

² სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, თბ. 1940, გვ. 30.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ანდერძნაზავი. Автографы словаря из фонда Института Рукописей А — 75, А — 1473.

Упоминания о работе автора над словарями во время пребывания в Европе можно найти в его „Путешествии“. Так, например, в своих описаниях он перечисляет много строительных материалов, из которых построены те или иные здания, которые он осматривал, минералов и драгоценных камней, которые он видел в инкрустациях и украшениях. Упоминая об амIANте, он тут же делает пояснение о нем, показывающее, что свои наблюдения он проверял по соответствующим источникам. „ამიანტოს ჰქვიათ. წიგნებში ჰყვად არა სწერია, ხედ სწერია“¹.

Словари, по которым работал Сулхан-Саба могли быть на разных языках, как на латинском, так и на итальянском. Итальянскими словарями мог автор пользоваться не только в Италии, но и в Грузии. Как пишет Е. П. Метревели „საბას ხელთ შეიძლება ჰქონდა არა მარტო ლათინური განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონებიც, ვინაიდან ლათინ მისიონერთა მოღვაწეობის გაძლიერებასთან ერთად ქართულ საზოგადოებაში იზრდებოდა მოთხოვნილება ამგვარ ლექსიკონებზე“².

Трудные, неясные по смыслу слова Сулхан-Саба проверял по словарям, по различным источникам, а также по переводам одних и тех же текстов на разных языках. Эти тексты, в том числе и на итальянском языке, тоже могли быть в руках автора и могли помочь ему в деле уточнения лексического состава его словаря.

Но откуда Сулхан-Саба внес в свой словарь итальянские переводы, взяты ли они из источников, как результат сличения параллельных текстов, перенесены ли они из словарей или взяты из устной речи? Прямого ответа на такой вопрос сам автор ни в своем словаре, ни в „Путешествии“ не дает. Но анализ его работ, а главное анализ самого итальянского материала словаря позволяет сделать некоторые наблюдения по этому вопросу.

Что касается источников, по которым Сулхан-Саба мог вести свои наблюдения, то, в первую очередь, он мог использовать священное писание, текст которого более точно совпадает в различных переводах. Действительно в „В“ редакции, как отмечает в своей работе Л. Кутателадзе, „წყაროებზე მითითება გაზრდილია უმთავრესად ბიბლიის ხარჯზე“³.

Самостоятельно или с помощью какого-либо консультанта Сулхан-Саба сличал отдельные тексты на разных языках, находя нужное ему место и определяя его значение. Этим путем он достигал уточнения смысла

¹ სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, გვ. 79.

² ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტორადიკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX — В. 1956, გვ. 17.

³ დიდი ქუთათელიძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები. თბ. 1957, გვ. 72.



отдельных грузинских слов. Если такое сличение производил автор не только с латинским, но и с итальянским текстом, то из этого сравнения могли попасть в словарь отдельные итальянские переводы.

Однако, анализ итальянского материала не дает оснований для такого предположения.

Сравнение источников, указанных автором в „В“ редакции, в большинстве случаев не дает совпадений с теми переводами, которые приводятся в словаре.

Например:

ავაზაკი (მათე 27, 38) — ასასინო (assassino). Allora furono crocificis-
მაზინ ჯუარს-აცუნეს მასთანა ორნი si con lui due ladroni.
ავაზაკნი.

ბელეკონი (1, 30 ესაია) — ტერე- Perciocchè voi sarete come una
ვინთო (terebinto). — რამეთუ იყუნენ quercia di cui son cascate le fog-
ვითარცა ბელეკონი განწყრელი lie.
ფურცელთა.

Но даже в случаях совпадения перевода, итальянские слова едва ли взяты из итальянских источников, ибо они стоят часто в других, измененных формах. Рассмотрим для примера ссылки и объяснения автора к слову „მკვრცხლ“. В итальянских параллелях словаря к нему приписано слово „პიდესტრას“. Но в пояснении к слову автор пишет: „მკვრცხლ, რომელი წერილ არს მათეს 14, 13; მარკ. 6, 33, რომელსა ლათინურად ეწოდების პიდესტრას“.

Т. о., по объяснению самого автора, слово, приведенное в переводе, взято с латинского. Сравним его с указанными в словаре источниками.

Грузинский текст. Итальянский текст. Латинский текст.

და ვითარცა ესმა ერსა მას, E le turbe, uditolo, lo quum hoc audisset tur-
მიჰსდევდეს მას მკვრცხლ seguitarono a piè dal- ba, pedibus sequuta
ქალაქებისაგან. (მათე 14, le città. est eum ab urbibus.
13)

და მკვრცხლ ყოვლისა- e accorsero là a piè. pedibus ex omnibus
გან ქალაქებისა შეჰკრბა მუნ civitatibus concurrerunt
და მოვიდეს მათდა. (მარკ. illuc.
6, 33)

Как видно из сравнения текстов, перевод, стоящий в словаре, не взят буквально ни из итальянского, ни из латинского перевода Нового Завета, хотя приведенное слово и происходит от того же корня. (По-латински „пеший“ — pedestes, tris, tre; по-итальянски — pedestre).

Обратимся к другому источнику, по которому мог составлять Сулхан-Саба свои итальянские переводы, — к вопросу о словарях. Использовал ли

он имевшиеся к тому времени грузино-итальянские словари в работе над итальянским материалом.

Во времени пребывания писателя за границей существовал только один, изданный в 1629 г. в Риме, словарь Паолини и Ирбаха. Но, помимо этого, миссионеры, работавшие в Грузии, составляли свои пособия и словари для изучения грузинского языка. Такой италяно-грузинский рукописный словарь, датированный 1724 г., хранится в фондах Института Рукописей (Q—500). Есть сведения и о более ранних работах миссионеров в этой области, которые могли быть в руках писателя. Так, по свидетельству Ламберти, в первой половине XVII века составил грузинскую грамматику Антонио Джардина, во второй половине века капуцин Бернардо-Мария Неаполитанский составил словари грузино-итальянский и италяно-грузинский¹. Но сомнительно, чтобы Сулхан-Саба пользовался этими материалами при составлении своего итальянского ряда слов. Во-первых, писатель работал над итальянским материалом за границей, куда он едва ли повез бы с собой из Грузии рукописные словари миссионеров. А, во-вторых, если бы он руководствовался материалом подобных словарей, то его итальянский ряд слов был бы более полным и содержал бы больше разговорных, общеупотребительных слов, чем специальных названий и терминов.

Именно подобного рода различие бросается в глаза при сличении итальянского материала словаря Сулхан-Саба Орбелиани с грузино-итальянским словарем Паолини.

Этот словарь мог быть в руках автора и за границей, и в Грузии. Миссионеры, приезжавшие в Грузию, привозили с собой новые экземпляры этого словаря даже в начале XVIII в. Так, по сведениям М. Тамарашвили, капуцин Лаврентий Миланский в 1706 г., перед отъездом в Грузию обратился в Пропаганду с просьбой снабдить его двумя катехизисами и четырьмя экземплярами грузинского словаря².

Однако, сравнение со словарем Паолини не обнаруживает никаких следов влияния его на итальянскую часть словаря грузинского лексикографа. Состав итальянской части словаря вовсе не напоминает ряд слов в работе Паолини. У последнего больше бытовых, разговорных слов, несравненно больше глаголов и глагольных форм и гораздо меньше специальных названий, терминов, отвлеченных понятий. Например, из слов на букву „с“, имеющих в словаре Сулхан-Саба перевод на итальянский, у

¹ Списков этих словарей в наших фондах не имеется. О рукописях Б. М. Неаполитанского, в том числе и об этих словарях, находившихся в монастыре Торредель Греко, можно судить по статье Гуго Шухардта („*оვერბო*“ 1896, № 90) и записям Ал. Пагарели (фонд Института Рукописей А—1804).

² მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 305.



Паолини отсутствуют такие, как: აელება, ავაჯი, ავზი, ავთრათი, ავრეზი, აზუა, აკაური, აკიდება, ალაბასტრო, ალვის ხე, ალმასი, ალუბალი, ამალი, ამეთვისტომი, ამიანატოს, ამინაშატი, ანთრაკი, ანძა, აპაური, ას-ფალტო.

В части бытовых, разговорных слов выбор тоже во многом расходитя, а в совпадающих словах далеко не всегда дается одинаковый итальянский перевод. Из слов на букву „а“ совпадает полностью и по форме, и по переводу всего лишь несколько слов: აქვა — voto; ამპარტაენება — superbia; ანგელოზი — angelo; ასე — così; ატამი — persico; ატარი — speciale.

Другие переводы расходятся, например:

	у Сулхан-Саба	у Паолини
ახნაური	uomo civile	cavaliere
ამაღლება	ascensione	grandezza
ამბორი	abbracciamento	bacio
ასისთავი	capitano	caporal di cento soldati
ატრია	maccheroni	lasagne
ახალი	novo	giovane, moderno.

В некоторых случаях у Паолини даются более точные переводы, например:

ბალიში	capezzale	cuscino
ბარგი	roba	bagaglio
გლეხი	suddito	contadino

Но в целом, расхождений между грузинским и итальянским текстом в словаре Паолини значительно больше, чем у Сулхан-Саба: расхождений смысловых, расхождений между формами грузинского и итальянского текста, не говоря о сильно искаженном написании грузинского текста. Например, к личным временным формам глаголов приписан инфинитив (დაუხდებ — mettere; დაუმალა — nascondere), к причастию — наречие (დაფარული — segretamente) и т. п. Здесь встречаются такие написания и несоответствия, как რისტუი — con chi; რახალი (должно быть ახალი) — nuovo; რლი (должно быть სირბილი) — correre, ზეზილი (должно быть ცეცხლი) — fuoco и т. п.

Ввиду таких многочисленных неточностей, которые встречаются в словаре Паолини, не приходится сожалеть, что Сулхан-Саба не использовал эту книгу для своей работы.

Итак, итальянский материал словаря не был перенесен автором из существовавших в то время словарей. Надо думать, что в основном, итальянские параллели сделаны со слуха и вписаны частью самостоятельно, частью с помощью переводчиков, которые были с писателем во время его пребывания за границей. Вполне естественно, что именно в Италии, в ок-

ружении итальянской языковой среды Сулхан-Саба мог принять на исполнение своего словаря этим материалом. Слыша вокруг себя итальянскую речь он многое мог узнать, спросить значение того или другого слова и внести его в свой словарь.

„Путешествие в Европу“, представляющее дневник, который автор вел во время своей поездки, позволяет сделать некоторые наблюдения по этому вопросу. Проследивая встречающиеся в „Путешествии“ названия животных, растений, минералов, церковные и др. термины, можно заметить, что многие из них имеют в словаре перевод на итальянский язык. Возможно, что любознательный писатель узнавал итальянские названия отдельных слов и терминов и заносил их в свой словарь. Так, например, описывая торжественную церковную службу в Риме, Сулхан-Саба пишет, что один из священнослужителей „მალის ხნით ავაჯით კითხვა დაიწყო“¹. В словаре „ავაჯი“ переведено на итальянский как „santo fermo“. Во время своего пребывания во Флоренции Сулхан-Саба дает подробное описание дворца и садов великого герцога, растений и зверей, которых ему показывали. Многие из перечисленных названий отражены в словаре: წალკოტი—giardino, ავზი—piscina, ალვის ხე—cipresso; ბზა—palma; სირაქლეზი—struzzo; ფარშამანგი—ravone и т. д. Впечатлениями морского путешествия можно объяснить обилие слов из морской жизни, которые встречаются в словаре, например, კობანო—feluca, კატარა—galera, ლუზა—ancora, ხომალდი—saica, მეკობრე—corsaro.

В тексте „Путешествия“ автор употребляет иногда итальянские слова, например, კაფიდან (capitano), ფორტე (porto), სინორ (signore), ფრინციპე (principe), დუკა (duca), კრანდუკა (granduca) и др. Слова записаны со слуха и потому не точно. Некоторые из них в такой же транскрипции стоят в итальянской части словаря, например, ასისთავი—კაფიდან.

Иногда в тексте „Путешествия“ Сулхан-Саба прямо ссылается на итальянское название того или иного слова, например: „წინ ორი კაცი უჯდა, ერთი სანთურს უკრავდა, ერთი მათს ტრუმბედას“². По-итальянски „tromba“—труба, „trombetta“—небольшая труба, которую видел писатель у одного из музыкантов. В словарь это слово тоже внесено: ობდელისნი—ტრუმბეთა. Такой пример ясно показывает, что писатель интересовался итальянской речью и узнавал названия тех или иных предметов на новом для него языке.

Вопрос об источниках итальянского материала словаря, о том как были они внесены, из письменных памятников или из живой речи, естественно упирается в вопрос о том, знал ли Сулхан-Саба итальянский язык, или чьей помощью мог он пользоваться для своей работы. Сам писатель,

¹ სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, გვ. 33.

² Там же, стр. 51.



говоря о том, на каких языках он использовал литературу для своего словаря, отмечал, что кроме грузинского он других языков не знал: „მე ქართულსაგან კიდე სხვა ენა არა ვიცოდი“ (ანდერძნაბაგი). Но это высказывание не следует понимать буквально. По мнению А. Г. Шанидзе „სულხანი ამას ამბობს თავმდაბლობითა და მორიდებით, თორემ ქართულის გარდა მან სხვა ენებიც იცოდა“¹.

Такого же мнения придерживаются и другие исследователи. „Кое-какие знания по этим языкам, по всей вероятности, у него были, — пишет С. Иорданишвили, — иначе он не взялся бы за составление сравнительного словаря“².

Рассмотрим некоторые данные по этому вопросу. Сулхан-Саба выехал за границу в 1713 г. К этому времени он итальянского языка не знал и во время путешествия прибегал к помощи переводчика. Свои дипломатические послания и письма он писал по-грузински. Во время поездки по Франции с ним был аббат Ришар. Он же довез его до Италии. После его отъезда пореводчиком грузинского путешественника был капуцин Сильвестр, который до этого жил в Грузии и знал грузинский язык. В материалах из архива Тосканских миссионеров, приведенных в книге Тамарашвили, прямо говорится о том, что Сулхан-Саба „ქართულის და თათრულის მეტი სხვა ენა არ იცის. ამიტომ მოითხოვა და რომში გაუგზავნეს ხეივანი პატრი სილიბისტრე (რომელიც კარგა ხანია საქართველოდან დაბრუნებულიყო), რომელმაც ქართული ძრიელ კარგად იცის, იგი თან ახლდა მონენდ და სხვა საჭიროების დროს (რადგან რომარდი მას განშორდა 25 ივლისს). ამის გამო ის პატრი თან მოჰყვა ფლორენციაში“³.

Конечно, самый факт того, что Сулхан-Саба нуждался в переводчике, еще не определяет вопроса о его познаниях в итальянском языке. Ясно, что он не владел языком свободно, что он нуждался в помощи. Но если учесть, что еще в Грузии он мог разбираться в латинских источниках, что за границей в течение продолжительного времени он имел общение с итальянскими миссионерами и довольно долго путешествовал по Италии, то вполне возможно предположить, что он приобрел некоторые сведения в итальянском и вписывал известные ему итальянские слова в свой словарь. Для этой работы он должен был пользоваться помощью своих итальянских переводчиков, знавших грузинский язык. Помимо капуцина, который сопровождал его с самого Рима, во Флоренции Сулхан-Саба встретился еще с одним капуцином, побывавшим в Грузии, как это видно из тех же материалов архива Тосканских миссионеров: „მეორე დღეს აქ მოვიდა პატრი

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, წინასიტყვაობა, გვ. IV.

² Сулхан-Саба Орбелиани, Мудрость лжи. Предисловие С. Иорданишвили. Тб. 1939, стр. VII.

³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 328.

ანჯელო, რომელიც მას იცნობდა საქართველოში. მაშინვე ერთ სხვა მისიონერთან ერთად მივიდა მის სანახავად, რაც ძრიელ გაეხარდა საბას, რადგან ამ პატრმაც ქართული იცოდა; ეს ორივე თავისთან დაიჭირა სადილად და ძრიელ შინაურად შეექცნებ. 20 სექტემბერს, თავის მხლებლებით წავიდა ფლორენციიდან მათის ხელმწიფობის საგანგებო ნავით. პატრი ანჯელო ლივორნამდე გაჰყვა. ხოლო მეორე მისიონერი კი თან წაიყვანა სიჩილიამდე¹.

Связь с итальянскими миссионерами Сулхан-Саба имел и после отъезда из Италии. На Мальте, как и во многих других местах, он останавливался в монастыре бапуцинов. В Константинополе он тоже имел связь с миссионерами, например с Домеником делла Рокка, который, по поручению писателя, писал из Константинополя Ришару о положении его дел².

От своих итальянских переводчиков и консультантов мог Сулхан-Саба получать перевод нужных ему для словаря слов, они же могли сделать перевод текстов и словарей. Анализ итальянской части словаря приводит к заключению, что писатель не пользовался самостоятельно источниками на итальянском языке и не с письменного текста брал итальянские слова, но со слуха. На это указывает сбивчивая запись итальянского текста, где часто пропущены или изменены окончания слов (კიპრეს — cipresso; პალაც — palazzo; რეჯინე — regina; თიგრო — tigre), или несколько раз вписанное одно и то же слово транскрибируется различно. Например:

გორა—კორინა	$\left\{ \begin{array}{l} \text{collina} \\ \text{შუარაკი—ვიტულო} \end{array} \right.$	დიაკეული—ვიფელო	$\left\{ \begin{array}{l} \\ \text{vitello} \end{array} \right.$
ზეგანი—კოლინა		შუარაკი—ვიტულო	

Кроме того, в словаре слитно вписаны существительные с артиклем, вспомогательный глагол со смысловым, предлог с местоимением и т. п. Например: ქუხილი—ილტუნო—il tuono; წვიმა—ლაპიოჯა—la pioggia; იარა—აქამინატო—ha camminato; ვერთილობ—სტოვიჯილანტე—sto vigilante; იმას—აქველო—a quello. Слитно записываются обычно и разные слова, обозначающие одно понятие: ლუმბა—ვეროდეკავალო—ferro di cavallo; ზუმბურო—ჩერადისპანია—cera di Spagna; კაბა—ვესტელუნგა—veste lunga и др.

В отдельных примерах, в транскрипции итальянских слов стоят грузинские буйвенные обозначения звуков, которые не свойственны итальянскому языку (ღ) и явно не могли быть взяты из письменных источников: ბეღელი—მაღაზინო—magazzino; ზორაყი—პაპალაღი—pappagallo; ორღანო—ორღანო—organo; წვივი—ღამბა—gamba.

Но хотя итальянские параллели вписаны со слуха, а потому часто с неточностями, это не умаляет их значения в общем замысле словаря. Переводы к грузинскому тексту в основном подобраны правильно и, несмотря на всю сбивчивость их написания, передают в грузинских знаках нужные

¹ მ. თამარიშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 329.

² Там же, стр. 331.



итальянские слова. Итальянская часть словаря Сулхан-Саба Орбелiani не заимствована из существовавшей в то время итальяно-грузинской лексико-графической литературы и является плодом самостоятельной работы автора.

* * *

Итальянские переводы встречаются только в „В“ редакции словаря. После того, как Сулхан-Саба вернулся на родину, он продолжал работу над словарем, дополняя и уточняя его. Но в эту позднюю и окончательную „А“ редакцию он не перенес своего итальянского материала и из иностранных переводов внес только параллели на армянском и турецком языках. Такое явление можно объяснить различными причинами. Итальянский материал словаря был, несомненно, показателем связи автора с западом. Он был внесен в словарь в эпоху, когда писатель, находясь с дипломатическим поручением в Европе, хлопотал об оказании Грузии помощи западными государствами. Сулхан-Саба от лица своего царя обещал переход Грузии в католицизм, как только будет оказана помощь и Вахтанг VI будет возвращен из персидского плена. Итальянский материал, внесенный в словарь, являлся как бы показателем приобщения к западу, к миру католицизма, первым шагом на пути к изучению языка той страны, в которой находился центр католической церкви.

Однако, миссия Сулхан-Саба, как известно, не увенчалась успехом; французский король и римский папа ограничились ласковым приемом грузинского посла, но не сделали ничего для оказания помощи Грузии и ее царю. После длительного путешествия, ничего не достигнув, Сулхан-Саба приехал на родину, претерпев на обратном пути ряд трудностей и невзгод. Но его труды не были оценены современниками. Наоборот, в несколько изменившейся в это время в Грузии политической конъюнктуре, началось преследование престарелого писателя за его связи с католицизмом, о чем с прискорбием пишет сам Сулхан-Саба в конце своего „Путешествия“: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდლონი რომს წასვლისათვის გამომტერდნ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელები, ვერავინ შემომეწია“¹.

В такой обстановке гонения и вражды работал писатель над последней редакцией своего словаря, в которую он уже не внес итальянского материала. Этим может быть он хотел избежать лишних нареканий и не напоминать о своих связях с миром католицизма. Кроме того, этот материал должен был утратить свое значение в глазах автора после того, как исчезли надежды на укрепление связей с западом. Сам же по себе итальянский язык, совершенно не имевший распространения в Грузии, не мог

¹ სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, გვ. 152.

способствовать уяснению значения грузинских слов словаря для читателя, как это могли сделать параллельные тексты на армянском и турецком, т. е. на тех языках, которые были хорошо известны в Грузии.

Поэтому в списках словаря, сделанных как с ранних, так и с позднейших автографов, итальянских слов не встречается. Они сохранились лишь в тех списках, которые были сделаны с Константинопольской рукописи автора. Среди подобных списков особый интерес представляют три рукописи, повторяющие „В“ редакцию словаря. Помимо итальянских переводов, они имеют еще в начале грамматические добавления, составленные под явным влиянием итальянских источников. Это списки раннего времени. Л. Кутателадзе относит их к двадцатым годам XVIII в¹. Из них наиболее ранняя рукопись S—247 (фонд Института Рукописей), а последующие списки A—1113 и A—1157².

Грамматическая часть этих рукописей очень невелика, но заслуживает внимания. Особенно интересна для темы данной работы вписанная здесь схема склонения и спряжения. Склонение существительных, озаглавленное დრამატიკათა რომელბანი, приведено как в единственном, так и во множественном числе. Названия падежей даются в их итальянском произношении. Помимо шести падежей латинской грамматики здесь приписаны, однако, еще другие падежные формы, которые не уложились у автора в европейские грамматические рамки.


ნომენატიო —	რომელ აზმა	მამა
ჯანეტიო	რომლისა	მამის
დატიო	რომელსა	მამასა
აკუსატიო	რომელი	მამა
ვოკატიო	რომელიო	მამაო
აბლატიო	რომლისაგან	მამისაგან
—	რომლად	მამად
—	რომლიდამ	მამიდამ
—	რომლით	მამით
—	რომელმან	მამამან

В той же последовательности представлен падежный ряд и для множественного числа.

Спряжение озаглавлено დრამატიკათა ვითარებანი и дается в главных временах изъявительного наклонения под названиями тоже взятыми с итальянского, но записанными очень неточно:

¹ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 267—268.

² Описание этих рукописей сделано Х. Г. Шарашидзе. საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბ. 1954.



პრეზენტე — ქმნა	მიყუარს, გიყუარს...
იმპერეტო — ნაქმნარი	მიყუარდა, გიყუარდა...
პერვეტო — ქმნილი	შემიყუარდა, შეგვეყუარდა...
პრუსკვა მპრევოტო — სრულ ქმნილი	შემიყუარებია, შეგიყუარებია...
ჟუტერო — საქნელი	შევიყუარებ, შეიყუარებ...
იმპრატო — ქმენ	შეიყუარე, შეიყუაროს...

Л. Кутателадзе, описывая рукопись S — 247 содержащую такие грамматические добавления, делает предположение, что „ვინაიდან ესა და ქვემოთ აღწერილი ნუსხა A—1113 (მათ იმეორებს A—1157-იც) ადრეულია, თანაც B რედაქციისა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათგან შემონახული... ლათინურ-ქართული ნაწილი მოდიოდეს კონსტანტინეპოლური (ამავე რედაქციის თავბოლონაკლულ) ავტოგრაფიდან (H—1658), ხოლო ლექსიკოგრაფს შემდგომ რედაქციაში (A) იგი არ გადაეტანოს ისევე, როგორც არ გადაიტანა ამავე ნუსხიდან სიტყვათა იტალიური შესატყვისები“¹.

Такое предположение не лишено основания, тем более, если названные списки относятся ко времени 20-х гг., т. е. сделаны были или при жизни писателя, или непосредственно после его смерти. Едва ли кто стал бы в это время делать собственные добавления к его словарю. Если не согласиться с подобным мнением, то нужно предположить, что переписчик рукописи имел контакт с итальянскими миссионерами и при их консультации составил свои грамматические добавления к словарю. Неточная запись названий времен показывает, что это писал не иностранец; кроме того ясно, что составитель хорошо разбирался в грузинском языке и, поняв, что его формы не укладываются в рамки шести падежей латинской грамматики, приписал к ним другие, характерные для грузинского языка надежные формы. Грамматическая часть словаря не обнаруживает сходства с известными нам грамматическими пособиями, составленными иностранцами. Как грамматика Маджо, так и рукописная грамматика, составленная в 1724 г. (Институт Рукописей Q—500), в системе склонения твердо придерживаются европейских образцов и не выходят за рамки шести общепринятых падежей. Что касается спряжения, то оно представлено в этих пособиях значительно полнее, дается в разных наклонениях, а в изъявительном наклонении содержит не три, а четыре прошедших времени.

Грамматические дополнения в списках словаря являются показателем стремления сделать труд более полным, придать ему большее практическое значение в деле изучения грузинского языка и систематизации свойственных ему грамматических особенностей. Они являются показателем интереса к европейской культуре и стремлением использовать ее для лучшего изучения своего родного языка.

¹ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 268.

Этой же цели служит и итальянская часть самого словаря. В это же время итальянский материал представляет интерес не только как один из компонентов, дополняющих замысел толкового словаря. Он является показателем интереса автора к культуре и жизни европейских народов и одним из элементов культурных и литературных взаимоотношений Грузии с западом в эпоху XVIII века.

საზღვარგარეთული ლიტერატურის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 4. XI 1959)

6. ოკროვსკაია

ივალისური მასალა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში

რეზიუმე

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი — ქართული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის ძვირფასი ძეგლი — წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ საყურადღებო შრომას. ქართული მასალის გარდა ლექსიკონში შეტანილია პარალელური შესატყვისები სომხურ, თურქულ და იტალიური ენებიდან. იტალიური მასალა გვხვდება მხოლოდ ლექსიკონის „B“ რედაქციაში, რომელზედაც ავტორი მუშაობდა 1713—1716 წლებში უცხოეთში ყოფნის დროს.

იტალიური შესატყვისები მიწერილი აქვს ქართული სიტყვების მხოლოდ მცირე ნაწილს. ლექსიკონის იტალიურ მასალაში გვხვდება სასაუბრო სიტყვები. მაგრამ აქვია ბევრი ბოტანიკური, მინერალური, ზოოლოგიური, სამედიცინო და სხვა სპეციალური სახელწოდებები და ტერმინები, აგრეთვე საეკლესიო-რელიგიური შინაარსის სიტყვები. ქართული სიტყვების თარგმანი იტალიურ ენაზე ძირითადად მოცემულია სწორად, იშვიათად გვხვდება შინაარსობრივი დაცილება, მაგრამ იტალიური სიტყვები ლექსიკონში ჩაწერილია ქართული ასოებით, რის გამოც თავს იჩენს ბევრი უზუსტობა და ბუნდოვანება.


სიტყვარის იტალიური მასალის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მასალა არაა აღებული წერილობითი წყაროებიდან და ლექსიკონებიდან. სულხან-საბას იტალიური მასალის შედარება პაოლინის ლექსიკონთან — იმ ხანებში ერთადერთ ნაბეჭდ ქართულ-იტალიურ სიტყვართან, — არ გვიჩვენებს მისი გავლენის ნიშნებს ქართველი ლექსიკოგრაფის შრომაზე. სულხან-საბას ლექსიკონის იტალიური მასალა არაფერში ჩამოგავს პაოლინის შრომის ლექსიკურ ფონდს. იტალიური პარალელები, საფიქრებელია, სულხან-საბამ გააკე-



თა გაგონილის საუშუქველზე, ზოგჯერ დამოუკიდებლად, ზოგჯერ ^{საქართველოში} ~~საქართველოში~~ თანმხლებ თარჯიმანთა დახმარებით, სულხან-საბას ლექსიკონის იტალიური ნაწილი არაა ამოღებული იმ დროს არსებული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურიდან; იგი ავტორის დამოუკიდებელი მუშაობის ნაყოფია.

სიტყვარის პირველ რედაქციებში სულხან-საბა არ მიმართავდა იტალიურ ლექსიკურ მასალას, თუმცა მას უცხოეთში გამგზავრებამდე უკვე ჰქონდა კავშირი იტალიელ მისიონერებთან და შეეძლო მიემართა მათი დახმარებისათვის. მოგზაურობამ საზღვარგარეთ, კერძოდ, იტალიაში ყოფნამ, სტიმული მისცა ავტორის დაინტერესებას ევროპული ენებით და ხელი შეუწყო მის შრომაში იტალიური ლექსიკური მასალის შეტანას.

სიტყვარის იტალიური მასალა საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ერთი კომპონენტთაგანი, რომელიც ავსებს სულხან-საბას ახსნა-განმარტებითი ლექსიკონის ჩანაფიქრს; იგი, ამავე დროს, აჩვენებს ავტორის დაინტერესებას ევროპიელი ხალხების კულტურითა და ცხოვრებით და წარმოადგენს XVIII საუკუნეში უცხოეთთან საქართველოს კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ერთგვარ გამოხატულებას.



შემიწვეული შეხვედრების გასვორება

(შრომები № 95)



გვ.	სტრიქონი		არის	უნდა იყოს
	ზევ.	ქვევ.		
9	2		დაიწერებოდა	დაიწვეებოდა
29	11		დიაგნოსტიკები	დიაგნოსტიკოსები
32		8	1910	1930
46		4	დაღრმავლამე	და ყოველამე
51		19	წმინდადაღიარებულ	წმინდად აღიარებულ
113		8	während	während
122	18		werden	werden
146		2	ქალები	ქალები
150		12	от правного	от правного
154		4	When	when
		10	„დადგმა“	„დადგმა“
155		4	verb	Verb
		14	past partiziple	Past Partiziple
		15	inf.	Inf.
158	6		ამოაყვანინა	ამოაყვანინა
162	3, 5, 11		accusative	Accusative
	3, 6, 13		infinitive	Infinitive
181	11		it	ist
184		8	II-მიმღებობის	I მიმღებობის
189	16		arbeitern	Arbeitern
205	11		Джардина	Джардина;

შეკვეთა № 965

უფ 03785

ტირაჟი 500

გადაეცა წარმოებას 23/V-60 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/-IX- 60 წ. ანაწილის
ზომა 7×11. ქალაქის ზომა 70×102. საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 18,84. საარტიცხოვ-
საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 14,66.

ფასი 9 მან. 80 კპპ.

1961 წ. 1. 1-დან 98 კპპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси,
проспект И. Чавчавадзе, 1.